

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნონა ქარციკე

**შუა საუკუნეების მოჭიქული კერამიკა
ქუთაისიდან**

დისერტაცია

ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

სპეციალობა-07.00.06. არქეოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ომარ ლანჩავა

ქუთაისი 2010

სარჩევნო

შესავალი

თავი I

მოჭიჭული ჭურჭლის წარმოების ისტორია

- §1. ჭიჭურის წარმოების ისტორიიდან
- §2. ტექნოლოგიური პროცესები
- §3. სახელოვნობები და საწარმოო ცენტრები
- §4. თანამედროვე ტექნოლოგიური ანალიზი
- §5. ქუთაისის სახელოვნო ცენტრი

თავი II

მოჭიჭული სამშენებლო კერამიკა ქუთაისიდან (VIII-XVIII სს.)

- §1. ჭიჭურიანი კრამიტები და ანტიფიქსები
- §2. ჭიჭურიანი აბურები და შორენკეცები
- §3. ჭიჭურის შესწავლის არაღმსტრუქციული მეთოდები
- §4. მოჭიჭული სამშენებლო კერამიკის ქუთაისური ნაწილი

თავი III

VIII-XIII საუკუნეების მოჭიჭული კერამიკა ქუთაისიდან

- §1. პირველი პერიოდი (VIII-IX სს.)
- §2. მეორე პერიოდი (X-XI სს.)
- §3. მესამე პერიოდი (XII-XIII სს.)

თავი IV

XIV-XVIII საუკუნეების მოჭიჭული კერამიკა ქუთაისიდან

- §1. მეოთხე პერიოდი (XIV-XVI სს.)
- §2. მესამე პერიოდი (XVII-XVIII სს.)

დასკვნა

დამოწმებული ლიტერატურა

შემოკლებათა განმარტება

შესავალი

კერამიკა მატერიალური კულტურის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მეტყველი და დიდი ინფორმაციის შემცველი ძეგლია. ამიტომაცაა, რომ მას „არქეოლოგიურ ანბანს“ უწოდებენ.

იმის შემდეგ, რაც ადამიანმა თავისი არსებობისათვის აუცილებელი ყოფითი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე ზრუნვა დაიწყო (ბინის მოწყობა, იარაღის დამზადება, ჭურჭლის გამოგონება), მეთუნეობა მისი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. კერამიკის გაჩენით იწყება ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში. ესაა ნეოლითი (ა. არციხოსკი). „ნეოლითური რევოლუცია“ (გ. ჩაილდი) კი მოპოვებითი მეურნეობიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლაა, რაც მოსაბრუნე პუნქტია საზოგადოების განვითარებაში.

ქუთაისის მიწა-წყალზე კერამიკულ წარმოებას უდიდესი გზა აქვს განვლილი. იგი იწყება ნეოლითის ეპოქიდან, რომლის საილუსტრაციოდ ჩვენამდე მოაღწია ხელით ნაძერწმა სქელკედლიანი ჭურჭლების ფრაგმენტებმა, უხეში, ტლანქი ორნამენტით. [ნებიერიძე 1972].

კვლავ ხელით ნაძერწი, მაგრამ საგანგებოდ დახვეწილი ფორმისაა ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის სამეთუნეო ნაწარმი, რომელიც წარმოდგენილია დიდი ზომის ჩალისფერკეციანი ზედაპირგაპრიალებული დერგებით. თუმცა გვხვდება ამ პერიოდის უხეშკეციანი, შავად გამომწვარი კერამიკა თეთრამიწას გორადან და საკუთრივ ბაგრატის ტაძრის ექსტერიერიდან. [ლანჩავა, ისაკაძე...2010: 68].

მართალია, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც შთამბეჭდავ სურათს ქმნის ქუთაისის მახლობლად მოწამეთას ფარდულში აღმოჩენილი შავადგამომწვარი ჭურჭლები. ეს მასალა შუა ბრინჯაოს ხანით თარიღდება. [ჯაფარიძე 1991: 155].

სრულიად ახალი ეტაპი სამეთუნეო საქმიანობაში იწყება კერამიკული ჩარხის გამოგონებით. სწრაფმბრუნავმა კერამიკულმა ჩარხმა ფაქტობრივად გადატრიალება მოახდინა თიხის ჭურჭლის წარმოებაში. მისი გამოყენება ქუთაისის მიწა-წყალზე ძვ. წ. II ათასწლეულიდან მეორე ნახევრიდან აშკარაა. ამან გამოიწვია კერამიკული წარმოების ცალკე ხელოსნურ დარგად გამოყოფა და თიხის ჭურჭლის მასობრივი დამზადება.

არქეოლოგიურმა კვლევებმა თვალნათლივ წარმოაჩინა ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრის კერამიკული წარმოების ფართო მასშტაბები, მისი მრავალფეროვნება და ერთგვაროვნება, როგორც ძველი კოლხური კულტურის ერთ-ერთი მთავარი და წამყვანი კომპონენტი [ლორთქიფანიძე 2002: 42].

ელინისტურ და გვიანანტიკურ ხანაში ადგილობრივ და კოლხურ ჭურჭელზე შეინიშნება ბერძნულ-რომაული სამყაროს გავლენა. ვხვდებით ისეთ ფორმებს, რომლებიც ზემოთ აღნიშნული სამყაროსათვისაა დამახასიათებელი. თავისთავადობას კოლხური კერამიკის ქუთაისური ნაწილი არც ადრესაშუალო საუკუნეებში კარგავს. პირიქით, მისი წარმატებული განვითარება წინა პერიოდებთან შედარებით ამ ეპოქაში აშკარაა. [ლანჩავა 2007]. საშუალო საუკუნეებში განვითარებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვისათვის ყველა პირობა იყო შექმნილი. ამიტომაც ქუთაისელი მეთუნეები ადრევე დაეუფლნენ იმ სიახლეებს, რომელიც თითქმის საყოველთაო მოვლენად იქცა VIII საუკუნის ბოლოდან, როდესაც უკვე შემოდის გამოყენებითი ხელოვნების ახალი სახეობა მოჭიქული ჭურჭლისა და სამშენებლო კერამიკის სახით. აქედან იწყება სწორედ დამკვიდრება ქუთაისური მოჭიქული კერამიკისა, როგორც სოციალური ჭურჭლისა, რადგან მისი მომხმარებელი თავდაპირველად უპირატესად სოციალურად წარჩინებული მოსახლეობა იყო. ხანგრძლივი არქეოლოგიური კვლევის შედეგად მივიღეთ ქუთაისის მხარეში მოპოვებული მხატვრული სამეთუნეო წარმოების და ნაწარმის მოხმარების შეძლებისდაგვარად სრული სურათი, რომლის გარეშე ქალაქისა და ქვეყნის კულტურულ-ისტორიული პროცესების სრულყოფილი წარმოდგენა შეუძლებელია.

თავი I

მოჭიქული ჭურჭლის წარმოების ისტორია

§1. ჭიქურის წარმოების ისტორიიდან

ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიაში მხატვრულ კერამიკას მნიშველოვანი ადგილი უკავია. მეჭურჭლეობა ხელოსნობის ყველაზე უძველესი დარგთაგანია, რომელიც ემყარება თიხის ბუნების საფუძლიან ცოდნას. წარმოების ეს დარგი ჩვენი ქვეყნის მრავალ კუთხეში ძველთაგანვე იყო გავრცელებული. თიხის დამუშავების პროცესს მოსდევდა ჭურჭლის ჩამოყალიბების, ფორმირებისა და შრობის პროცესები, რომლის შემდეგაც გამშრალი ჭურჭელი დანიშნულების მიხედვით უნდა შემკულიყო, მოხატულიყო, ხოლო მნიშვნელოვან ნაწილს ან ანგობს გადაავლებდნენ ან აგერეთვე მოჭიქავდნენ. ამის შემდეგ იწყებოდა მათი გამოწვა.

წერნაქი ანუ წითელი ანგობი იგივე თიხაა, რომელშიც რკინის ქანგი მრავლად ურევია, ოღონდ ეს თიხა ძირითად მასაზე უფრო წმინდა სრუქტურისაა. ანგობით იფარება თიხის ჭურჭლის ზედაპირი გამოწვამდე. ანგობით ამოავსებენ ჭურჭლის უხეშ ზედაპირს და საურველ ფერს აძლევენ. ბუნებაში იგი მზა სახით მოიპოვება და ყვითელი ფერი აქვს (გამოწვის შემდეგ ის მის ბუნებრივ ფერს იცვლის და მუქ წითელ ფერსღებულობს). [ჯაფარიძე 1956: 11].

ჭურჭლის მოჭიქვას, მის წარმოებას, ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს. ამის ნათელი დადასტურებაა არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი უამრავი და მრავალფეროვანი მასალა, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. ჩვენ შევეცდებით სამეცნიერო, დოკუმენტურ თუ ეთნოგრაფიულ ყოფაში ხმარებული მოჭიქული ჭურჭლის დამზადების ხალხურ მასალებზე დაყრდნობით მეტ-ნაკლებად ერთად მოვუყაროთ თავი ჭიქურის წარმოების ისტორიას, თუ სად როგორი განვითარება და გავრცელება ჰქონდა და რაც მთავარია, შეძლებისდაგვარად წარმოვაჩინოთ ქუთაისის როლსა და ადგილს მოჭიქული ჭურჭლის განვითარების ისტორიაში, წარმოების ტექნოლოგიური პროცესებს, ქრონოლოგიურ ჩარჩოებს. აქ არის ისეთი მასალები რომლებიც, პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში.

ჭიქური-კერამიკულ ნაკეთობაზე გამოწვით დამაგრებული საფარი-მინისმაგვარი 0,15-0,3 მმ სისქის ფენაა. ქიმიურად ჭიქური ტუტე, ტუტემიწა და სხვა ალუმინისილიკატური და ალუმინბორსილიკატური მინაა. იგი იცავს კერამიკულ ნაკეთობას გაჭუჭყიანებისაგან, მუავისა და ტუტის ზემოქმედებისაგან, ხდის

წყალშეუღწვეველს. ჭიქურით იფარება არა მარტო კერამიკული ჭურჭლის ზედაპირი, არამედ სამკაულიც (მაგ. მძივი). შეცხოების ტემპერატურის მიხედვით ჭიქური შეიძლება იყოს ძნელდნობადი და ადვილდნობადი. განასხვავებენ ფაიფურის, ნახევარფაიფურის, ქაშანურის, მაიოლიკის და სხვა მასალისთვის განკუთვნილ ჭიქურს. ჰერმან ჰესტის აზრით: „ძნელად დნობადი გლახურებისათვის, რომლებიც არიან მდიდრები კაჟირმუავით, თავისუფალი ტყვიისაგან, ღარიბი ტუტეებით და მიწატუტე ელემენტებით საგლახურე მასალებად იხმარებიან წმინდად დაფქვილი ქვარცი, ან სილა, მინდვრის შპატი, პეგმატიტი, კირ-შპატი, ცარცი ან მარმარილო და კაოლინი ან თიხა, ხშირად ქილა-ფქვილის დამატებით. ასეთ გლახურებს ხმარობენ უმთავრესად ფაიფურზე და მკვრივ ნაწარმზე; მათ უწოდებენ მიწა-ან მინდვრის შპატიან გლახურებს.

ადვილად მდნარი გლახურები, რომლებიც არიან ღარიბი კაჟირმუავით და მდიდარი ტუტეებით და სხვა ფუძეებით, და რომლებიც უმთავრესად იხმარებიან სერეტოვან ნაწარმზე, ჭურჭლეულობისათვის და აგურ-კრამიტის მრეწველობაში, არიან, ან ტყვიის შემცველი, ან ტყვიისაგან თავისუფალი. ტყვიის შემცველ ნედლეულებად იხმარებიან ტყვიანაცარი (მურდასანგი), ტყვიის სურინჯი, ტყვიის მათეთრა და ტყვია კრიალა. ტყვიის ნაცარი და ტყვიის სურინჯი, ხმარების წინ უნდა გასინჯულ იქნენ გოგირდის მჟავაზე, რომელიც გაცილებული უნდა იქნეს გარეცხვის საშუალებით, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმოშობილი სულფატები, ნაწილობრივ ხელს შეუშლიან დაშლას და გამოიყოფიან როგორც მინა-ქაფი და ამცირებენ გლახურის სიკრიალეს”. [დრ. ჰერმან ჰესტი 1935: 150-152]. ჭიქური ყოველთვის ადვილად დნობადია, ვიდრე თიხის მასალა. თიხის ჭურჭლის მოჭიქვას მხოლოდ შემკულობა კი არა აქვს მიზნად, არამედ ჭიქური ათანაბრებს ჭურჭლის ზედაპირს, ხურავს ფორებს, რაც, ერთის მხრივ, იცავს თიხის კეცს ყოველნაირი მავნე ზემოქმედებისაგან, ხოლო მეორე მხრივ, ჭიქურით დაფარული კრიალა ზედაპირი ადვილად ირეცხება. ჭიქურის შემადგენილობა შეიძლება მრავალგვარი იყოს. მთავარი მაინც ყველა ჭიქურისათვის არის SiO_2 მინერალი, რომელიც ბუნებაში დიდი რაოდენობით არის და გვხვდება სხვადასხვა სახით, კერძოდ, კრისტალური კვარცი, კვარცის ქვიშა, კაჟი, ტრიდიმიტი, კრისტობოლიტი, კვარციტები, მთის ბროლი. მას ვხვდებით აგრეთვე სილიციუმის მჟავას მარილებით მდიდარ შენაერთებში (სილიკატებში), როგორცაა მინდვრის შპატი, პეგმატიტი და სხვ. გარდა ამისა, აუცილებელია ტყვიის ნაცარი, რომელიც კაჟთან შეერთების შედეგად იძლევა ტყვიის ჭიქურს. ეს არის ისეთი ჭიქური, რომელიც იხმარება

აგურებისა და სხვა უბრალო კერამიკული ნაწარმის მოსაჭიქად. გარდა ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ არსებობს სხვადასხვაგვარი ჭიქურები, რომლებშიაც ძირითად ტყვიის ჟანგის გარდა შედის სხვა ლითონების ჟანგებიც და ის ჭიქური გამოიყენება შორენკეცებისა და მაიოლიკის ნაკეთობანისათვის.

ჭიქური მიღების მხრივ სამ ძირითად ჯგუფად იყოფა: თუ ჭიქური წყალში უხნადი მინერალებისაგან შედგება, მაშინ ასეთ მინერალებს პირდაპირ ფქვავენ და წყალში აურევენ ჭურჭელზე გადასავლებად და იგი მთლიანად რჩება ჭურჭლის ზედაპირზე. ასეთ ჭიქურებს ნედლი ჭიქურები ეწოდებათ. არის ჭიქურები, რომელთა შემადგენელი ნაწილები წყალში იხსნებიან. ასეთ ჭიქურებს ფრიტე ჭიქურები ეწოდებათ. ისინი არ შეიძლება წყალთან ერთად დაიფქვან, რადგან მათი ნაწილი გამოაკლდება მთლიან მასას და სასურველი ჭიქური არ გამოვა. ასეთ შემთხვევაში ჭიქურის შემადგენელ ნაწილებს მშრალად დაფქვავენ, ერთმანეთში აურევენ და შეადუღებენ სპეციალური ღუმელების საშუალებით. შემდეგ კი გავარვარებულ მასას ცივ წყალში ჩაუშვებენ, რის შედეგადაც მასა დასკდება ან მრავალი ბზარი გაუჩნდება ამის შემდეგ ადვილია მისი წმინდად დაფქვა, ამგვარი ფხვნილი წყალში აღარ გაიხსნება და მაშასადამე, მოჭიქვის პროცესშიც არაფერი დაიკარგება. ამავე დროს ფრიტე ჭიქურის რიგი თავისი უპირატესობა აქვს. ჭიქური ჭურჭელს შეიძლება გადაეველოს, შესაძლებელია ჭურჭელი ამოველოს ჭიქურში, ან ჭურჭელს ზედაპირზე ჭიქური ფუნჯით წაესვას. ჭიქურების მესამე ჯგუფში ექცევა ორთქლადი მარილის ჭიქურები, რომლებიც წარმოიშობა გამოწვის დროს, ნაწარმის გავარვარებულ კეცზე მადნობელთა ორთქლის მოქმედებით. ისინი გადაეკვრიან ნაწარმს ჭიქურის თხელ ფენად. რაგვარობის მიხედვით ჭიქური იყოფა ორ ჯგუფად: გამჭვირვალე და გაუმჭვირვალე, უფერო და შეღებილი (ფერადი) ჭიქურები. გამჭვირვალე ჭიქურებს ეკუთვნის ყველა ის ჭიქური, რომელიც კერამიკული ნაწარმის კეცზე გადავლებისა და გადნობის შემდეგ მაინც რჩება გამჭვირვალე და ჭიქურში გამოსჭვივის კეცის ძირითადი ფერი. მაგალითად, ტყვიის ნედლი ჭიქურები იძლევა გამჭვირვალე მასას. კეცზე გადავლებისა და გამოწვის შემდეგ ის უფრო ინტენსიურად აჩენს კეცის წითელ ფერს. თითქმის ყველა შემდგენელი ჟანგები, გარდა კალის ჟანგისა იხსნება რა ჭიქურის მასაში, რანაირი მუქი ფერისაც არ უნდა იყოს იგი, მაინც აჩენს კეცის ფერს. ხშირად ეს კეცის ფერიც ემატება შემდგენელი ჟანგეულის ფერს და ვიღებთ უმეტეს შემთხვევაში აღრეულ ფერს, წინააღმდეგ იმ ძირითადი ფერისა, რომელსაც იძლევა კერამიკულ წარმოებაში ხმარებული ესა თუ ის ჟანგი. მაგალითად, კობალტის ჟანგი

სხვადასხვა პროპორციული ოდენობით თეთრ სარჩულზე იძლევა ღია ფირუზის ფერიდან მოყოლებული მუქ მოლურჯო შავ ფერამდე. მაშასადამე, ამათ შუალედში შეიძლება უამრავი ლურჯი ან მოლურჯო ფერის სხვადასხვა ხარისხი მივიღოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში კი წითელ სარჩულზე, ე. ი. წითელ კეცზე დადებული იმავე პროპორციებში მყოფი ჭიქური, უერთდება რა კეცის ზედაპირს, ითვისებს მისგან მასში მყოფ რკინის ქანგის მოწითალო ფერს და იღებება იისფრად, ან, უფრო სწორად გამოსტევივის რა მოლურჯო ჭიქურში კეცის წითელი ფერი, ჩვენ ვიღებთ იისფერის აღქმას.

შეიძლება ჭიქურის მთლიანად შედგებაც სასურველი ლითონის ქანგებით ისე, რომ მასა საესებით იყოს შედებილი. ამ შემთხვევაში, რადგან ჭიქურის საფუძველი თეთრ გაუმჭვირვალე კალის ქანგზეა აგებული, სხვა შემდგობაგი ქანგებიც დალაგდება რა თეთრ საფუძველზე, მივიღებთ დაწმენდილ, სუფთა შეუბღალავ ფერს, რაც შეეხება გაუმჭვირვალე ჭიქურს იგი გვხვდება ფაიანსზე, რომელიც წარმოადგენს თეთრკეციან ფოროვან მოჭიქულ ნაწარმს, რომელშიაც ისევე ატანს სითხე და გაზი, როგორც ფერადკეციან თიხის ჭურჭლის კედლებში, მაგრამ უკანასკნელისაგან განსხვავდება თეთრი ფერით, ერთგვარობით და მეტი სიმტკიცით. ფაიანსი-ამ ტერმინს ორგვარი მნიშვნელობით ხმარობენ: ფართო მნიშვნელობით ფაიანსი ეწოდება ფოროვან მოჭიქულ კერამიკულ ნაწარმს; ვიწრო მნიშვნელობით კი ფაიანსი ეწოდება ისეთ თეთრკეციან ნაწარმს, რომელიც დაფარულია გაუმჭვირვალე ჭიქურით. გამჭვირვალობას ჭიქურს უკარგავს კალის ქანგის შერევა, რისთვისაც ასეთ ჭიქურებს კალიან ჭიქურებს უწოდებენ. ყველაზე ფართოდ გავრცელებული ქართულ კერამიკულ წარმოებაში არის გამჭვირვალე ჭიქურები, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ადვილად მიიღებოდა, რადგან ტყვიის ჭიქური ადვილად დნობადია და უფრო იოლი დასამზადებელი. მისი მიღება ყველა პრიმიტიულ საწარმოში შეიძლებოდა და მეორეც იმიტომ, რომ კალის ქანგი ყოველთვის ძვირი იყო, რაც იმთავითვე აძვირებდა ჭიქურის და მაშასადამე, ნაწარმის ღირებულებასაც. აქედან გამომდინარე, ღირებულების საკითხი თავის ზეგავლენას ახდენდა პროდუქციის წარმოებაზე. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჭიქურის გამოყენება კერამიკაში მეჭურჭლისაგან მოითხოვდა, როგორც თიხის ისე, ჭიქურის თვისებების კარგად ცოდნას, დახელოვნებასა და მტკიცედ შემუშავებულ ჩვევებს. ყველა ჩამოთვლილი ჭიქური რა წესით და მეთოდითაც არ უნდა იყვნენ მიღებული უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს: ა) მკვრივად და მტკიცედ შეუერთდნენ კერამიკული ნაწარმის

ზედაპირს, არ აძვრეს ჭიქური მას და არ დაიბზაროს. ბ) არ იყოს დენადი და არ ჩამოიდვაროს ნაწარმის ზედაპირიდან, ამისათვის კი უნდა ახასიათებდეს ისეთი დნობადობა, როგორიც შეესატყვისება იმ თიხის კეცს, რომლის მოჭიქვაცაა განზრახული. გ) არ იხსნებოდნენ წყალში და მუავეებში. [ჯაფარიძე 1956: 12, 36; მაისურაძე 1953: 17, 18]. იმისათვის რომ, ჭიქურის მასა გადაეგლოს კერამიკული ნაწარმის ზედაპირზე, წინასწარ უნდა გამორკვეულ იყოს როგორც ჭიქურის მასის, ისე საკეცე მასის გაფართოებისა და შეკუმშვის კოეფიციენტი. ამაზე დაყრდნობით ჭიქურისა და კეცის ერთმანეთთან დაკავშირების საკითხი. თუ ჭიქურსა და კეცს ერთნაირი გაფართოებისა და შეკუმშვის კოეფიციენტი არა აქვთ, ან მათი გაფართოება-შეკუმშვა სხვადასხვა ნახტომით მიმდინარეობს სხვადასხვა ტემპერატურაში ყოფნის დროს, რა თქმა უნდა, ჭიქური და კეცი ერთმანეთს არ შეეცხვება მჭიდროდ და მოხდება ჭიქურის დაბზარვა-დახეთქვა, ან აცვენა კეცის მასიდან. ჭიქური და კეცი ორივე კერამიკული სხეულებია. ისინი წარმოადგენენ სილიკატების შენადნობებისა და შეცხოების პროდუქტებს. ორივე ხასიათდება ერთნაირი ქიმიური თვისებებით. განსხვავება კი იმაშია მხოლოდ, რომ ჭიქური უფრო მეტ მადნობლებს შეიცავს, ვიდრე კეცი. ამიტომ ჭიქურის გადავლების დროს, კეცსა და ჭიქურს შორის, უკანასკნელის გადნობისას, იგი გაადნობს კეცის ზედაპირის ნაწილს და ამგვარად ჭიქურსა და კეცს შორის წარმოიშობა გარდამავალი ფენა, რომელიც გვევლინება ამ ორი კერამიკული სხეულის მიმწებებლად. იმ შემთხვევაში თუ ჭიქურის შეკუმშვის კოეფიციენტი უფრო დიდია, ვიდრე კეცისა, მიუხედავად იმისა, რომ გადნობის დროს ჭიქური კეცზე თანაბრად არის გადავლებული, გაციებისას ეს წინააღმდეგობა უფრო იჩენს თავს, ჭიქური უფრო მეტად შეიკუმშება, ვიდრე კეცი და ნაწარმის ზედაპირზე, ჭიქურზე გაჩნდება ნაბზარები. მეორე მხრივ, კი როდესაც ჭიქურის გაფართოებისა და შეკუმშვის კოეფიციენტი უფრო ნაკლებია, ვიდრე კეცისა, მაშინ ჭიქურთან მიმართებით კეცი უფრო შეიკუმშება და გაციებისას მოხდება ჭიქურის აბურცვა და აცვენა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, იდეალური ჭიქურის მისაღებად ჭიქურისა და კეცის კოეფიციენტი კარგად უნდა იყოს მონახული, სხვადასხვა ტემპერატურაში ყოფნის დროს უნდა მისდევდნენ ერთმანეთის ცვლილებებს და არ იჩენდნენ რაიმე წინააღმდეგობებს. აღებული კეცისათვის კარგად მონახული და მტკიცე ჭიქური, მისი სრული გადნობისას, იძლევა კრიალა, სუფთა და ლამაზ ზედაპირს. [მაისურაძე 1953: გვ. 18].

მოჭიქული კერამიკა საზოგადოდ ორგვარია: ერთფეროვანი (მონოქრომული) და მრავალფეროვანი (პოლიქრომული). მეტად იშვიათია უფერო გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული ჭურჭელი. (ყველა შემთხვევაში ტყვიის ჭიქურია გამოყენებული, ოღონდ მის შესაღებად, საჭირო შემთხვევაში ძირითად მასას ემატება ამა თუ იმ ლითონის უნგი). ჭურჭლის კეცის ბუნებრივი ფერი ყოველთვის ხელს უშლის ფერად ჭიქურს გამოამჟღავნოს თავისი ნამდვილი ელფერი და პირიქით, ფერადი კეცი დაფარული თეთრი ანგობის თხელი ფენით, ხელს უწყობს ჭიქურს ამ ელფერის გამოამჟღავნებაში. აქედან გამომდინარე, ამგვარი ჭურჭელი მოხატულობის შედეგად სხვადასხვა ელფერს ღებულობს. თეთრი ანგობით მოხატვის დროს, ფერად ჭიქურს ქვეშ ნახატი უფრო ღია ფერისაა, ნათელი გამოდის, ხოლო მიწა საგრძნობლად მუქი ფერისაა სწორედ იმიტომ, რომ ფერად ჭიქურს ქვეშ გამოსჭვივის კეცის ფერი. ამგვარად, იმისდა მიხედვით, როგორ ფერის იქნება ჭიქური, სხვადასხვა შემთხვევაში მივიღებთ ღია მწვანეს და მუქ მწვანეს, ღია ცისფერს და მუქ ცისფერს ღია სოსანსა და მუქ სოსანს.

ამგვარად, ერთფეროვანი ჭიქურით დაფარული და მოხატული ჭურჭლისათვის (როგორც ხერხითაც არ უნდა იყოს იგი შემკული) დამახასიათებელია ორი ელფერის მქონე ერთი ძირითადი ფერი, რომლის მიხედვითაც ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჭურჭელი მწვანეა, ცისფერია და სხვ. ქართველმა მეჭურჭლეებმა გამონახეს შემკულობის კიდევ ახალი გზები და საშუალებანი და საქართველოში ისევე, როგორც მთელ ახლო აღმოსავლეთში მრავალფეროვანი ჭურჭლის შესაფერადებლად როგორც ძირითადი კეცის მასის, ისე ჭიქურების შეღებვისათვის იყენებდნენ შემდეგი ლითონების უნგეულებს. რკინის უნგი, დამუხანგავ ცეცხლში იძლევა ყვითელ ფერს და მის გრადაციებს მუქ ყავისფრამდე; რკინის ქვეუნი მწვანე ფერს. სპილენძის უნგი-იძლევა მწვანე ფერს და მის გრადაციებს მოლურჯო ფერამდე; მანგანუმის უნგი იძლევა ყავისფერს და იისფერს. მარგანეცისა და რკინის უნგის შენაერთი იძლევა მოშავო ფერს ან მუქ ყავისფერს. კობალტის უნგი იძლევა ლურჯ ფერს; [ჯაფარიძე 1956: 12-13]. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ლითონის უნგებისა, დღეს იხმარება კიდევ სხვადასხვა ლითონის უნგებიც. კერძოდ: ნიკელის უნგი და ნიკელის ქვეუნი, რომელიც იძლევა მოყვითალო-მოყავისფრო და მონაცისფრო ყავისფერს; ურანის უნგი იძლევა ყვითელ ფერს და ქრომის უნგი იძლევა მწვანე ფერს. [მაისურაძე 1953: 19]. აქვე მოკლედ უნდა აღინიშნოს კერამიკული ნაწარმის მხატვრული შემკობის ხერხები, ესენია: გრაფიტოს ხერხი-ანგობიან ნედლ ნაწარმზე წვეტიანი იარაღის

საშუალებით სასურველი ორნამენტის ამოკაწვრა. გრაფიტოს ტექნიკის გარდა, ანგობიან ნაწარმზე ფონის ნაწილობრივი რეზერვაციის საშუალებით, ე. ი. დახატული ორნამენტისა თუ სიუჟეტის გარეშე დარჩენილი ფონის ანგობისაგან გაშიშვლებით, შეიძლება მხატვრული სახე შეიქმნას. კერძოდ, დახატავენ რა სასურველ სურათს თეთრ რბილ ანგობზე, რომელზედაც შეიძლება ნახატის საზღვრები ამოკაწრულიც იყოს, შემდეგ კი საზღვრის გარეთ დარჩენილი ანგობი მთლიანად აიფხიკება წითელი კეცის გამოჩენამდე. ზემოთ ჩამოთვლილ ხერხებს გარდა იხმარება ფუნჯის ტექნიკაც. (მოჭიქვის ხალხური ტრადიციების მიხედვით ჭურჭელზე მოხატვა წარმოებს საგანგებო „კალმით“, რომელსაც თხის ბაღნის ანდა ვირის ფაფარისაგან შეკრულ, ხის ტარზე დამაგრებულ ფუნჯს უწოდებენ- **[მაისურაძე 1953: 22; ბელუკაძე 1957: 294-295]**. თეთრ ანგობით დაფარულ ნაწარმზე ანგობისავე საღებავებით ფუნჯის საშუალებით ხატავენ სხვადასხვა ორნამენტს (ანგობის საღებავები მზადდება ძირითადად როგორც საანგობე თიხისაგან, ისე კეცის თიხისაგანაც. მაგალითად, ღია სუფთა ფერები, როგორც არის ყვითელი, ლურჯი, ფირუზისფერი, მწვანე, იისფერი და ამ ფერთა ყველა სხვადასხვა ხარისხები მზადდება თეთრი ანგობის საფუძველზე). ანგობიანი და მხატვრულად დასრულებული ნაწარმი შეიძლება დაფარულ იქნეს ფერადი ჭიქურებით. ამ ფერად ჭიქურიანი მოხატულობის გამოწვა ხდება ანგობის გამოწვასთან ერთად. ამრიგად, ფერად ანგობებთან ერთად, ან ცალკე იხმარება კიდევ ფერადი ჭიქურებიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფერადი ჭიქურების დნობის ტემპერატურა უფრო მაღალი უნდა იყოს, ვიდრე იმ ჭიქურისა, რომელიც საბოლოოდ უნდა გადაეგლოს ნაწარმს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს უკანასკნელი გახსნის და ჩამოღვრის ფერად ჭიქურს. **[მაისურაძე 1953: 22]**.

მოჭიქული ჭურჭლის ხალხური წარმოება საქართველოში არა ერთმა მეცნიერმა გამოიკვლია და ხალხური კერამიკული წარმოების სხვა დარგებთან ერთად ამა თუ იმ კუთხის ცნობილი ჭიქურის შეკაზმვისა და დამუშავების წესების აღწერილობაც მოგვცა, რომლის შედარებისას ნათელი ხდება, რომ მთელ საქართველოში თითქმის ერთგვარ მასალასა და ხერხებს იყენებდნენ ჭურჭლის მოსაჭიქავად.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ საქართველოშიც მოჭიქული ჭურჭლის აღსანიშნავად არის შემორჩენილი ტერმინი „ქაშანური ჭურჭელი“, მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ ის მაინცდამაინც ქაშანიდან იყო შემოტანილი. ტერმინი „ქაშანური“ ზოგად სახელად იქცა და საქართველოში დამზადებულ ქართულ მოჭიქულ ჭურჭელსაც აღნიშნავდა. ეს გარემოება კი იმას ნიშნავს, რომ ქაშანი, როგორც

კერამიკული წარმოების ერთ-ერთი ცენტრი, თავისი მაღალმხატვრული პროდუქციის წყალობით, დიდი პოპულარობით სარგებლობდა და მისი მნიშვნელობა აღიარებული იყო. ქაშანურ ჭურჭელს კახეთში ჩინურ ჭურჭელსა, მოკალულ ჭურჭელს და თეთრ ჭურჭელსაც ეძახიან. თუშ-ფშავ-ხევსურნი კი, როგორც მეჭურჭლეთა გადმოცემებიდან ირკვევა, მას თურმე მოჭიქულს ეტყვიან. კახური მოჭიქული ჭურჭლის აღმნიშვნელ ტერმინებთან „ქაშანურსა“ და „ჩინურთან დაკავშირებით პირველ ცნობას მონდოლთა დროის ისტორიკოსის მოთხრობაში ვპოულობთ. ისტორიკოსს აღნიშნული აქვს, რომ ქართველი მხედრების დახმარებით ულუ-ყაენის მიერ ბაღდადზე მოწყობილი ლაშქრობის შედეგად, სიმდიდრით განთქმული ქალაქი განადგურდა, მონდოლთა ჯარი აურაცხელი ქონებით აღივსო და „ჭურჭელნი ჩინეთით და ქაშანით მოსხმულნი“ კი რკინასა და სპილენძთან ერთად, უპატიოდ დაიბნა და დაიღწაო. ხელმწიფის კარის გარიგებაშიც გარკვევით არის ნათქვამი, რომ სახელმწიფოს საფინანსო საქმეების გამძღოლის-მეჭურჭლეთუხუცესის ხელთ ყოველნაირი „ჭურჭელი ოქროსი და ვერცხლისა, ჩინური და ქაშანური უსადვინო“ არისო. ულუ ყაენის ლაშქრის მიერ ბაღდადს ნახული ჭურჭლეთუხუცესის შეიძლება მართლაც ჩინეთიდან და ქაშანიდან იყოს შემოტანილი, მაგრამ რაც შეეხება ხალხურ ტრადიციებში მოჭიქული ჭურჭლის „ქაშანურად“ და „ჩინურად“ მოხსენიებას ივ. ჯავახიშვილის აზრით, ჩინურისა და ქაშანურის მსგავსად თვით საქართველოში დამზადებულს და არა ჩინეთიდან და სპარსეთის ქალაქ ქაშანიდან მოზიდულს გულისხმობდა. ძველ საქართველოში ქაშანური ჭურჭელი სხვაგვარ სახელს ატარებდა: ალბათ იმის გამო, რომ ჭიქა (შუშა) ჭურჭლის გასაღამაზებელ საშუალებათა ერთ-ერთ სახეობას წაერმოადგენდა და შესაძლებელია იმის გამოც, რომ შედეგის შედეგად ჭურჭელს ჭიქის მსგავსი ბრწყინვალება ეძლეოდა, მას მოჭიქული ჭურჭელი ეწოდებოდა. [ბოჭორიშვილი, 1949: 49, 217-218]. ეს ტერმინები ჩინეთიდან და ქაშანიდან შემოზიდული ჭურჭლის მსგავსად რომ იყო დამზადებული ეს ჩანს XIII-XIV საუკუნეების ქაშანური ჭურჭლის წარმოების სპარსული წერილობითი წყაროებიდან. იქ თვით ჭურჭლის კეციც საგანგებო შენარევეებისაგანაა დამზადებული, თვით გამოწვის პროცესშივე თითოეული ჭურჭელი საგანგებოდ შემზადებულ დახურულ ყალიბებში თავსდება და ცეცხლისა და კვამლისა უშუალოდ შეხებას არ განიცდის. ქართული ხალხური ჭიქურის წარმოებაში კი გავრცელებულია ცეცხლის აღზე დადუღებული ჭიქური.

მოტიქულ ჭურჭელთან დაკავშირებით ხალხში გავრცელებულ ტერმინებს „მოკალული“, „წამალგადასხმული“ ან „ინგლისური“ ახსნა-განმარტება მოუძებნეს. კერძოდ, ტერმინი „წამალგადასხმული ჭურჭელი“ მეჭურჭლეთა მიერ შემუშავებული სახელწოდებაა, რადგან ისინი ჭიქურის კაზმს „წამალს“ ეძახიან. ტერმინი „ინგლისური ჭურჭელი“ კი „განგლესა“, „განგოზვისაგან“ უნდა იყოს წარმოქმნილი. ს. ბედუკაძე მსგავს შემთხვევად ასახელებს კირის დამზადების პროცესს, რადგან ხალხში გავრცელებული ტერმინი „საკირის გაინგლისება“ საკირის თადის ჭიქურის მსგავსი ქვის ნაღვენთებით დაფარვას ეწოდება. ეთნოგრაფიული კვლევების შედეგად ირკვევა, რომ მეჭურჭლეები რამოდენიმე შედგენილობის ჭიქურს იყენებდნენ. პირველი სახის კაზმი მარტივი იყო და ადგილობრივ საბადოებში იოლად მოსაპოვებელი კვარციანი ქვიშის ტყვიასთან შერევით მიიღებოდა. მეორე სახის კაზმი კი ტყვიისა, კალისა, ჭიქისა და თაგემარილასაგან შედგებოდა და მისგან მოთეთრო კრიალა ჭიქურს ამზადებდნენ. თეთრი ჭიქურის კაზმი აგრეთვე ძირითადი მასალა იყო მწვანე და მოშავო ჭიქურის მისაღებად. ჭიქურს შროშაში წამალს, საღებავს და „ინგლისაც“ უწოდებენ. შავი, თეთრი, ყავისფერი-მოწითალო, ყავისფერ-ბადრიჯნისფერი, მწვანე, ყვითელი. ჭიქურის შემადგენელი ნაწილებია ტყვია, კალა, სპილენძის ქანგი, შავი ქვა, თაგემარილა-თეთრი კაჟი, შუშა, ანუ „ბროლი“, ე. წ. კოტროულას ქვა. [ბედუკაძე 1957: 287; კაკაბაძე 1970: 108]. ჭურჭლის შესამკობად შროშაში ხშირად მიმართავდნენ შემკობის ე. წ. კომბინირებულს ხერხს. აქ ჭურჭლის მოტიქვა მისი შემკობის ერთ-ერთი საშუალებაა და ძირითადად სველ მოტიქვას მიმართავენ. მოსატიქავ ჭურჭელს ავლებენ ან ზემოდან გადაავლებენ ჭიქურის ხსნარს. სხვადასხვა ფერის ჭიქური ცალკეულ ჭურჭლებში-ისარნებში ისხმება. აღსანიშნავია, რომ ჭიქურში ამოვლებამდე ერთხელ გამომწვარ ჭურჭელს ხატავენ, აჭრელებენ თვითნაკეთი ფუნჯებით. ეს არის „ჭიქურშიგა მოხატულობა“, რომელიც დამახასიათებელია აღმოსავლეთის კერამიკისათვის და ტიპურია ეგვიპტის, ირანის, აზიის კერამიკული წარმოებისათვის (ე. კვერფელდტი). [კაკაბაძე 1974: 50]. თანამედროვე ხალხური ჭიქურის ძირითადი შემადგენელი მასალაც იგივე ტყვიის ნაცარი და კაჟოვანი მასალაა, რაც გვიჩვენებს ძველი ტრადიციების გავრცელებას თანამედროვე ხალხურ ჭიქურშიც. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჭურჭლის მოტიქვის ხელოვნება ფართოდ ყოფილა გავრცელებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა ამის ნათელი დადასტურებაცაა. ხალხური ტრადიციის მიხედვით ჭიქურის

კაზმის რაოდენობას მეჭიქურე ხელოსნები ლიტრობით საზღვრავენ, ხოლო მოჭიქული ჭურჭლეულის მოცულობის განმსაზღვრელ ერთეულად ხალხურ ხელოსნებს თუნგი აქვთ მიღებული. [ბედუკაძე 1957: 286, 287, 288; ჯაფარიძე 1956: 12].

მეთუნეობა არა მარტო საქართველოში, არამედ მესოპოტამიიდან ეგვიპტემდე დაფასებულ ხელობად ითვლებოდა. მიუხედავად იმ დიდი მიღწევებისა, რასაც ადგილი ჰქონდა VI–V საუკუნეების საბერძნეთში-ყველა ეს ნიმუში (იმ პერიოდის კერამიკა) მაინც გამოირჩევა გარკვეული ხარვეზებით-გამომწვარ თიხას უჩნდება ფორები, საიდანაც შეიძლება სითხემ გამოჟონოს. ამ პრობლემის აღმოფხვრა მოხერხდა მოჭიქვის საშუალებით. ამ ტექნოლოგიას მესოპოტამიაში მიაგნეს ძვ. წ. IX საუკუნეში. თავიდან კრამიტის დეკორატიული გაფორმების მიზნით. პრაქტიკული დანიშნულებით (ყოველდღიური გამოყენების მიზნით) იგი საუკუნეების შემდეგ გამოიყენეს. (ძვ. წ. I ს., სავარაუდოდ, პირველად მათი დამზადება დაიწყო ეგვიპტეში), ნიმუშის დამახასიათებელი ფერია-მწვანე (ჭიქური სპილენძის ბაზაზე მზადდებოდა). ასეთი ტიპის კერამიკა ცნობილია რომისათვის, გავრცელებული იყო ჩინეთშიც ხანის დიანსტიის დროს, მაგრამ ერთი და იგივე სტილის განვითარება ჩინეთსა და შუა აღმოსავლეთში მოხდა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. თუმცა მეცნიერები გარკვეული გაგლების მოხდენაზეც საუბრობენ, ვინაიდან რომი და ჩინეთი აბრეშუმის გზით იყვნენ დაკავშირებული.

ასეულობით წლებია წინ მუსლიმანურ ქვეყნებში ერთ-ერთ საუკეთესო კერამიკასა და თიხის ნაწარმს ამზადებდნენ. ათასწლეულის შემდეგ ევროპელების მიერ ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ეს ჭურჭელი კვალავ დაუბრუნა მსოფლიოს. XIV საუკუნის ბოლოს, ისტორიკოსი ალ-მაკრიზი ამბობდა, რომ „ქაიროში ყოველდღიურად, ნაგავსაყრელებზე, ათასობით დინარის ღირებულების ჭურჭლის ნამსხვრევები იყრება-წითელი გამომწვარი თიხის ქოთნები, გამყიდველები რომ რძეს აგროვებენ, ყველით მოვაჭრენი ყველს და ღარიბები თავიანთ ლუკმას შეექცევიან სურსათის მაღაზიებში“. აღმოსავლეთში, მეთუნეობის ცენტრები ერაყში, ბაღდადსა და სამარაში ვითარდებოდა. სამარაში, სადაც ახალი წელთაღრიცხვის 838-883 წლებში ხალიფების რეზიდენცია მდებარეობდა, გათხრებმა ცხადჰყო, რომ იქ მოჭიქულ ქოთნებს ხმარობდნენ, როგორც გრავირებულს, ისე დაბეჭდილი დეკორით. სულ კი მოხატულობის სამი ძირითადი ტიპი იყო ცნობილი. პირველი თეთრი ფერის, ლურჯი კობალტის ლაქებითა და ფსევდოკალიგრაფიული მოტივებით გაფორმებული ქოთნები, მეორე VII-VIII

საუკუნის ჩინეთის ტანგის დინასტიის თიხის ჭურჭლით შთაგონებული, ორი ტიპის ნაირფერი ხაზებით დეკორირებული, მესამე ტიპის ქოთნები კი განსაკუთრებული ჭიქურით იყო დაფარული, რაც მეტალურ მზნინვარებას ანიჭებდა მათ. ამ ქოთნებს ოსტატურად ამზადებდნენ თითქმის ისეთივე წესით, როგორც დღეს სამეთუნეო ბორბლის გამოყენებით, შემდეგ აშრობდნენ და გამოწვავდნენ. ისინი საკოლექციო ეგზემპლარებად, სილამაზისა და ხელოვნების ნიმუშებად იქცნენ, ვინაიდან მუსლიმანებმა წინამორბედ რომაელებთან შედარებით გააუმჯობესეს და ახალი ხერხებიც შეიმუშავეს თიხის ჭურჭლის ჭიქურით დაფარვის, გაფერადებისა და დეკორირებისათვის. პირველად სწორედ მათ შექნეს ტყვიის ჭიქურით რელიეფური მოხატულობა. რომაელებმა ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებში, ეგვიპტის ჩათვლით, ძირითადად ხასხასა მწვანე ან ღია ყავისფერი ჭიქურით გაწყობილი წითელი კერამიკა გაავრცელეს. ტყვიის დამატებით, ადრინდელმა მუსლიმანებმა შესძლეს უფრო გლუვი, კაშკაშა ზედაპირის მიცემა ქოთნებისათვის და წყალგაუმტარი გახადეს ისინი, ასე რომ მათ შეეძლოთ სითხის დაკავება. ამის შემდეგ აბასიდების მეთუნეებმა, რომლებიც ძვირფასი ჩინური ფაიფურის შესაბამის წმინდა თეთრი ფაიფურის მიღებას ცდილობდნენ, ტყვიის ჭიქურს კალის ოქსიდი დაუმატეს. ერაყული და ჩინური ნედლეული ერთმანეთისაგან ძირეულად განსხვავდებოდა, ამიტომ მუსლიმანმა მეთუნეებმა კალის ოქსიდის მცირე დანამატი იხმარეს. შედეგად მიიღეს გაუმჭვირვალე, წმინდა თეთრი ზედაპირი. ამის შემდეგ კი შექმნეს „ლურჯი-თეთრი“ დეკორი, რომელიც მოგვიანებით ჩინეთში დაბრუნდა და იქაურ ფაიფურშიც გავრცელდა. „ლურჯი-თეთრი“ კერამიკა აბასიდების ეპოქის ოსტატების სიამაყის საგანი იყო და ისინი ხშირად აწერდნენ თავიანთ სახელს საკუთარ ნაწარმს. მოგვიანებით გაჩენილ მორთულობებს შორის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი კრიალა ჭიქური იყო. მუსლიმანები განსაკუთრებით იყვნენ მოწადინებული მის მიღებაში, ვინაიდან ცდილობდნენ ყურანში აღწერილი სამოთხის ოქროსა და ვერცხლის ჭურჭლის იმიტირებას. VIII საუკუნეში ერაყელმა მეთუნეებმა საუდუმლოებით მოცული პროცესი შეიმუშავეს, რომელსაც მოჭიქვა ეწოდებოდა. მას აღწერდნენ, როგორც „არაჩვეულებრივ მეტალურ ბზინვარებას, რომელიც თავისი შთამბეჭდაობით ძვირფას მეტალებსაც აჭარბებდა და თიხის საგნებს ოქროდ აქცევდა“- ტექნოლოგია მოიცავდა ვერცხლის და სპილენძის ოქსიდების შერევას, მაგალითად უანგმიწასთან, ხოლო გამსხნელად ძმარს ან ყურძნის წვენს უმატებდნენ. ერაყელმა მეთუნეებმა VIII საუკუნეში აღმოაჩინეს, რომ თუ თიხის მოჭიქული ზედაპირის მოხატულობას ამ ნარევით დაფარავდნენ,

სველ ქოთანს გასაშრობად კოლნში შედგამდნენ, მაგრამ ხელმეორედ არ გამოწვავენ ზედაპირზე მეტალის თხელი ფენა რჩებოდა და ნაცრისა და მტვრისგან გაწმენდის შემდეგ საოცარ ნაირფერ ბზინვარებას ღებულობდა. აქ სინამდვილეში ხდებოდა სპილენძისა და ვერცხლის ოქსიდების დაშლა, რის შედეგადაც, მოკალუელი ჭურჭლის ზედაპირზე მეტალის თხელი ფენა აპირჩებოდა. ვერცხლი მოყვითალო ან ოქროსფერ შეფერილობას ტოვებდა, სპილენძი შედარებით მუქ, მოწითალო ღალისფერს. შესაძლებელი გახდა მონოქრომული და პოლიქრომული, ასეულობით სხვადასხვა ელფერის, ოქროს, მწვანე, ყავისფერი, ყვითელი და თეთრი ბზინვარების მიღება. ეს ტექნოლოგია ბაღდადიდან მთელ მუსლიმანურ სამყაროს მოედო. X საუკუნეში მან ესპანეთსაც მიაღწია. კორდოვას მახლობლად განლაგებულ ხალიფატის ქალაქ მადინა ალ-ზაჰრაში აღმოჩენილია თიხის ნაწარმის უზარმაზარი რაოდენობა, რომელთა ზედაპირის დასაფარავად სპილენძის მწვანეს იყენებდნენ, ფერადი ხაზებისათვის კი მანგანუმის ყავისფერს. რამოდენიმე საუკუნის შემდეგ ალ-ანდალუსიაში უკვე წარმოების საკუთარი ცენტრები ჰქონდათ, მაგალითად მალაგაში, სადაც მოჭიქული ოქროს სინებსა და „ალჰამბრას ღარნაკის“ მსგავს დიდ დოქებს ამზადებდნენ. ესპანელმა მუსლიმანებმა XII საუკუნის დასაწყისში ბიზანტიური მოზაიკა თანდათან შეცვალეს კაფელით, ანუ როგორც მას უწოდებდნენ azulejos. ამზადებდნენ ღამაზ ლურჯ და თეთრ კაფელს, რომელიც დაფარული იყო გეომეტრიული, მცენარეული და კალიგრაფიული ნიმუშებით. ცნობილია, რომ კობალტის ოქსიდის ეს ლურჯი ჭიქური მალაგაში, რომლითაც დეკორირებულია azulejos მალაგას აღმოსავლეთიდანაა, საიდანაც მან მიაღწია მურსიას, მოგვიანებით კი, XIV საუკუნის დასაწყისში ქრისტიანულ ესპანეთსა და ვალენსიას, ბოლოს კი ბარსელონაში დამკვიდრდა. მუსლიმანური სამეთუნეო ნაწარმი ესპანეთის გარეთ გადიოდა, მალაგასური ქოთნები ინგლისშია ნაპოვნი; ბრიტანეთში XIII-XIV საუკუნეებით დათარიღებული მადრიბული ჭიქურის ორმოცდაოთხი და XV საუკუნით დათარიღებული ოცდაორი ნიმუშია ნაპოვნი. 1990-იან წლებში, კენტერბერის ცენტრში, ლონგმარკეტში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად დიდი რაოდენობით ისლამური ჭიქური და თურქული ლურჯი თიხა იქნა აღმოჩენილი. ნიგელ მაკფერსონ-გრანტი, რომელიც კენტერბერის გათხრებზე მუშაობდა, მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ ხდებოდა აღმოსავლური ნაწარმი ინგლისში: „შესაძლოა, ეს თიხის ჭურჭელი ინგლისში წმინდა მიწიდან დაბრუნებული ჯვაროსნების ავლადიდებასთან ერთად მოხვედრილიყო..... შუა

საუკუნეების მომლოცველებს, რომლებიც წმინდა მიწიდან, ან ესპანეთიდან, კომპოსტელას წმ. იოანეს სახელგანთქმული სალოცავიდან ბრუნდებოდნენ, აგრეთვე შეეძლოთ სუვენირის სახით წამოეღოთ რომელიმე ისლამური ქოთანი”. ლონდონში, ბლოსომს ინის უბანში ნაპოვნ XV საუკუნის მოჭიქულ ლანგარზე გამოხატულია სიცოცხლის ხე კუფური წარწერით. ასეთი ჭურჭელი იმ ხანად პოპულარული იყო ანდალუზიასა და ჩრდილო აფრიკაში და მათ ევროპაში ყველგან იმეორებდნენ. ამ ლანგარის მოხვედრა ინგლისში დოკუმენტირებულია 1303 წელს ნიუ კასთომის საბაჟოს სააღრიცხვო წიგნებში, სადაც აღირიცხებოდა უცხოელების მიერ კენტის საგრაფოს სენდვიჩის პორტიდან იმპორტირებული და ექსპორტირებული საქონელი. ჩინელ მეთუნეებთან ერთად არაბული სამყაროს მეთუნეებმა ხმელთაშუაზღვისპირეთში ცნობილი კერამიკის ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი და მომხიბვლელი ნიმუშები შექმნეს.

§2. ტექნოლოგიური პროცესები

მოჭიქული ჭურჭლის წარმოების ისტორიაზე საუბრის დროს ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული კერამიკული წარმოების ისეთ მნიშვნელოვან პროცესზე, როგორცაა ჭურჭლის გამოწვა, რამდენადაც არქეოლოგიური აღმოჩენები ამის შესაძლებლობას გვაძლევს. მოჭიქული ჭურჭლის რაოდენობა და ხარისხი იმაზეა დამოკიდებული თუ რა საწარმო ცენტრიდან მომდინარეობს იგი. რაც უფრო მნიშვნელოვანია ქალაქი, მით უფრო უკეთეს და მეტ ჭურჭელს ამზადებენ მისი კერამიკული სახელოსნოები, რომლის ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილს (მის ელემენტს) ქურა წარმოადგენს, სადაც წარმოებდა პროდუქციის გამოწვა. თუ მოუჭიქავი თიხის ნაწარმისათვის საჭიროა დიდი ზომის ქურები, მოჭიქული ჭურჭლის გამოწვა, ძირითადად, მცირე ზომის ქურებში წარმოებს. მისი არსებობა დადასტურებულია თბილისში, დმანისში, ორენ-ყალაში, სამარყანდში, მერვში და ა. შ. მ. მიწიშვილის აზრით ქურები IX საუკუნეში ჩნდება. [მიწიშვილი 1998: 24, 52]. ქურებისა და მასთან ერთად წარმოებისათვის საჭირო ხელსაწყოების აღმოჩენა, თავის მხრივ ხელს უწყობს კერამიკული წარმოების ტექნიკის ზოგიერთი საკითხის გარკვევას. ხელოსნობასთან, კერძოდ, სამეთუნეო წარმოებასთან დაკავშირებულ მეტად საყურადღებო ნივთებს შეადგენს თიხის სოლებისა და 'S'-ის მაგვარი კავების აღმოჩენაც. თბილისის კერამიკულ სახელოსნოში აღმოჩენილი ქურების საცეცხლე, როგორც ვ. ჯაფარიძე აღწერს მიწაში იდგა და ისრული თაღი ჰქონდა გადავლებული. ქურები ორი ნაწილისაგან შედგებოდა: ქვედა ნაწილისაგან და

ზედა ნაწილისაგან, რომელიც მრგვალი იყო. მეცნიერის ვარაუდით, გადახურვა თაღისებრი იყო. თიხის სოლები ქურების ზედა ნაწილში, კედელში აღმოჩნდა დატანებული, ხოლო ერთ-ერთ კავზე შერჩენილი მიღუღებული მოჭიქული ჭურჭლის ნატეხი ცხადყოფს, რომ ასეთი კავებით მეჭურჭლენი ქურის კედელში დატანებულ თიხის სოლებზე ჩამოკიდებდნენ გამოსაწვავ ყურიან ჭურჭელს. ქურებთან ერთად აღმოჩნდა პატარა სამფეხი, ანუ ზედადგარი, რომელიც ჭურჭელს იცავდა ერთმანეთზე მიღუღებისა და შეწებებისაგან. ქურებს აღმოაჩნდათ კედლებში დატანებული ხვრელები-სარკმლები და როგორც ვ. ჯაფარიძე მიუთითებს, მათ მეჭურჭლე იყენებდა გამოწვის პროცესის დასაკვირვებლად. გარდა ზემოთ დასახელებული კერამიკული წარმოებისათვის დამახასიათებელი საგნებისა, აღმოჩნდა სხვა საგნები დაკავშირებული მეჭურჭლეობასთან: ბრტყელი ფილაქნები-რომლებიც შესაძლებელია მაგიდად ყოფილიყო გამოყენებული, კვარცისა და მინდვრის შპატის (თაგემარილა) კენჭები და ნატეხები და თეთრი ფხვნილი, რომელსაც როგორც ფიქრობენ ჭიქურის დასამზადებლად იყენებდნენ, ხელსაფქვავეები, ქვის ფილი, სასწორი და სხვ. [ჯაფარიძე 1956: 13-14]

ეთნოგრაფიულ ყოფაში ყოველგვარი სახის ქურების აღნაგობა და მათი ცალკეული ნაწილების სახელწოდება აღწერილი აქვს ლ. ბოჭორიშვილს. ქაშანური ჭურჭლის ქურა სიმრგვალითა და ორსართულიანობით ხასიათდება, რომელიც თავშეკრულ ქურად ითვლება და ცეცხლის ამოსასვლელი თაღიც მას სხვაგვარად უკეთდება. როგორც ავტორი აღწერს მოჭიქული ჭურჭლის ქურაც ნახევარზე მეტად მიწაშია ჩამჯდარი და მიწის ზემოთ წამოსული კედლების ირგვლივ ქვა-მიწის კედელი აქვს შემორტყმული. თაღის ქვემოთ მოქცეულ, ცეცხლის დასანთებად განკუთვნილ ადგილს დაბლა ქურას უწოდებენ, ხოლო თაღს ზემოთ აშენებულ სართულს კი მაღლა ქურას ანუ ჭურჭლის საწყობ ქურას. მოჭიქულ ჭურჭელს, პირველი გამოწვისა და მეორე გამოწვის დროსაც ქურაში ერთნაირი წესით ალაგებდნენ. მაღლა ქურის კედლის მთელი ფართობი თახჩასავით გამოკვეთილი ნაჩვრეტებით ანუ სასოლეებით არის მოფენილი. სოლი თიხისაგან გაკეთებულს, ორჯერ გამომწვარ და კარგად გამოწრთობილ ოთხკუთხა ფირფიტას ეწოდება. თითოეულ სასოლეში, ორი სოლი მაგრდება და ჭურჭელიც ორივე სოლზე ეწყობა. ჯამის გამოწვის დროს გამოიყენება ჯამის ზედადგარი, რომელიც სამფეხიანია. მას თიხისაგან აკეთებენ და წინასწარ გამოწვავენ. ზედადგარის წყალობით ჯამებს შორის ღია ადგილები რჩებოდა და ქვევიდან ამოსული ცეცხლის ალი ჯამის ძირებს მარჯვედ ხვდებოდა. [ბოჭორიშვილი 1949: 45, 106-107].

ჭიქურის მომზადებისათვის სპეციალური ხელის ქვა და წამლის წისკილი გამოიყენებოდა. ამ უკანასკნელს მეჭურჭლენი ბოლო დროს შემოღებულად თვლიან. [ბედუკაძე 1957: 290, 294) ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქურების აღწერილობის მიხედვით ნათლად ჩანს, რომ იქ, სადაც მისდევენ მეჭურჭლეობას დღესაც არის შემორჩენილი კერამიკული წარმოებისათვის დამახასიათებელი ხელსაწყოები თუ საგნები.

§3. სახელოსნოები და საწარმოო ცენტრები

კერამიკული წარმოების თავისებურებების დასადგენად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსხვილი და საწარმო ცენტრების არქეოლოგიური შესწავლის შედეგები. ერთ-ერთ ასეთ ცენტრად საქართველოში მ. მიწიშვილი თბილისის კერამიკულ სახელოსნოს ასახელებს. 1948-1949 წლებში თბილისის ისტორიულ-არქეოლოგიურად შემსწავლელმა ჯგუფმა ო. ჯაფარიძისა და გ. ლომთათიძის ხელმძღვანელობით გათხრები აწარმოა სამასი არაგველის სახ. ბაღის ტერიტორიაზე, ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ზღუდესთან. განათხარი ნაგებობა წარმოადგენდა ზღუდის კედელზე მიშენებულ სამეთუნეო სახელოსნოს, სადაც აღმოჩნდა კერამიკის გამოსაწვავი 7 ქურა. აქ მოპოვებული მასალის უდიდეს ნაწილს მოჭიქული კერამიკა შეადგენს. ამასთანავე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელოსნოსთვის, საჭირო ხელსაწყოები და ნედლეული, ქურის მოწყობილობის ნაწილები, სოლები, კაკვები, სამფეხა სადგარები, ხელსაფქვაავი-საჭიქურე მასალის დასაფხენელი, ფილა ქვიშაქვისა-ნედლი თიხის მოსაზედი, როდინი-ჭიქურისათვის საჭირო მასალის დასანაყი და სხვ. მ. მიწიშვილმა აქ აღმოჩენილ მოჭიქულ კერამიკას საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა (მოჭიქული კერამიკის საწარმო შუა საუკუნეების თბილისში (XI-XIII სს.). კერამიკის შესასწავლად ავტორის მიერ გამოყენებულია აღმოსავლეთ საქართველოში მოჭიქული ჭურჭლისათვის შემუშავებული კლასიფიკაცია, რომელშიც გათვალისწინებულია ჭურჭლის დამზადების ტექნიკა, კეცი, ჭიქური, ფორმა, ორნამენტის გამოყვანის ხერხი, ორნამენტული სახეები და შესაბამისად გამოყო სხვადასხვა ქრონოლოგიური ჯგუფები (IX-X, XI-XII, XII-XIII ს. დასაწყისი). მეთუნეთა უბანში აღმოჩენილი ფულის მიმოქცევის ქრონოლოგიური საზღვრის, საწარმოს არსებობისა და იქ აღმოჩენილი მოჭიქული კერამიკის თარიღის დამთხვევის საფუძველზე კერამიკული სახელოსნოს არსებობის დროდ IX-XIII საუკუნის დასაწყისია მიჩნეული. [მიწიშვილი 1998: 25-26; მიწიშვილი 1979: 16-17]. აღნიშნულ საკითხთან

დაკავშირებით განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამს ვ. ჯაფარიძე, რომელიც ხელოსნობის, კერძოდ, კერამიკული წარმოების კერების არსებობას საქართველოში და (არა მარტო საქართველოში) მონღოლების ბატონობის პერიოდშიც მიუთითებს. ვ. ჯაფარიძე თბილისის კერამიკული სახელოსნოს მთელ ტერიტორიაზე მიმოფანტულ უამრავ კერამიკას და კერძოდ, კი მოჭიქული ერთფეროვანი და მრავალფეროვანი კერამიკის არსებობას XIV საუკუნით ათარიღებს, ხოლო სპეციალისტების მიერ XII–XIII საუკუნეებით დათარიღებულ მოჭიქულ კერამიკასთან იდენტობას ის ხსნის XIV საუკუნის მოჭიქული კერამიკის ყველა იმ დამახასიათებელი ნიშნების შენარჩუნებით, რომელიც მას გააჩნდა XII საუკუნისა და XIII საუკუნის პირველ ნახევარში მონღოლების შემოსევამდე. ყოველივე აქედან გამომდინარე, შუა საუკუნეების ქართული კერამიკული წარმოება XIII საუკუნის მეორე ნახევარში არა თუ ისპობა, იგი წარმატებით განაგრძობს მუშაობას XIII საუკუნესა და XIV საუკუნეშიც, სანამ მას ბოლო არ მოუღო თემურ ლენგის მძიმე შემოსევებმა. ვ. ჯაფარიძე აქვე აღნიშნავს, რომ აზერბაიჯანელი სპეციალისტები შუა საუკუნეების აზერბაიჯანული მოჭიქული კერამიკის ზედა საზღვრად მიიჩნევენ XIV საუკუნეს და XV საუკუნესაც კი, მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანშიც მონღოლების მიერ იყო დაპყრობილი ამავე პერიოდში. [ჯაფარიძე 1998: 56]. გარდა დიდი სახელოსნოებისა, არსებობდა მცირე სახელოსნოებიც, ერთ-ერთი მათგანი განლაგებული იყო ქალაქის ცენტრში (ერეკლე II მოედანი), სადაც გათხრების დროს (1956-57 წწ.) აღმოჩნდა მოჭიქული ჭურჭლის ქურა-სახელოსნოები და ხელოსანთა სახლები. [მიწიშვილი 1975: 63]. მეტუნე იქვე ცხოვრობდა, აწარმოებდა პროდუქციას და მისი რეალიზაციაც იქვე ხდებოდა. ანალოგიური სახელოსნოები აღწერილია ბიზანტიური ხანის პაპირუსებში, სადაც დაცულია ცნობები ეგვიპტური სახელოსნოებისა და ხელოსნების შესახებ. ნათვამია, რომ მცირე ზომის კერძო სახელოსნოები გათვალისწინებული იყო ერთ ხელოსანზე, მისი ოჯახის წევრებზე. იგივე ვითარება დამოწმებულია ეთნოგრაფიულ სინამდვილეში და „დოკუმენტებში თბილისის ისტორიისათვის“, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ყველა ქვეყანაში უძველესი ხანიდან დაწყებული ტრადიციები გადაეცემოდა ხელოსანთა თაობებს. ხელოსნები დაინტერესებული იყვნენ მიეღოთ შეკვეთები და გაეყიდათ ნაწარმი, ამიტომ ისწრაფოდნენ სახელოსნოები მოეთავსებინათ ხალმრავალ ადგილზე, სავაჭრო მოედანზე. მცირე მასშტაბის სახელოსნოების არსებობა საგულისხმოა თბილისის დედაციხეზეც. აქ წარმოებული არქეოლოგიური გათხრების (1966-1969 წწ.) შედეგად აღმოჩენილ კერამიკაში ძირითად გამოიყო შუა

და გვიანფეოდალური ხანის მოჭიქული კერამიკა. მცირე რაოდენობით ადრეფეოდალური ხანის ნიმუშებიც. [მიწიშვილი 1998: 44-45; მიწიშვილი 1974: 189]. კერამიკული სახელოსნო აგრეთვე შესაძლებელია ყოფილიყო მონასტრებთან. მ. მიწიშვილის აზრით, გუდარეხში მოპოვებული მასალის მიხედვით, მონასტერს თავისი მეურნეობა ჰქონდა, სადაც, ალბათ კერამიკულ საწარმოც შედიოდა. მის თავისებურებას ის წარმოადგენდა, რომ ამ სახელოსნოს პროდუქციაზე ამოსახული იყო ნიშნები, რომლებიც არ იკითხება. თუ გავითვალისწინებთ, იმ გარემოებას, რომ ქართველ ხელოსანთათვის არ იყო მიღებული ნამუშევარზე საკუთარი სახელისა ან დამლის გამოსახვა, სავარუდებელია, რომ გუდარეხი საწარმო გამონაკლისს წარმოადგენდა, რაც შესაძლებელია სამონასტრო მეურნეობის თავისებურებით (სპეციფიკით) აიხსნას. 1950 წელს ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გუდარეხის გალავნის შიგნით აღმოჩენილ იქნა სათუნე ქურის სოლი-ისეთივე როგორიც იყო ნაპოვნი წინა წელს თბილისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, სათუნე საწარმოს ნაშთების თხრისას, შიგ ქურებშიც. [მიწიშვილი 1998: 51; ლომთათიძე 1969: 7]. არანაკლებ მნიშვნელოვანია კვეტერის სასახლესთან არსებული კერამიკული საწარმო, სადაც ძალზე თავისებურ პროდუქციას აწარმოებდნენ. მათ შორის წარმოდგენილია მრავალფერად მოჭიქული, მრავალფერად მოხატული, ღვიძლისფერი საღებავებით მოხატული, ერთფერად მოჭიქული და ადრეული მოჭიქული კერამიკის ნიმუშები. კვეტერის მოჭიქული კერამიკა მ. მიწიშვილის აზრით, სხვა ძეგლებზე აღმოჩენილებისაგან სრულიად განსხვავდება-ყოველ ორნამენტში ხელოსანს შეაქვს კორექტივი, რის გამოც, ყოველი მათგანი თავისებურ სახეს იღებს, ეს კი მიუთითებს აქაურ ხელოსანთა დამოუკიდებელ მოქმედებაზე და საკუთარი ხელწერის არსებობაზე. თუ ამ გარემოებას დაემატება ისიც, რომ იქ ნახევრად ნამზადი, წუნი და აგერთვე წარმოებასთან დაკავშირებული საგნები, კერძოდ, სოლებია აღმოჩენილი, შეიძლება დავუშვათ, რომ კვეტერის სასახლესთან არსებობდა კერამიკული სახელოსნო, სადაც აწარმოებდნენ თავისებურ მოჭიქულ კერამიკას. [მიწიშვილი 1998: 51-52]. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პროფ. დ. მინდორაშვილი აღნიშნავს, რომ აქ აღმოჩენილი თიხის სოლები, მრგვალგანივკვეთიანია, დამზადებულია მსხვილმინარევიანი თიხისაგან. ზოგიერთ სოლზე შემორჩენილია მწვანე და სოსნისფერი ჭიქურის კვალი. ისინი მაგრდებოდა სამეთუნეო ქურის კედლებში, თანაბარი მანძილით დაშორებულ ფოსოებში. მათზე ლაგდებოდა გამოსაწვავი ჭურჭელი. ზოგჯერ სოლებზე მაგრდებოდა S-ის მაგვარი თიხის „კაკვები“,

რომლებზეც კიდებდნენ მოჭიქულ ჭურჭელს. როგორც დ. მინდორაშვილი მიუთითებს სამეთუნეო წარმოებასთან დაკავშირებული განვითარებული შუა საუკუნეების თიხის სოლები აღმოჩენილია: თბილისის კერამიკულ სახელოსნოში, ერეკლე II-ის მოედანზე, გუდარეხში, უინვალში, თელავში. თიხის სოლები ცნობილია სომხეთისა და აზერბაიჯანის შუასაუკუნეების ძეგლებიდან. დ. მინდორაშვილის დასკვნით, გათხრებისას საკუთრივ სამეთუნეო სახელოსნო არ აღმოჩენილა, მაგრამ კვეტერაში სოლების, მათ შორის ჭიქურიანი ცალების გამოვლენის ფაქტი, შუასაუკუნეებში იქ სადა და მოჭიქული კერამიკის წარმოებაზე მიუთითებს. **[მინდორაშვილი 2007: 100]**. კერამიკულ სახელოსნოთა არსებობას აღნიშნავენ დავითგარეჯში, გამოქვაბულ კომპლექსში-ვანის ქვაბები, რომლის ცენტრია წმ. გიორგის სახელობის გუმბათოვანი ტაძარი მოჩუქურთმებული ქვიტირის კარიბჭით და ორსართულიანი სამარხი ეგვტერით. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ 1995 წელს იატაკის გამოცვლის დროს ბოდბის ტაძრის საკურთხეველის აფსიდში აღმოჩნდა IX საუკუნის მოჭიქული თასი, რომელიც კარგადაა შემონახული და მოჭიქული ჭურჭლის წარმოების ადრეულ ეტაპს მიეკუთვნება. იგი ტაძრის დათარიღებისათვისაც გარკვეულ ორიენტირს წარმოადგენს. 2001 წელს ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით ნაპოვნი იქნა XI-XIII საუკუნეების კერამიკული ნიმუშები და გამოსაწვავი ქურა, რაც აქ, როგორც მეცნიერები ვარაუდობენ კერამიკული სახელოსნოს არსებობაზე მიუთითებს. როგორც ჩანს, კერამიკულ წარმოებას ბოდბეში მოგვიანებითაც არ შეუწყვეტია არსებობა. **[ჩაჩხუნაშვილი 2006: 59]**. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ განოსის სამონასტრო ცენტრში (ანატოლია), რომელიც მდებარეობს მარმარილოს ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროს შიგნით, არქეოლოგიური კვლევა-ძიება დაიწყო 1993 წელს და იქ გამოვლენილი იქნა კერამიკული სახელოსნოთა ნაშთები (ქურები და სხვ). აღმოჩენილ მასალას შორის გამოიყო XI საუკუნის ბოლოსა და XII საუკუნის დასაწყისისა და შემდგომი ხანის (XIII, XVI-XVIII, XIX ს.ს.) მოჭიქული კერამიკა. აღნიშნავენ, რომ სამონასტრო ცენტრი მოჭიქულ კერამიკას თავის მოხმარებისათვის ამზადებდა და არა გასაყიდად. ზემოთ მოტანილი მონაცემები ცხადყოფს, რომ შუა საუკუნეებში სამონასტრო მეურნეობის ერთ-ერთ სახეს მეთუნეთა სახელოსნოები წარმოადგენდა. **[მიწიშვილი 1998: 52]**. არქეოლოგიური გათხრების შედეგად კერამიკული სახელოსნოს ნაშთების არსებობა დასტურდება დმანისშიც. აქ აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი ნივთიერი მასალის გარდა, კერძოდ, კერამიკული, სოლები, კაუჭების ნატეხები, ნახევარფაბრიკატები, სამფეხები,

წარმოების წუნი და სხვ. პირველად აღმოჩნდა ჭურჭლის გამოსაწვაში სამი ქურის ნაშთი, რომლის მსგავსი ქურის ქვედა ნაწილი (საცეცხლე), როგორც ვ. ჯაფარიძე მიუთითებს აღმოჩენილია თბილისში, 1948-49 წლების არქეოლოგიური გათხრების დროს. კერამიკა, რომელიც ქურის დონესა და თვით ქურაში აღმოჩნდა მეცნიერების აზრით, შუასაუკუნეების ტიპური კერამიკაა, თავისი ასორტიმენტით, ფორმებით, შემკულობის ტექნიკით, საღებავებით. ამრიგად, ზემოხსენებული ფაქტებიდან გამომდინარე არქეოლოგები დმანისის კერამიკულ სახელოსნოს XII საუკუნეზე ადრინდელ ძეგლად არ ათარიღებენ. ნიშანდობლივია ის, ფაქტიც, რომ დმანისში ფაიანსის ჭურჭლის წარმოებაზე მიუთითებს კერამიკული სახელოსნოს გვერდით კერამიკული სოლის აღმოჩენა, რომელზეც მიღებული იყო ფაიანსის ნატეხები. [ჯაფარიძე: 1969: 69-70, 72]. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამავე პერიოდის ანალოგიური ნივთიერი მასალა, კერძოდ, სამფეხები ნაპოვნია დვინის არქეოლოგიური გათხრების დროს.

მეთუნეთა სახელოსნოს ნაშთები (ქურათა ნაწილებითურთ) მიკვლეულ იქნა თელავში, „ძველი გაღავის“ სამეფო ციხე-დარბაზის სამხრეთით გათხრების დროს. როგორც არქეოლოგები აღნიშნავენ, უტყუარი ნიშანი იმისა, რომ ქალაქის ამ უბანში მცხოვრებთა საქმიანობის ერთ-ერთ დარგს წარმოადგენდა თიხის ჭურჭლის კეთება, არის შუასაუკუნეთა დამახასიათებელი სათუნე ქურის სოლთა ნატეხები, მოჭიქული და მოუჭიქავ ჯამთა ნახევარფაბრიკატები და წუნიც კი. გ. ლომთათიძე ადარებს რა თბილისში შუაფეოდალური ხანის ქურებს თანამედროვე კახურ ქურებს, აღნიშნავს მათ განსხვავებას მოყვანილობის მიხედვით „კახურ ქურაში სოლები ბრტყელფირფიტოვანია, ჩვენს სოლებს კი მრგვალი და ზოგჯერ ოვალური განივკვეთი აქვთ“. ც. ჩიკოიძე აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტავს, რომ თელავში აღმოჩენილი სოლები ისეთივეა, როგორც თბილისში განათხარისა ე. ი. მრგვალი და ბოლოწაწვეტილი და არა დღევანდელელებით ბრტყელი. ავტორის დასკვნით, ჩანს, რომ ფეოდალური ხანის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქურათა აღნაგობა თუ არა სოლების მოყვანილობა მაინც ერთნაირი ყოფილა და მოგვიანებით კი თანდათან შეცვლილა. [ჩიკოიძე 1969: 38-39].

კერამიკული წარმოების ფართოდ განვითარებაზე ჯავახეთის ახალქალაქში მიუთითებს ე. წ. ხელოსანთა უბანში (ზეგნის ფართობზე) გათხრილ ნასახლარებში მოპოვებული არქეოლოგიური ნივთიერი მასალა, (კერძოდ, ზოგიერთი სახეობა მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკული ნაწარმისა). მეცნიერების

ვარაუდით, მასალა იმხანად საქართველო-კავკასიის სხვა მხარეებშიც წარმოებულსა და გავრცელებულ ფორმებს შეიცავს და ზოგადად IX ს. და X ს. პირველი ნახევრით თარიღდება. ისინი ადგილობრივ უნდა იყოს ნაკეთები, თიხა თითქმის ყველას მონაცისფრო-მოყავისფრო და მინარევებიანი აქვს და ეს კი სწორედ იმ ადგილებისათვის არის დამახასიათებელი. შუაფეოდალურ ხანაშიც ჩანს ხელოსნური წარმოების განვითარება, რომელსაც მისდევდნენ ადგილობრივი მეთუნეები. ამაზე კი მიუთითებს კერამიკული წუნისა და ნახევარფაბრიკატების არსებობა. ახალქალაქური ერთფერტიქურიანი ჭურჭლის ადგილობრივ წარმოებაზე მიუთითებს რამდენიმე წუნდებული ნიმუში და აგრეთვე თავისებური ნახელავითიხის დამუშავებისა და ჭურჭლის შემკობის მიხედვით. ამ უკანასკნელის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ზოგჯერ უთანაბროდ გადავლებული ტიქური, ზოგჯერ კი ორნამენტის ბოლომდე გამოსახვაში ერთგვარი გაუბედაობაც. რაც შეეხება მრავალფერად მოხატულ და გამჭვირვალე მოტიქულ ჯამთა უმეტესობას, არქეოლოგთა ვარაუდით ისინი ზოგადად შეიძლება მიეკუთვნოს შუაფეოდალური ხანის საქართველოს მოტიქული კერამიკის წარმოებისათვის დამახასიათებელ კარგად ცნობილ ჯგუფებს. „ახალქალაქური“ მრავალფერადი ჯამები, მიუხედავად იმისა, რომ ემსგავსებიან სხვა ნაქალაქარებიდან მომდინარე ნიმუშებს, მაინც ერთგვარი დამოუკიდებლობა ახასიათებთ შესრულების ხერხების მხრივ. ე. ჯანდიერის განმარტებით ყოველივე ეს ნათლად ჩანს გამოსახვის საღებავების ულაზათოდ და არათანაბრად დატანაში ან პირიქით, საღებავთა ჭარბად წასმაში. კერამიკული წარმოების ადგილობრიობას მიუთითებს, აგრეთვე წუნი-გადამწვარდაბრეცილი ნატეხები და ე. წ. ნახევარფაბრიკატული ნატეხები. როგორც ავტორი აღნიშნავს ახალქალაქური მოტიქული ჭურჭლის ყველა სახეობა-ტიპოლოგიურად, თიხის დამუშავებისა და მოხატვა-შემკულობის ხერხების მხრივ-თავისებურების მიხედვად თავსდება შუაფეოდალური ხანის საქართველოში მოტიქული კერამიკის წარმოებისათვის დამახასიათებელი ტექნოლოგიურ-მხატვრული ნორმების ფარგლებში. [ჯანდიერი 1969: 51, 63-64]. არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოტიქული ჭურჭლის გამოსაწვავი ვერტიკალური ტიპის ქურები გამოვლენილია უინვალის ნაქალაქარზე, რომელიც მნიშვნელოვან სახელოსნო ცენტრს წარმოადგენდა. უინვალის ნაქალაქარი და სამაროვანი მასალებითა და მონეტებით XI-XIV საუკუნეებით თარიღდება. [ჯორბენაძე, მარგველაშვილი, რჩეულიშვილი 1987: 55, 58]. მოტიქული ჭურჭლის გამოსაწვავი ქურების არსებობის შესაძლებლობა ვარაუდის დონეზე რჩება რუსთავის ნაქალაქარის გათხრების შედეგად. აქ

აღმოჩენილი ქურებიდან ც. ჩიკოიძე მიიჩნევს, რომ ისინი მცირე ხელოსნობასთან დაკავშირებული ქურებია, რომლებიც არქეოლოგიური მასალისა და იმ ნაგებობების მიხედვით, სადაც ისინი აღმოჩნდა XII-XIII სს. თარიღდება. მაგრამ ნიშანდობლივია, რომ თვითონ ავტორი რუსთაველი მოჭიქული კერამიკის დახასიათებისას ყურადღებას ამახვილებს დამზადების მაღალ ტექნიკაზე, ფერთა შესანიშნავ ჰარმონიაზე და ჭიქურის მაღალ ხარისხზე და თვლის რომ ადგილობრივი ნაწარმი არაფრით ჩამოუვარდება შემოტანილს, რუსთაველი ხელოსნების მიერ გამოყენებულია დამზადების ყველა ის ხერხი, რაც გაბატონებული იყო წინა აზიისა და მთელ აღმოსავლურ სამყაროში. ამასთანავე, როგორც ავტორი აღნიშნავს, რუსთაველი ჩანს უტყუარი ნიშნები ამქრული ორგანიზაციისა, ხელოსანთა დიფერენციისა, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა ისეთი მაღალმხატვრული ნაწარმის შექმნა, რაც ქალაქის მოსახლეობის ყოფაში იყო გავრცელებული. [ჩიკოიძე 2007: 7-8].

ადგილობრივ კერამიკულ წარმოებაზე მიუთითებს დ. მინდორაშვილი უფლისციხეში XII-XIII საუკუნეების პოლიქრომული კერამიკის ნახევარფაბრიკატების აღმოჩენის გამო [Миндорашвили Д.В. 1985: 41-42]

ერთმანეთისაგან განსხვავებული და თავისებური ნიშნების მატარებელია სოხუმის, ბაგრატის, ბათუმის ციხეებზე, ოჩამჩირეში, ციხისძირში, გონიოს და სხვა ძეგლებზე აღმოჩენილი მოჭიქული ჭურჭელი. მ. მიწიშვილის დასკვნით თითოეულ მათგანში სხვადასხვა საწარმოო ცენტრის პროდუქცია უნდა დაეინახოთ. მეთუნეები მრავალნაირი ფორმის ჭურჭელს ამზადებდნენ, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ჭიქურით, კეცით და ფორმით. დასავლეთ საქართველოს ჭურჭელს, სადაც გამოიყო სხვადასხვა დროის ადგილობრივი და იმპორტული მოჭიქული ჭურჭელი ავტორი ათარიღებს XI-XII, XIV, XV–XVII-XVIII სს-ით. აფხაზეთში, ბაგრატისა და სოხუმის ციხეებზე აღმოჩენილი მოჭიქული ჭურჭლის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მათ ნაწარმს საკუთარი, დამოუკიდებელი სახე ჰქონია. ეს გარემოება კი არქეოლოგებს აძლევს დასკვნის საშუალებას, რომ აღნიშნული ჭურჭელი ადგილობრივ ნაწარმად ჩაითვალოს. ეს კი თავისთავად გულისხმობს კერამიკული წარმოების, სახელოსნოები არსებობას. ამ ვარაუდს ხელს უწყობს სოხუმში ნახევრად ნამზადი მოჭიქული ჭურჭლის აღმოჩენაც. [მიწიშვილი 1976: 7, 30-31-32]. ვ. სიზოვი, რომელიც სოხუმში წარმოებული გათხრების შედეგად აღმოჩენილ მოჭიქულ ჭურჭელს ახასიათებს და ათარიღებს (XII-XIV სს.) მათ ქართულად მიიჩნევს, ხოლო ზოგიერთი ნიმუშის

წარმომავლობას აზუსტებს და მათ თბილისის კერამიკულ სახელოსნოს ნაწარმად თვლის. ხოლო სოსუმისა და ყირიმის მოჭიქულ ჭურჭელს შორის მსგავსება სიზოვს აგარაუდებინებს, რომ ისინი ყირიმის სანაპიროზე სოსუმიდან გავრცელდა. განსხვავებული მოსაზრება აქვს ა. ბაშკიროვს. ყირიმში აღმოჩენილი უამრავი მოჭიქული ჭურჭლისა და კერამიკული სახელოსნოს აღმოჩენის გამო სოსუმის ციხეზე აღმოჩენილი მოჭიქული ჭურჭელი მას ყირიმიდან შემოტანილად მიაჩნია. **[მიწიშვილი 1998: 140]**. კერამიკული სახელოსნოს ნაშთებია გამოვლენილი ოჩამჩირეში. კერძოდ, ანტიკური ხანის ნასახლარის თავდაპირველი შესწავლის დროს დაფიქსირებული იყო მთელი რიგი მონაცემები, რომლებიც ბორცვებზე ანტიკურის მომდევნო ხანის ცხოვრების ნაშთებზე მიუთითებდნენ-აღნიშნავს ვ. ჯაფარიძე. ის ყურადღებას ამახვილებს მ. ივაშჩენკოს გამოუქვეყნებელ ანგარიშსა და ბ. კუფტინის პუბლიკაციაზე, სადაც მ. ივაშჩენკო მიუთითებს, რომ ბორცვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში აგურით თიხაზე ნაშენი, შუა საუკუნეების გამოსაწვავი ქურა იყო გამოვლენილი. თიხის მიღებისაგან შედგენილი წყალსადენი და სამი გამოსაწვავი ქურა-ღუმელი ასევე უკავშირდება აღნიშნული დროის ნასახლარს. ამ საკმარის რთულ საინჟინრო მოწყობილობას კავშირი ჰქონდა ზემოთ აღნიშნულ ქურებთან. თვით ქურები, ორი მათგანი ბორცვის დამრეცი ნაწილის ჩადაბლებულ ნაწილში აუშენებიათ აგურებითა და თიხით. ერთი მათგანის ძირზე ნაპოვნი იყო ნახშირი და თეთრი და მწვანე ჭიქურით დაფარული ქვები. როგორც ავტორი აღნიშნავს, ბ. კუფტინის დაკვირვებას წყალსადენის სისტემასა და გამოსაწვავ ქურებზე პირველწყაროს მნიშვნელობა აქვს. ის მიუთითებს, რომ პორტის მშენებლობის ძირითად უბანზე გამოვლენილი ქურა თიხის ჭურჭლების გამოსაწვავს წარმოადგენდა. ანგარიშებში კერამიკულ ქურებთან დაკავშირებით აღნიშნული, რომ მათ ჰქონდათ აგური თაღოვანი ღიობი. ბ. კუფტინიც მიუთითებს ქურის ძირზე გამოვლენილ აგურებზე და მათზე დადასტურებულ ჭიქურის ნაღვენთებზე. რაც შეეხება წარმოების თარიღის საკითხს, მისი მასშტაბების, პროდუქციის გავრცელების გზებს ვ. ჯაფარიძის აზრით, ეს საკითხი დღემდე შეუსწავლელია. **[ჯაფარიძე 2006: 224, 226-227]**

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩანს, რომ ოჩამჩირეშიც არსებული კერამიკული წარმოება, სადაც მზადდებოდა ოჩამჩირელი ხელოსნის მიერ შედგენილი ორნამენტით შემკული (მრავალფერად) მოჭიქული ჯამები. არანაკლებ მნიშვნელოვანია გონიოს ციხეზე აღმოჩენილი მოჭიქული კერამიკა. როგორც მ.

მიწიშვილი აღნიშნავს, აქაური მოჭიქული ჭურჭელი იმეორებს მოუჭიქავ ჭურჭელთა ფორმებს, რაც მათ ადგილობრიობაზე მიუთითებს. **[მიწიშვილი 1976: 33].**

გვიანშუასაუკუნეებით დათარიღებულ ჭურჭლებთან ერთად თურქული პერიოდის ფენებსა და ორმოვებში, გონიოში აღმოჩენილი მოჭიქული ჭურჭლის შესახებ საუბრობს ნ. შუშანიძე თავის დისერტაციაში და მიუთითებს რომ მათ საწარმოო ცენტრად იზნიქი არის მიჩნეული. მასალის სიმრავლე, რამდენიმე წუნდებული ნიმუში, აღმოჩენილი ჭიქურგადავლებული ცხოველის ძვალი ნ. შუშანიძის ვარაუდით, შესაძლოა გამოდგეს არგუმენტად, რომ გონიოში უფრო ციხის გარეთ, არსებობდა საწარმო ცენტრი. **[შუშანიძე 2008: 67].** ბათუმის ციხეზე და ციხისძირში აღმოჩენილი მასალების საფუძველზე მ. მიწიშვილი არ გამორიცხავს იქ კერამიკული სახელოსნოების არსებობას. მიუხედავად იმისა, რომ ციხისძირში ზოგი შემოტანილია, ზოგი კი ადგილობრივი, ამ უკანასკნელთა შორის როგორც ავტორი მიუთითებს, აღსანიშნავია ჯამი, რომელზეც შერჩენილია წყვილი და სამსამი ხაზისაგან შედგენილი გეომეტრიული ორნამენტი, იგი გახალისებულია მწვანე და ყვითელი ლაქებით. მსგავსი ჯამთა ნატეხები აღმოჩენილია ბათუმის ციხეზე. ავტორის ვარაუდით ბათუმის ციხეზე არსებული საწარმო ამზადებდა მეტ შემთხვევაში ერთფრად მოჭიქულ ჭურჭელს, ხოლო ციხისძირისა მრავალფრად მოჭიქულებს, ორივე საწარმოს ჭურჭელი ერთი სტილითაა შესრულებული, აქედან გამომდინარე, მ. მიწიშვილი არ გამორიცხავს იქ საერთო ხელოსნობის არსებობას. **[მიწიშვილი 1976: 34].** ნ. შუშანიძე თავის დისერტაციაში ითვალისწინებს მ. მიწიშვილი ვარაუდს, დასავლეთ საქართველოში, შესაძლოა ციხისძირშიც საწარმოო ცენტრის არსებობის შესახებ, ციხისძირის მოჭიქული ჭურჭლის ზუსტი პარალელის, არ არსებობის გამო, მაგრამ ამასთანავე ასეთ დასკვნას პირობითად მიიჩნევს, რადგან ციხისძირში ჯერჯერობით არ აღმოჩენილა კერამიკული სახელოსნოებისათვის დამახასიათებელი ნიშნებიც კი. **[ნ. შუშანიძე 2008: 100].**

ხელოსნური ნაწარმი რომ ფართოდ მოხმარების საგანი იყო, ამის ნათელ სურათს წარმოადგენს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიებით მოპოვებული დიდძალი მოჭიქული ჭურჭელი.

შუა აზიის მოჭიქულ კერამიკას მეცნიერები მრავალი წლის განმავლობაში სწავლობდნენ. მას მიეძღვნა არა ერთი ნაშრომი და მონოგრაფია. დაისვა არა ერთი საკითხი: როდის ჩნდება შუა აზიაში მოჭიქული კერამიკა-არაბობამდე თუ მის შემდეგ, საიდან ჩნდება და რამ გამოიწვია მისი ერთდროული გავრცელება და სხვ.

IX საუკუნით ათარიღებს ს. ლუნიანა შუა აზიის დიდ და მნიშვნელოვანი სამეთუნეო ცენტრს-მერვს. მას IX საუკუნე მერვის სამეთუნეო საქმის გარდატეხის ხანად მიაჩნია. იქ ერთდოულად ფუნქციონირებდა სხვადასხვა ტიპის ქურები, რაც ხელოსანთა ძიების, კვლევის პროცესის გამომხატველია. ამავე დროს გრძელდება ძველი ტრადიციებიც, ზოგ შემთხვევაში კი ხდება მათი განვითარება ან უარყოფა და ახლი კონსტრუქციების შექმნაც. მკვლევარის აზრით, ქურების ახალი კონსტრუქციების შექმნა განპირობებული იყო ახალი სახის ჭურჭელზე, კერძოდ, კი მოჭიქულზე გაზრდილი მოთხოვნებით. **[მიწიშვილი 1998: 126]**. გათხრების შედეგად გამოვლინდა მერვის გზა, რომელიც აღმოსავლეთ კარიბჭედან დასავლეთ კარიბჭემდე დაფარული იყო კერამიკული სახელოსნოებით. სწორედ აქ აღმოჩნდა დიდი კერამიკული სახელოსნო უბანი, IX-X საუკუნის პირველის ნახევრისა. მათ გარდა, გაითხარა სამი სახელოსნო უბანი, რომელთა არსებობის დრო X-XIII ს. პირველი ნახევარია. აღნიშნულ სახელოსნო უბნებში აღმოჩნდა მრგვალი და სწორკუთხა ფორმის, დიდი და მცირე ზომის, „ორიარუსიანი“ ალიზის აგურით ნაგები ქურები, სადაც იწვებოდა თიხის ჭურჭელი, მოჭიქული კერამიკა, ფაიანსისა და სხვა ნაწარმი. **[მიწიშვილი 1979: 19]**. არანაკლებ საინტერესოა აფრასიაბის ნაქალაქარი, სადაც გამოვლინდა მეთუნეთა სახელოსნო უბნები, ხოლო ქალაქის სხვადასხვა ნაწილში დამოწმებულია ცალკეული ქურა-სახელოსნოების არსებობა. აფრასიაბში სახელოსნო უბნები მოქმედებდნენ IX-XIII საუკუნეებში, მაგრამ არა გამუდმებით, არამედ წყვეტილებით-სხვადასხვა დროს IX-X, X-XIII, XII-XIII სს. ქალაქის ცენტრალურ ნაწილში გეგმაზომიერად გათხრილი და შესწავლილია ყველაზე დიდი საწარმო უბანი. აქ გაითხარა ათი დიდი და ორი მცირე ქურა, 74 საწარმო. **[მიწიშვილი 1979: 19]**. აქაურ მეთუნეთა მიერ შემუშავებულ სტილში ნათლად ჩანს მთელი ეპოქის მხატვრული ტრადიციები, ცნობილი როგორც „მუსულმანური რენესანსი“ (XIII ს.). ს. ალიევა ერთ-ერთ ძლიერ სამეთუნეო ცენტრად VIII საუკუნის ბოლოსა და IX საუკუნის დასაწყისში სამარყანდს ასახელებს და მიიჩნევს, რომ სწორედ ამ პერიოდში, განსაკუთრებით ვითარდება მოჭიქული კერამიკის წარმოება. XIII-XIV საუკუნეებში კი იცვლება მოჭიქული ჭურჭლის ორნამენტი, რაც დაკავშირებულია თემურიდების ეპოქასთან. ამ დროსაც სამარყანდი რჩება ძლიერ სამეთუნეო ცენტრად. სწორედ აქ ხდებოდა ახალი სტილის დამკვიდრება, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა სხვა ქალაქების სამეთუნეო ცენტრების პროდუქციაზე. კერძოდ: ტაშკენტი, ბუხარა, შახრისაბზა, მერვი, ნისი. **[Алиева С. 2009]** მ. მიწიშვილი ეყრდნობა რა ნ. ვაკტურსკაიას, გ.

შიშკინას და ო. ბოლშაკოვის მოსაზრებებს აღნიშნავს, რომ სამარყანდში მოჭიქული კერამიკის არსებობის კვალი VIII საუკუნის ბოლოსა და IX საუკუნის დასაწყისში შეინიშნება. ეს ის დროა, როცა მოჭიქული კერამიკა უბრალო (პოტაშის) ჭიქურით იფარება და როცა მათთვის ჯერ კიდევ არ არსებობს სპეციალური ქურები, მაგრამ შუა აზიის სხვა რეგიონებში მოჭიქული კერამიკა IX საუკუნეზე ადრე არ არის დამოწმებული. ამდენად, შუა აზიაში მოჭიქული კერამიკის გაჩენის თარიღი მეცნიერთა მიერ დადგენილია, გარდა სამარყანდისა მისი მასობრივი წარმოება ყველგან ერთდროულად IX საუკუნეში იწყება. **[მიწიშვილი 1998: 131].**

ხელოსანთა დასახლებები-რაბადები და კერამიკული სახელოსნოები ცნობილია შუა საუკუნეების ქალაქ ტარაზის (კაზახისტანი) ციტადელთან, ამ პერიოდში ყველაზე მეტად გავრცელებული იყო მოჭიქული კერამიკა, რომელიც გამოირჩეოდა მცენარეული ორნამენტის თემატიკითა და გეომეტრიული ფორმებით. არსებითი ადგილი მორთულობის დროს ეკავა სტილიზირებულ წარწერებს, რომლებიც თავის მხრივ წარმოადგენდა რელიგიური ტიპის გამონათქვამს. ამავე პერიოდისაა კერამიკული ჭრაქი, რომელსაც იურტის ფორმა აქვს. არქეოლოგიური გათხრების შედეგებით გამოირკვა, რომ მოსახლეობა, რომლებიც არც თუ დიდი ხნის წინ მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდა, გახდა მოგონებად და გამოსატეს გამოყენებით ხელოვნებაში. **[Журкевич О.С]**

IX-XIII საუკუნეებში კერამიკული წარმოების მნიშვნელოვანი ცენტრების რიცხვს მიეკუთვნება ძველი ოაზისი ჩაჩა (შაში) და მისი ქალაქი ბინკატი, რომელსაც ეკავა თანამედროვე ტაშკენტის ტერიტორია. არქეოლოგიური გათხრების შედეგები ნათელი დადასტურებაა სამეთუნეო წარმოების განვითარებისა ამ ქალაქში. IX-XI საუკუნეების ბინკატის მხატვრული კერამიკა ვითარდება მავერანახრის კერამიკულ წარმოებასთან ერთად, იხვეწება ფორმები, ანგობისა და ჭიქურის გამოყენება, დამახასიათებელი ორნამენტი, დგინდება ფერთა შესამება. ჩაჩას მოჭიქული ჭურჭელი თავისი განსხვავებული სტილის თავისებურებებით (ძირითადი ფონი არის თეთრი ანგობი) გამოირჩევა ისეთი ცენტრებისაგან, როგორცაა სამარყანდი, ხორეზმი. **[Исхакова Е., Иганбердиев Р].**

XI-XII საუკუნეების სამეთუნეო საწარმოს პირველი ნაშთები, კერძოდ კი ქურები, ნაპოვნია ქერსონესში ჩრდილოეთ სანაპიროსთან ნაკვეთის გათხრების დროს. გარკვეულ წარმოდგენას მეცნიერებს სამეთუნეო საწარმოს განლაგების შესახებ უქმნით, ბულგარეთისა და ბიზანტიის შუასაუკუნეების ქალაქების გათხრები.

აღნიშნული სამეთუნეო საწარმო განლაგებული იყო ქერსონესის საპორტო რაიონში, სადაც სახლთან ერთად აღმოჩნდა საწარმო, რომელიც შედგებოდა რამოდენიმე სახელოსნოსაგან, გათხრების შედეგად დადგინდა რომ აქედან ორი დაკავშირებული იყო მეთუნეობასთან. მსგავს ქურებთან დაკავშირებით გ. ბელოვი, რომელიც აწარმოებდა გათხრებს აღნიშნავდა რომ, ის შეიძლებოდა გამოყენებულიყო მხოლოდ სამეურნეო საჭიროებისათვის, მაგრამ მოგვიანებით კი ა. იაკობსონის აზრით, აღნაგობის მიხედვით ეს ქურები შეიძლებოდა გამოყენებულიყო არა მარტო სამეურნეო საჭიროებისათვის, არამედ კერამიკის გამოსაწვავადაც. ქურებთან აღმოჩნდა 2 ნაგებობა, რომელიც გამოიყენებოდა თიხის მოსამზადებლად, ამას ადასტურებს იქვე ნაპოვნი თეთრკეციანი მოჭიქული კერამიკის პატარა ფრაგმენტი რელიეფური მოხატულობით და რომან I მონეტა. მეორე გამოიყენებოდა უფრო გვიან პერიოდში და მას ხუთკუთხა პრიზმის ფორმა ჰქონდა. ორ სხვადასხვა დროის სახელოსნოს ქურები, მეცნიერებს აძლევს დასკვნის საშუალებას, რომ ისინი ფუნქციონირებდნენ გარკვეულ დროს. ამას ადასტურებს ქურის გადაკეთების ნაშთებიც, რომლის დროსაც ქურის ზომები დაპატარავდა. თაღის გათხრის დროს აღმოჩნდა წითელკეციანი მოჭიქული კერამიკა, რომელიც იაკობსონის მიერ დათარიღებულია XI-XIII სს., რომან II და ვასილ II მონეტები. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ამ გათხრების საშუალებით ქერსონესში პირველად გაიხსნა XI-XII სს. მოჭიქული კერამიკის წარმოების მთელი კომპლექსი, სადაც იყო არა მარტო გამოსაწვავი ქურები, არამედ მთელი რიგი ნაგებობებისა, რომელიც აუცილებელი იყო შრომითი პროცესისათვის. [Романчук А. И. 1971: 119-121].

გვიანშუასაუკუნეების ჭიქური კერამიკა წარმოადგენს მნიშვნელოვან მასალას ამა თუ იმ რეგიონის მატერიალური კულტურის დახასიათებისათვის. მოჭიქული კერამიკის წარმოება მკაფიოდ რეაგირებდა ეთნიკურ და კულტურულ ცვლილებებზე. მის განვითარების ისტორიაში ხშირად აღიბეჭდება ადგილობრივი და გლობალური მასშტაბის ისტორიული მოვლენები. ამ პერიოდის ტექნიკური ბაზა აძლევდა მეწარმეებს საშუალებას მიეღწიათ კერამიკული წარმოებაში ვირტუოზული შედეგებისათვის. შავიზღვისპირა რეგიონების ლოკალური კერამიკული წარმოებების კონკრეტულ მონაცემთა განხილვა ამარტივებს კვლევას იმის შესახებ თუ რა კულტურული და სავაჭრო კავშირები არსებობდა მათ შორის XIII-XV სს. სუგდეი ამ პერიოდში წარმოადგენდა ერთ-ერთ უდიდეს პოსტბიზანტიურ საქალაქო ცენტს ჩრდილო შავიზღვისპირეთში. მისი მოსახლეობა XIII ს. შუა

ხანებში წარმოადგენდა 8 ათას მცხ. საოჯახო კერამიკაზე მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებდა მხოლოდ შემოტანილი ჭურჭელი, როგორც ეს ხდებოდა IX-XI სს. ქალაქში ყვაოდა საკუთარი კერამიკული წარმოება, რაც დაადასტურა 60-90 წლების სუგდის ნაქალაქარის გათხრებმა. 1974 წელს სუგდეაში აღმოჩენილი და შესწავლილი იქნა მეთუნეთა ღუმელების მთელი კომპლექსი. სამეთუნეო ღუმელები განთავსებული იყო ნაგებობის სამხრეთით და 4 ღუმელისაგან შედგებოდა. სახელოსნო რომ მოჭიქული კერამიკის ჭურჭელს აწარმოებდა, ამაზე მეტყველებს მრავლად აღმოჩენილი ნატეხები, ზედადგრები, რომელსაც გადავლებული აქვს ჭიქურის ნაღვენთები. წარმოებულ ჭურჭელზე წარმოდგენას გვიქმნის იქვე აღმოჩენილი მოჭიქული ჭურჭელი. სუგდის მოჭიქული კერამიკის სახელოსნოების განხილვისას ა. ჟდანოვი ყურადღებას ამახვილებს ადგილობრივი მოჭიქული ჭურჭლის ერთ-ერთ დამახასიათებელ თავისებურებაზე. ეს არის წრიული ძირის გამოყვანა. გამზადებულ ჭურჭელს ქვემოდან აწეპებდნენ თიხის ნაგლეჯს და აძლევდნენ სადგამის ფორმას, ზედმეტ თიხას კი ჭრიდნენ დანით. ამ დანის კვალი ემჩნევა თითქმის ყველა ჭურჭელს და აგრეთვე, სადგამის კედლის სისქე უფრო მეტია ვიდრე ჭურჭლის კედლის სისქე, ესეც დამახასიათებელია ადგილობრივი სამეთუნეო წარმოებისათვის სოლხატის და ყირიმის სხვა ცენტრებისაგან განსხვავებით. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ ქალაქში გავლენა ჰქონდა ტრადიციულ ბიზანტიურ საქალაქო და სამშენებლო კანონმდებლობას. იული ასკალონიტელის ტრაქტში, რომელიც XIV საუკუნეში კონსტანტინე არმენოპულოს კანონების ძირითად ნაწილს შედგენს ნათქვამია რომ, „სამეთუნეო სახელოსნოები უნდა განთავსდეს ქალაქის კედლებს გარეთ იმ პირობით, რომ ნაპერწკალმა არ გააჩინოს ცეცხლი ქალაქში. ამ შემთხვევაში ითვალისწინებდნენ ამ მიდამოებში ქარის ძირითად მიმართულებას. სუგდეიში ძირითადად ქარი ქრის აღმოსავლეთიდან ჩრდილო აღმოსავლეთის მიმართულებით. სამეთუნეო სახელოსნოები აქ განთავსებული იყო დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით ქალაქის კედლებიდან“. ეს ეხება აგრეთვე 1994 წელს აღმოჩენილ კიდევ ერთ XIV საუკუნის კერამიკულ საწარმოს. [Джанов 1999]

1985 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის (ხელ-ლი პროფ. ო. ლორთქიფანიძე) ინიციატივით თბილისში მოეწყო შუა საუკუნეების კერამიკის შესწავლისათვის მიძღვნილი I სიმპოზიუმი თემაზე: „ამიერკავკასიის მრავალფერად

მოჭიქული კერამიკა-მისი საწყისები და გავრცელების გზები”. აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით საყურადღებოა რამოდენიმე თეზისი, რომელიც უშუალოდ ეხება ამ პერიოდის მოჭიქული ჭურჭლის კერამიკულ წარმოებას. [ჯორბენაძე 1986: 190]. როგორც ე. აიბაბინა მიუთითებს, ფეოდოსიაში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა გვიანსაშუალო საუკუნეების მნიშვნელოვანი კერამიკული მასალა, რომელიც შეიძლება ორ ჯგუფად გაიყოს: ადგილობრივი და შემოტანილი. 1975-76 წწ. კარატინოს მთაზე გათხრების შედეგად გამოვლინდა სამეთუნეო ქურა, რომელიც განკუთვნილი იყო სწორედ მოჭიქული კერამიკის წარმოებისათვის. ის მრავალფეროვნება, რაც გენუას კაფის ტიპის ადგილობრივი კერამიკისა და სამეთუნეო ქურის გათხრების დროს აღმოჩნდა, მოწმობს მეთუნეობის განვითარებას, საშინაო ბაზრისათვის მიწოდებას. ოქროს ურდოსა და ირანული ჭურჭლის ექსპორტი კაფში დადასტურებაა ამ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობებისა. მოჭიქული ჭურჭლის გრავირებული ორნამენტები მეტყველებს ბიზანტიის ცენტრებთან კავშირზეც. [Айбабина 1985: 51-52]. ამავე საკითხს ეხება ა. კრავჩენკოს წერილი-მოჭიქული კერამიკა ბელგოროდ-დნესტროვსკიდან XIII-XIV სს., სადაც საუბარია არქეოლოგიური გათხრების შედეგად ბელგოროდში სამეთუნეო ქურისა და ნახევარფაბრიკატების აღმოჩენის შესახებ. განსაკუთრებული ადგილი სხვადასხვა დანიშნულების კერამიკული ნაწარმს შორის ეკავა მოჭიქულ კერამიკას, რომელიც სამეთუნეო ქურაზე კეთდებოდა კარგად მომზადებული წითელი თიხისაგან და გამოწვის შემდეგ იღებდა მოწითალო-მოვარდისფრო ფერს. როგორც ავტორი აღნიშნავს, მოპოვებული მასალები დადასტურებაა იმისა, რომ ბელგოროდში მოჭიქული ჭურჭლის წარმოება ადგილობრივად ხდებოდა. ქალაქის არსებობის მოკლე პერიოდში, ოქროს ურდოს დროს, მოჭიქული კერამიკის წარმოებამ მიაღწია თავის მაღალ განვითარებას და რაც მთავარია, ბელგოროდი, როგორც ხელოსნურ-სავაჭრო ქალაქი და პორტი შავ ზღვაზე, იღებდა აქტიურ მონაწილეობას საერთაშორისო ბაზარზე. [Кравченко 1985: 55-56, 58]. კერამიკული სახელოსნოები იქნა აღმოჩენილი სელიტრენის ნაქალაქარის სარაი-ბათუს გათხრების დროს. როგორც შედეგებიდან ირკვევა ყველაზე ფართოდ გავრცელებულ მასალას წარმოადგენდა მოჭიქული კერამიკა. ჩატარდა მისი ტექნოლოგიური კლასიფიკაცია, შესწავლილ იქნა კეცის ჭიქურის შემადგენლობა და სხვ. [Федоров-Давыдов 1985: 54; მიწიშვილი 1998: 78].

ფსკოვის ტერიტორიაზე, რომელიც ძველი რუსეთის სამეთუნეო ცენტრად ითვლებოდა, წმინდა ღვთისმშობლის მიძინების მონასტერში მიწისქვეშა გალერეების კედლებში შემორჩა მოჭიქული კერამიკის უნიკალური ნიმუშები—ასზე მეტი უძველესი სამარხების სამონასტრო ფილები (კერამიდები), რომლებიც შესრულებულია გამომწვარი თიხისაგან და გადავლებული აქვს მუქი მწვანე ჭიქური. ნაკეთობების მაღალმხატვრული ხარისხი მიუთითებს, რომ მონასტერში ძველად ყვაოდა კერამიკული წარმოება. კერამიდებს პირველად რუსეთში სწორედ ფსკოვში აკეთებდნენ XVI საუკუნეში, როგორც მასალებიდან ირკვევა მონასტერში იყო სპეციალური სამეთუნეო სახელოსნო.

როდესაც ვიხილავთ მოჭიქული კერამიკის საწარმოო ცენტრებს არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ მონღოლთა შემოსევებზე, რომელთა ბატონობამ გარკვეული დიდი დაასვა დაპყრობილი ქვეყნების სამეურნეო საქმეს-ზოგან მოჭიქული კერამიკის საწარმო ცენტრები განადგურდა და სრულიად გაქრა (რეი-1224; რაკკა-1254; გურგენი და სხვ.), სხვაგან მათი კანონზომიერი განვითარება შეფერხდა, მ. მიწიშვილი აზრით, ეს მოხდა საქართველოში, თუმცა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. ზოგან კი ისინი აგრძელებენ არსებობას (ქაშანი). პოუპის აზრით, მონღოლთა შემოსევები არ შეიძლება ჩაითვალოს როგორც ერთის დამთავრებისა და მეორის დასაწყისის. ამდენად, ეს პერიოდიც, გარკვეული ცვლილებების თვალსაზრისით მოჭიქული კერამიკის წარმოებისათვის, მისი ისტორიის თავისებურად საინტერესო მონაკვეთს წარმოადგენს. **[მიწიშვილი 1998: 70]**. მონღოლების მიერ დაპყრობილი ქვეყნები იმდენად მძიმე უღელქვეშ აღმოჩნდნენ, რომ ხელოსნობის განვითარებაზე რა თქმა უნდა ძნელი იყო საუბარი, მაგრამ მას შემდეგ რაც მათ დაიწყეს ახალი ქალაქების მშენებლობა, რა თქმა უნდა უკვე დაინტერესდნენ ხელოსნებით და დაიწყეს დაპყრობილი ქვეყნებიდან სხვადასხვა პროფესიის საუკეთესო ოსტატების ჩამოყვანა. მათი მეშვეობით აწარმოებდნენ ახალი ქალაქების მშენებლობას და ხელს უწყობდნენ ხელოსნობის სხვადასხვა დარგების განვითარებას. მოჭიქული კერამიკის წარმოებამაც მაღალ განვითარებას მიაღწია, რასაც ადასტურებს ქალაქებში არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები. მონღოლთა ქალაქების არქეოლოგიური შესწავლა სამოციან წლებში დაიწყო. გათხრების შედეგად გამოვლინდა ადრემონღოლური (XIII საუკუნის I ნახევარი) და შემდგომი ხანის (XIII საუკუნის მეორე ნახევარი-XIV ს.) ქალაქები. ადრეული ხანის

ქალაქებს მიეკუთვნება ქალაქი მდ. ხირხირაზე, დენ-ტერეკი, ყარაყორუმი და სხვანი, ხოლო XIII–XIV საუკუნისას კი სარაი-ბერკე, სარაი-ბათუ და სხვანი.

ქ. ხირხირაზე მონღოლეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გაითხარა სასახლე, წარჩინებულ მოქალაქეთა კარ-მიდამოები, ღარიბთა სახლები. აღნიშნავენ, რომ ქალაქის მოსახლეობის ერთ დიდ ნაწილს ხელოსნები და ვაჭრები წარმოადგენენ. აღმოჩენილია მოჭიქული კერამიკაც. დენ-ტერეკში, რომელიც სულ მოკლე ხანს არსებობდა XIII საუკუნის პირველ ნახევარში აღმოჩნდა ორმხრივ მოჭიქული, ყვითლად მოჭიქულებზე კი ამოკაწრული ორნამენტით მოხატული კერამიკა. 1948-1949 წლებში გაითხარა ყარაყორუმი, ექსპედიციას აწარმოებდა საბჭოთა და მონღოლთა ერთობლივი ექსპედიცია. გათხრების შედეგად გამოვლინდა ნასახლარები, სასახლე, ქალაქის აღმოსავლეთის კარი და მასთან არსებული კოშკი, სავაჭრო და სახელოსნო უბანი და დიდი რაოდენობით მოჭიქული კერამიკა. ქალაქის ცენტრიდან აღმოსავლეთის კარისაკენ მიმავალი გზის ორივე მხარეს განლაგებული ყოფილა სავაჭრო და სახელოსნო დუქნები; აღმოჩნდა აგრეთვე კერამიკული ნაწარმის გამოსაწვავი ქურები, საიდანაც ამოიღეს ცისფრად და ლურჯად მოჭიქული კერამიკა, წუნი და სხვ. რაც რა თქმა, უნდა ადასტურებს ადგილობრივი წარმოების არსებობას და ყარაყუმის მოსახლეობის მოთხოვნილებას მოჭიქულ კერამიკაზე. ქალაქის კერამიკული წარმოება, როგორც ს. კისილევი აღნიშნავს, ადგილობრივი და ტყვე ხელოსნების ხელში იყო, რომლებიც სამხრეთ ჩინეთიდან იყვანენ ჩამოყვანილი. მოჭიქული ჭურჭლის ძირზე გამოყვანილი ხელოსანთა ნიშნების უმრავლესობა ჩინელებს ეკუთვნის, ერთეული შემთხვევებაა მონღოლურისა. არქეოლოგიურმა შესწავლამ დაგვანახა, რომ გამოყენებითი ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად მონღოლები მოჭიქული კერამიკული წარმოების ჩასახვასა და განვითარებასაც უწყობდნენ ხელს. აღნიშნულ ქალაქებში მოჭიქული კერამიკის წარმოება ჩინურ ხასიათს ატარებდა. მათთვის დამახასიათებელია ჭურჭლის ორმხრივ მოჭიქვა და ორნამენტით შემკობის სხვადასხვა ხერხიდან-ძირითადად, მოხატვა. ჩინეთიდან ჩამოყვანილმა ხელოსნებმა უცხო მიწაზეც გაააგრძელეს თავისი ტრადიციები და წეს-ჩვეულებები, რითაც თავისი დალი დაასვეს იქ დამზადებულ მოჭიქულ კერამიკას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გათხრების დროს გარდა ადგილობრივისა, აღმოჩენილია შემოტანილი, იმპორტული საქონელი-ჩინური სარკეები, ვერცხლის ჭურჭელი, ფაიფური, ფაიანსი, სელადონი და სხვ. ყოველივე ეს კი ცხადყოფს ჩინეთის იმ დიდ გავლენას, რომელსაც მონღოლეთის დედაქალაქი განიცდიდა.

[მიწიშვილი 1998: 74]. 1999-2003 წლებში ბონის უნივერსიტეტის გერმანელი და მონღოლეთის მეცნიერების ერთობლივი ექპედიციის მიერ გაითხარა უგედეი-ხანის სასახლე ტუმენ-ამგალანი, რომელიც მის მიერ იყო აღდგენილი 1235 წ. გათხრების შედეგად აღმოჩნდა აგურის გამოსაწვავი 4 დიდი ქურა და დიდი რაოდენობის მწვანედ მოჭიქული კრამიტის ფრაგმენტები. თვით სასახლის ორიარუსიანი სახურავი მორთული იყო წითელი და მწვანე მოჭიქული კრამიტით. ოქროს ურდოს ქალაქების შესწავლისას ა. იაკუბოვსკიმ ყურადღება მიაქცია სარაი-ბერკესა და ურგენჩის (ხორეზმის) მოჭიქული კერამიკის დიდ მსგავსებას და შესაძლებლად ჩათვალია დაეშვა მათი შემოტანა ურგენჩიდან. ანალოგიურ აზრს გამოთქვამს ე. კერფელდტი, რომელმაც თავის მონოგრაფიაში ცალკე თავი მიუძღვნა XIII-XV საუკუნეების ოქროს ურდოს მოჭიქულ კერამიკას. [Лисова 2004: 193]. შემდგომში სარაი-ბერკეში სახელოსნოთა აღმოჩენამ ცხადყო მათი ადგილობრივი წარმომავლობა და ცხადი გახდა, რომ მოჭიქული კერამიკის მსგავსების მიზეზი ურგენჩიდან გადმოსახლებული ხელოსნები იყვნენ, რომლებიც სარაი-ბერკეში ამზადებდნენ ურგენჩისათვის დამახასიათებელ პროდუქციას. ამდენად დადასტურდა, რომ სარაი-ბერკე შემოქმედებით ძალებს იკრებდა ურგენჩიდანაც, საიდანაც იგზავნებოდა ხელოსნები, მშენებლები, მეთუნეები და ა. შ. ყოველივე ამის შემდეგ არ უნდა იყოს მოულოდნელი ის ფაქტი, რომ სარაი-ბერკეში მაღალ განვითარებას მიაღწია კერამიკულმა წარმოებამ, რომელმაც მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქალაქის ცხოვრებაში, რასაც ასაბუთებს გათხრების შედეგად აღმოჩენილი წარმოების ნაშთები, ქურები, დიდი რაოდენობით მოჭიქული ჭურჭელი და სხვა. ორივე სარაი-ბერკე და ურგენჩი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრები იყვნენ XIII საუკუნის II ნახევრიდან ვიდრე XIV საუკუნის ბოლომდე. [მიწიშვილი 1998: 76].

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ოქროს ურდო საქალაქო კულტურისა და სახელოსნო წარმოების ერთ-ერთ ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა, სადაც მხატვრული ხელოსნობის მთავარი მიმართულებას ტექნოლოგიური ბაზის განვითარებასთან ერთად კერამიკული სახელოსნოები წარმოადგენდა და რაც ნიშანდობლივია მოჭიქული კერამიკა ოქროს ურდოს ქალაქების ცივილიზაციისა და კულტურის მკვეთრი გამოვლინება იყო. აქაური ხელოსან-კერამიკოსები ფლობდნენ ჭიქურის გამოწვის თავისებურ საიდუმლოებას. მოჭიქული ჭურჭელი საშუალო და დაბალი ფენების ყოფაშიც კი გამოიყენებოდა და ამავე დროს მკვეთრად განსხვავდებოდა ძველი რუსეთის ერთფეროვანი ჭურჭლისაგან. [Лисова 2004: 193]

შუა საუკუნეების ძეგლების არქეოლოგიურად შესწავლა სომხეთსა და აზერბაიჯანში ოცდაათიან წლებში დაიწყო. აზერბაიჯანის ამ პერიოდის ერთ-ერთ საინტერესო ძეგლს ორენ-ყალა წარმოადგენს. აქ გათხრილი ხელოსანთა უბანი განლაგებულია ქალაქის განაპირას მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, გალავნის გადაღმა. აღმოჩენილი კერამიკული ქურები VIII-დან XIII საუკუნემდე მოქმედებდნენ. გამოყოფილია IX-X საუკუნეების რამდენიმე ტიპის ქურა, სახელდობრ, ნალისებური და ოთხკუთხა. ხოლო XI-XIII საუკუნეებისა კი ნალისებური, წაგრძელებული, ოთხკუთხა და მრგვალი. ქურები ისევე როგორც მერვში, ორიარუსიანია და აქაც აშენებულია ალიზის აგურით. კერამიკულ სახელოსნოებში ძირითადად მზადდებოდა თიხის ჭურჭელი (მოჭიქული და მოუჭიქავი), გარდა ამისა, წარმოებდა ხილის წვენებისა და ღვინის დამზადება. [მიწიშიელი 1979: 20].

კერამიკული წარმოების მაღალ განვითარებაზე მიუთითებს აზერბაიჯანის ერთ-ერთი ქალაქი შაბრანი, რომელიც XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში კლიმატური პირობების გამო განადგურდა. 1979-1989 წლების არქეოლოგიურმა გათხრებმა სიცოცხლე დაუბრუნა ქალაქის ნანგრევებს. გაითხარა X საუკუნის ქალაქის ციხესიმაგრე, რომელიც მეცნიერების ვარაუდით, ფუნქციონირებდა XIII საუკუნემდე. საკულტო ნაგებობებისა და მდიდრების სახლების მოსაპირკეთებლად ფართოდ გამოიყენებოდა მოჭიქული აგურები. ფაქტობრივად ქალაქის ეკონომიკა ეყრდნობოდა ხელოსნურ წარმოებას. გათხრების შედეგად აღმოჩნდა კერამიკული სახელოსნო და ამასთანვე ნახევარფაბრიკატები, ზედმეტად გამომწვარი მოჭიქული კერამიკა, სამფეხები, სოლები, რომლის მეშვეობითაც ქურაზე ნაწილდებოდა ლანგრები, ჯამები, დოქები. ყოველივე ამან არქეოლოგებს შესაძლებლობა მისცა განესაზღვრათ წარმოების წესი და კონსტრუქცია იმ სახელოსნოების, სადაც იწვებოდა მოჭიქული თუ ჩვეულებრივი თიხის ჭურჭელი. შაბრანის მოჭიქული კერამიკული ნაწარმი გამოირჩეოდა ფორმების მრავალფეროვნებით, მდიდრული ორნამენტით და მაღალი ხარისხით, რაც მეტყველებდა შაბრანის ხელოსნების მაღალ გემოვნებაზე. [Достиев Т. 2002].

1968 წელს ღვინში, სოფელ ხნაბერდთან მიწის სამუშაოების დროს ნაპოვნი იქნა კერამიკული წარმოების წუნდებული ფრაგმენტები და თიხის სამფეხები მოჭიქული ჯამის გამოსაწვავად. ამ ტერიტორიაზე, როგორც ა. კალანტარიანი აღნიშნავს, სავარაუდოდ განლაგებული იყო კერამიკული სახელოსნო და სწორედ ამ სახელოსნოს კომპლექსის ნაშთებია წუნდებულის ფრაგმენტები. აღმოჩენილი

მასალები იძლევა საშუალებას წარმოჩენილ იქნას ჭიქურის დამზადების ტექნოლოგიები. გათხრების დროს ზედა ფენებში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა XI-XII საუკუნეების მოჭიქული კერამიკა, რომელიც ანალოგიური იყო ქალაქის ციტადელში აღმოჩენილი მასალისა. მ. მიწიშვილი თავის ნაშრომში „მოჭიქული კერამიკის საწარმო შუა საუკუნეების თბილისში IX-XIII საუკუნეებში“ აღნიშნავს, რომ „სომხეთში სახელოსნო უბანი ჯერჯერობით არ არის გამოვლენილი და იქვე მიუთითებს, რომ ა. კალანტარიანის ვარაუდით, ღვინის სახელოსნო უბანი განლაგებული უნდა ყოფილიყო ქალაქის გალავანთან, მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში“. მართალია ეს სახელოსნოები განლაგებული იყო ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ კვარტალში, სოფლებს ვერი არტაშატს, ბზოვანს, აიგესტანსა და ხნაბერდს შორის და ამას ადასტურებს ზემოთ აღნიშნული ხნაბერდის გათხრის შედეგები, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ სომხეთში სახელოსნო უბანი არ არსებობდა. ა. კალანტარიანი იგივე ნაშრომში მიუთითებს, რომ ღვინში არქეოლოგიური გათხრების შედეგად მრავალი ათეული წლებია არ აღმოჩენილა, არც ერთი სახელოსნო, რომელიც სრულ წარმოდგენას შექმნიდა კერამიკულ წარმოებაზე და მათი დამზადების ტექნოლოგიებზე, მაგრამ დღემდე აღმოჩენილი ხელოსნობის ნაშთები იძლევა ვარაუდის საშუალებას, ამასთანავე სხვადასხვა დროს ამ ტერიტორიაზე აღმოჩენილი იყო კერამიკული და მინის წუნდებულის ნაშთები, რომელიც დაკავშირებული იყო გამოწვის პროცესთან, კერძოდ, სამფეხები, თიხის სოლები. უფრო კარგად გამოიყოფა ხნაბერდის სამხრეთ-დასავლეთ ბოლო, სადაც იყო ხელოვნური ორმო და როგორც ჩანს ის გამოიყენებოდა თიხის ამოსაღებად. სახელოსნოები, რომლებიც გამოიყენებდნენ ამ თიხას განლაგებული იყვნენ სწორედ ამ კარიერის ახლოს. ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ სოფელ ვერი არტაშატთან, ქალაქის სასიმაგრო კედელთან, 1937-1938 წლებში გათხრების დროს დაფიქსირებული იყო გამოსაწვავი ქურა და რაც ყველაზე ნიშანდობლივია სავარაუდოდ ის ორიარუსიანი უნდა ყოფილიყო თაღოვანი გადახურვით. მეორე დიდი მრგვალი ქურა კი ცნობილია ქალაქის სამხრეთ კვარტლიდან. ხნაბერდის გათხრების დროს აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარდა წუნდებულის ფარგმენტებისა რამოდენიმე ადგილზე, აღმოჩენილია დიდი რაოდენობით აგურები, რომლითაც აშენებული იყო ქურა და ქვები რომლებსაც ეტყობა ჭურჭლის გამოწვის დროს ჩამოღვენთილი ჭიქურის კვალი, თიხის სოლი ანალოგიური ნაპოვნია თბილისის კერამიკული სახელოსნოს გათხრების დროს. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ამ სოლებზე კაუჭის საშუალებით ჩამოკიდებდნენ

გამომწვარ ჭურჭელს. მსგავსი გამოსაწვავი ქურების კაუჭები ცნობილია შუა აზიაში. აქ კი კაუჭები არ არის აღმოჩენილი, რადგან ისინი გამოიყენება მხოლოდ მოჭიქული დოქებისა და ხელიანი ჭურჭლისათვის. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ სომხეთში არა თუ არ არსებობდა ხელოსანთა უბანი, არამედ დვინი იყო ერთ-ერთი ძლიერი საწარმოო ცენტრი, სადაც ხელოსან-მეთუნეებს ჰქონდათ თავიანთი სპეციალური ქურები, რაზეც ნათლად მეტყველებს სხვადასხვა კვადრატებში აღმოჩენილი მასალები. ხელოსანთა ჯგუფები ან ცალკე სახელოსნოები დაკავებული იყვნენ გამოეშვათ განსაზღვრული ტიპის ნაწარმი, რაც დააკმაყოფილებდა ბაზრის მოთხოვნებს. [Калантарян А. А. 1976: 280-289]

ის ფაქტი, რომ ისინი არსებობდნენ ქალაქის კედლებთან, ეს იყო შუა საუკუნეების ქალაქების დამახასიათებელი მოვლენა. სახელოსნოების ანალოგიური განლაგება აღნიშნულია ამიერკავკასიასა და შუა აზიის ქალაქებში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისევე როგორც მერვში, ორენ-ყალაში, დვინშიც ქურები ორიარუსიანი.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურულ ურთიერთობებს აღმოსავლეთის ქვეყნებთან (ოსმალური მხატვრული კერამიკის მიხედვით XV–XVIII სს.) ეძღვნება ნ. შუშანიძის სადისერტაციო ნაშრომი. მეორე თავში ავტორს განხილული აქვს „ოსმალური კერამიკა“ იზნიქისა და აქჩაღელეს ციხის მასალების მიხედვით). იზნიქი შუასაუკუნეების მნიშვნელოვან სახელოსნო ცენტრს წარმოადგენდა. აქ აღმოჩენილი მოჭიქული ჭურჭლის უძველესი ნიმუშები ნ. შუშანიძის აზრით, IX-X, XII-XIII საუკუნეებით თარიღდება. XIV საუკუნიდან კი დამზადების ტექნიკა უფრო განვითარდა და იწყება მილეთის ტიპის კერამიკის წარმოება. XV საუკუნიდან თეთრი თიხის წარმოებასთან ერთად იზნიქის სახელოსნოები შეიცვალა, ხოლო XVI საუკუნეში იზნიქის კერამიკოსი ოსტატები ერთ ნაწარმს სასახლისათვის ამზადებდნენ, ხოლო მეორეს რიგითი მომხმარებელთათვის. როგორც ავტორი აღნიშნავს, კლასიკური ოსმალური კერამიკის ხელოვნება იზნიქში სასახლის მხარდაჭერით განვითარდა, სადაც 5 კერამიკული სახელოსნო ღუმელი არსებობდა. ნაშრომში ავტორი საინტერესო ცნობას გვაწვდის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, იზნიქის სახელოსნოებში ევლია ჩელების გადმოცემით ბევრი ქრისტიანი იყო. აქ აღმოჩენილ მოჭიქულ (ასევე ფაიანსის) ჭურჭელზე მოხატული „ა“ ასოს მსგავსი და ქართული ვაზის ტიპის ორნამენტი ქართველი ქრისტიანების მიერ არის შესრულებული. [შუშანიძე 2008: 50, 51, 52].

§4. თანამედროვე ტექნოლოგიური ანალიზი

როდესაც ვსაუბრობთ კერამიკულ სახელოსნოებზე და იქ აღმოჩენილ მოჭიქულ კერამიკაზე, აუცილებლად ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ თანამედროვე ტენდენციებზე, რომელიც თანდათან ინერგება მეცნიერებაში იმის დასადგენად ადგილობრივი წარმოებისა არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მოჭიქული კერამიკა თუ ის იმპორტული ნაწარმია. სწორედ ამას ემსახურება მაკედონიის მიკრო-რამანის სპექტროსკოპული მეთოდი, რომელიც განხორციელდა ქიმიის ინსტიტუტის, ბუნებრივ მეცნიერებათა და მათემატიკის ფაკულტეტის, წმ. კირილესა და მეთოდეს სახელობის უნივერსიტეტის მეცნიერების მიერ (სკოპია, მაკედონია). ბიზანტიური წარმოშობის კერამიკა, რომელიც XII–XV საუკუნეებით არის დათარიღებული და მაკედონიის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი, მიჩნეულია, რომ იმპორტირებულია ამ რეგიონში, იმ სხვა მრავალფეროვან პროდუქციასთან ერთად, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული იმ პერიოდის სავაჭრო ცენტრებში. თუმცა ამ რეგიონის არქეოლოგიური შესწავლის ნიადაგზე მეცნიერები ეჭვქვეშ აყენებენ ამ მოსაზრებას. მათი აზრით, XIII საუკუნისათვის საბრძოლო მოქმედებებიდან გამომდინარე, რეგიონში აღმოჩენილი მოჭიქული კერამიკის ნიმუშები ადგილობრივი წარმოებისაა და არა იმპორტული. მათი აზრით, ეს ნივთები მაკედონიის ტერიტორიაზე არსებული მეთუნეობისა და კერამიკის არსებული ტრადიციების დაცვითაა დამზადებული. როგორც არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა პრილეპი და სკოპია იმ პერიოდისათვის წამყვანი საწარმოო ცენტრები იყო. იმისათვის, რომ ამ რეგიონში აღმოჩენილი მოჭიქული კერამიკის ნივთებისათვის მიკრო-რამანის მეთოდით ჩაეტარებინათ ანალიზი, შემუშავდა საპილოტო პროექტი. აღნიშნული მეთოდით მოხდა მაკედონიის ტერიტორიაზე (პრილეპი და სკოპია) აღმოჩენილი 15 ბიზანტიური წარმოშობის ნივთის ფრაგმენტის შესწავლა. მოჭიქული კერამიკის ფერი ძირითადად არის: ყავისფერი, შავი, მუქი მწვანე, მონაცისფრო. მიკრო-რამანის მეთოდი ერთ-ერთი ყველაზე არადესტრუქციული და ფართოდ აპრობირებული მეთოდია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესასწავლად. ბოლო ათწლეულში მიკრო-რამანის მეთოდი გამოიყენება როგორც კერამიკული, ასევე სხვა მრავალი სახის არტეფაქტის შესასწავლად, მათ შორის კედლის მხატვრობა, ფრესკები, ხატები, ბუნებრივი თუ სინთეტიკური ქსოვილები, მინა. ეს მეთოდი აპრობირებულია მუზეუმებისათვის. მაკედონიის მუზეუმში ამჟამადაც მიმდინარეობს მიკრო-რამანის

მეთოდით დაცული ნივთების შესწავლა. იგი საშუალებას მისცემს მუზეუმებს გააუმჯობესონ ნივთების კონსერვაციისა და შენახვის პირობები.

მიკრო-რამანის მეთოდი ეფუძნება მრავალფუნქციურ სპექტროსკოპს, რომელიც ლაზერითაა აღჭურვილი. იგი ახდენს ნივთის ინფრარედით დათვალიერებას და სათანადო ანალიზის ჩატარებას. ხდება ნივთის მინიმუმ 16-ჯერ სკანირება. EDXRF სპექტრომეტრი, რომელიც აგრეთვე რადიოსკოპითაა აღჭურვილი ახდენს დაწვრილებითი ანალიზის ჩატარებას, რის შედეგადაც ხდება დაზუსტება როგორც ნივთის კომპონენტური შემადგენლობის, ასევე პროპორციებისა, ადგენს თითოეული ფენის ზუსტ ზომებს და ქმნის ციფრულ ვერსიას ფოტოსურათის სახით, სადაც გამოსახულება 100-ჯერაა გადიდებული. ანალიზი ინფორმაციას გვაწვდის: კერამიკის ტექნოლოგიის, პიგმენტური შემცველობის შესახებ, აადვილებს ნივთის ასაკის დადგენასაც. გარდა გამოწვის ტემპერატურისა, ანალიზის შედეგად მოხდა თიხის ზუსტი და დეტალური ქიმიური შემადგენლობის დადგენა. ანალიზმა გამოავლინა გარკვეული კანონზომიერება: კვარცი, პეგმატიტი, მაგნეტიტი, ტიტანიუმის დიოქსიდი ყველა ნივთში აღმოჩნდა. გარდა ამ მინერალებისა სხვადასხვა შემცველობით გამოვლინდა დიოფსიდი, კალციტი, ოლივინი.

კვარცი, პეგმატიტი, მაგნეტიტი, ტიტანიუმის დიოქსიდი ის საბაზისო ნივთიერებებია, რომლებიც ტრადიციულად დამახასიათებელია ბიზანტიური კერამიკისათვის. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სხვადასხვა რეგიონებში აღმოჩენილ ნივთებს განსხვავებული ქიმიური შემადგენლობა აქვთ. მაგ. პრილეპის ნივთებში აღმოჩენილია ალბიტი, სანადინი, ანდრადიტი, აგრეთვე მიკროლინი, მაშინ როდესაც ამ უკანასკნელის შემცველობა სკოპიეში აღმოჩენილი მხოლოდ 2 ნივთში, კალციტისა და აპატიტის შემცველობა კი ორივე რეგიონში აღმოჩენილი ნივთების ნაწილში დადასტურდა. ზოგიერთმა ნივთიერებმა გარკვეული წამოდგენა შექმნა ნივთის დანიშნელებაზე: მეცნიერების ვარაუდით, მაგ. აპატიტის დიდი შემცველობა შეიძლება აიხსნას იმით, რომ ჭურჭელი საჭმლის მოსამზადებლად გამოიყენებოდა. ოლეიკის ოქსიდის შემცველობა კი მიუთითებს ნივთის გამძლეობაზე და სავარაუდოდ, იმ ფაქტზე, რომ ჭურჭელს საკვების შესანახად იყენებდნენ. მეცნიერების დასკვნამ გვიჩვენა, რომ სკოპიასა და პრილეპში აღმოჩენილი ნივთების საბაზისო ელემენტი ტყვიაა და ისინი დაბალ ტემპერატურაზეა გამომწვარი (700⁰ და ნაკლები), მხოლოდ იშვიათ შემთვევებში 800⁰. პრილეპსა და სკოპიაში აღმოჩენილი ნივთების შესწავლამ დაადგინა, რომ

ისინი ორ სხვადასხვა ცენტრშია დამზადებული. **[Biljana Minceva-Sukarova, Orhideja Crupce, Vinka Tanevska...2007-2008].**

მიკრო-რამანის მეთოდის გარდა დღესდღეობით სხვა მეთოდებიც გამოიყენება კერამიკის ანალიზისათვის, მათი კომპონენტური შემადგენლობის დასადგენად. ესაა LIBS-ის მეთოდი, რომელიც ჩაატარა ელექტრონული სტრუქტურებისა და ლაზერის ინსტიტუტის, ჰერაკლიონი, კრეტა, საბერძნეთის მეცნიერებმა, კერძოდ, „კელეგებისა და ტექნოლოგიების ფონდმა-ჰელასი“. ისევე როგორც ზემოთ აღნიშნული მეთოდი, LIBS-იც გამოიყენება არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნივთის სტრუქტურული შემცველობის, ასაკისა და წარმომავლობის დასადგენად, ადგილობრივია ის თუ იმპორტირებულია სავაჭრო ურთიერთობების შედეგად. აქ განხილულია შედეგები, რომელიც მიღებულ იქნა კრეტაში ჩატარებული კერამიკის ანალიზის საფუძველზე. ანალიზი ძირითადად ჩატარდა შუა ბრინჯაოს, გვიანი ბრინჯაოს, ბიზანტიური ხანისა და გვიანი შუა საუკუნეების კერამიკის ნიმუშებს, რომლებიც სხვადასხვა ადგილას იქნა აღმოჩენილი: კნოსოსში, ჰაგია ჰოტიაში, მოკლოსში, პრესიში. შესწავლისას ხდება ნივთის ან ნივთიდან ამოღებული მცირე ზომის ნაწილის აღება, არა უმცირეს 2 მმ. პირველი ეტაპზე ხდება იმ ნივთიერებების გამოვლენა, რომლებიც საბაზისოა ნივთის შემცველობაში. დასკვნით ეტაპზე კი ხდება ყველა იმ ელემენტის გამოვლენა, რომელიც მცირე კონცენტრაციითაა მოცემული. მეთოდის ძლიერი მხარე ისაა, რომ ის ადგენს იდენტურობის ხარისხს უკვე შესწავლილ ნივთებთან. კრეტაზე აღმოჩენილი კერამიკის უმრავლესობა ადგილობრივი ოსტატების მიერ, ადგილობრივი მასალითა და ტრადიციების დაცვითაა დამზადებული, თუმცა დიდია იმპორტირებული კერამიკის რაოდენობაც. ანალიზის დროს ყურადღება მიექცა ისეთ საკითხებს როგორცაა, საღებავის პიგმენტაცია, თიხის შემცველობა, ზედაპირის დამუშავება. ანალიზმა დაადგინა, რომ კრეტაზე აღმოჩენილი ნივთების უმრავლესობა (განსაკუთრებით ცენტრალურ და აღმოსავლეთ რეგიონებში აღმოჩენილი ნივთები) გამოირჩევა Mg, Ca, Si, და Al-ის დიდი შემცველობით, რაც აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ეს მხოლოდ ადგილობრივი ოსტატებისათვის და მეთუნეობის ტრადიციებისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. **[Kristalia Melessanaki, Maripaz Mateo, Susan C. Frerence, Philip P. Betancourt, Demetrios Anglos-2002].**

მოჭიქული კერამიკის გავრცელებისა და სამეწარმეო ტრადიციების შესწავლისათვის გამოიყენება აგრეთვე INAA-ას მეთოდი (ინსტრუმენტალური ნეიტრონების აქტივაციის ანალიზი). „ახალი ესპანეთის“ ტერიტორიაზე

აღმოჩენილი კერამიკული ნივთები ძირითადად ავლენენ 2 სხვადასხვა ტრადიციის შერწყმას. მათ შორის აშკარად იგრძნობა ევროპული სტილის გავლენა, თუმცა აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ არც ადგილობრივი ტრადიციებია მივიწყებული. თითოეული ნივთი ავლენს თიხის თვისებების კარგ ცოდნას. ეს მეთოდი ყველაზე მისაღები აღმოჩნდა დასახული მიზნის მისაღწევად. ვინაიდან XIX საუკუნისა და ადრინდელი პერიოდის ევროპული და აგრეთვე „ახალი ესპანეთის“ რიგ ცენტრებში წარმოებული ნაწარმის ასაკისა და წარმომავლობის დადგენა ყველაზე ადვილად ხდება მასში ტყვიის შემცველობის, კონცენტრაციის დადგენის ბაზაზე. უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში INAA ყველაზე ფართოდ გამოიყენება კერამიკის წარმოებისა და დისტრიბუციის შესწავლის საქმეში. მაიოლიკისა და შემდეგში უკვე მოჭიქული კერამიკის ნიმუშების ქიმიური ანალიზისას აღმოჩნდა გარკვეული ტიპის იდენტირობა ამ ორ სხვადასხვა სახის კერამიკას შორის. რაც უთუოდ მათ შორის „ნათესაურ“ კავშირზე მიუთითებს. ანალიზის შედეგად დადგინდა XIX საუკუნის მოჭიქული კერამიკის საწარმოო ცენტრები: გუენაგატო, საუელა, უალისკო, მეხიკო. მიუხედავად ზემოთ აღნიშნული „ნათესაური“ კავშირისა, ანალიზმა სახესხვაობაც გამოავლინა. ვინაიდან მოჭიქული კერამიკის რაოდენობა ჩვეულებრივ კერამიკის ნივთებთან შედარებით მცირეა, მკვლევარებმა პირველ რიგში გამოიყვეს რეგიონალური ფაქტორი, რადგანაც სხვადასხვა რეგიონებში დიდად განსხვავებული იყო წარმოების პროცესი. ეს კი შეიძლება აიხსნას ასიმილაციისა და ევროპული მეტერიალური კულტურის გავრცელება/გავლენის ხარისხით. რადგანაც მეხიკოსა და მისი მიმდებარე ტერიტორიებზე ევროპელებს უფრო დიდ ზეგავლენა ჰქონდათ ვიდრე მოშორებულ რეგიონებზე, აქ თიხის წარმოების პროცესი ძლიერ იყო დაახლოებული ევროპულ სტანდარტებს, მაშინ როცა პროვინციებში ჯერ კიდევ იყო ადგილობრივი წარმოების ჩვევები. კვლევების დროს შესწავლილი ნივთების ანალიზმა აჩვენა, რომ „ახალი ესპანეთის“ ტერიტორიაზე კერამიკის წარმოებაში შერწყმულია როგორც ევროპული, ასევე ადგილობრივი ტრადიციები. [Patricia Fournier and M. James Blekman-2006

ტრადიციული გვიანშუასაუკუნეების კერამიკული ცენტრების, ხერსონესის კაფის, სოლხატის, და სუდაკას (სუგდეი) არქეოლოგიურმა შესწავლამ, ალუშტასა და ფუნეში კერამიკული წუნდებულების აღმოჩენამ, ყირიმში მოჭიქული კერამიკის მრავალფენოვანი ნიმუშების მწარმოებლური ზონების განსაზღვრამ, შესაძლებლობა მისცა მეცნიერებს ნაკლებად დაყრდნობოდნენ მხოლოდ სტატისტიკურ მონაცემებს და საშუალება მიეცათ შეედარებინათ

მორფოლოგიურად ლოკალიზებული ჯგუფები. მსგავსი არქეოლოგიური არტეფაქტების შესწავლის, არქეოლოგიური ლოკალიზაციის და საყრდენი თარიღების დაგროვების გარდა, მნიშვნელოვანია ტექნოლოგიური ტრადიციების გავრცელების სიბრტყის განსაზღვრა, მათი ურთიერთთანამშრომლობის და განვითარების შესწავლა. გარდა ამისა, ანალიტიკური მასალა, ისევე როგორც არქეოლოგიური არტეფაქტები, იძლევა უფრო ზუსტი ტოპოგრაფიული და ქრონოლოგიური დეფინიციის განსაზღვრის მრავალფეროვან საშუალებებს.

ყოველივე ამის დასადგენად გაანალიზირებულ იქნა ჭიქური კერამიკის ნიმუშები აღმოჩენილი ხერსონესში (1-8, 10, 21-23), სუდაკში (11-20), სოლხატში (24) და კიევში (9). ეს არქეოლოგიური აღმოჩენები მიეკუთვნება კარგად შესწავლილ არქეოლოგიურ ჯგუფებს და კარგ მასალას წარმოადგენს კვლევის რეზულტატების წარმოსადგენად.

პირველ ჯგუფში იქნა გაერთიანებული დახურული და ღია ფორმის მქონე წითელთიხიანი პოლიქრომული მოჭიქული ჭურჭელი, მრგვალი ფორმის სადგამით ანგობირებული ზედაპირით გამჭვირვალე ყვითელი ფორმის ჭიქურის ქვეშ. ჭურჭლის დეკორი შესრულებული შუასაუკუნეების ყირიმის გრაფიტო-კომპოზიციისათვის დამახასიათებელი მანერით, ანგობირებულ ზედაპირზე მსხვილი ამოჭრილი ხაზით და ჭიქურის ქვეშ რკინა-სპილენძის ორფერიანი გამის მოხატულობით. ძირითად ორნამენტალურ მოტივად აქ არის გამოყენებული გეომეტრიული კომპოზიციები რადიალურ-ზოლიანი აგებულებით და მცენარეული ორნამენტები ქსელურად დაშტრიხული ფონით, რთული წნულებით, განსაკუთრებით ორიგინალურია ჩიტებისა და სირინების გამოსახულებიანი ჭურჭელი (მაგ: ფინჯნები). ჭიქურის შიდა მოხატულობაში კი ერთმანეთს ენაცვლება მწვანე და ყავისფერი. ტექნოლოგიური თვალსაზრისით კი ამ ტიპის ჭურჭლის წრიული ძირის დამაგრების ტექნიკა ჯგუფის სხვა მასტაბილიზირებულ ნიშნებთან ერთად, ანალოგიას პოულობს ბევრად უფრო ადრინდელი ბიზანტიური პერიოდის თეთრი თიხის IX- X სს. მწვანე ჭიქურით დაფარულ ჭურჭელთან. ეს მდგომარეობს თითქმის გამშრალი ჭურჭლის ფსკერისთვის დასადგამის მიმაგრებაში. ამ ტიპის ჭურჭელი მიეკუთვნება შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი ხერსონესის მოჭიქული კერამიკის ჯგუფს. იაკობსონი თვლიდა, რომ ამ ტიპის კერამიკა სტილისტურად ახლოა ახლოდმოსავლეთის ჭიქური კერამიკის ნაწარმთან, უპირველეს ყოვლისა სპარსულ და კავკასიურ კერამიკასთან.

ამ ტიპის კერამიკა ხერსონესის გარდა, აღმოჩენილია აგრეთვე უკრაინის სხვადასხვა ტერიტორიაზე.

მეორე ჯგუფს წარმოადგენენ პოლიქრომული წითელი თიხის ჭურჭელი ასევე მრგვალი სადგამით გამჭვირვალე, როგორც წესი ცივი ფერების ჭიქურით. პიერველი ჯგუფის ნიმუშების მსგავსად ანგობირებულ ზედაპირზე მსხვილი ამოჭრილი ხაზით ორფერიანი გამით რკინა-სპილენძის მოხატულობით. ორნამენტაციის სისტემა შედგება ლილის მაგვარი ყვავილებით, ექვსი ან რვაკუთხა ფიგურებით, რთული გეომეტრიული და მცენარეული კომპოზიციით. ჭურჭლის მრგვალი სადგამის მიმაგრება ხდება თიხის ნაჭრების დაძერწვით მის ფსკერზე. დამახასიათებელი ტექნიკური ნიშანია გამოხეჩილი ფსკერი.

ამ ტიპის მოჭიქული კერამიკის ჭურჭელი დამახასიათებელია ყირიმისათვის და წარმოადგენს ტავრიის გვიანშუასაუკუნეების მსხვილი ცენტრების მასალების მნიშვნელოვან ნაწილს. მსგავსი ჭიქური აღმოჩენილია ფეოდოსიაში, რომლებიც თარიღდება XIV-XV სს. აღმოჩენილი ღუმელების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს კერამიკა ეკუთვნის აღმოსავლეთ სანაპიროს მწარმოებელურ უბნებს და უკავშირდება კაფისა და სუგდების კერამიკულ წარმოებას.

მესამე ჯგუფს წარმოადგენენ მონოქრომული, წითელი თიხის მრგვალ სადგამიანი ჭურჭელი, მკვრივი მუქი მწვანე ჭიქურით გრავირებული ნახატი ჭიქურის ქვეშ, შესრულებული ანგობით მსხვილი ამოჭრილი ხაზით. ამ ტიპის კერამიკის გრაფიტო-კომპოზიციის საფუძველად გამოყენებულია მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტები, დეკორის მთავარ მოტივად გამოყენებულია სპირალები და ფოთლები, გადამკვეთი ხაზები და შტრიხები. ამ ჯგუფის ჭურჭლის დეკორი წინა ორი ჯგუფის დეკორზე ბევრად უფრო მეტად მრავალფეროვანი და ინდივიდუალურია. ამ ჯგუფის ჭირჭელიც უდაოდ ყირიმის სკოლას მიეკუთნება და თარიღდება XIV-XV სს.

ანალიტიკური მეთოდი:

ჭიქურის ქიმიური შემადგენლობის განსაზღვრა ხდებოდა ელექტრო-ზონდირების მეთოდით მიკრორედგენულ ანალიზატორზე JCXA -733 ფირმა JEOL (იაპონია) ЦТО HAA ანალიტიკის ვ.ბ.სობალევის პროგრამით, ბენსის და ოლბის კორექციის გამოყენებით (Albee KAY 1970). ეს მოწყობილობები საშუალებას იძლევა რამოდენიმე კუბურ მიკრონზე მინერალების მოცულობის ლოკალიზაციით ჩატარდეს ქიმიური შემადგენლობის ბორისა და ურანის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზი, რომლის დადებითი მხარეებია: 1) მაღალი

ექსპრესიულობა; 2) ანალიზის ჩასატარებელი ადგილის არჩევის თავისუფლება ვიზუალური კონტროლით და არავითარი შენაერთებით მასზე; 3) ანალიზის დროს ნიმუშების შენახვა და შესაძლებლობა მათზე მომდევნო კვლევის ჩატარებისა და შედეგების კონტროლი.

ანალიტიკური მონაცემების საერთო დახასიათება:

მიღებული მონაცემები ახასიათებს ჩრდილოშავიზღვისპირეთის ჭიქურს როგორც რთული მრავალკომპონენტური ევთექტური შენაერთების სისტემები. მათ შორის დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს $PbO-SiO_2$, რომელიც მეთუნეებისათვის არჩევნის საფუძველს წარმოადგენს. ამ სისტემაში სხვა უფრო მარტივი სისტემების ჩართვამ შენაერთებისა და შენადნობების ძირითად თეორიასთან მიმართებით უნდა საგრძნობლად შეამციროს ჭიქურის მასის ღნობა, რადგანაც ამით იქმნება დამატებითი და უფრო რთული შემადგენლობის ევტექტიკი, რომლებიც ღღევა უფრო მაღალ ტემპერატურაზე. ამის მიუხედავად, არჩეული ჭიქურის ღღობის ტემპერატურა შეესაბამება უფრო ადვილადგაღლობად ევტექტიკებს და გეტეროგენული ფაქტები მიუხედავად ღნება 710-730⁰-ზე. მუავის მაჩვენებელი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს თუ როგორ დაჯდება ჭიქური ნივთის ზედაპირზე მერყეობს 5,59-1,38 შორის, ძირითადი რაოდენობა კონცენტრირებულია 1,9-2,58 შორის, რაც დამახასიათებელია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ჭიქურისათვის, როგორც უფრო მარტივადღლობადი და შეწოვადი თიხის მიერ.

გვიანშუასაუკუნეების ტავრიაში ჭიქურით კერამიკის წარმოების განვითარება დაკავშირებულია მეთუნეების მიერ პრაქტიკაში შემადგენლობის მიხედვით სხვადასხვა ტყვია-სილიკატის საფუძველზე დამზადებული ჭიქურის ნაერთების გამოყენებასთან. ტყვიის მუავის გამოყენება ბიზანტიაში და ახლო აღმოსავლეთში იწყება IX საუკუნიდან. ამ ნაერთის გავრცელებასთან არის დაკავშირებული თეთრი ჭიქურქვემა ანგობების ტექნოლოგიის დანერგვა. ჭურჭლის ტექნოლოგიური თვისებების გაუმჯობესებასთან ერთად აგრეთვე უმჯობესდება მისი დეკორატიული ხარისხიც, რომელიც არაჩვეულებრივ ფონი ხდება გრავირებული ჭიქურქვემა სურათისთვის. ამ თვალსაზრისით ყირიმის კერამიკული წარმოება ჩართულია გლობალური ტექნოლოგიური ცვლილებების პროცესში, რომლებიც თითქმის თანადროულად მიმდინარეობდა მსოფლიოს დიდ ტერიტორიაზე ესპანეთიდან, შუა აზიისა და ჩინეთის ჩათვლით, სადაც ყველა სახის ჭიქურის წარმოებაში წამყვან ადგილს იკავებს ტყვია-სილიკატური ტექნოლოგიები და ჭურჭელი გამჭვირვალე ჭიქურით და პოლიქრომული მოხატულობით კერამიკული ნაწარმის ყველაზე

გავრცელებული სახეობა ხდება. მეორეს მხრივ, XII საუკუნეში განვითარებული ჭიქურის დამზადების ტენდენციები, ფართოდ გავრცელებული ახლო და შუა აღმოსავლეთში, ესპანეთსა და შუა აზიაში საერთოდ არ არის ასახული ყირიმის გვიანსაშუალო საუკუნეების კერამიკულ წარმოებაში. ყირიმის XIII-XV საუკუნეების კერამიკული წარმოების შესწავლილი მასალები მოწმობს ტყვია-სილიკატის მეშვეობით ჭიქურის წარმოების მომდევნო გაფართოებას. ამ შენაერთის ვარიანტობა უმნიშვნელოა და შეიძლება იქნეს ახსნილი შუასაუკუნეების წარმოების ინდივიდუალური თვისებებით, იქაური ნედლეულის სპეციფიკით. ძირითადად ჭიქურის კომპონენტები უცვლელია მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც მეტყველებს მოჭიქული კერამიკის ძირითადი შემადგენელი ნაწილების სიმტკიცეზე. [Булгаков В. 1999].

§5. ქუთაისის სახელოსნო ცენტრი

ქუთაისის არქეოლოგიური კვლევების დროს ნაქალაქარის სხვადასხვა უბანზე, სხვადასხვა ეპოქის კერამიკული სახელოსნოები დაფიქსირდა. მკვლევარებს ისინი ზედმიწევნით დაზიანებული დახვდათ, ამიტომ მათი სრული სახით დახასიათება შეუძლებელია. ზოგიერთი მათგანი ფართომასშტაბიანი საქალაქო სახელოსნო იყო, ზოგიც კიდევ მცირე ფორმის ინდივიდუალურ საწარმოს წარმოადგენდა.

ფართო მოხმარების საქალაქო საწარმოს შთაბეჭდილებას ტოვებს ადრექრისტიანული ხანის კერამიკული სახელოსნოს ნაშთი ციტადელის სამხრეთ ფერდობზე. აქ აღმოჩენილი იქნა აგურით მოკირწყლული იატაკი (აგურფენილი) ქვის კერამიკული ჩარხი, კერამიკის წიდეები და წუნდებული (ვსარგებლობით ექსპედიციის ხელმძღვანელის დღიურებით). სტრატეგრაფიული მონაცემებით ეს საწარმო IV-V საუკუნეებით განისაზღვრა. შემორჩენილი მასალით ერთი მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება შეიძლება: წარმოებაში გამოყენებული იყო ქვის სწრაფმბრუნავი კერამიკული ჩარხი. [ლანჩავა 1996: 118; ლანჩავა 2007: 153].

მომდევნო ეპოქის VIII-IX საუკუნეების ფართომასშტაბიანი საქალაქო საწარმოს ნაშთი აღმოჩნდა შიდაქალაქის დასავლეთ ნაწილში კონტრფორსებიან კედელთან დედაბურჯსა და დიდ დარბაზს შორის. აქ გოდლედებს ანუ კონტრფორსებს შორის წყვილ-წყვილად განლაგებული ყოფილა კერამიკის გამოსაწვავე 6 ქურა. საკუთრივ სახელოსნოს კედლები ხის ფარდულის სახით უნდა ყოფილიყო მიდგმული გალავნის გოდლედებიან კედელზე. ქურები კი, რომელთა ნაშთებმა

ჩვენამდე მოაღწია წრიული, ვერტიკალური ფორმის იყო და წყვილ-წყვილად იყო ამოყვანილი ცეცხლგამძლე თიხისაგან გოდლედებს შორის, (სულ სამი წყვილი).

იქვე დედაბურჯთან კუთხეში აღმოჩნდა კარგად განლექილი, ნედლი თიხის შტაპელი მზა ნედლეული ჭურჭლის გამოსაყვან-გამოსადერწად. წარმოების ხანგრძლივ ფუნქციონირებაზე მეტყველებს მძლავრი ნახანძრავი, ნახშირ-ნაცროვანი ფენა, რომელიც დიდი რაოდენობით დაფიქსირდა ამ ტერიტორიაზე. (სრატეგრაფია იხ. ქვემოთ).

მონაცემებით ჩანს, რომ შიდაქალაქის ეს ნაწილი VIII-IX საუკუნეებში სახელოსნო უბანს წარმოადგენდა. მის თანადროულად იქვე ფუნქციონირებდა კირის გამოსაწვავი ქურაც, რომლის პროდუქცია, როგორც ჩანს გამოიყენებოდა არჩილ-ლეონის დროს (VIII ს. შუა ხანებიდან) ქუთათისის საყდრის მშენებლობისათვის. შთამბეჭდავია ისიც, რომ სახელოსნო და საერთოდ ეს უბანი წყლით მარაგდებოდა თეთრამიწას წყაროებიდან მომდინარე საგანგებოდ გამოყვანილი თიხის მაგისტრალით (VIII ს.). იგი გამოივლიდა შიდა ქალაქის ტერიტორიას, შემდეგ ადრინდელი აბანოს კომპლექსს, განიტოტებოდა „ქუთათისის საყდრის“ ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, ერთი ტოტი მიმართებოდა აღმოსავლეთით, ციტადელისაკენ (სამეფო კომპლექსი, აგურის სასახლე, აბანო...); მეორე კი ეშვებოდა დედაბურჯისაკენ და ფაქტობრივად წყლით უზრუნველყოფდა სახელოსნო უბანს და დიდ დარბაზს....

მკვლევართა ვარაუდით, სახელოსნოს ფუნქციონირება უნდა დაწყებულიყო არაბთა შემოსევების შემდეგ (VIII საუკუნის შუახანებში). ვინაიდან შიდა ქალაქის დიდი გალავნის დასავლეთი ზღუდე ამ დროს ჩანს დანგრეული, მისი ნანგრევები დღემდე შემორჩენილი შიდა მხრიდან დასავლეთი კედლის გაყოლებით მთელს პერიმეტრზე.

მურვან ყრუს მრისხანე შემოსევების შედეგების ლიკვიდაცია სწრაფი ტემპით მომხდარა. ქვეყნის მესვეურები ახალი ენთუზიაზმით შესდგომიან ქალაქის აღმშენებლობის საქმეს. ძველი ბაზილიკების ადგილზე აშენებენ ახალ ტაძარს („ქუთათისის საყდარს“); ციტადელში კი აგურის სამეფო სასახლეს, აბანოს, წყალგაყვანილობის ახალ მაგისტრალს. რეკონსტრუქცია-განახლება ჩაუტარეს საფორტიფიკაციო სისტემას და ა. შ.

მაგრამ საკითხავია, მზადდებოდა თუ არა აქ, უშუალოდ ამ სახელოსნოში მოჭიქული კერამიკა? იმ მონაცემების მიხედვით, რომელიც დარბაზის წინა ფართობზე და ერთ-ერთ ჭაში აღმოჩნდა ასეთი ფრთხილი ვარაუდის გამოთქმა

შეიძლება. თუმცა ექსპედიციის ხელმძღვანელის დღიურებიდან ჩანს, რომ ტაძრის წინ სამხრეთ ფერდობზე, გაბრიელის ეზოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ 1984 წლიდან ჩნდებოდა (უკვე 50 მ. სიღრმეზე) შავი ნახანძრავი ფენები კირქვის მინარევებით. ამავე ფენაში მრავლად იყო ჭიქურიანი კერამიკის ფრაგმენტები და ნაღვენთები: ცისფერჭიქურიანი ჯამები, გამოყვანილი ქუსლით, ნაკაწრით შესრულებული ორნამენტიანი ზედაპირით სხვადასხვა ფერის ჭიქურით (მწვანე, თეთრი, ყვითელი და შავი კოპლები) დაფარული ფრაგმენტები. აქვეა ქვის როდინის ნატეხი, სავარაუდოდ, ჭიქურის დასაფქველი მოწყობილობის ნაწილი. იმავე შურფში უფრო ღრმად (დაახლ. 1,5 მ). სიღრმეზე ღია ყავისფერჭიქურიანი, ყვითელ-მწვანე ორნამენტებით მოზრდილი ზომის ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი აღმოჩნდა, სავარაუდოდ, XI-XII საუკუნეებისა. მეზობლად №3 თხრილში 1,80 მ. სიღრმეზე ასევე გამომწვარი ყვითელი თიხნარის ქვეშ ჭიქურში ამოვლებული ქვის ნატეხი აღმოჩნდა. ისიც ნახანძრავ ფენაშია, რომელშიაც ჩამქრალი კირის ნაშთია. სავარაუდოდ, აქაც შესაძლოა თიხის (ჭიქურიანი) გამოსაწვავი ინდივიდუალურ სახელოსნოს არსებობასთან გვეკონდეს საქმე.

ამასთანავე სხვადასხვა დროს ადგილი ჰქონდა წარმოების ამსახველი ნივთების აღმოჩენას, კერძოდ:

შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. სავ. №7206.88.

თიხის სამფეხა ზედადგარი, მოწითალოკეციანი. ფეხის ნაწილზე შეიმჩნევა ჭიქურის კვალი. ზომები: სიმაღლე-2,5 სმ; საყრდენებს შორის დაცილება საშუალოდ-6 სმ; აღმოჩენილია:: ქუთაისის ნაქალაქარი, i24 ნაკვეთი, 9,10 კვადრანტი. (ტაბ. I, სურ 1)



ქ.ც. №739.

თიხის მრგვალგანიგვეთიანი **სოლის ფრაგმენტი,** წითელკეციანი. მრგვალგანიგვეთიანი. ფრაგმენტზე არის ჭიქურის ნაღვენთები. ზომები: დმ-4,5 სმ;დაცულია ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ფონდში. ექსპედიციის დღიურების მიხედვით რამოდენიმე ერთეული იყო აღმოჩენილი. ამჟამად მხოლოდ ერთი ცალია დაცული, ისევე როგორც ზემოთ განხილული ზედადგარი. (ტაბ. I, სურ 2)



ჭიქურში ამოვლებული რამოდენიმე ქვის ფრაგმენტი აღმოჩენილია ქუთაისის ნაქალაქარზე (4 ერთეული); ერთი გელთში ქ.გ. №203.08. (ტაბ. I, სურ. 3)



შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. სავ. №5780.87.

მოჭიქული რიყის ქვის დიდი ზომის ფრაგმენტი. მოჭიქულია მომწვანო-მოცისფროდ. ზედაპირზე აქვს დუღაბის ნარჩენები, კედლის მშენებლობაში მეორადი გამოყენებით. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, i2 ნაკვეთის მე-8, მე-12 კვადრატებში. (ტაბ. I, სურ. 4)



მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს ჭიქურის ფხვნილის მოსამზადებელი ხელსაფქვავის სანაყები:

შ. წ. 6362 B-896.

ჭიქურის ხელსაფქვავი, სანაყი. სატარე ნაწილში შემორჩენილია მწვანე ჭიქურის კვალი. ზომები: სიმაღლე-23 სმ; ქვედა ნაწილის დმ-11 სმ; დაცულია ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ფონდში. (ტაბ. I, სურ. 5)



შ. წ. 6362 B-896.

ჭიქურის ხელსაფქვავის სანაყის ფრაგმენტი. შემორჩენილი აქვს მწვანე ფერის ჭიქურის კვალი. ზომები: შემორჩენილი სიმაღლე-12 სმ; ქვედა ნაწილის დმ-12 სმ; დაცულია ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ფონდში. (ტაბ. I, სურ. 6)



შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. საგ. №5443.86.

ჯამის ძირის ფრაგმენტი. წითელკეციანი. სქელკედლიანი. თხელძირიანი. შიდა მხარეს ძირში აქვს მწვანე ჭიქურის ნალვენთი, რაც მიუთითებს ჭიქურის წარმოებაზე. კერძოდ, საწარმოო უნდა ყოფილიყო არა მარტო განვითარებულ შუასაუკუნეებში, არამედ გვიან შუასაუკუნეებშიც. რაზეც მიუთითებს სქელკედლიანი ჯამის ძირის მოყვანილობა. ჯამის ძირის დმ-10 სმ; კეცის სისქე-



1,2 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, M4 ნაკვეთის მე-2, მე-3 კვადრატებში. (ტაბ. II, სურ. 1)

ზემოთ აღნიშნულ ვარაუდს ამყარებს ის ფაქტი, რომ სასულიერო სასწავლებლის საძირკვიდან მრავლად ამოვიდა ღარიანი კრამიტები კალიპტერი. ზოგიერთ მუქი, ღვიძლისფერი (ყავისფერი) ჭიქურით. ზოგიც მუქი მწვანე ფერის. მასთან ერთად აღმოჩნდა ჭიქურიანი ანტეფიქსიც ქართული ასომთავრული წარწერით: „ქრისტე აღიდე“. ექსპედიციის ხელმძღვანელის დღიურების მიხედვით ე.წ. სასულიერო სასწავლებლის მიერ გამოყენებული სათავსოებიდან ერთ-ერთში (აღმ. მხარეს) ასევე კერამიკის გამოსაწვავი ქურა აღმოჩნდა. სტრატოგრაფიული თვალსაზრისით ეს სახელოსნო მესამე სამშენებლო ფენას ეკუთვნოდა.

I	□□□□□□□□ □□□□□□□□ □□□□□□□□	ჰუმუსური ფენა	ეს ფენა გვიანდელია XVIII-XIX. სს. შექმნილი. გაბრიელის სასახლის თანადროული და უფრო ადრინდელიც, ალიზიანი ნაგებობის თანადროული.
II	●●●●●●●● ●●●●●●●● ●●●●●●●● ●●●●●●●●	ნახშირ-ნაცროვანი ფენა	მძლავრია (0,5 მ); ზედა პორიზონტზე შეინიშნება ქურების ნაშთები. ამავე პორიზონტზე წნეხვით ნაპრიალები წითლადმოხატული კერამიკა, (II-ეტაპი სახელოსნო ცხოვრებისა).
III	×××××× ×××××× ××××××	დამწვარი თიხნარი	ამ დროს ჩანს სასულიერო სასწავლებლის რეკონსტრუქცია განხორციელებული. მასზე მიშენებულია სათავსები აღმოსავლეთის მხრიდან. სავარაუდოდ, ეს სახელოსნოც X-XII სს. მოქმედებდა.
IV	●●●●●●●● ●●●●●●●● ×××××× ××××××	ნახშირ-ნაცროვანი ფენა და დამწვარი თიხნარი	კერამიკული სახელოსნოს არსებობის I ეტაპი VIII-IX სს. მაგ. I და II გოდლედს შორის მოზრდილი ქურა აღმოჩნდა. მასში იყო ორი დოქი და ერთი დაბალკალთიანი, ფართოპირიანი ჯამი.
V	■ ■	რუხი კორდოვანი ფენა	1 მ-მდე სიმძლავრის, კირქვის და ბათქაშის მინარევებით სავარუდოდ VI-VIII სს.
VI	◆◆◆◆◆◆◆◆ ◆◆◆◆◆◆◆◆	ბათქაშოვანი ფენა	IV-VII საუკუნეების ტანდაღარული ამფორის ნაშთებით.

VII	*** ***	დორდიანი ფენა	ცოკოლის ფენა	დონეზე ზოგადად გვიანანტიკური ხანის
-----	------------	------------------	-----------------	------------------------------------

მაშასადამე, სახელოსნო ფუნქციონირებდა საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდში. ძირითადად არსებობის ორი პერიოდი შეიძლება გამოიყოს: VIII-IX საუკუნეები და X-XI საუკუნეები. იგი განადგურებული ჩანს „დიდი თურქობის“ დროს XI საუკუნის 80-იან წლებში. ანალოგიური სახელოსნო-საწარმო ივარაუდება გელათის სამონასტრო კომპლექსთანაც.

სამწუხაროა, რომ უფრო კონკრეტული მასალა ჭიქურიანი ჭურჭლის წარმოებისა ნაქალაქარზე მიკვლეული არაა. ამ ადგილზე ხანგრძლივმა ინტენსიურმა ცხოვრებამ და განახლება-ახალმშენებლობებმა ძველი ფენები ფაქტობრივად შეიწირა. ამიტომ წარმოების პროცესის აღდგენა-წარმოდგენა ძირითადად პარალელური მასალებით გვიხდება.

თავი II

მოჭიქული სამშენებლო კერამიკა ქუთაისიდან

§1. ჭიქურიანი კრამიტები და ანტიფიქსები

მოჭიქული კერამიკული კოლექციების მნიშვნელოვან ნაწილს ე. წ. სამშენებლო კერამიკა წარმოადგენს. ამ სახეობას განეკუთვნება: კრამიტები, აგურები, შორენკეცები და ანტიფიქსები, ღვარსადენები და წყალსადენი მილები.

კრამიტი, გამომწვარი თიხის (თიხის კრამიტი), ცემენტქვიშის ხსნარის (ცემენტის კრამიტი), ან (იშვიათად) კირქვიშის ხსნარისაგან (სილიკატური კრამიტი) დამზადებული ცალობითი საბურველი მასალაა. ადამიანი განვითარების პროცესში მისწრაფოდა იმისაკენ, რომ მისი საცხოვრებელი ადგილი გაეხადა უფრო მოსახერხებელი და კომფორტული. ღამაზად მოპირკეთებული (კრამიტით მორთული) ფასადები იპოვეს უძველეს, პირველი თაობის პირამიდებში, ბაბილონის ნანგრევებში, ანტიკური ხანის ბერძნული ქალაქების გათხრებისას. უძველესი ექსპონატები, რომლებიც ძვ. წ. მესამე ათასწლეულით თარიღდება აღმოჩენილ იქნა საბერძნეთში, ქალაქ ლერნას მიდამოებში. აქ ათასობით კრამიტის ფრაგმენტი გამოვლენილი.

უძველესი კრამიტის ნარჩენებს კორინთოს ტერიტორიაზეც მიაგნეს. ფიქრობენ, რომ ანტიკურ არქიტექტურაში კრამიტი, როგორც გადასახური მასალა პირველად,

სწორედ ამ ტერიტორიაზე გამოიყენეს, რასაც კარგად ადასტურებს კორინთოს მიდამოებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები. კრამიტმა მოახერხა ჩაენაცვლებინა მანამდე არსებული ლერწმით გადახურვის ტრადიცია. პირველად ეს ინოვაცია მასშტაბური სახით ძვ. წ. 700-650 წ.წ. იქნა ათვისებული, როდესაც აპოლონოსა და პოსეიდონის ტაძრების გადახურვაში ლერწმის ნაცვლად კრამიტი გამოიყენეს. ეს სამშენებლო სიახლე სწრაფად გავრცელდა მთელს ხმელთაშუაზღვისპირეთში. კრამიტი ლერწამთან შედარებით უფრო მაღალხარისხის მქონე საამშენებლო მასალა იყო, შრომატევად პროცესს წარმოადგენდა მისი დამზადებაც, ლერწამთან შედარებით კრამიტის უპირატესობა აიხსნება, პირველ რიგში, მისი ცეცხლგამძლეობით. სწორედ საიმედოობის მაღალი ხარისხის გამო იგი შეუცვლელი გახდა ნაგებობათა გადახურვის საქმეში. ამასთანავე, კრამიტის პოპულარობა გარკვეული თვალსაზრისით განაპირობა საბერძნეთში მონუმენტური არქიტექტურის პოპულარობამ.

ძვ. წ. VI საუკუნეში საბერძნეთში კრამიტს უკვე სავსებით ჩამოყალიბებული ფორმა ჰქონია. ერთდროულად იხმარებოდა ორი სახის კრამიტი: ბრტყელი (სოლენი) და ღარისებრი (კალიპტერი). ბრტყელი გვერდებანაწილი კრამიტები სახურავზე იწყობოდა გვერდიგვერდ: ყოველი ზედა რიგის კრამიტის ქვედა ბოლო გადადიოდა ქვედა რიგის კრამიტზე. ღარისებრ კრამიტებს აფარებდნენ ბრტყელი გვერდით წიბოებს. სახურავის კეხს ზოგჯერ სპეციალური კეხის კრამიტით ხურავდნენ. სახურავის ქვედა რიგის ღარისებრი კრამიტების ქვედა ბოლოებს ხშირად ჰქონდათ დეკორატიული რელიეფი, რომელსაც ანტეფიქსს უწოდებდნენ. კრამიტი საბერძნეთიდან სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა, განსაკუთრებით ელინისტურ ხანაში. ძველ რომში შემოიღეს უფრო ეკონომიური S-ებრი განიგვეთის კრამიტები. ხმარობდნენ ღარიან კრამიტსაც, რომელსაც სახურავზე წაღმა-უკუღმა აწყობდნენ. როგორც S-ებრი, ისე ღარისებრი კრამიტი დასავლეთ ევროპაში ბოლო დრომდე შემორჩა, პირველი ესპანური, ხოლო მეორე თურქული კრამიტის სახელწოდებით. ძველ ჩინეთსა და იაპონიაშიც იმავე ტიპის კრამიტი იყო გავრცელებული, როგორც ძველ საბერძნეთში, ოღონდ ჩინური და იაპონური კაშკაშა კრამიტი ფერადი ჭიქურითაა დაფარული. ჩინეთში ტაძრებზე უპირატესად ყვითელი კრამიტი იხმარებოდა. იაპონიის ბუდისტურ ტაძრებს ხურავდნენ რუხი ფერის კრამიტით, რომელიც დაფარული იყო სპეციალური საღებავით-ლუსტრით. პოპულარულ სამშენებლო მასალად კრამიტი ფართოდ გამოიყენებოდა აგრეთვე

შრილანკაზე. აქ ძირითადად იყენებდნენ ბრტყელ კრამიტებს. უპირატესად დეკორატიული მიზნებისთვისაც.

კრამიტის დეკორატიული მიზნით გამოყენებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ისლამური რელიგიის გავრცელების შემდეგ და მისი ტექნიკაც სრულყოფამდე მივიდა. ისლამური სამყაროდან ის გავრცელდა ესპანეთსა და პორტუგალიაში, რენესანსის პერიოდში კი უკვე ფართოდ გამოიყენებოდა იტალიაშიც.

ზოგადად, საქართველოში კრამიტი გავრცელდა ელინისტურ ეპოქაში (ძვ. წ. IV საუკუნიდან). სავარაუდოდ, შავიზღვისპირეთის ბერძნული ახალშენებიდან. ამის დასტურია ანტიკურ ნაქალაქართა არქეოლოგიური გათხრები.

თუ თვალს გაგადევნებთ სამშენებლო კერამიკის განვითარების გზებს ქუთაისის მაგალითზე ნათელი გახდება, რომ კრამიტი წამყვანი ფორმაა ადგილობრივ ხუროთმოძღვრებაში უბველესი პერიოდიდან ძვ. წ. IV საუკუნიდან გვიანსაშუალო საუკუნეების ჩათვლით (ახ. წ. XVIII ს.). როგორც აღვნიშნეთ, კრამიტი ყოველთვის ორი სახითაა წარმოდგენილი ნაქალაქარის კულტურული ფენებიდან: ბრტყელი, გვერდებაკეცილი-სოლენი და ღარიანი-კალიპტერი. ქრონოლოგიურად ისინი გენეტიკურ კავშირშია ერთმანეთთან. მაგალითად, ელინისტური და გვიანანტიკური ხანის ქუთაისურ კრამიტებს აქვთ სქელი კედელი და დაბალი, ფართო ბორტი, კეცი კარგად გამომწვარია და შედარებით კარგად განლექილი თიხისაგანაა დამზადებული, რომელსაც აქვს კირქვის მარცვლების მინარევი (კედლის სისქე-3,7 სმ), ბორტის სიმაღლე-2,5 სმ, ბორტის სიგანე-2,8 სმ).

IV-V საუკუნეების კრამიტი (სოლენი) საგრძნობლად განსხვავდება ადრინდელი ფორმისაგან. მისთვის, როგორც წესი, დამახასიათებელია, მაღალი, ხშირად ზურგმომრგვალებული ბორტი, რომლის სიმაღლე 7 სმ-მდეა მომდევნო პერიოდში ეს სიმაღლე მკვეთრად კლებულობს (3-4 სმ). ამდროინდელი მასალა საკმაოდ მაღალხარისხოვანი პროდუქციაა, კარგადაა გამომწვარი და ღია ნათელი ფერით გამოირჩევა. თიხა აშკარად ადგილობრივი ჯიშისაა. აღნიშნული სოლენის თანადროულია, იგივე ნედლეულზე დამზადებული ღარიანი კრამიტი-კალიპტერი, რომელსაც აქვს საკმაოდ მაღალი და გაშლილი კალთები და, როგორც წესი, ზურგზე რქისებური შვერილი ქიმი. [ლანჩავა 2007: 119].

V-VI საუკუნის ნაგებობისა და კულტურული ფენების გათხრებისას მოპოვებული მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი მასალა, სრულიად ახალი

და უძვირფასესი წყაროა ადრექრისტიანული ხანის ქართული ხუროთმოძღვრებისათვის და საერთოდ, ქართული კულტურის ისტორიისათვის.

VIII-IX საუკუნეებიდან კრამიტთა დამზადებაში მნიშვნელოვანი სიახლე ჩნდება, რაც მათი ზედაპირის ჭიქურით დაფარვაში გამოიხატა. [ლანჩავა 2007: 160].

საშუალოსაუკუნეების ნაქალაქართა გათხრების შედეგების მიხედვით, (დმანისი, რუსთავი და სხვ.) აღმოსავლეთ საქართველოში ჭიქურიანი კრამიტი (ბრტყელი და ღარიანი) უმთავრესად განსაკუთრებული დანიშნულების ნაგებობათა (საყდრები, სასახლეები) მშენებლობაში იყო გამოყენებული. მხოლოდ ერთი ტიპის კრამიტით შენობის დახურვის მაგალითია მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული ბრტყელი კრამიტის ნატეხი, რომელიც საგანგებოდაა მოჭიქული მხოლოდ ზურგისა და აკეცილი გვერდების გარეთა მხარეს. როგორც ჯ. ჯღამაია აღნიშნავს, მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ჩვეულებრივ დაგებული ბრტყელი კრამიტისათვის ამ, არგამოსაჩენი ნაწილების მოჭიქვას არავითარი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა და არც ჭიქავდნენ. მაშასადამე, ისინი პირქვე დაიდებოდნენ, პირაღმა მდებარე კრამიტებზე და ამგვარად თავისი მოჭიქული ზურგისა და გვერდების ელვარებით აშკარად აცოცხლებდნენ და ალამაზებდნენ შენობის სახურავს. მეცნიერების აზრით, ძნელია იმის გარკვევა რამდენად ყოფილა გავრცელებული ამგვარი წესით შენობის დახურვა, მაგრამ იმას კი ადასტურებენ, რომ XVIII საუკუნის ბოლოს უკვე მარტო ღარისებრი კრამიტი იჭრებოდა. ეს კი მოწმობს, ერთი და იმავე ტიპის კრამიტის დამზადება-გამოყენების უპირატესობას.

ბრტყელი კრამიტებიდან აღსანიშნავია ისეთებიც, რომელსაც ზედაპირზე, ფართო ბოლოში ყალიბის საშუალებით რელიეფური სამყურა ყვავილი აქვს გამოყვანილი. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს თბილისის კერამიკული სახელოსნოს გათხრების დროს აღმოჩენილი ორი ნატეხი ქიმებიანი, მწვანედ მოჭიქული ამგვარი კრამიტებისა. არქეოლოგების აზრით, შესაძლოა ეს ყვავილი ჰერალდიკურ ნიშანს წარმოადგენდა, და მხოლოდ სახურავის გამოსაჩენ ნაწილებში უნდა დაწყობილიყო, რაც ლამაზსა და სიმეტრიულად გაბმულ ორნამენტს შექმნიდა. ძნელია იმის თქმა, რომ ყველა ამ ნაგებობას თბილისის სახელოსნოში გამომწვარი ყვავილიანი კრამიტი ესურა, მაგრამ ერთი კი ცხადია, მათი აზრით, იმდროინდელ აღმოსავლეთ საქართველოში ასეთი კრამიტი გავრცელებული ყოფილა და ამასთანავე ის მოჭიქულიც უკეთებიან და მოუჭიქავიც. ყვავილიანი კრამიტი საკმაოდ მრავლად არის აღმოჩენილი და მით უფრო თვალსაჩინოა, რომ იგი მხოლოდ გარკვეულ, უმცირეს ნაწილს შეადგენს საერთოდ კრამიტისა. ი.

ციციშვილის აზრით, ასეთი კრამიტის გამოწვა შეიძლება სახელმწიფო მონოპოლიაში შედიოდა. [ჯღამაია 1969: 99-100; ლომთათიძე 1974: 128; ლომთათიძე 1989: 37].

საინტერესო მოყვანილობა აქვს თბილისში 1948 წელს აღმოჩენილ ბრტყელ კრამიტებს, რომელთაც განიერ ბოლოში ერთმანეთისაგან დაშორებით ორი ნახევარწრიული ფარი აქვთ აღმართული, რომელთა გამოსახენი ადგილი ფირუხისფრადაა მოჭიქული და წარმოადგენს წინასწარ საგანგებოდ გამზადებულ ანტეფიქსებს მათზე დასადგმელი კრამიტებისათვის. [ჯღამაია 1969: 101].

1966-67 წწ. თბილისის დედაციხის გათხრების დროს გამოვლენილი სამი ნაგებობიდან უკნასაკნელი, დიდი, გუმბათიანი, აგურ-ქვით ნაშენი და ქვათლილებით შემოსილი, შიგნიდან მოხატული ტაძრის ნაცვეცხლარ-ნანგრევია. არქეოლოგების ვარაუდით, ეს ტაძარი აგებული უნდა იყოს XII-XIII სს. ყოველივე ამას თან ახლავს ამავე პერიოდისათვის დამახასიათებელი ცისფერჭიქურიანი კრამიტი. [ლომთათიძე 1969: 11].

მოჭიქული კრამიტებით ეკლესიების დაბურვა საკმაოდ გავრცელებული ყოფილა ტაო-კლარჯეთიდან მოკიდებული კახეთამდე. ე. თაყაიშვილის ცნობით, იშხანის ტაძრის გუმბათი დაფარული ყოფილა ცისფრად და წითლად მოჭიქული კრამიტებით. (ჯ. ჯღამაიას განმარტებით ავტორი „წითლად მოჭიქულს“ უწოდებს სოსანი, ბადრიჯნისფერი ანუ ღვიძლისფერი ჭიქურით დაფარულ კრამიტს. წითელი კრამიტი ცოტა ძნელი წარმოსადგენია). წითლად და მწვანედ ყოფილა მოჭიქული ოშკის გუმბათის კრამიტებიც. [ჯღამაია 1969: 100]. ინტერნეტში მოძიებული მასალების მიხედვით, მითითებულია, რომ ოშკის გუმბათი დახურულია წითლად და ყვითლად მოჭიქული კრამიტით, ისევე, როგორც იშხანში. (ინფორმაცია ეფუძნება: ე. თაყაიშვილის („1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში“), შალვა ამირანაშვილის („ქართული ხელოვნების ისტორია“), ვახტანგ ბერიძის („ძველი ქართული ხუროთმოძღვრება“), ვახტანგ ჯობაძის (ორი წერილი ოშკის ტაძარზე), ვალერიის სილოგავას („ოშკი X ს. მემორიალური ტაძარი“) ბიბლიოგრაფიულ მონაცემებს.

ასეთივე კრამიტი ეხურა ხახულის მთავარ გუმბათოვან ეკლესიასაც. მეცნიერების ვარაუდით, ამ ეკლესიების სახურავის მხოლოდ ნაწილი ყოფილა მოჭიქული კრამიტით დაფარული, ხოლო იქ სადაც გადახურვა ქვემოდან არ ჩანდა, მოჭიქავი კრამიტი დაუწყვიათ, აქედან გამომდინარე, მოჭიქულს როგორც ბევრად უფრო

ძვირად ღირებულ კრამიტს, უმთავრესად დეკორატიული მნიშვნელობა ენიჭებოდა. [ჯღამაია 1969: 100].

მოჭიქული კრამიტითვე ყოფილა დაფარული ტიმოთესუბანი, წუდრუდაშენი, გუდარეხი. 1968 წელს კვეტერაში არქეოლოგიური გათხრების შედეგად (ხელ-ლი გ. ლომთათიძე, რ. რამიშვილი), ზედა ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, ბურჯის ქვეშ გამოვლინდა ადრინდელი შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესიის ნაშთი, გაითხარა სასახლე, გაიწმინდა გუმბათოვანი ეკლესია, ციხის წყალსაცავი, მთავარი (დასავლეთის) კარიბჭე, რვაწახნაგა კოშკი. განათხარ მასალას ეძღვნება პროფ. დ. მინდორაშვილის პუბლიკაცია: კვეტერის ციხის არქეოლოგიური მასალა I. დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ცისფრად, მწვანედ და სოსნისფრად მოჭიქული კრამიტები საკუთრივ კვეტერაში. როგორც ავტორი აღწერს, ნაგებობათა გადახურვის სისტემასთან არის დაკავშირებული რკინის ოთხკუთხაგანიკვეთიანი ღეროს მქონე 11-15 სმ. სიგრძის ლურსმნები. მათი მეშვეობით, ზოგიერთი სახის კრამიტი სახურავის ძელებზე მაგრდებოდა. კვეტერაზე აღმოჩენილ სადა და მოჭიქული კრამიტის ერთ ნაწილს თავთან აქვს საღურსმნე ნახვრეტი. [მინდორაშვილი 2007: 101, 103].

მოჭიქული კრამიტის ორი ნატეხი აღმოჩენილია უფლისციხეში, რომელსაც დ. მინდორაშვილი განვითარებულ შუა საუკუნეებს მიაკუთვნებს. ერთი მათგანი მწვანედაა მოჭიქული, ხასიათდება დაბალი აკეცილი გვერდითა და მცირედ გამოშვერილი მუხლით. განიერ ბოლოზე აქვს გარდიგარდმო ღობე, მეორე კრამიტის აკეცილ გვერდებსა და სიბრტყეზე შეიმჩნევა სოსნისფერი ჭიქურის კვალი. [მინდორაშვილი 2006: 52].

მოჭიქული კრამიტით ყოფილა გადახურული ყინწვისის წმინდა ნიკოლოზის ეკლესია, (ამჟამად შეცვლილია ახალი კრამიტით)..

მეცნიერების ვარაუდით არ არის გამორიცხული, რომ მოჭიქული კრამიტით ყოფილიყო გადახურული თავის დროზე გრემის ნაქალაქარიც. ამის დადასტურებაა არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი მოჭიქული კრამიტები.

ციხფრად მოჭიქული დიდი ზომის კრამიტის ფილებით ყოფილა გადახურული ალავერდის მონასტერი.

შუა საუკუნეების ციხე-ქალაქის ხორნაბუჯის არქეოლოგიური გათხრების დროს (ხელ-ლი რ. რამიშვილი), შიდაციხისა და ქალაქის ტერიტორიაზე გავლებულ საკონტროლო თხრილებში აღმოჩნდა მოჭიქული და მოუჭიქავი კრამიტის ნატეხები.

მჭადიჯვარის მთავარანგელოზთა ეკლესიის კომპლექსში, შემავალი ეკლესია და ციხე-გალავანი (მომწვანო-ლურჯი) მოჭიქული კრამიტით იყო გადახურული, (ამჟამად სახურავი თუნუქისაა), ხოლო თავდაპირველად ციხურად მოჭიქული კრამიტით კი ახალი შუამთის მონასტრის ტერიტორიაზე აგურით ნაგები ეკლესია.

ორ ქრონოლოგიურ ჯგუფად იყოფა წყლულეთის ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა: საყოფაცხოვრებო კერამიკა (ქოთნები, დოქები, ჯამები, თასები) და სამშენებლო ნაწარმი (კრამიტი). პირველი ჯგუფის ნიმუშები XII-XIII საუკუნეებით თარიღდება, მეორე ქრონოლოგიური ჯგუფის მასალას შეადგენს XVI-XVII საუკუნეებით დათარიღებული ფირუზისფრად მოჭიქული ღარისებური კრამიტი, რომელიც ამ ხანის ძეგლებზე გვხვდება. [კვანტალიანი 2006: 16,18].

ციხურად მოჭიქული კრამიტები იქნა აღმოჩენილი სამთავისის კომპლექსის არქეოლოგიური გათხრების დროს.

თელავში, მეთუნეთა სახელოსნოს ნაშთების (ქურების ნაწილებითურთ), გათხრების შედეგად აღმოჩნდა, რომ აქ შუაფეოდალურ ხანაში უწევდათ მოჭიქული ჭურჭელი და კრამიტი. [ლომთათიძე 1969: 13].

კახეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მთხრობელთა პირადი დაკვირვების საფუძველზე, როგორც ლ. ბოჭორიშვილი აღნიშნავს, ირკვევა რომ აქ ძველად სხვა სახის კრამიტიც უკეთებიათ, ეს სხვაგვარი კრამიტი თვით მთხრობელთა მიერ ნახულს, „უწინდელ ჟამში აშენებულ“ ნაგებობებს ჰხურებია. უწინდელი კრამიტიც „ქართული კრამიტის“ ერთ-ერთი სახეობა ყოფილა, დღევანდელი კრამიტის მსგავსად, მასაც უფრო მოკლე ღარისებური მოყვანილობა ჰქონია, მაგრამ ამ უკანასკნელზე უფრო მოკლე და „წელის მილივით ვიწრო ყოფილა“. კერძოდ, ერთ-ერთის გადმოცემით, ფსიტიანის ციხეზე „მოკალული კრამიტის“ ნატეხებიც უნახავს და ამავე ციხის ახლო მდგომ მრავალწლოვან ფულურო ხეში შუშისა და ქაშანური ჭურჭლის ნამტვრევებიც აღმოუჩენია. (საქართველოშიც მოჭიქული ჭურჭლის აღსანიშნავად არის შემორჩენილი ტერმინი „ქაშანური ჭურჭელი“, რომელსაც კახეთში მოკალულსაც ეძახიან). „წელის მილივით ვიწრო“ კრამიტთან დაკავშირებულ ცნობას სხვა მთხრობელებიც ადასტურებენ. თელაველი ოსტატის გადმოცემით, ძველად „ბრტყელი კრამიტიც“ არსებულა, მას აქეთ-იქეთ სიგრძეზე შიბები ჰქონია“, გვერდებამაღლებული კრამიტი ყოფილა. ამგვარი მოყვანილობის „ქაშანური კრამიტი“, ახალი ბალახის ფერი“, ერთ-ერთ ძველ ეკლესიასაც ჰხურებია. [ბოჭორიშვილი 1949: 155-156]. ზოგიერთ ნაგებობაზე შემორჩენილი

სახურავის წყალობით, კახელ ოსტატთა გადმოცემებისა და ძველ ქართულ წერილობით წყაროებში მოხსენიებულ ცნობებიდან ცხადად ირკვევა, რომ ძველ საქართველოში გვერდებდახრილ, ღარისებურ კრამიტთან ერთად ბრტყელი კრამიტიც მზადდებოდა და აშკარად ჩანს რომ, ჩვენში კრამიტის მოჭიქვის წესიც არსებობდა. ვ. კიკნაძის, დ. ბაქრაძის და ე. თაყაიშვილის ინფორმაციაზე დაყრდნობით, ლ. ბოჭორიშვილი აღნიშნავს, რომ კახეთში, მდ. ინწოფას მახლობლად მდებარე ორ ეკლესიას საუცხოოდ მოჭიქული ბრტყელი და მრგვალად მოხრილი კრამიტი ჰყვარებია. მოჭიქული კრამიტი ალავერდის ტაძარსაც ჰქონია შემორჩენილი და თბილისში მდებარე ლურჯი მონასტერიც ლურჯად მოგლუსუნებული აგურისებური კრამიტით ყოფილა დახურული, (რომელსაც სახელი ლურჯად მოჭიქული გადახურვის გამო ეწოდა). მოყვანილობით ძლიერ მოხრილი ღარის მსგავსი მოჭიქული კრამიტი, მეტად დიდი ზომის ღარისებური კრამიტი და გვერდებშიბიანი ბრტყელი კრამიტიც იყალთოს გათხრების დროს იქნა მოპოვებული. [ბოჭორიშვილი 1949: 230].

ანტეფიქსები, სამშენებლო კერამიკის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს კერძოდ, მისი მოჭიქული ცალები, მაგრამ ამასთანავე გვხვდება მოუჭიქავიც. ეს სავარაუდოდ იმას ნიშნავდა, რომ ტაძრის გადასახურავად მხოლოდ მოჭიქული კრამიტი არ გამოიყენებოდა. ანტეფიქსების დიდი ნაწილი აღმოჩენილია ბაგრატის ტაძარზე და გელათში. ანტეფიქსები ხშირად გვხვდება ადორაციული წარწერებით ან ადორანტის გამოსახულებით.

ბაგრატის ტაძარზე აღმოჩენილი ანტეფიქსი X-XI საუკუნეებით თარიღდება:

შ. წ. №953 A-764/928).

ის ნახევარწრიული მოყვანილობის, ბრტყელი, სქელი ფილაა. მოჭიქულია მწვანედ. ანტეფიქსს ცალი მხრიდან აქვს ასომთავრული წარწერა და იკითხება როგორც „ქრისტე ადიდე“. თითქმის ანალოგიურია კიდევ 3 ცალი ანტეფიქსი. დაცულია მუზეუმის ექსპოზიციაში. ზომები: სიგრძე-15 სმ; სიმაღლე-9,5 სმ; სისქე-2,6 სმ; აღმოჩენილია: 1984 წელს „შიდა



ქალაქის” სასულიერო სასწავლებლის შენობის ეზოში. სიღრმე-3 მ. თითქმის ანალოგიურია კიდევ 3 ცალი ანტეფიქსი. დაცულია მუზეუმის ექსპოზიციაში. (ტაბ.III სურ. 5)

გელათში აღმოჩენილი ანტეფიქსი XII-XIII საუკუნეებით განისაზღვრა.

ქ.გ. №0205.08.

წითელკეციანი, მისი ზედაპირი დაფარულია მწვანე ჭიქურით. ანტეფიქსი წარმოადგენს თითქმის ტოლგვერდა სამკუთხედს, რომელზეც ზემოდან დატანილია ჯვარი. ჯვარი არის თავში ორად გახსნილი. მხრები სწორი და შემდეგ მკვეთრად დაშვებული. ბოლოში კი სფეროთი მთავრდება. ჯვარს მხრებს ზევით აქვს აქეთ-იქეთ თითო მიძერწილი კოპი. ანტეფიქსის უკანა მხარეს არის კრამიტზე დასამაგრებელი ბუდე. სავარაუდოდ აღორანტის გამოსახულებით?. დაცულია მუზეუმის ექსპოზიციაში. (ტაბ.IV სურ.5)



აღმოჩენილია: გელათის აკადემია, I სართულის ინტერიერის შევსების ფენა.

ანალოგიურია: ქ.გ. №0207.08. (ცისფერჭიქურიანი)

ქ.გ. №0206.08. (მწვანეჭიქურიანი)

ქ.გ. №0001.07. (მწვანეჭიქურიანი, თეთრად ანგობირებული)

§2. ზიქურიანი აბურები და შორენკეცები

განვითარებულ შუა საუკუნეებში სამშენებლო კერამიკის წარმოებასა და გამოყენებას უფრო ფართო მასშტაბი მიუღია, ვიდრე წინა პერიოდში. ამის დადასტურებაა როგორც იმდროინდელი შემორჩენილი აგურის ნაგებობანი, ისე არქეოლოგიური მასალა. როგორც ჯ. ჯღამაია აღნიშნავს, აგური ქართულ არქიტექტურაში არასოდეს ყოფილა წამყვანი და ძირითადი დამახასიათებელი მასალა. საქართველოში უხვად არსებული სამშენებლო ქვის ჯიშები მათი გამოყენების ფართო შესაძლებლობას ქმნიდა და ამგვარად, ქვის როგორც საშენი მასალის, უდიდესი უპირატესობა სავსებით კანონზომიერი ჩანს. ამრიგად, ჩვენში აგური საუკუნეთა მანძილზე დამხმარე მასალად ყოფილა მიჩნეული და იგი არ კარნახობდა თავისთვის შესატყვის სახეს ხუროთმოძღვრებას, მაგრამ მისი სხვადასხვა სახით გამოყენებამ, ჩანს მაინც გარკვეული ტრადიცია, წანამძღვარი შეუქმნა შუაფეოდალურ ხანაში მთლიანად აგურით ნაგებ შესანიშნავი ტაძრების ხუროთმოძღვრებას. [ჯღამაია 1968: 51].

შუასაუკუნეთა ქალაქებში თბილისი, ქუთაისი, დმანისი, თელავი, ახალქალაქი, ახალციხე, სამშვილდე და სხვ. წარმოდგენილი იყო ხელოსნობის ყველა ის დარგი, რომელიც იმ პერიოდში არსებობდა. ქალაქებში მომუშავე ხელოსანთა ნაწარმში

სამშენებლო კერამიკაც ვაჭრობის საგანს წარმოადგენდა, რითაც, ბუნებრივია, იქმნებოდა კონკურენცია, ეს კი თავისთავად ხელს უწყობდა ყველა დარგის განვითარებას. ყოველივე ამის დადატურებაა არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი უამრავი მასალა. 1948-49 წლებში თბილისის კერამიკული სახელოსნოს გათხრების დროს აღმოჩენილი ქურათა (ზედა ნაწილი დანგრეული აღმოჩნდა) შემორჩენილი ნაშთების მიხედვით არქეოლოგები ამტკიცებენ, რომ ქურის საძირკველი ქვით არის ამოყვანილი, ხოლო კედლები და თაღები ბრტყელი კვადრატული აგურითაა ნაშენი, (რომელიც თავიდანვე კი არა, უფრო ქურის მუშაობის პროცესში უნდა იყოს გამომწვარი.) როგორც ჯ. ჯღამაია მიუთითებს, მართალია, ეს ქურები მეჭურჭლე ხელოსნებს ეკუთვნოდათ, მაგრამ იქვე ახლოს უნდა ყოფილიყო, აგრეთვე სამშენებლო კერამიკის გამოსაწვავი ქურებიც, რომელთა არსებობაზეც მეტყველებს იმავე ექსპედიციის მიერ ძველი გადანაყარიდან ამოკრეფილი სამშენებლო კერამიკის მოჭიქული და მოუჭიქავი ნაწარმის ნიმუშები და აგრეთვე სახელოსნოს მახლობლად ლამაზად ნაწყობი აგურით აშენებული ფართო კიბეც. [ჯღამაია 1968: 51].

წერილობითი წყაროები და ჩვენს დრომდე შემონახული ეკლესია-მონასტრები მოჭიქული აგურის არსებობაზეც მოგვითხრობენ. სრული დამაჯერებლობით შეიძლება ითქვას, რომ ძველ საქართველოში მოჭიქული აგური ფართოდ იხმარებოდა, შესანიშნავი ქართული ჩუქურთმებით დამშვენებული ნაგებობები ზოგჯერ სხვადასხვა ფერად მოგლუსუნებული აგურებითაც იმკობოდა. მოჭიქული აგურებით ბოდბის მონასტრისა და რუისის ტაძრის კედლებია მოჭედილი. ტრაპეციის მოყვანილობის პატარა და საშუალო ზომის მოჭიქული აგურებია აღმოჩენილი დმანისის ნაქალაქარის გათხრების დროს. „მათ ზედაპირი მოჭიქული აქვს, ჩვეულებრივად მწვანე ფერის განუმჭვირავი მინარით, ხოლო გვერდები ამოღრმავებული, ალბათ, იმისათვის, რომ კედელში მათი დამაგრება ქვიტიკრით უფრო ადვილი ყოფილიყო“-წერს ლ. მუსხელიშვილი. [მუსხელიშვილი 1938: 399]

იმოწმებს, რა ლ. ბოჭორიშვილი დ. ბაქრაძის ცნობას, აღნიშნავს, რომ აღექსანდრეს მეფობაში აგებული რუისის ტაძარი XIV საუკუნეში თემურ ლენგის განადგურებული ტაძრის ადგილზე ყოფილა აშენებული და მოჭიქული აგურებიც ძველი ეკლესიის ნანგრევებიდან ყოფილა ამორჩეული. რამდენჯერმე განახლებული ბოდბის მონასტრის კედლის მოსართავი ფერადი აგურებიც, შეიძლება ძველი საქართველოს მეაგურეების ნოსტატარად ჩაითვალოს. ლ. ბოჭორიშვილის აზრით, მათი ხნოვანება შეიძლება მონასტრის აშენების თარიღს არ დავუკავშიროთ,

მაგრამ ამგვარი შემკულობა არც ბოლო უამს წარმოებულ განახლებათა შედეგად უნდა მივიჩნიოთ. [ბოჭორიშვილი 1949: 232].

ც. ჩაჩხუნაშვილი თავის სადისერტაციო ნაშრომში, ბოდბის წმინდა ნინოს მონასტრის შესახებ მიუთითებს, რომ ნართექსის დასავლეთი კედლისათვის სპეციალურად დაამზადეს მოჭიქული აგური, რომელსაც ჰქონდა ნაშვერები კედლის წყობაში ჩასამაგრებლად, ხოლო ეკლესიის დასავლეთი ფასადი შემოსეს ჭიქურიანი აგურით. ავტორის აზრით, ბოდბის ტაძრის განახლების პერიოდების მიხედვით, დასავლეთის ფასადის ჭიქურიანი აგურით შემკობა დაახლოებით XIV-XVI საუკუნეებში უნდა მომხდარიყო. ცისფრად მოჭიქული აგურის ჩანართებია იოანე ბოდბელის სასახლის ერთიან ბლოკში მოქცეული კარის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე. როგორც ავტორი აღნიშნავს, მოჭიქული აგურის მოხმარებას ბოდბეში ხანგრძლივი ისტორია აქვს. ნიშანდობლივია ისიც, რომ იოანე ბოდბელის მიერ დავით გარეჯში იოანე ნათლისმცემლის მონასტერში აგებული კოშკი მოჭიქული აგურით ყოფილა შემკული. [ჩაჩხუნაშვილი 2006: 47, 58, 108, 109].

XI-XII საუკუნეებში ფართოდ გაშლილმა საეკლესიო და საერო მშენებლობამ, ჩანს, რომ დიდი მოთხოვნილება წაუყენა კერამიკულ წარმოებასაც: თუ მანამდე აგური მხოლოდ თაღების გადასაყვანად და ქვის წყობის სიმტკიცის გასაძლიერებლად და დროდადრო მოსასწორებლად იხმარებოდა, ახლა უკვე ზოგი ტაძარი მთლიანად შენდება აგურით და თან ძვირფასი სასახლეებისა და ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშიც შემოდის საგანგებო კერამიკული მოსაპირკეთებელი მასალა-შორენკეცები. იმდროინდელი ქართული სათუნე წარმოების შესანიშნავ მიღწევად უნდა ჩაითვალოს სხვადასხვაფერად მოჭიქული, მოხდენილი და ტექნიკურად სრულყოფილი, ხშირად თეთრკეციანი (ფაიანსური) შორენკეცების მრავლად დამზადება. იმის მიხედვით, თუ შენობის რა ნაწილისათვის იყო განკუთვნილი, მზადდებოდა სხვადასხვა მოყვანილობისა და ზომის შორენკეცები, რომელიც თავიანთი ფერითა და ლაპლაპით თავისთავად ხელს უწყობდა შენობათა საერთო მხატვრული იერის სრულყოფას. [ჯღამაია 1969: 97].

ჟ. ჯღამაია აღწერს რა დმანისში, თბილისში, თუ კუხეთის რუსთავში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ შორენკეცებს, მიუთითებს, რომ მათ უმრავლესობას სამწახნაგოვან-პრიზმული განივკვეთი აქვს, ხოლო მათი გვერდები დანით არის ჯერ კიდევ ნედლ თიხაზე ამოდრმავებული, დუღაბში უკეთ ჩამაგრებისათვის ხელშესაწყობად. მათი გამოსაჩენი ზედაპირი უმთავრესად

ფირუზისფერი ან მწვანე ჭიქურითაა დაფარული. ნიშანდობლივია, რომ ზოგი მათგანის მოჭიქული ზედაპირი, როგორც ავტორი მიუთითებს იმის მანიშნებელია, რომ ისინი კედლების კუთხეების მოსაპირკეთებლად ყოფილან განკუთვნილი და ხელოსნებს წინასწარ დაკვეთით უკეთებიათ შორენკეცები: სცოდნიათ, თუ სად რა მოყვანილობის და ზომის დეტალები სჭირდებოდათ მშენებლებს. **[ჯღამაია 1969: 97-98].**

დმანისში საცხოვრებელი ნაგებობების, („დერეფნიანი შენობები“), გათხრების დროს როგორც ზედა ფენებში, ისე იატაკის დონეზეც, აღმოჩნდა ფირუზისფრად მოჭიქული სწორკუთხოვანი შორენკეცები, ვ. ჯაფარიძის აზრით, ამ შორენკეცებს არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონოდა დერეფნიან შენობასთან. მაგრამ მათი აქ არსებობა-ფაქტია. ამავე დროს, აღნიშნულ შორენკეცებს XIV-XV საუკუნეებით ათარიღებენ, ხოლო არქეოლოგები განათხარი კერამიკის მიხედვით შენობას კი XII საუკუნით და XIII საუკუნის დასაწყისით. მეცნიერების ვარაუდით, არ გამოირიცხება, რომ აღნიშნული შორენკეცი შეიძლება XIII საუკუნეშიც მზადდებოდა. **[ჯაფარიძე 1969: 67].**

განსაკუთრებით საყურადღებოა აქ აღმოჩენილი ფაიანსის შორენკეცები. როგორც ლ. მუსხელიშვილი წერს: „შორენკეცები, ორგვარია: არის ორი ნატეხი ლუსტრირებული ფაიანსის შორენკეცისა, რომელთაგან ერთი რვაქიმიანი ვარსკვლავის მოყვანილობის ყოფილა და მუქი რვალის ლუსტრით იყო შემკული, მეორე კი ჯვარის ერთ ფრთას წარმოადგენს, მისი ლუსტრი თითქმის სრულებით გადასულია. დმანისური ნატეხები მოყვანილობისა, ტექნიკისა და შემკულობის მიხედვით რეიდან და ვერამინიდან კარგად ცნობილ შორენკეცებს ენათესავებიან, რომლებიც დათარიღებულია XII საუკუნით. მეორენაირი შორენკეცი წარმოდგენილია ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ნატეხით: ეს არის რელიეფით შემკული და ფირუზისფრად მოჭიქული მაიოლიკის ნაწარმოები, რომელსაც ირანში XIV საუკუნით ათარიღებენ“. **[მუსხელიშვილი 1938: 399-400].**

დიდძალი და მრავალფეროვანი კერამიკა იქნა გამოვლენილი კუხეთის რუსთავის გათხრების დროს (1950-51, 1959-62 და 1965 წწ.), რომელიც მიმდინარეობდა ჯერ ნაქალაქარში, ხოლო 1959 წლიდან ნაციხვარას შიგნით, კერძოდ, მოჭიქული ჯამ-ჭურჭელი და ფაიანსის ნაწარმი, აგური, კრამიტი და მოჭიქული შორენკეცები. **[ლომთათიძე 1969: 8].** 1974-77 წწ. გაითხარა სასახლის I-VII ოთახი, კორიდორი და თავდაპირველი სასახლის კიბეები, სადაც აღმოჩნდა ცისფრად მოჭიქული სამწახნაგოვან-პრიზმული შორენკეცები. უმეტესობას თითო

წახნაგი აქვთ მოჭიქული, ორს კი ორ-ორი წახნაგი. ორგვერდმოჭიქული შორენკეცები, ალბათ კედლის კუთხეების მოსაპირკეთებლად იყო გამოყენებული. არქეოლოგები სასახლის მშენებლობის ორ ძირითად პერიოდს გამოყოფენ: IX-XI და XII-XIII სს. [არჩვაძე, ჩიკოიძე, ჩხატარაშვილი 2005: 6, 14, 17, 33, 37].

სამშენებლო კერამიკიდან შორენკეცები აღსანიშნავია ახალქალაქის ნაციხარის გათხრების შედეგად მოპოვებულ მრავალგვარ არქეოლოგიურ მასალებში (XI-XIII სს.). [ჯანდიერი 1969: 63].

ვარძიის ანსამბლის შუაგულში მდებარეობს ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია, რომელიც მონასტრის იდეოლოგიური და ამავე დროს კომპოზიციური ცენტრია. ჩრდილოეთით აგებულია აკლდამა, ფასადზე შემორჩენილი მოჭიქული შორენკეცების ნაშთებით. XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე აშენებული სამრეკლო, შემკული ორნამენტებით, კარიბჭის ფართო თაღი ერთადერთი და მთავარი არქიტექტურული ელემენტია მონასტრის ფასადის გაფორმებაში. სათავსოს დასამშენებლად გამოყენებული ყოფილა გამომწვარი თიხის მოჭიქული ფერადი ფილები. (ვარძიის მუზეუმშივე ინახება სამშენებლო კერამიკის რამდენიმე ნიმუში—„შემოღობილი“ ცისფერჭიქურიანი კრამიტები.

როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, არ არის გამორიცხული, რომ მოჭიქული შორენკეცები ყოფილიყო გამოყენებული გრემის ნაქალაქარის „მთავარანგელოზის“ ეკლესიის გადახურვის დროს.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად ირკვევა, რომ შორენკეცები იხმარებოდა არა მარტო ნაგებობათა კედლების შესამკობად, არამედ ხშირად იატაკზე მოსაფენადაც. ამას ამტკიცებს 1948 წელს თბილისის კერამიკულ სახელოსნოში გათხრების დროს აღმოჩენილი ექვსკუთხა, სწორკუთხა და კვადრატული, ჯერ მოუჭიქავი თუ უკვე მოჭიქული შორენკეცები. [ჯღამაია 1969: 98]

მათი გამოყენების ჯერჯერობით პირველ, შესანიშნავ მაგალითს იძლევა ოზაანის „ამაღლების“ ტაძარი (კახეთში), სადაც XII საუკუნის იატაკი, ხელახლა შეკეთების შემდეგ მოუფენიათ ტოლგვერდა-ექვსკუთხედი, რომბისებური და ტოლგვერდა-სამკუთხედი მოჭიქული ფილებით. ზოგ მათგანზე გრაფიტოს ტექნიკით გამოხატულია მცენარეული ორნამენტი. ფილა-შორენკეცები დაფარულია ყავისფერი, ფირუზისფერი და მწვანე ჭიქურით. მოხატვისა და მოჭიქვის ტექნიკაც მეჭურჭლისაა. როგორც გამოირკვა, ოსტატს ალბათ, ხის ყალიბში დაუყალიბებია საჭურჭლე სუფთა თიხისაგან ფილები და როდესაც ისინი ტყავის სიმაგრემდე შემშრალა, ოსტატს ფილების ზურვის მხარეს დანის პირით ამოუჭრია ღარები,

რომ დუღაბის საშუალებით იატაკზე ფილა მაგრად დაჰკროდა. ამის შემდეგ გასუფთავებულ ზედაპირზე ოსტატს გადაუვლია თეთრი ანგობის თხელი ფენა (როგორც ჭურჭელზე კეთდებოდა) და ანგობის შეშრობის შემდეგ, წვეტიანი ხელსაწყოთა საშუალებით ამოუკაწრავს ორნამენტული სახეები. კონტურული ნახატის შემდეგ ოსტატი ფერადი ჭიქურით ააჭრელებდა, მოხატავდა ორნამენტულ სახეებს და გამოსწავდა. პირველი, ნედლი გამოწვის შემდეგ, გამჭვირვალე ჭიქურით ხელახლა დაფარავდა მთელს ფილს და მეორე გამოწვაში გაატარებდა. როგორც ზ. მაისურაძე წერს: „ოზაანის მხატვრული არქიტექტურული კერამიკა არ შეიძლება შემთხვევით მოვლენად მივიჩნიოთ. არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს იყო ექსპერიმენტი და მარტო ამ ტაძრისათვის გაკეთდა. უფრო საფიქრებელია, რომ ასეთი კერამიკა ამკობდა კახეთის სხვა ტაძრებსაც და შეიძლება ზოგიერთ ქართლის ტაძარსაც, მაგრამ ისტორიის ავბედითობამ იგი დღემდე არ შემოგვინახა”. [მაისურაძე 1959: 10-11,14]. ქართულ არქიტექტურაში XII საუკუნეში ეს მოსაპირკეთებელი მასალა ფართოდ ყოფილა გამოყენებული, როგორც საერო, ისე საკულტო მშენებლობაში. როგორც აღნიშნავენ, ტიმოთესუბნის (XII ს.) გუმბათის ყელს ამშვენებს ცისფრად მოჭიქული შორენკეცების ერთი ზოლი და გუმბათის თაღების არეში ასეთივე შორენკეცებისაგან შემდგარი ჯვრები. იმავდროული, კაბენის წმ. გიორგის და ძველი ბოგვის ნასოფლარის „ცხრაკარა ეკლესიაც” ასეთივე ცისფრად მოჭიქული შორენკეცებით ყოფილა მორთული, ოღონდ შიგნით.

ათონის ივერიის მონასტერში XII ს. დაწერილ „სუმეონ ჭყონდიდელის გაზრდილის ნიკოლოზისათვის” განკუთვნილ ალაპში საუბარია იმის თაობაზე, რომ მან „..... ეკლესია მთავარანგელოზისა აღაშენა ყოველითურთ: მოხატვით, გამოჭიქვით.....” „გამოჭიქვა” კი როგორც ფიქრობენ, კედლის შორენკეცებით მოხატვას ნიშნავს. [ჯღამაია, 1969: 98].

საქართველოში ნაგებობათა შორენკეცებით შემკობა აღმოსავლეთის ქვეყნებიდან არის შემოსული. ეს კი განაპირობა საქართველოს გეოგრაფიულმა მდებარეობამ, ხანგრძლივმა ისტორიულმა მეზობლობამ, რაც საშუალება იყო ირგვლივ მცხოვრები ერთა კულტურის გაცნობის და სამშენებლო კერამიკისა და ხელოსნური ნაწარმის გაგრძელების. ყოველივე ამას მოჰყვა მოჭიქული კრამიტის გაჩენა. მრავალფერად მოჭიქული შორენკეცები და კრამიტები ყურადღებას იქცევდნენ გამოსაწვავი თიხის გულდაგულ შერჩევით, გამოწვის მაღალი ხარისხითა და ფერადი ჭიქურის ბრწყინვალეობით.

არ შეიძლება მოკლედ არ აღვნიშნოთ ის, ფაქტი, რომ არქეოლოგიური გათხრების შედეგად არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს ხშირია მოჭიქული კრამიტებით ნაგებობების დაბურვის ფაქტები. ასეთი ნიმუშები გვხვდება გვიანსაშუალო საუკუნეებში. კერძოდ, მოსკოვის, ფსკოვის, სუზდალის, ნოვგოროდის, კოსტრომის ტერიტორიებზე. კოლექციაში არის როგორც მოჭიქული კრამიტის, ასევე აგურისა და შორენკეცების ფრაგმენტები, რომელთაც მეორე მხრიდან აქვს რუმპა, რომლის მეშვეობითაც ხდება მისი დამაგრება ინტერიერის ან ფასადის კედელზე. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ XVI ს. ბოლოდან და XVII ს. პირველ ნახევარში დაიწყეს კრამიტით ღუმელების მორთვა (ძირითადად დომინირებს წითელი, მწვანე ცისფერი, ნაცრისფერი, ფერები, არის პოლიქრომულიც). ყველა ისინი მოჭიქულია ანგობზე, რაზეც მეტყველებენ ჭიქურის ნაშთების ფრაგმენტები. მკვლევარები (მ. რაბინოვიჩი, ა. ფილიპოვი, ა. მასლიხი, ნ. ვორონოვი, რ. როზენფელდი) მათ ტიპოლოგიური და ორნამენტის გამოყვანის მიხედვით სხვადასხვა პერიოდებით ათარიღებენ, (წითელი-XVI ს. ბოლო-XVII ს. დასაწყისი, მწვანე-XVII ს. შუა ნახევარი, პოლიქრომულ-რელიეფური-XVII ს. ბოლო), მაგრამ მათი შედარებისას იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ზუსტი ქრონოლოგიური საზღვრები მათ წარმოებაში არ არის და არც შეიძლება ყოფილიყო. [Зубарева]

XVI საუკუნის მოჭიქული ფილების ნიმუშებია აღმოჩენილი სმოლენსკში ტროიცკის მონასტრის ადგილზე შემორჩენილი მხოლოდ ორი გორაკის გათხრების დროს. ამ ადგილის მახლობლად მდ. კოვკასთან აღმოჩენილ იქნა ტაძრის შენობა, რომლის შიგნით იატაკი თითქმის არსად არ არის შემორჩენილი, აღმოჩენილია რამოდენიმე ტიპის მხოლოდ მოჭიქული ფილების ნაწილები, რომლებიც ძირითადად დაფარულია ერთფერიანი ჭიქურით ან მწვანე ან ყვითელი და ან შავი ფერის, მეორე ტიპის ფილები ისეთივე თიხისგან არის დამზადებული მხოლოდ მოგრძო ფორმისაა და მოჭიქულ ზედაპირზე, რომელიც ან მწვანე ან შავი, არის გამოსახული ყვითელი რგოლები, არის ფრაგმენტები ყვითელი ჭიქურით და მწვანე რგოლებით. იყო ნაპოვნი ერთი ისეთი ფილა, რომლის ზომაც ზუსტად ემთხვევა ორი ფილის მიერ წარმოქმნილი კუთხის სიცარიელეს. აგრეთვე არის აღმოჩენილი გაურკვეველი დანიშნულების ფილები, მათ აქვთ რომის ფორმა და დაფარული არის მკვეთრი მწვანე ფერის ჭიქურით, რომლები წვერზე გახვრეტილია, რაც გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ეს მოჭიქული

კრამიტია, რომელიც მიეკუთვნება XVI საუკუნეში ტაძრის რეკონსტრუქციას. **[Воронин, Раппорт].**

XVII საუკუნის მეორე ნახევრის, ღუმელის მოჭიქული კრამიტები არქიტექტურული დეტალები, ყვითელი მოჭიქული კრამიტები არის შემონახული ცარიცინოს კომპლექსში, ამავე პერიოდის მწვანე ფერის მოჭიქული კრამიტით მოპირკეთებული ღუმელები აღმოჩენილ იქნა ალექსეევსკის სასახლის გათხრების დროს, ჩიტას რაიონში მონღოლი ფეოდალის სასახლე გადახურული იყო მოჭიქული კრამიტით. XVII საუკუნის ძეგლის ნიჟნი ნოვგოროდის იოანე პრედტეჩის ეკლესიის 5 გუმბათი გადახურული იყო მწვანე მოჭიქული კრამიტით.

მონგოლეთის ერთ-ერთი უდიდესი მონასტერი ერდენ-ც'უ მთლიანად არის გადახურული მოჭიქული კრამიტით. 1948-1949 წლებში აქ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ იქნა სასახლე, რომელიც გადახურული იყო წითელი მოჭიქული კრამიტით. წითლის გარდა აღმოჩენილია აგრეთვე მწვანე და ლურჯი ფერის მოჭიქული კრამიტები.

XIII ს. ჩინგის ხანის მესამე ვაჟის უგედის სასახლის ორიარუსიანი სახურავი დახურული იყო მწვანე და წითელი ფერის მოჭიქული კრამიტით და მრავალი ნახევრად დრაკონის, ნახევრად ლომის სკულპტურული ფიგურებით.

როდესაც ვსაუბრობთ მოჭიქული სამშენებლო კერამიკის წარმოშობისა და მისი განვითარების ტენდენციებზე საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მნიშვნელოვანია განვიხილოთ ის თანამედროვე ტენდენციები, რომელიც დაინერგა ამ ბოლო წლების განმავლობაში მოჭიქული კერამიკის შესწავლისა და ანალიზისათვის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ნათლად ჩანს, რომ სამეთუნეო საქმის განვითარებაში დიდი მოვლენა იყო ჭიქურის გამოყენება, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა შრომის დარგობრივი დანაწილება. თუ წინამორბედ ხანაში ცალკე იყო გამოყოფილი მექვევრეები, მექოთნეები და ა. შ. ახლა ჩნდებიან კონკრეტულად მოჭიქვის ოსტატები, რომელთა შორისაც გაღრმავდა დარგობრივი დიფერენციაცია. კერძოდ, ცალკე გაჩნდნენ აგურისა და შორენკეცის, კრამიტის, საყოფაცხოვრებო ჭურჭლის დამზადების ოსტატები და ა. შ. ერთი სიტყვით, განვითარების თვალსაზრისით ეს იყო პროგრესი, რომელიც ხელს უწყობდა საზოგადოების ესთეტიკური გემოვნების ამაღლებას, ვაჭრობისა და აღებმცემობის გააქტიურებას და საბოლოოდ, ხელს უწყობდა საქალაქო ცხოვრების წარმატებასა და აყვავებას.

§3 ზიჰურის შესწავლის თანამედროვე არადესტრუქციული მეთოდები

როდესაც ვსაუბრობთ მოჭიქული სამშენებლო კერამიკის წარმოშობისა და მისი განვითარების ტენდენციებზე საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მნიშვნელოვანია განვიხილოთ ის თანამედროვე ტენდენციები, რომელიც დაინერგა ამ ბოლო წლების განმავლობაში მოჭიქული კერამიკის შესწავლისა და ანალიზისათვის.

1995-1997 წლებში ლისაბონის კრამიტის მუზეუმისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის რამდენიმე ქვეყნის სამეცნიერო ცენტრების ხელშეწყობით განხორცილდა ეროვნულ-სამეცნიერო პროექტი, რომელიც აჯამებდა 15 წლიან შედეგებს და მიზნად ისახავდა არადესტრუქციულ დახასიათებას იმ მასალებისა, რომელიც ფართოდ გამოიყენება კრამიტის წარმოებაში და ხმელთაშუაზღვისპირეთში გავრცელებული კულტურისათვის დამახასიათებელი მოჭიქული კერამიკის შესწავლა-ანალიზს.

ამ რეგიონში ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან დაიწყო მისი გამოყენება, როგორც გადასახური მასალა, აგრეთვე ფართოდ იყო ათვისებული მისი გამოყენება ფასადების მოსაპირკეთებლად. ამ ტერიტორიაზე გავრცელებული კრამიტი ძირითადად ოთხკუთხედი ფორმისაა, ზომიერი სისქის, მოჭიქვა მაღალი ხარისხისაა. კრამიტის ზედაპირზე ჭიქური ფენა სიმეტრიულადაა დატანილი. ნაშრომში საუბარია გარემოს ზემოქმედებასა და იმ კლიმატურ პროცესებზე, რომელიც მოჭიქულ კრამიტზე აისახება მზისა და წვიმის სახით და მნიშვნელოვნად აზიანებს კრამიტს. კერძოდ, მზე ერთ-ერთი პირველი ფაქტორია ექსტერიერში გამოყენებული კრამიტის დაზიანებისა. მზის ზემოქმედება პირველ რიგში იწვევს კრამიტის ფერის გახუნებას, რაც გამოწვეულია მაღალი ტემპერატურითა და აგრეთვე გამოსხივებით. კრამიტის დაზიანების უმნიშვნელოვანესი წყარო აგრეთვე გახლავთ წვიმა, რაც პირველ რიგში იწვევს მაღალ ნესტიანობას, ფოროვანებას და მის ჩამოშლას. ნაშრომში ფოტომასალის საფუძველზე ნაჩვენებია კერამიკის საგნის სხეულის მიკროსტრუქტურა, XVIII საუკუნის წმ. სალვადორის სახელობის ეკლესიის ექსტერიერის მოლურჯო-მოთეთრო ფერის მოჭიქული კრამიტის მიკროსკოპული ანალიზი, რომლის საფუძველზე დადგინდა, რომ წყლის ზემოქმედებამ განაპირობა კრამიტის ზედაპირისა და ჭიქურის დაზიანება. მისი დატანის არეში მოლეკულათა შორის არის გარკვეული „შეხორცება“. რაც ყველაზე ნიშანდობლივია, აღნიშნულ პროექტში, ეს არის სარესტავრაციო მასალების შეთავსებადობა, კრამიტის

გამძლეობის გახანგრძლივების ხელსაყრელი პირობები. როგორც უცხოელი მეცნიერების გამოცდილებებიდან ირკვევა, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი კრამიტის და ზოგადად მოჭიქული კერამიკის ნაერთების რესტავრაციის დროს არის მისი გაწმენდა ფორებში დაგროვილი მარილებისაგან, რაც ნივთის აღდგენის პირველი ნაბიჯია. პროცესუალური თვალსაზრისით, სწორად უნდა მოხდეს რესტავრაციის პროცესში აუცილებელი აქტივობების დაგეგმვა. აგრეთვე მნიშვნელოვანია იმ ნედლეულისა და ნივთიერებების შერჩევა, რომელიც განსაზღვრულია ნივთის რესტავრაციისათვის. როგორც ანტიკური და თანამედროვე კრამიტის ნიმუშების გამოკვლევამ აჩვენა მათი განსხვავებული სტრუქტურული შემადგენლობის გამო ისინი სხვადასხვაგვარად რეაგირებენ სხვადასხვა ქიმიურ ნივთიერებებზე. ვინაიდან თანამედროვე კერამიკა შედარებით დიდი რაოდენობით შეიცავს თუთიას (კრისტალური სახით), ის მასალები რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ ნივთების რესტავრაციის პროცესში, შეიძლება სრულიად გამოუსადეგარი გახდეს თუ საქმე ანტიკური წარმოშობის ნივთებთან გვაქვს.

რენტგენით კრამიტის ფრაგმენტის დასხივების შედეგად მიღებული სქემიური გამოსახულება (XRD), ეს არის არადესტრუქციული მეთოდი, რომელიც ფართოდ გამოიყენება კერამიკის გამოკვლევისა და შესწავლის პროცესში. ერთმანეთს შედარებულია სხვადასხვა ასაკისა და წარმოშობის, როგორც ძველი ასევე თანამედროვე მოჭიქული კრამიტის ფრაგმენტები. უცხოელი მეცნიერების აზრით, ანტიკური მასალების და მათ შორის კერამიკის შესწავლა ხშირად მოითხოვს ისეთი მეთოდოლოგიების გამოყენებას, რომლებიც არადესტრუქციული ხასიათისაა. სწორედ, ამიტომ რენტგენი და მსგავსი ტექნოლოგიები დღემდე შეუცვლელია კერამიკისა და მოჭიქული ნივთების გამოკვლევის პროცესში. არადესტრუქციული (რენტგენის ტიპის) ტექნოლოგიებიდან აღსანიშნავია: სპექტრომეტრი, იდენტიფიკაციის მეთოდი, ელემტერული მეთოდების ანალიზი, მასალის შესრუტვის სპექტროსკოპული გამოკვლევა, ქიმიური შეცველობის დადგენა. ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდები ლაბორატორიული სამუშაოს ტიპის მეთოდებია და არც ერთი მათგანი არ შეიცავს რაიმე განსაკუთრებულ რისკს ნივთის შესწავლისას. მეცნიერებმა მოჭიქული კერამიკის ფრაგმენტები რამოდენიმე სახის რენტგენის ანალიზითა და მეთოდით (SRXRF, XANES) გამოიკვლიეს. ყველა ნიმუში შეიცავს ტყვიას. ყვითელი შეფერილობის ჭიქურმა აჩვენა თუთიისა და ანთიმონის შემცველობა. **[Figueiredo, Pereira da Silva, Veiga]**

§4 მოჭიქული სამშენებლო კერამიკის ქუთაისური ნაწილი

თუ როგორი განვითარება ჰქონდა ქრონოლოგიურად და ტიპოლოგიურად მოჭიქულ სამშენებლო კერამიკას, განვიხილოთ ქუთაისისა და მისი შემოგარენის მაგალითზე. ჯერ კიდევ ოცადაათიან წლებში შოთა რუსთველის 750 წლის იუბელესთან დაკავშირებით არქეოლოგიური კვლევები ჩაატარეს გეგუთის ციხე-დარბაზის ტერიტორიაზე (XIII ს.) ვ. წილოსანის ხეკლმძღვანელობით, რომლის მიხედვითაც დადგინდა, რომ გეგუთის ციხე-დარბაზი კრამიტითაა გადახურული. კრამიტი დაწყობილია სახურავის მრუდე ფერდობზე და დუღაბის სქელ ფენაშია თითქოს განთქმული, მისი აცლა შეუძლებელია. როგორც მკვლევარი ვარაუდობს, ეს ხერხი გამოყენებულია, როგორც დიდი ქარების საწინააღმდეგოდ აუცილებელი საშუალება. იქ სადაც, გადახურვა ქვემოდან არ ჩანდა, მოუჭიქავი კრამიტი დაუწყვიათ, სახურავის დანარჩენი უდიდესი ნაწილი კი მწვანედ და მუქი ზეთისხილისფრად მოჭიქული კრამიტით იყო გადახურული. კრამიტი მოყვანილობით ორგვარი იყო: ბრტყელი კიდებაწვეული ნაპირებით ქვევით რიგისათვის და ნახევრადმრგვალი ზედა რიგისათვის, რომელიც ქვედა კრამიტის ნაპირებს ჰვარავდა. [წილოსანი 1938: 462, 467].

2008 წელს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის ქუთაისის არქეოლოგიურ ექსპედიციას დაუკვეთა სადაზვერვო-არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარება გელათის სამონასტრო ანსამბლის ტერიტორიაზე, რომლის მიზანი იყო კომპლექსის ძირითადი ნაგებობების გადახურვის ელემენტების დადგენა, რის განსახორციელებლადაც დაიგეგმა სხვადასხვა მოცულობის შურფების გაჭრა მთავარი ტაძრისა და სხვა ნაგებობების გარშემო. როგორც გათხრების შედეგად დადასტურდა კომპლექსის ცალკეული ნაგებობების გადასახურავად, გამოყენებული იყო მწვანედ, ლურჯად და ყავისფრად მოჭიქული კრამიტები.

ანალოგიური ვითარებაა ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ბაგრატის ტაძრის ინტერიერ-ექსტერიერში ჩატარებული სამუშაოების შედეგების მიხედვით.

ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა სამი ათეული წლის განმავლობაში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აქამდე გამოუქვეყნებელი მასალა.

მოჭიქული სამშენებლო კერამიკის განვითარებაში გამოვყავით ორი ძირითადი ქრონოლოგიური ჯგუფი:

პირველი ქრონოლოგიური ჯგუფი მოიცავს პერიოდს VIII საუკუნის ბოლოდან XIII საუკუნის ჩათვლით. ის შედგება სამი ქრონოლოგიური ქვეჯგუფისაგან:

I ქვეჯგუფი-VIII-IX საუკუნეები;

II ქვეჯგუფი-X-XI საუკუნეები;

III ქვეჯგუფი-XII-XIII საუკუნეები;

მეორე ქრონოლოგიური ჯგუფი მოიცავს პერიოდს XIV საუკუნიდან XVIII საუკუნემდე. ის გაყვავით ორ ქრონოლოგიურ ქვეჯგუფად:

I ქვეჯგუფი-XIV-XVI საუკუნეები;

II ქვეჯგუფი-XVII-XVIII საუკუნეები;

VIII-IX საუკუნეების კრამიტი, როგორც წესი წარმოდგენილია კალიპტერიითა და სოლენით, ზედაპირი დაფარულია მუქი მწვანე ჭიქურით. თიხა სუფთად განლექილია, კეცი ზედმიწევნით კარგად გამომწვარი. კრამიტებს, როგორც კალიპტერს, ისე სოლენს აქვს საღურსმნე ნახვრეტი. დათარიღების ამოსავალი არის ის, რომ რამოდენიმე ფრაგმენტი აღმოჩნდა ბაგრატის ტაძრის იატაკქვეშ. ბაგრატის ტაძრის იატაკი, რამდენადაც ცნობილია განმტკიცდა 1003 წელს. (X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის დასაწყისში). ბაგრატის ტაძრამდე იქ VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან არსებობდა „ქუთათისის საყდარი“, რომელიც ჩვენი ვარაუდით გადახურული უნდა ყოფილიყო აღნიშნული კრამიტით. (VIII საუკუნის ბოლოს). ზოგადად ქალაქის განვითარების სურათი გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ქუთათისი, როგორც საერო და სახელისუფლებო ცენტრი აღმავლობის გზაზეა. აქ შენდება კათედრალური ტაძარი, აგურის სამეფო სასახლე, წყალგაყვანილობა და სხვ.

X-XI საუკუნეებშიც ძირითადად მეორდება კრამიტის ფორმა და კეცი. ეტყობა უფრო მასობრივი წარმოება, მწვანე ფერთან ერთად უკვე დომინირებს ყავისფერი, ღვიძლისფერი ჭიქური. კრამიტები ზომებში წინა პერიოდთან შედარებით ოდნავ მომატებულია და კალთები კი ოდნავ გაშლილი. მათი თანადროული ჩანს ანტიფიქსები ასომთავრული წარწერებით. სავარაუდოდ, ამ კრამიტით იყო უკვე დახურული ბაგრატის ტაძარი.

XII-XIII საუკუნეების კრამიტი ძირითადად წარმოდგენილია გელათიდან და ქუთათისის ციხიდან. კრამიტის ფორმები იგივეა, მაგრამ გარეგნული სახე შესამჩნევად იცვლება. თავი უფრო ვიწრო, ბოლო უფრო გაფართოებული და კალთებგაშლილი. უკვე გვხვდება თეთრად ანგობირებული კრამიტი, რომელზეც გადავლებულია მწვანე და შავიამნისფერი ჭიქური. საკუთრივ კრამიტს კარგად

ათარილებს (XII საუკუნის I ნახევარი) მოჭიქული კრამიტით გაყვანილი სანიაღვრე არხი, სადაც ჩალექილი აღმოჩნდა XIII საუკუნის ვერცხლის მონეტები (2 ც.). საგარაუდოდ, ამ პერიოდს განეკუთვნება გელათში აღმოჩენილი ანტეფიქსები, რომლის ზედაპირზე გამოსახულია სფეროზე ამოყვანილი ჯვარი. (აღორანტი?)

ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია ლორფინისმაგვარი, ქარსმინარეგებიანი უხეში თიხისაგან დამზადებული, შაბიამნისფერჭიქურიანი კრამიტი. ანალოგიურია ტიმოთესუბნიდან შემოტანილი კრამიტი, რომელიც მუზეუმს 20-იან წლებში გადმოსცა დიმიტრი შევარდნაძემ. ეს კრამიტის სრულიად განსხვავებული ფორმაა.

XIV-XVI საუკუნეების კრამიტები წარმოდგენილია გელათის სამონასტრო კომპლექსიდან. ძირითად დომინირებს უანგობო მწვანედ, ყავისფრად მოჭიქული კრამიტები. თუმცა გვხვდება სოსნისფრად და შავად მოჭიქულებიც.

XVII-XVIII საუკუნეების კრამიტები გამოირჩევა მდარე ხარისხით, კერძოდ, თხელკედლიანი, უხეშკეციანი, არასტანდარტული. წარმოდგენილია გელათიდან და ქუთაისის ციხიდან. მოჭიქულია ყავისფრად, ღვიძლისფრად, ლურჯად და ცისფრად.

XVI-XVII საუკუნეებით უნდა დათარიღდეს ქუთაისის ციხეზე აღმოჩენილი ღვიძლისფრად მოჭიქული აგური და მისი ფრაგმენტები. კატალოგის სახით წარმოგიდგენთ თითოეულ მათგანს:

პირველი ქრონოლოგიური ჯგუფის I ქვეჯგუფი (VIII-IX სს.)

შ.წ. №9539, A-764. (ქ.ც. საგ. №3207.85)

კრამიტი. ღარიანი (კალიპტერი), წითელკეციანი, ზედაპირი დაფარულია მწვანე ჭიქურით. კრამიტს თავსა და ზურგის შეერთების ადგილას აქვს ქედი, სალურსმნე ნახვრეტით. ბოლოში განივად დაუყვება ვიწრო წიბო. კრამიტის თავი შედარებით ვიწროა, ვიდრე ძირითადი ტანი. თავის ორივე კიდეები ირიბადაა დაშვებული. ზომები: გადასაბმელი თავის სიგრძე – 8 სმ; ტანის სიგრძე – 31 სმ; მთლიანად – 39 სმ; კალთებს შორის სიგანე -11,5 სმ; სიმაღლე თავთან-7 სმ; ბოლოში-9,5 სმ; კეცის სისქე-2 სმ; კეცის სისქე თავთან-1 სმ; ქედის სიმაღლე თავიდან-2,5 სმ; აღმოჩნდა ბაგრატის ტაძრის სამხრეთ ფერდობზე „შიდა ქალაქის“ ტერიტორიაზე, გაბრიელის სახლის ქვეშ 2 მ-ის სიღრმეზე. (ტაბ. II სურ. 2)



ანალოგიურია: შ. წ. №9053 B-; შ. წ. №9539 A-764. ქ.ც. საგ. №3477.85; შ. წ. №9539 A-764. ქ.ც. საგ. №943.84;

შ. წ. №9053₁ B-16.86.

კრამიტი. ღარიანი (კალიპტერი), ყავისფერკეციანი, ზედაპირი დაფარულია მწვანე ჭიქურით. კრამიტს თავსა და ზურგის შეერთების ადგილას აქვს ქელი. კრამიტს ბოლოში ღარი ნახევრად დახურული აქვს, გარედან ორნამენტის იმიტაციაა და ქმნის დასრულებულ სახეს. კრამიტს გადასაბმელი თავი წატეხილი აქვს. ზომები: სიგრძე-34 სმ; სიგანე თავთან და ბოლოში-10,5 სმ; კეცის სისქე-2 სმ; ქელის სიმაღლე-2,5,სმ; კრამიტის სიმაღლე-9,5 სმ.

აღმოჩენილია შემთხვევით ბაგრატის ტაძრის ტერიტორიაზე. მუზეუმში შემოვიდა 1981 წელს. (ტაბ. II სურ.3)



შ.წ. №9053/2 B-16.87.

კრამიტი. ბრტყელი (სოლენი), გვერდებაკეცილი (ბორტიანი). წითლად გამომწვარი. კეცი გადანატეხში ნაცრისფერია. ზედაპირი დაფარულია მწვანე ჭიქურით. კრამიტი გატეხილია ორ ნაწილად და აკლია მარცხენა მხარის თავის და ბოლოს ფრაგმენტები. კრამიტზე არ არის გამოყოფილი სამუხლე. შუაში ზედაპირი ამობურცულია, რომელზეც არის საღურსმნე ნახვრეტი. ბორტი უფრო თხელია, ვიდრე ტანი. კრამიტის ბოლოში არის საყრდენი ბორტი, რომელიც ქმნის მართკუთხეს. ზომები: სიგრძე-41 სმ; სიგანე-26 სმ; კეცის სისქე-2,3 სმ; ბორტის სისქე-1,3 სმ;

ბორტის სიმაღლე გარედან-6 სმ; კოპის სიმაღლე-2 სმ.



აღმოჩენილია 1981 წელს ბაგრატის ტაძრის ტერიტორიაზე ისტორიული მუზეუმის თანამშრომელთა მიერ. (ტაბ. II სურ. 4)

ანალოგიურია: შ. წ. №9539 A-764. ქ.ც. საგ. №1177.84; ქ.ც. საგ. №670. 07; ქ.ც. საგ. №2661.84;

ქ.ც. საგ. №502.06.

კრამიტი. ბრტყელი (სოლენი), ყავისფრად გამომწვარი. კეცი გადანატეხში ნაცრისფერია. ზედაპირი დაფარულია მოცისფრო ჭიქურით. შემორჩენილია მხოლოდ ტანის ფრაგმენტი. კეცის სისქე-2,2 სმ. აღმოჩენილია ბაგრატის ტაძარში XI ს. იატაკის ქვეშ ანატაკეცების ფენაში.



ფაქტურის მიხედვით შემოთადწერილი კრამიტების ანალოგიურია და შესაბამისად მათ დათარიღებაში გადამწევეტი მნიშვნელობა აქვს, როგორც ბაგრატამდელი ნაგებობის საბურველის ნაშთი. (ტაბ. II სურ. 5)

პირველი ქრონოლოგიური ჯგუფის II ქვეჯგუფი (X-XI სს).

შ. წ. №9539; A-764. (ქ.ც. საგ. №3574. 85)

კრამიტი. კალიპტერი. წითელკეციანი. ზედაპირზე გადავლებულია ყავისფერი ჭიქური. თავისა და ზურგის გადაბმის ადგილზე აქვს ქედი, რომელზეც დატანილია სალურსმნე ნახვრეტი. კრამიტის კიდეები არათანაბარი სისქისაა. კრამიტს დაზიანებული აქვს ზურგი და აკლია თავი. ზომები სიგრძე-34 სმ; კეცის სისქე-2 სმ; სიგანე თავთან-12,5 სმ; ბოლოში-14,5 სმ; სიმაღლე-8 სმ; ქედის სიმაღლე-2,5 სმ; აღმოჩენილია ბაგრატის ტაძრის სამხრეთ ფერდობზე „შიდა ქალაქის“ ტერიტორიაზე გაბრიელის ეზოში დასავლეთის კედლის შიდა მხარეს კერამიკული სახელოსნოს ჩრდ.-აღმოსავლეთით. (ტაბ. III სურ. 1) ამავე



ჯგუფს განეკუთვნება ანალოგიური ფრაგმენტები: შ. წ. № 9539 A-764 ქ.ც. საგ. №1237/1-84; შ. წ. № 9539 A-764 ქ.ც. საგ. №3446.85; შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №1237/3. 84; შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №1260. 84; შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №381.84;

შ. წ. №9539 A-764. (ქ.ც. საგ. №3433.85).

კრამიტი. კალიპტერი, წითელკეციანი. ზედაპირზე გადავლებული აქვს მუქი მომწვანო ჭიქური. კრამიტს ბოლოში ზურგზე აქვს განივი წიბო. კრამიტი ორ ნაწილად არის გატეხილი და შემორჩენილია უკანა მხარე. შემორჩენილი სიგრძე-17 სმ; სიგანე-12 სმ; კეცის სისქე-2 სმ; სიმაღლე-7,3 სმ.

აღმოჩენილია ბაგრატის ტაძრის სამხრეთ ფერდობზე „შიდა ქალაქის“ ტერიტორიაზე, გაბრიელის ეზოს დასავლეთი მხარე. კერამიკული სახელოსნოს ჩრდილო-აღმოსავლეთ გაგრძელება. (ტაბ. III სურ.2)



მსგავსია ფორმით და ფაქტურით: საგ. №3563.85. (მოშავო); ქ.ც. საგ. №1237/2-84 ქ.ც. საგ. №3734. 85. (ყავისფერი); შ. წ. №9539. A-764 ქ.ც. საგ. №3718. 85. (ყავისფერი); შ. წ. №9539. A-764 საგ. №3431. 85. (მწვანე); შ. წ. №9539. A-764 საგ. № 695. 84. (მწვანე); შ. წ. №9539. A-764 საგ. №1225. 84. (მწვანე).

შ. წ. №9539 A-764. (საგ. №1933/12. 84).

კრამიტი. სოლენი, წითელკეციანი. ზედაპირზე გადავლებულია ღვიძლისფერი ჭიქური. გატეხილია ორ ნაწილად და შემორჩენილია თავის მარჯვენა მხარე. მუხლი გამოკვეთილი არ აქვს და მხოლოდ ბორტი არის მცირედ დადაბლებულ-შეთხელებული. ბორტი თავში ვიწროვდება და ქმნის მომრგვალებულ ზედაპირს.

ზომები: შემორჩენილი სიგრძე-14 სმ; კეცის სისქე-2,3 სმ; ბორტის სისქე ბოლოში-2 სმ; თავში-0,7 სმ-მდე; ბორტის სიმაღლე გარედან-6 სმ.



აღმოჩენილია ბაგრატის ტაძრის მიდამოებში, „შიდა ქალაქი“, გაბრიელის ეზო. (ტაბ. III სურ3)

შ. წ. №9539 A-764. (საგ. №3575. 85).

კრამიტი. სოლენი, წითელკეციანი. ზედაპირზე და (ძირზეც) გადავლებულია მოცისფრო-მომწვანო ჭიქური. შემორჩენილია მარცხენა მხარის ტანისა და ბორტის ფრაგმენტი. ბორტზე შეიმჩნევა მუხლის კვალი. ზომები: შემორჩენილი სიგრძე-14 სმ; კეცის სისქე-2,3 სმ; ბორტის სისქე-1,8 სმ; ბორტის სიმაღლე-6 სმ; აღმოჩენილია ბაგრატის ტაძრის მიდამოებში, „შიდა ქალაქი“, გაბრიელის ეზო. კერამიკული სახელოსნოს გარეთა მხარე. (ტაბ. III სურ 4)



შ. წ. №953 A-764/928.

ანტეფიქსი. წითელკეციანი. ნახევარწრიული მოყვანილობის, ბრტყელი, სქელი ფილა. მოჭიქულია მწვანედ. ანტეფიქსს ცალი მხრიდან აქვს ასომთავრული წარწერა და იკითხება როგორც „ქრისტე აღიდე“. ზომები: სიგრძე-15 სმ; სიმაღლე-9,5 სმ; სისქე-2,6 სმ; აღმოჩენილია 1984 წელს „შიდა ქალაქის“ სასულიერო სასწავლებლის შენობის ეზოში. სიღრმე-3 მ. თითქმის ანალოგიურია კიდევ 3 ცალი ანტეფიქსი. დაცულია მუზეუმის ექსპოზიციაში. (ტაბ. III სურ.5)



პირველი ქრონოლოგიური ჯგუფის III ქვეჯგუფი (XII-XIII სს.)

შ. წ. №10231/4. (ქ.გ). საგ. №0066.07.

კრამიტი. კალიპტერი, წითელკეციანი, წვრილი, ქარსმინარეკებიანი თიხა. ზედაპირზე თავდაპირველად გადავლებულია ანგობი და შემდეგ მწვანე ჭიქური. თავისა და ზურგის გადაბმის ადგილზე აქვს ქედი, რომელიც თავის კიდებამდე ჩამოდის. კრამიტი თავისაკენ ვიწროა, ბოლო შედარებით გაშლილია.

ზომები: მთლიანი სიგრძე – 37,5 სმ; თავის სიგრძე – 5 სმ; სიგანე თავთან-13 სმ; ბოლოში-18 სმ; სიმაღლე თავთან-7,3 სმ; ბოლოში-10,5 სმ; ქედის-2,5 სმ; კეცის სისქე – 1,7 სმ; თავთან -1,4 სმ. აღმოჩენილია: გელათის მთავარი ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ძველი ეკლესიის ინტერიერში, რომელშიც გადაკეთების შემდეგ გაუყვანიათ სანიაღვრე არხი. კრამიტი არხის შემადგენელი ნაწილია. ამავე არხში ჩაღეკილი იყო მე-13 საუკუნის ვერცხლის მონეტები (2 ც.), რაც კარგად ათარიღებს არხის ფუნქციონირებას (XII-XIII სს.) და საკუთრივ კრამიტის გამოყენების პერიოდს (XII ს. I ნახევარი). (ტაბ.IV სურ.1)

ანალოგიური ფრაგმენტებია ——— ქ.გ. №0013_{1,2}.09. (აკადემიის ექსტერიერი ნაკვეთი FV კვადრანტი 46, რომელიც რესტავრირებულია); ქ.გ. 0195.08. (აკადემიის I სართულის ინტერიერი); ქ.გ. 0198.08. (აკადემიის I სართულის ინტერიერი).



ქ.გ. საგე. №0009_{1,2,3}.09

კრამიტი. სოლენი, კეცი მოწითალო ფერის. მეტნაკლებად ფოროვანი თიხა. ზედაპირზე გადავლებულია ანგობი და მწვანე ჭიქური. ბორტზე აქვს მუხლი. უკანა მხარეს კრამიტი ბოლოვდება ოთხკუთხა ფორმის წიბოთი. ბორტის სისქე ძირითადი კეცის შესაბამისია. შედგება სამი ნატეხისაგან და წარმოადგენს მარჯვენა მხარის ფრაგმენტს. ზომები: სიგრძე მთლიანი – 36,5 სმ; მუხლის სიგრძე – 5 სმ; კეცის სისქე – 1,7 სმ; „ბორტის“ სისქე თავში – 2 სმ; ფუძესთან – 3 სმ; „ბორტის“ სიმაღლე – 5 სმ.




აღმოჩენილია: გელათის აკადემიის ჩრდილოეთით (ექსტერიერი). ნაკვეთი FV კვადრატი 46. №48 არხიდან. (ტაბ. IV სურ. 2)

ანალოგიური ფრაგმენტებია – ქ.გ. №0190.08 (ეპისკოპოსის სახლის უკანა მხარს გაჭრილი შურფი); ქ.გ. № 0124.07 (მთავარი ტაძრის აღმოსავლეთის ექსტერიერი); ქ.გ. №0009_{1,2,3}.09. და ქ.გ. №0066.07 უნდა ქმნიდნენ ერთ კომპლექტს.

ქ.გ. საგ. №0021. 07.


კრამიტი. კალიპტერი. ყავისფერკეციანი. ქარსმინარევეებიანი თიხა. ზედაპირზე გადავლებულია შაბიამნისფერი ჭიქური. კეცის სისქე 1,6 სმ. აღმოჩენილია გელათის მთავარი ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით გაჭრილ შურფში, ნაპოვნია სამშენებლო ანატკეცებში. (ტაბ. IV სურ.3)



ანალოგიური: ქ.გ. №0194.08. (აკადემიის I სართული სინტერიერი) ქ.გ. №0010.08; ქ.გ. №003.09. (მუქი მწვანე ჭიქურიანი).

შ. წ. №10130. A-842. ქ.ც. საგ. №7781.90/_{1,2,3,4}.

კრამიტი. ბრტყელი (ღორფინისებური). წითელკეციანი, ქარსმინარევეებიანი უხეში თიხა. ზედაპირზე გადავლებულია შაბიამნისფერი ჭიქური. კრამიტს ორივე მხრიდან აქვს საკმაოდ ღრმა ღარები და წარმოადგენს წაკვეთილი კონუსის ფორმას. ზომები: სიგრძე რესტავრაციით- 52,5 სმ; სიგანე ფართო მხარეს-23 სმ; ვიწრო მხარეს-18 სმ; კეცის სისქე-3,5 სმ; ღარის დიამეტრი- 2 სმ; აღმოჩენილია ბაგრატის ტაძრის ახლოს. (1990 წელს გადასცეს ქუთაისის არქეოლოგიურ ექსპედიციას). (ტაბ. IV სურ. 4)ანალოგიურია: შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №139.84 (გაბრიელის ეზო, ჭრილი №3);



შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №574.84 (გაბრიელის ეზო, ჭრილი №3); შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №591.81 (გაბრიელის ეზო, ჭრილი №3); შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. 7783.90; შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. 7781. 90; შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. 7782.90; შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. 7788.90; შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. 7794.90; შ. წ. №5684 A-270/4 ტიმოთესუბნიდან. ეს ეკლესია დათარიღებულია XII საუკუნით. შესაბამისად უნდა ვივარაუდოთ, რომ ლორფინისმაგვარი, სქელკედლიანი, ფირუზისფერჭიქურიანი კრამიტები XII-XIII საუკუნეებში მზადდებოდა. სავარაუდოდ, მას უფრო დეკორატიული დანიშნულება ჰქონდა.

ქ.გ. №0205.08.

ანტეფიქსი. წითელკეციანი, ზედაპირი დაფარულია მწვანე ჭიქურით. ანტეფიქსი წარმოადგენს თითქმის ტოლგვერდა სამკუთხედს, რომელზეც ზემოდან დატანილია ჯვარი. ჯვარი არის თავში ორად გახსნილი. მხრები სწორი და შემდეგ მკვეთრად დაშვებული. ბოლოში კი სფეროთი მთავრდება. ჯვარს მხრებს ზევით აქვს აქეთ-იქეთ თითო მიძერწილი კოპი. ანტეფიქსის უკანა მხარეს არის კრამიტზე დასამაგრებელი ბუდე. სავარაუდოდ,



აღორანტის გამოსახულებით. აღმოჩენილია: გელათის აკადემია, I სართულის ინტერიერის შევსების ფენა. (ტაბ.IV სურ.5) ანალოგიურია: ქ.გ. №0207.08. (ცისფერჭიქურიანი); ქ.გ. №0206.08. (მწვანეჭიქურიანი); ქ.გ. №0001.07. (მწვანეჭიქურიანი, თეთრად ანგობირებული).

მეორე ქრონოლოგიური ჯგუფის I ქვეჯგუფი (XIV-XVI სს.)

ქ.გ. საგ. №0191.08.

კრამიტი. კალიპტერი, მოწითალო ფერის კეციანი. ზედაპირზე გადავლებულია ანგობი და მწვანე ჭიქური. კრამიტს თავისა და ზურგის შეერთების ადგილზე მხარზე აქვს დაბალი ქედი. კრამიტი შემორჩენილია ფრაგმენტული სახით. ზომები: კეცის სისქე – 1,4 სმ; ქედის სიმაღლე-2 სმ.

აღმოჩენილია გელათის მონასტრის ეზოში, ეპისკოპოსის სახლის უკანა მხარეს №20 გეოლოგიურ შურფში. (ტაბ. V სურ.1)

ანალოგიურია: ქ.გ. №120.07; ქ.გ. №0199.08.

(აკადემიის I სართულის შევსების ფენა). ქ.გ. №0192.08.

ქ.გ. №0114.07. (მოჭიქულია ცისფრად)



ქ.გ. საგ. №0094.07.

კრამიტი. სოლენი, რუხი, მოშავო-მონაცრისფრო კეციანი. ზედაპირზე გადავლებულია ყავისფერი ჭიქური. კრამიტი ტრაპეციის ფორმის უნდა ყოფილიყო. კრამიტის ტანზე უკანა მხრიდან იკითხება X -ის მაგვარი ანაბეჭდი. შეიმჩნევა მუხლის კვალიც.

ზომები: შემორჩენილი სიგრძე-24 სმ; სიგანე თავიდან-21 სმ; ბოლოში-24 სმ; კეცის სისქე – 2 სმ; მუხლის სიგრძე-3 სმ; აღმოჩენილია გელათში, მონასტრის ეზოში, ეპისკოპოსის სახლის უკან. (ზედაპირულად ანაკრეფი). (ტაბ. V სურ.2)



ქ.გ. საგ. №0002.09.

კრამიტი. კალიპტერი (ღარიანი). კრამიტის გვერდის ნაწილი წითელკეციანი ქარსმინარეგებიანი თიხაა. კრამიტის ზედაპირი დაფარულია სოსნისფერი ჭიქურით. ზომები: კეცის სისქე-1,9 სმ; ფრაგმენტის სიგრძე-15 სმ; აღმოჩენილია გელათში აკადემიის ჩრდ. ექსტერიერი, ნაკვეთი FV კვადრატ 46 (შერეული ფენა). (ტაბ.V სურ.3)



ქ.გ. საეფლე №0007.09.

კრამიტი. სოლენი, (ბრტყელი). კრამიტის ბორტისა და ტანის მარცხენა ფრაგმენტი.

რუხ-შავფერად გამომწვარი თიხა. გადავლებულია შავი ჭიქური. ბორტი უფრო სქელია, ვიდრე ტანი. ზომები: ფრაგმენტის სიგრძე-11 სმ; კეცის სისქე – 1,8 სმ; ბორტის კეცის სისქე – 2,3 სმ; ბორტის სიმაღლე-5 სმ.გელათის გაღავნის ჩრდილო დასავლეთით ზედაპირულად ანაკრეფი მასალა. (ტაბ.V სურ.4)



შ. წ. №10130 A-842 (ქ.ც. სავ. №7799.90).

კრამიტი. (ლორფინისებური). წითელკეციანი. ქარსმინარეგებიანი უხეში თიხა.

ზედაპირზე გადავლებულია შაბიამნისფერი ჭიქური. კრამიტს შიდა მხრიდან ორივე გვერდზე აქვს ღარები, ერთმანეთზე გადასაბმელი კიდევები. ზომები: სიგანე-21,5 სმ; კეცის სისქე-2,5 სმ; ღარის d=2 სმ; აღმოჩენილია ბაგრატის ტაძრის ახლოს. (1990 წელს გადასცეს ქუთაისის არქეოლოგიურ ექსპედიციას). (ტაბ. V სურ. 5). ანალოგიურია:



შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. სავ. №7784.90; შ. წ. №5684 A-266/3 (ტიმოთესუბანი); შ. წ. №5684 A-266/5 (ტიმოთესუბანი). აღნიშნული ეკლესიის საბურველის ზემოთ მითითებული ფრაგმენტები ქუთაისის მუზეუმს გადასცა დიმიტრი შევარდნაძემ (1914 წ.)

შ. წ. №10231/1.

კრამიტი. სოლენი, წითელკეციანი, ზედაპირი დაფარულია მწვანე ჭიქურით. კრამიტს ბოლოში აქვს განივი დაბალი ბორცისებური კიდე. კრამიტის ბორტი მუხლთან ირიბად არის წაკეეტილი.

ზომები: მუხლის სიგრძე-3 სმ; სიგრძე-37 სმ; სიგანე თავში-22 სმ; ბოლოში-29 სმ; კეცის სისქე-2 სმ; ბორცის სისქე-2 სმ; ბორცის სიმაღლე-5 სმ; აღმოჩენილია გელათში, მთავარი ტაძრის II სართულზე, სამხრეთის სარკმელში. (ტაბ.V სურ.6).ანალოგიურია: შ. წ. №10231/2; შ. წ. №10231/3; ქ.გ. №0093/1.



07; ქ.გ. №0093/2. 07; ქ.გ. 0006.09; ქ.გ. 0004.09; ქ.გ. 0200.08; ქ.გ. 0002.07; ქ.გ. 0011/1,2.09; ქ.გ. 0012.09; ქ.გ. 0201.08. (მუქი შაბიამნისფერი). (XV ს.)

შ.წ. №10231

კრამიტი. სოლენი, წითელკეციანი, ზედაპირი მოჭიქულია ღია ყვითლად. ზომები: კეცის სიქე-1,6 სმ-იდან 2 სმ-მდე. ბორცის სისქე-2 სმ. აღმოჩენილია გელათში, XIII საუკუნის წმ. გიორგის ეკლესიის კარიბჭეში, რომელიც გვიან XIV-XV საუკუნეებში ჩანს მიშენებული. (ტაბ.VI სურ1)



მეორე ქრონოლოგიური ჯგუფის II ქვეჯგუფი (XVII-XVIII სს.)

შ. წ. №9536 A-764 ქ.ც. საგ. №1738.84.

კრამიტი. სოლენი, ბორცის ფრაგმენტი. წითელკეციანი. ზედაპირზე გადავლებულია ყავისფერი ჭიქური. ბორტი უფრო სქელია, ვიდრე ტანი. ბორცის შიდა მხარე ტანთან ქმნის



გაშლილ კუთხეს. ზომები: კეცის სისქე-1,7, სმ; ბორტის სისქე ტანთან-3 სმ; ბორტის სისქე თავში-1,5 სმ; ბორტის სიმაღლე-4 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისი, „შიდა ციხე“, „ცოტა კარის“ მიდამოებში. (ტაბ.VI სურ.2) ანალოგიურია: შ. წ. №9536 A-764 ქ.ც. საგ. №1704.84; შ. წ. №9536 A-764 ქ.ც. საგ. №1705.84; შ. წ. №9536 A-764 ქ.ც. საგ. №973.84; შ. წ. №9536 A-764 ქ.ც. საველე № მითითებული არაა.; შ. წ. №9536 A-764 ქ.ც. საგ. №902.84.

ქ.ც. საგ. №719.04.

კრამიტი სოლენი. კრამიტის მარჯვენა ბორტისა და ტანის ფრაგმენტი. წითელკეციანი. ზედაპირზე გადავლებულია დვიძლისფერი ჭიქური. კრამიტს შუაში აქვს სალურსმნე ნახვრეტი. ბორტის თავზე კი გასდევს ყალიბის დარისებური კვალი. ზომები: მთლიანი სიგრძე-31,5 სმ; სიგანე სალურსმნე ნახვრეტამდე-8 სმ; მუხლის სიგრძე-3,5 სმ; კეცის სისქე-1,5 სმ; ბორტის კეცის სისქე-1,6 სმ; ბორტის სიმაღლე-4,8 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ციხეზე. (ტაბ.VI სურ.3) ანალოგიურია: შ. წ. №10130 A-842. ქ.ც. საგ. №5234.86. (ყავისფერი ჭიქური); ქ.ც. საგ. №720.04 ყავისფერჭიქურიანი; ქ.ც. საგ. №721.04.



ქ.გ. საგ. №0196.08.

კრამიტი. სოლენი, კრამიტის ბორტისა და ტანის ფრაგმენტი. ყავისფერკეციანი. ზედაპირზე გადავლებულია მუქი ლურჯი ჭიქური. ბორტი უფრო სქელია, ვიდრე ტანი. ბორტის თავზე შეიმჩნევა ყალიბის დარისებრი კვალი. ზომები: კეცის სისქე-1,8 სმ; ბორტის სისქე-2,7 სმ; ბორტის სიმაღლე-5 სმ; აღმოჩენილია გელათში, აკადემიის I სართულის შევსების ფენა. (ტაბ. VI სურ.4). დაახლოებით ანალოგიურია: ქ.გ. №0001.09. (გელათის აკადემიის ექსტერიერი. ნაკვეთი FV-კვადრანტი 46).



ქ.გ. სავ. №0202₁₂.08.

კრამიტი. სოლენი, კრამიტის ბორტისა და ტანის მარჯვენა ფრაგმენტი. ზედაპირზე გადავლებულია ცისფერი ჭიქური. ბორტი და მუხლის ნაწილი წაკვეთილია. ბორტი ფუძესთან უფრო ფართოა, ვიდრე თავში. ზომები: კეცის სისქე – 1,5 სმ; ბორტის სისქე ფუძესთან – 2,3 სმ; ბორტის სისქე თავში – 1,6 სმ; ბორტის სიმაღლე – 4,5 სმ. აღმოჩენილია გელათის აკადემიის ჩრდილოეთის ექსტერიერი. ნაკვეთი FV, კვადრატი 46. (ტაბ. VI სურ. 5).



შ. წ. №9536 A-764 ქ.ც. სავ. №3692.85.


კრამიტი. კალიბტერი, თავისა და ქედის ფრაგმენტი. ზედაპირზე გადავლებულია ყავისფერი ჭიქური. ქედი წარმოადგენს ვიწრო კონუსურ წიბოს, რომელიც კრამიტის კიდეებამდე უნდა ჩადიოდეს. კრამიტი ძალიან თხელკედლიანი. ზედაპირზე შეიმჩნევა წრიული ვიწრო ხაზები. (ხარხის კვალი). ზომები: თავის სიგრძე-4,7 სმ; კეცის სისქე-0,6 სმ; ქედის სიმაღლე-1,5 სმ; ქედის სისქე-1,3-0,5 სმ; იზომება სიმაღლეც-8 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისი, „შიდა ქალაქი“ გაბრიელის ეზო. სიღრმე 2,6 სმ.



(ტაბ.VII სურ.1) ანალოგიურია: შ. წ. 9535 A-764. ქ.ც. სავ. №3691.85 მწვანედ მოჭიქული; შ. წ. 9535 A-764. ქ.ც. სავ. №892.84 მწვანედ მოჭიქული; შ. წ. 9535 A-764. ქ.ც. სავ. №3694/1.85 ყავისფრად მოჭიქული; შ. წ. 9535 A-764. ქ.ც. სავ. №3694/2.85 ყავისფრად მოჭიქული;

შ. წ. №10130 A-842. ქ.ც. სავ. №4484.85

აგური. წითელკეციანი. უხეში ქარსმინარეგებიანი თიხა. ზედაპირზე გადავლებულია ყავისფერი (ღვისძღისფერი) ჭიქური. აგური კვადრატული ფორმისაა. ჭიქური აგურს ოთხივე გვერდზე აქვს გადავლებული. ზომები: 22X22; სისქე-3,5-4სმ. აღმოჩენილია: ბაგრატის ტაძრის დასავლეთით, ყვითელი თიხნარი 1,8 მ. სიღრმეზე. (ტაბ.VII სურ.2) ანალოგიურია: შ. წ. №9635 A-764 ქ.ც. სავ. №877.84; შ. წ. №9635 A-764 ქ.ც. სავ. №4484/2. 85; შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. სავ. №7517.89; სავარაუდოდ XVI-XVIII სს.



თავი III

VIII-XIII საუკუნეების მოჭიქული კერამიკა ქუთაისიდან

§1. პირველი პერიოდი (VIII-IX ს.ს.)

ხანგრძლივი დროის განმავლობაში კერამიკულ წარმოებაში თანდათან იქმნებოდა ყველა პირობა-გამოყენებითი ხელოვნების ახალი დარგის მოჭიქული კერამიკის წარმოება-ჩასახვისათვის. როგორც ფიქრობენ, კერამიკული წარმოების მასტიმულირებელი ფაქტორი იყო სასანური ხანის ლითონის ჭურჭელი. რამდენადაც მან გამოყენებითი ხელოვნების დარგებს შორის ყველაზე ფართო აღიარება მოიპოვა. VII-VIII საუკუნეებში ვრცელდება სასანური სტილის ლითონის ჭურჭლის მსგავსი თიხის ჭურჭელი, რომელიც დროთა განმავლობაში სხვა ცვლილებებსაც განიცდის-მისი ზედაპირი ჭიქურით იფარება და ამით კიდევ უფრო უახლოვდება ძვირფასი ლითონის ჭურჭელს. ამდენად გამოყენებითი ხელოვნების ახალი დარგის-მოჭიქული კერამიკის ჩასახვა სპარსეთში არსებული ძველი ტრადიციების (სასანურისა და პართულის) მეშვეობით მოხდა. შუა საუკუნეებში მოჭიქული კერამიკის წარმოება დიდ მასშტაბებს იღებს. იგი მასობრივად მზადდება და ფართო მოხმარების საგანი ხდება. მისი გავრცელების არეალი ძალზე დიდია. მოჭიქული კერამიკის გავრცელება დადასტურებულია საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ჩრდილო კავკასიაში, შუა აზიის სხვადასხვა რეგიონებში, მესოპოტომიაში, სირიაში, ინდოეთში, ჩინეთში, ხმელთაშუა, შავი და კასპიის ზღვების რეგიონებში (იტალია, საბერძნეთი, ესპანეთი, ეგვიპტე, ბიზანტია, რუმინეთი, ბულგარეთი, ყირიმი და სხვ.).

ამ გეოგრაფიულ სივრცეში მკაფიოდ გამოიკვეთა მოჭიქული კერამიკის წარმოების ორი მიმდინარეობის არსებობა: აღმოსავლურისა და დასავლურის (ბიზანტიურის). ისინი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან კეციით, ორნამენტით, ფერთა გამით და ა. შ. მიუხედავად ამისა, როგორც მეცნიერთა უმრავლესობა აღნიშნავს, აღმოცენების წყარო მათ ერთი ჰქონდათ-აღმოსავლეთი.

საქართველოში ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში მოჭიქული კერამიკის მასობრივი წარმოება IX საუკუნიდან აღინიშნება. თუ გავითვალისწინებთ, იმ გარემოებას, რომ მრავალ ქვეყანაში მისი განვითარება ერთ ქრონოლოგიურ განზომილებაში ხდებოდა, ბუნებრივად ისმის კითხვა აღნიშნულ ეპოქაში რა ისტორიული, მხატვრული, ტექნიკური თუ სხვა პროცესები მიმდინარეობდა,

რომელმაც გამოიწვია მოჭიქული კერამიკის ერთდროულად წარმოჩენა და ადამიანის ყოფის აუცილებელ ატრიბუტად დამკვიდრება. საქართველოში შუა საუკუნეების ძეგლების შესწავლა მრავალი ათეული წელია მიმდინარეობს. გათხრილია ისეთი ძეგლები, სადაც აღმოჩნდა მნიშვნელოვანი რაოდენობა მოჭიქული კერამიკის. გამოყენებითი ხელოვნების ამ დარგით არა ერთი მეცნიერი დაინტერესებულა, მათ მიერ შესწავლილია მრავალი ქვეყნის თუ რეგიონის მოჭიქული ჭურჭელი, ან მისი ცალკეული ჯგუფები, ჩატარებულია სათანადო კლასიფიკაცია, მაგრამ წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. ქართული მოჭიქული კერამიკა პირველად შეისწავლა და დაათარიდა ლ. მუსხელიშვილმა (XII-XIII ს.ს.). მ. მიწიშვილი ქართული მოჭიქული კერამიკის წარმოებას IX საუკუნიდან აღიარებს. მოჭიქული კერამიკის ადრეულ ნიმუშებს ეხება ლ. ჭილაშვილი. იგი რუსთავის ნაქალაქარზე აღმოჩენილ მოჭიქულ კერამიკას შორის გამოყოფს ორ ფრაგმენტს, (ცისფრად და ღვიძლისფრად მოჭიქულს), რომელსაც „ადრეული იერი დაჰკრავთ“ და ანალოგიური (კაბალის) მასალის მიხედვით VIII საუკუნეს აკუთვნებს. პატ. მკვლევარი შემდეგშიც აღნიშნავს, რომ „ისინი ტექნიკური თვისებებით უფრო ძველია, ვიდრე XI-XIII საუკუნეების მოჭიქული კერამიკა“. ლ. ჭილაშვილს ერთ-ერთ თავის მონოგრაფიაში, რომელიც მიეძღვნა უძველესი ფეოდალური ხანის ქალაქებს, მოჭიქული კერამიკის ქრონოლოგიის საკითხის გარკვევა პრინციპულ საკითხად მიაჩნია და მის გადაწყვეტას აზერბაიჯანითა და სომხეთით იწყებს, სადაც მრავალფრად მოჭიქული კერამიკის წარმოება განსაზღვრულია VIII საუკუნით. **[ჭილაშვილი 1970: 144-145]**. ამ საკითხზე განსხვავებული აზრისაა ქალბატონი მ. მიწიშვილი; გ. ლომთათიძე საქართველოს არქეოლოგიის სახელმძღვანელოში ადრეფეოდალური ხანის ძეგლებს, მათ შორის უჯარმის ციხე-დარბაზსა და იქ აღმოჩენილ ადრეულ ფენებსაც ეხება. მოჭიქული კერამიკა მას ადრეული ფენების შესატყვისად მიაჩნია, რადგან, მისივე თქმით-„ისინი (მოჭიქული კერამიკა) უფრო ძველებურად გამოიყურება, ვიდრე აქ მრავლად აღმოჩენილი შუაფეოდალური ხანის კერამიკა“. სამწუხაროდ, მის მიერ არ არის მითითებული თუ მოჭიქული კერამიკის რომელ ნიმუშებს მიიჩნევდა იგი ადრეულად, ან ადრეულის ქვეშ რომელ პერიოდს გულისხმობდა.

თბილისში ერეკლე II-ის მოედანზე წარმოებული გათხრების შედეგად მოპოვებულ მოჭიქულ კერამიკას V–XVIII საუკუნეებს მიაკუთვნებენ, ხოლო მოჭიქული კერამიკის ადრეულ ნიმუშებს V-VIII-IX-X საუკუნეებით განსაზღვრავენ.

ქართველ არქეოლოგთა შორის ი. გრძელიშვილმა პირველმა გამოყო მოჭიქული კერამიკის ადრეული ნიმუშები, კერძოდ, „ნალვენთებიანი“ კერამიკა და სხვა მასალებთან ერთად V-VIII საუკუნეებით განსაზღვრა. [მიწიშვილი 1998: 116, 117].

განხილული მასალის მიხედვით ჩანს, რომ ქართული ადრეული მოჭიქული კერამიკის შესახებ არსებობს სხვადასხვა აზრი. ერთნი მას მეტად აძველებენ (V-VIII სს.), მეორენი კი IX-X სს-ით ათარიღებენ.

მნიშვნელოვანია, როგორ განიხილება ის საქართველოს ფარგლებს გარეთ. შუა აზიის ნაქალაქართა გათხრებმა, ბუნებრივია დღის წესრიგში დააყენა გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგების, მათ შორის მოჭიქული კერამიკის შესწავლის საკითხიც. შუა აზიაში ტალი ბარზუზე არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი მოჭიქული კერამიკა გ. გრიგორიევმა VIII საუკუნის ოციანი წლებით დაათარიღა. მოელი რიგი მეცნიერთა ა. ბერშტამის, გ. გრიგორიევის, მ. მასსონის, ა. ტერენოჟკინის ნაშრომების მიხედვით ივარაუდება, რომ შუა აზიის ერთ-ერთ რეგიონში, მავერანახრში მოჭიქული კერამიკა VIII საუკუნის შუა ხანებში ჩნდება. შუა აზიაში მოჭიქული კერამიკის გაჩენის საკითხს ეხება ი. არხაროვიც, მისი აზრით, იგი უნდა გაჩენილიყო არაბობამდე და იმოწმებს ტალი ბარზუზე აღმოჩენილ მოჭიქულ კერამიკას. შ. ტაშხოდჯაევის აზრით, სამარყანდში VIII საუკუნის ბოლოს მოჭიქული კერამიკის გაჩენას ბიძგი მისცა არა რელიგიურმა აკრძალვამ, არამედ წარმოების განვითარებამ. VIII საუკუნის ბოლოსა და IX საუკუნის დასაწყისში მიიჩნევა ს. ალიევა ერთ-ერთ ძლიერ სამეთუნეო ცენტრს, სამარყანდში მოჭიქული კერამიკის წარმოებისათვის. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თარიღის საკითხი აქაც საკამათოდ რჩება. შუა აზიაში ტაშკენტის ტერიტორიაზე გაითხარა, ძველი ოაზისი ჩაჩა (შაში) და მისი ქალაქი ბინკატი მოჭიქული კერამიკის წარმოების თარიღად აქ მიუთითებენ VIII საუკუნის ბოლოსა და IX საუკუნის პირველ ნახევარს [Брусенко Л., Исхакова Е., Иганбердиев Р.]. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც მოჭიქული კერამიკის დასაწისად რიგ ცენტრებში შეიძლება VIII საუკუნის ბოლო და IX საუკუნის დასაწყისი მივიჩნიოთ.

ასეთი განცხადების საფუძველს გვაძლევს არქეოლოგიური კვლევის შედეგად ქუთაისში მოპოვებული მოჭიქული სამეთუნეო ნაწარმიც, რომელშიაც ჩვენთ ხელთ არსებული მასალების მიხედვით, მხატვრული მეთუნეობის ამ დარგის განვითარების ისტორიაში შეიძლება გამოვყოთ ხუთი ძირითადი პერიოდი: პირველი პერიოდი VIII-IX სს., მეორე პერიოდი X-XI სს., მესამე პერიოდი XII-XIII სს.,

მეოთხე პერიოდი XIV–XVI ს.ს., მეხუთე პერიოდი XVII–XVIII ს.ს., ჩვენი ვარაუდით VIII საუკუნის ბოლოდან იწყება მოჭიქული კერამიკის წარმოება ქუთაისის მხარეში.

ვინაიდან ყოველი კონკრეტული მოვლენა გარკვეული პროცესის განვითარების შედეგია, უნდა ვიფიქროთ, რომ შუა საუკუნეებში მოჭიქული კერამიკის განვითარებასაც წინ უძღოდა მთელი რიგი მოვლენებისა. განვიხილოთ რა ხდებოდა (არაბობამდე ან მათ დროს) ეგრისის ამ ერთ–ერთ მნიშვნელოვან საქალაქო ცენტრში ქუთაისში. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ დროისათვის წინა პერიოდთან შედარებით ქუთაისის გარეგნული სახე მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. იგი ძირითადად ისეთივე იყო, როგორც წინა საუკუნეში. თუმცა ზოგიერთი ძველი ნაგებობა უკვე კარგავს თავის ფუნქციას და ზოგიც ახალი ჩნდება. მაგალითად, „ქუთათისის საყდარი“, რომელიც სულ ახლახან ბაგრატის ტაძრის ინტერიერში არქეოლოგიური კვლევის შედეგად იქნა გამოვლენილი. იგი, ამავე ადგილზე რიგით მეორე ბაზილიკაა და სწორედ VII საუკუნეში ჩანს აგებული ძველი (IV ს.) ადრექრისტიანული ბაზილიკის ნანგრევებზე. თავისთავად ეს ბაზილიკაც, როგორც ჩანს არაბების შემოსევას შეეწირა VIII საუკუნის 30-იან წლებში. ასეთი მნიშვნელოვანი სატაძრო ნაგებობის აღმართვა ქვეყნის კულტურულ–ეკონომიკურ ცენტრში წარმატებული განვითარების შედეგია, რომელსაც, როგორც ჩანს, ბიზანტიური პოლიტიკაც უწყობდა ხელს. **[ლანჩავა 2007: 149]**. უკვე VII საუკუნეში მომზადდა ნიადაგი ქუთაისის ხელახალი აღზევებისათვის, რომელიც განხორციელდა VIII საუკუნეში. პირველ რიგში ეს გამოიხატა ქალაქის იერ-სახის შეცვლაში. სატახტო ქალაქს რომ განსაკუთრებული ზრუნვა სჭირდებოდა ეს კარგად ჩანს. ამ დროს შენდება ახალი სამეფო სასახლის კომპლექსი თავისი შემადგენელი ნაწილებით: 1. აგურის სასახლე, 2. აბანო, 3. სასახლის კარის ეკლესია, 4. ახალი წყალგაყვანილობა, რომელიც, როგორც ჩანს, არა მარტო სამეფო კომპლექსს, არამედ კერამიკულ სახელოსნოსა და „ქართულ დარბაზს“ ამარაგებდა სასმელი წყლით. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ახალი ტაძრის მშენებლობა, რომელიც რამოდენიმე ეტაპად განხორციელდა VIII საუკუნის II ნახევარში (არჩილ-ლეონის ეპოქაში), სწორედ ეს ტაძარი გახდა საფუძველი და საძირკველი ბაგრატის ტაძრის მშენებლობისა X საუკუნის ბოლოს. (ეს უკანასკნელი VIII საუკუნის ტაძრის კედლებზეა უშუალოდ დაშენებული). მაშასადამე, დედაქალაქობამ რადიკალურად შეცვალა ქალაქის გარეგნული იერსახე. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მონუმენტურმა

ხუროთმოძღვრებამ თავისთავად შექმნა საჭიროება ქალაქის ესთეტიკური იერ-სახის გასაუმჯობესებლად, რაც გამოიხატა VIII საუკუნიდან ნაგებობების საგანგებოდ მოპირკეთებაში და მისი საბურველის სახეიმოდ შემკობაში. ამიტომაც VIII-IX საუკუნეებიდან კრამიტთა დამზადებაში მნიშვნელოვანი სიახლე ჩნდება, რაც მათი ზედაპირის ჭიქურით დაფარვაში გამოიხატა. დათარიღების ამოსავალი არის ის, რომ რამოდენიმე ფრაგმენტი აღმოჩნდა ბაგრატის ტაძრის იატაკქვეშა ფენებში. ბაგრატის ტაძრის იატაკი, რამდენადაც ცნობილია „განმტკიცდა“ X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის დასაწყისში. სწორედ ბაგრატის ტაძრამდე იქ არსებული „ქუთათისის საყდარი“, ჩვენი ვარაუდით გადახურული უნდა ყოფილიყო მოჭიქული კრამიტით. (VIII საუკუნის ბოლოს).

ვინაიდან ხელოსნური წარმოება დაკავშირებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებასთან, ამიტომ მისი განვითარების საწყისებიც სწორედ აქ უნდა ვეძებოთ. ადრეშუასაუკუნეებში საქართველოს დასაპყრობად გამუდმებით იბძოდნენ ირანი და ბიზანტია, მათთვის იგი მუდმივი ინტერესების სფეროს წარმოადგენდა. შემდეგ ამიერკავკასია, ირანი და სხვა ქვეყნები არაბებმა დაიპყრეს და ისინი ერთ სახელმწიფო სტრუქტურაში, არაბთა სახალიფოში მოაქციეს. მართალია, ყოველივე ამან დაპყრობილ ქვეყნებს ბევრი უბედურება მოუტანა, მაგრამ რიგმა პროცესებმა თავის მხრივ ხელი შეუწყო სავაჭრო, ეკონომიკური და სხვა კავშირების გაცხოველებას. არაბთა ბატონობის შემდეგ, (IX ს.) როცა მათ მიერ დაპყრობილი ქვეყნები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, საამიროებად, სამთავროებად იქცნენ იქმნება ყველა პირობა მათი ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის, რამაც ხელი შეუწყო ხელოსნობის სხვადასხვა დარგების და სახელდობრ, მეთუნეობის (მოჭიქული კერამიკის) განვითარებასაც, ხოლო მისი ერთდროული (IX-X სს.) გავრცელება სხვადასხვა ქვეყნებში (ირანი, შუა აზია, ამიერკავკასია და სხვ.) იმ მჭიდრო ეკონომიკური კავშირის შედეგი იყო, რომელიც ჯერ კიდევ არსებობდა აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის არაბების ბატონობის ხანაში.

სრულიად უეჭვოა, რომ არაბთა რისხვას ვერც ეგრისის სამეფოს მთავარი ქალაქი გადაურჩა. როგორც არქეოლოგიური მონაცემებიდან ჩანს, არაბებს ბრძოლით აუღიათ ქუთაისი, დაუნგრევიათ კიდევ მისი სასიმაგრო სისტემის დიდი ნაწილი და ქალაქის სხვადასხვა ნაგებობანი, მათ შორის ქუთაისის რიგით მეორე ბაზილიკა. მართალია, დასავლეთ საქართველომ დიდი ზარალი ნახა, მაგრამ VIII საუკუნის 40-50 წლებში აქ არაბთა მძლავრობას ძირითადად ბოლო მოეღო და

მხოლოდ ბიზანტიის იმპერიის ვასალური დამოკიდებულება იქნა შენარჩუნებული. ამიტომაც, ამჟღერად VIII საუკუნის შუა წლებიდან ფართო ფრონტით გაიშალა ბრძოლა ბიზანტიის წინააღმდეგ. ამ დიდ ეროვნულ საქმეს აფხაზთა ერისთავი ლეონი ედგა სათავეში, რომელმაც მემკვიდრეობით (სიძეობით) მიიღო ეგრისის ტახტი და გვირგვინი და სახელმწიფოს დედაქალაქად ქუთაისი გამოაცხადა. რადგან ის და დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი მანამდე ქართლის ერისმთავრების ხელისუფლებაში შედიოდა, ამიტომ ფიქრობენ, რომ ამან ხელი შეუწყო VII–VIII საუკუნეებში ქუთაისის ხელახალ აღორძინებას, როგორც დასავლურ– ქართული სამყაროს პოლიტიკური ცენტრისას. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მკვლევართა ვარაუდით, მურვან ყრუს სამხედრო ექსპედიციის დროისათვის ქუთაისი დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ქალაქი იყო. ბუნებრივია, მისი სტატუსი გაფართოვდა და შესაბამისად მნიშვნელოვნად იცვლება მისი მდგომარეობა, რაც შესანიშნავად დასტურდება არქეოლოგიური კვლევის შედეგად. [ლანჩავა 2007: 149-152]. გაითხარა კერამიკული სახელოსნოს (VIII–IX) ნაშთები, რომელზეც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი. ამავე პერიოდის ფენები მდიდარია წნეხვით ნაპრიალები, ხშირად წითელი და თეთრი საღებავებით მოხატული კერამიკით და ჭიქურიანი ჭურჭლებით, განსაკუთრებით კი სქელკედლიანი ტანდაღარული ამფორის მრავალრიცხოვანი ფრაგმენტებით. როგორც აღვნიშნეთ, მონუმენტურმა ხუროთმოძღვრებამ შექმნა პირობა ახალი საბურველის გაჩენისა, კერძოდ, მოჭიქული კრამიტის სახით, ბუნებრივია ვივარაუდოთ VIII საუკუნის ბოლოსა და IX საუკუნის დასაწყისში მოჭიქული კერამიკის წარმოება ქუთაისის მხარეში. ამის დადასტურება კი არის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი კერამიკა, მიუხედავად მისი სიმცირისა, რაც ალბათ გამოწვეული იყო კერამიკული წარმოების ჯერ კიდევ მცირე მასშტაბებით. აღნიშნული მასალის უმეტეს ნაწილს სუფრის ჭურჭელი შეადგენს. მათ დასამზადებლად გამოყენებულია ისეთივე ხარისხის თიხა, როგორიც სქელკედლიანი ტანდაღარული ამფორებისათვის. ე. ი. თიხა, როგორც წესი, კარგად განლექილია, თეთრი ან ღია აგურისფერია, გვხვდება წითლად და ჩალისფრად გამომწვარი, პირ-ბაკო მომრგვალებული, სწორი, თანაბრად გადაშლილი კალთა, სქელკედლიანი, გარედან შეუმჩნეველად არის დაღარული, დაბალი გამოყვანილი ქუსლი, მათი შემკობაც განსაკუთრებული წესით ხდება: კერძოდ, ორნამენტი მეტ შემთვევაში გამოიყვანება ფუნჯის საშუალებით, ზოგჯერ შიშველ კეცზე, უფრო მეტად კი თეთრი ანგობით დაფარულ ჭურჭლის შიდაპირზე.

აღნიშნული გარემოება კი ერთი საინტერესო ფაქტია მოჭიქული ჭურჭლის ტექნოლოგიაში. მხატვარ-კერამიკოსი ფარავს რა თეთრი ანგობით ჭურჭელს, ამით იმალება კეცის უხეში ზედაპირი და გარდა ამისა თეთრ ანგობზე გამოყვანილი ორნამენტი ღამაზი და ეფექტურია. არის როგორც ერთმხრივ, ასევე ორმხრივ თეთრად ანგობირებული, ჯამები დაფარულია ერთი ფერის თუ უფერული ჭიქურით. თუმცა ქუთაისური კერამიკა შეიძლება ითქვას განსხვავებული სახითა და ნიშან-თვისებებით გვევლინება, საქართველოს სხვა ცენტრებში აღმოჩენილ კერამიკასთან შედარებით. ის ნიშნები რაც დამახასიათებელია შემდგომი ხანის მოჭიქული ჭურჭლისათვის ჩვენ მას ვხვდებით აქ უფრო ადრე. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ ჭურჭლის მრავალფრად მოჭიქვა. რომლის დასაწყისად XII-XIII საუკუნის პირველ ნახევარს მიიჩნევენ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთ-ერთი მოჭიქული (პოლიქრომული) ჯამი (შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №4340.85.) რესტავრირებული, რომელსაც აქვს ფართოდ გადაშლილი, დაქანებული კალთა, მრგვალი ძირიდან ოდნავ გამოყოფილი წრიული ქუსლი, წითელკეციანი. ორმხრივ თეთრად ანგობირებული. შიდა ზედაპირი დაფარულია ყავისფერი ჭიქურით, რაც საერთო ფონს ქმნის და მასზე მწვანე და მოყვითალო ჭიქუროვანი საღებავით მოხატულია



27 გულისმაგვარი ფორმები. კალთა ორრიგად გაფორმებულია ყვითლად და მწვანედ გულებით. ჯამის ძირში არის ოთხი ერთი წერტილიდან სხვადასხვა მიმართულებით გამოძავალი ყვითელი და მწვანედ შემკული გულები. საერთოდ, მთლიანად გულების ორნამენტი სამ რიგად არის განთავსებული და ერთი წერტილიდან ფართოდ გაშლილი. ჯამის გარე ზედაპირი კი შემკულია თეთრი ანგობით და ბლავი რელიეფური ღარებით. თიხა, როგორც წესი, კარგადაა განლეკილი. (IX-X სს. თარიღდება მსგავსი მრავალფრად მოჭიქული ჯამი ბებრისციხედან, რუსთავიდან). (ტაბ. VII სურ.3)

ა. პოუპი აღნიშნავს, რომ IX საუკუნეში ჩინეთის დიდი გავლენით ირანში სტიმული ეძლევა მოჭიქული კერამიკის წარმოებას, რაც ხასიათდება პოლიქრომული ჭიქურით, ორი ან რამდენიმე ფერის ერთად ჩამოღვევით. იგი მზადდება ცნობილი ტანგის კერამიკის მიბაძვით. ა. პოუპი ამ ჯგუფის ჯამებს

სამარაში, სუზასა და კტეზიფონში აღმოჩენილი ნიმუშების მიხედვით IX საუკუნით ათარიღებს. როგორც ჩანს, ორნამენტის ეს სახე ჩინეთიდანაა შემოსული, იგი გავრცელდა მთელს აღმოსავლეთში, ხოლო ყოველი ქვეყნის მხატვარ-კერამიკოსები ნაღვენთებისაგან თავისებურ მრავალფერადოვნებას ქმნიან. [Pope 1938: 1499-1501].

ქუთაისის პოლიქრომულ ჯამებში გვხვდება ისეთებიც, რომელთაც აქვს ძალიან ფართო ძირი (დმ-17 სმ.) და დაბალი ქუსლი. ისინიც სამი ფერის (მწვანე, ყვითელი, ყავისფერი) ჭიქურითაა დაფარული. კეცი ღია აგურისფერია. ზოგიერთი მხოლოდ ყვითლად და ყავისფრადაა მოჭიქული, ან ყვითლად და მუქმწვანედ. საერთოდ ჭარბობს ის ჯამები, რომელთაც ყავისფერი ჭიქურის ფონზე შიდა ზედაპირი შემკული აქვს მწვანე და ყვითელი ფერის ჭიქურით შესრულებული გეომეტრიული სახეებით ან მხოლოდ მწვანედ მოჭიქულია. როგორც მ. მიწიშვილი მიიჩნევს ყვითელი როგორც დამხმარე ელემენტი გავრცელებას იწყებს XII საუკუნეში, ქუთაისის მაგალითზე კი ეს ფერი დადასტურებულია IX საუკუნიდან.

შ. წ. 9539 A-764 ქ.ც. 3742.85.


ჯამის ძირის ფრაგმენტი. ჩალისფრად გამომწვარი კეცი. ორივე მხრიდან ანგობირებული. ჯამის შიდაპირზე ფერადი (მწვანე, მოყვითალო, სოსნისფერი) ნაღვენთებია. გადავლებული აქვს უფერული ჭიქური. ზედმეტად გამომწვარი. ზომები: კეცის სისქე-1 სმ; ქუსლის სიმაღლე-0,5 სმ;



აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, შიგაქალაქი, გაბრიელის ეზო. სიღრმე 1,5 მ. (ტაბ. VII სურ.4)

შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. საგ. №8021.90.

ჯამი. ძირისა და გვერდის ფრაგმენტი. კეცი მოწითალოდ გამომწვარი. ორივე მხრიდან ანგობირებული, შიდაპირზე ფერადი (ყვითელი, მწვანე, სოსნისფერი, გარდამავალი ყავისფერი) ნაღვენთებია. გადავლებული აქვს უფერული ჭიქური. დაბალი, გამოყვანილქუსლიანი. ზომები:



კეცის სისქე-1,2 სმ; ქუსლის სიმაღლე-0,5 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ციტადელის ცენტრალური ტერიტორია. (ტაბ. VII სურ. 5).

მსგავსი ორნამენტით შემკული ჯამები აღმოჩენილია დმანისში, უჯარმაში, რუსთავში, თბილისში, თელავში, არეშში გუდარეხში, კვეტერაში. საქართველოს ფარგლებს გარეთ-ორენ-ყალაში, დვინში, ხორეზმში, სამარაში. მათ IX საუკუნით ათარიღებენ. როგორც პროფ. დ. მინდორაშვილი აღნიშნავს აღმოსავლეთ საქართველოს შუასაუკუნეების ნაქალაქარებზე აღმოჩენილი ამგვარი ჭურჭლების ერთი მცირე ნაწილი წინააზიურ იმპორტადაა მიჩნეული. თუმცა ამგვარი ჯამების მინაბაძებსაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩვენშიც ამზადებდნენ. პატ. დ. მინდორაშვილის აზრით, კვეტერაში აღმოჩენილი ჯამები შეიძლება XI-XII საუკუნეებით დათარიღდეს. ვინაიდან ის სწორედ ამ პერიოდის მოჭიქულ კერამიკასთანაა აღმოჩენილი და რადგან ის განსხვავებულია არა მარტო კვეტერის, არამედ ქართული მოჭიქული კერამიკისაგან, ეჭვგარეშეა, რომ ის აქ უცხო საწარმოო ცენტრიდან უნდა იყოს მოხვედრილი. პირობითად ის ავტორს სამარულ ნაწარმად მიაჩნია. [მინდორაშვილი 2010: 30; არჩვაძე, ჩიკოიძე, ჩხატარაშვილი 2005: 54].

საერთო მონაცემებით ზემოთ აღწერილი პოლიქრომული ჯამები VIII-IX საუკუნეებით თარიღდება. დათარიღების ერთ-ერთ მთავარ საყრდენს წარმოადგენს კეცის ფაქტურის იდენტურობა VIII-X საუკუნეებში ტანდალარულ ამფორებთან. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ამ ამფორებისა და ჯამებისათვის ერთი და იგივე ნედლეული იყოს გამოყენებული, უფრო სწორად, ერთ საწარმოო ცენტრში, ერთ პერიოდში მათი დამზადება არის სავარაუდებელი. [ლანჩავა 2007: 159].

ქუთაისელ კერამიკოსებს შეიძლება ითქვას შემკობის თავისებური ხერხი აქვთ გამოყენებული, ფერთა შეხამებაც იმდენად გარდამავალია, რომ ორნამენტი გარკვეულ სახეს ქმნის. უნდა გამოვყოთ რამოდენიმე ჯამის ფრაგმენტი, რომელიც ერთი და იგივე მოტივითაა შესრულებული:

შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. სავ. 4076.85.

თასი. გვერდისა და პირ-ბაკოს ფრაგმენტი. ღია ჩალისფრად გამომწვარი. შიდა ზედაპირი დაფარულია მუქი მწვანე ჭიქურით, თეთრი ანგობით მოხატულია ხვეული და წრიული ხაზის ორნამენტები, რომელიც დაფარულია ღია მწვანე ფერის ჭიქურით. ორნამენტი



საკმაოდ სქლად არის გამოყვანილი. აქვს მომრგვალებულ პირ-ბაკო, გადაშლილი პირითა და კალთით. გარეთა მხრიდან თასს ეტყობა ჩარხის კვალი. ზომები: კეცის სისქე-1 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, შიდა ქალაქის ტერიტორია. (ტაბ. VIII სურ. 1).

შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. №6203.87.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. ჩალისფრად გამომწვარი. მუქ მწვანე შიდაპირზე თეთრი ანგობით მოხატულია სვეული საზები, რომელიც დაფარულია ღია მწვანე ჭიქურით. დაბალი ფართე სქელქუსლიანი. ზომები: ქუსლის სიმაღლე-0,7 სმ; ქუსლის სისქე-2 სმ; კეცის სისქე-0,6 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი გ3 ნაკვეთი, 15კვადრატის საკირესთან. (ტაბ. VIII სურ.2).



შ. წ. № 10130; A-842 საგ. ქ.ც. №4486.86.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. წითლად გამომწვარი. მუქ მწვანე შიდაპირზე თეთრი ანგობით მოხატულია მცენარეული ორნამენტები, რომელიც დაფარულია ღია მწვანე ჭიქურით. ზომები: ძირის კეცის სისქე-1,3 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი №5 სექტორი. (ტაბ. VIII სურ.3).



შ. წ. №9539. A-764 საგ. ქ.ც. №3556.85.


ჯამი. ძირის ფრაგმენტი. მოყავისფროდ გამომწვარი. შიდაპირი მოჭიქულია მუქ მწვანედ და თეთრი ანგობით მოხატულია გეომეტრიული ორნამენტები, რომელიც დაფარულია ღია მწვანე ჭიქურით. ზომები: ქუსლის სიმაღლე-1 სმ; კეცის სისქე-1 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, „შიდა ქალაქი“. (ტაბ. VIII სურ.4). გარკვეული მსგავსება შეიძლება დაინახოთ



ბელტისციხე-ბებრისციხეზე დონჟონში აღმოჩენილ ჯამის ძირთან, [ნიკოლაიშვილი 2009: ტაბ. XIX 2].]

შ. წ. 9539 A-764; ქ.ც. საგ №3740.85.

ჯამი. გვერდის ფარგმენტი. წითლად გამომწვარი, სქელკედლიანი. თეთრი ანგობით მოხატულია რგოლებით, რომელიც დაფარულია ღია მწვანე, ხოლო დარჩენილი სივრცე კი მუქი მწვანე ჭიქურით. ზომები: კეცის სისქე-1 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, „შიდა ქალაქი“. (ტაბ. VIII სურ.5).



შ. წ. №10130 A-842 საგ №4475.86.

თასი. ქუსლის ფრაგმენტი. წითლად გამომწვარი. შიდა ზედაპირი დაფარულია თეთრი ანგობით და მოჭიქული მწვანედ. ქუსლის ზედაპირი შემკობილი უნდა ყოფილიყო სწორი პარალელური ხაზებით. ჯამს აქვს დაბალი, გამოყვანილი ქუსლი. ზომები: ქუსლის დმ-11,5 სმ; კეცის სისქე-ქუსლთან-0,8 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ცენტრალურ შესასვლელთან №4 სექტორი შავი თიხნარი, სიღრმე-0,6 სმ; (ტაბ. VIII სურ.6).



თეთრი ანგობით მოხატული და მწვანედ მოჭიქული ჭურჭელი ყველაზე დიდი რაოდენობით აღმოჩენილია რუსთავის ნაციხვარსა და ნაქალაქარზე, უჯარმაში, დმანისში, თბილისის კერამიკულ სახელოსნოში, სადაც ნაწილი წარმოების წუნია, გუდარეხში მხოლოდ ერთი ფრაგმენტია. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ორნამენტითა და ჭიქურის ფერით, (როგორც აღნიშნავენ, ამ ორნამენტით შემკული ჯამებისათვის საერთოდ დამახასიათებელია მუქი მწვანე კრიალა ჭიქური), კერძოდ, რუსთავის ნაციხვარზე, უჯარმაში აღმოჩენილი ჭურჭელი დაფარულია მუქი მწვანე ჭიქურით, რუსთავის ნაქალაქარზე, დმანისში და თბილისის კერამიკულ სახელოსნოში აღმოჩენილთათვის კი დამახასიათებელია ღია მწვანე ჭიქური.

ანალოგიური წესით შემკული ჯამებია აღმოჩენილი სომხეთსა (დვინი, ანისი) და აზერბაიჯანში (ორენ-ყალა). ისინი აქაც განსხვავებულია ორნამენტის მხრივ. ორენ-ყალაში აღოჩენილ ამ სახის ჯამებს ა. იაკობსონი და ბ. შელკოვნიკოვი IX საუკუნეს მიაკუთვნებენ. [მიწიშვილი 1967: 287-288]. რაც შეეხება ქუთაისში აღმოჩენილ ზემოთ აღწერილ მსგავსი ორნამენტის ჯამებს, აქ შერწყმულია ორივე ფერთა შესამება (ღია და მუქი მწვანე) და მიუხედავად იმისა რომ, თეთრი ანგობით მოხატული და მწვანედ მოჭიქული ჭურჭელი ზოგადად დამახასიათებელია IX საუკუნისათვის, ქუთაისური ჯამების ფრაგმენტებისათვის მხატვარ კერამიკოსებს გამოუმუშავებიათ ორნამენტის განსხვავებული სტილი, მუქზე ღია მწვანე ფერის დატანისა, რომელიც ერთგვარად ფარავს თეთრ ანგობს და ამკვეთრებს მასზე გამოსახულ ორნამენტს, ამით კი მათ გარკვეული ლოკალური დადი დაასვეს მისეულ ნაწარმს. მაგრამ ამავე დროს ყოველი ხელოსანი ჩანს ემორჩილება თავისი დროისათვის გაბატონებულ საერთო წესებს, პოპულარულ მოტივებს (თეთრი ანგობით მოხატვა და მწვანედ მოჭიქვა), ამიტომაცაა რომ მსგავსება გამოიხატება მათ საერთო სტილში. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ისინი ერთი დროის ნაწარმია.

იგივე ორნამენტი შესრულებულია ყავისფრად მოჭიქულ ჯამზე:

შ. წ. № 10130; A-842 საგ. ქ.ც. №484/121.86.

ჯამი. გვერდის ფრაგმენტი. მოყავისფროდ გამომწვარი. შიდაპირი მოჭიქული ყავისფრად და თეთრი ანგობით მოხატულია გეომეტრიული წრიული ორნამენტები, რომელიც დაფარულია ღია მწვანე ჭიქურით. ჯამს აქვს პროფილირებული პირ-ბაკო, აკეცილი პირით. ფრაგმენტების რესტავარცია არ ხდება. ზომები: კეცის სისქე-0,6 სმ-0,8-მდე. აღმოჩენილია:



ქუთაისის ნაქალაქარი აბანოს დასავლეთით მდებარე ჭრილიდან. (ტაბ IX სურ.1).

გვხვდება აგრეთვე ყავისფრად მოჭიქულ ჯამის ფრაგმენტზე ყვითლად მოხატული რგოლები:

შ. წ. № 10130; A-842 საგ. ქ.ც. №3600.85.

ჯამი. პირ-ბაკოს ფრაგმენტი. სქელკედლიანი, წითლად გამომწვარი. შიდაპირი მოჭიქულია



ყავისფრად და მოხატულია ყვითელი რგოლებით. ზომები: კეცის სისქე-0,8 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, „შიდა ქალაქი“. კონტროლსეზიანი კედელის შიდა მხარე. (ტაბ IX სურ.2).

შ. წ. №9539. A-764 საგ. ქ.ც. №20.84.

ჯამი. პირის ფრაგმენტი. სქელკდლიანი. წითლად გამომწვარი. მოჭიქულია ყავისფრად და თეთრი ანგობით მოხატულია წრიული რგოლები. ზომები: კეცის სისქე-1 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, „შიდა ქალაქი“. (ტაბ IX სურ.3).



შ. წ. №9539 A -764 ქ.ც. საგ. 1231.84.

თასი. ქუსლისა და გვერდის ფრაგმენტი. ჩალისფერკეციანი. შიდა ზედაპირი მოჭიქულია ყავისფრად და თეთრი ანგობით მოხატულია წრიული რგოლები. შეიმჩნევა მწვანე ჭიქურის კვალიც. სავარაუდოდ, კალთა გადაშლილი უნდა ყოფილიყო. დაბალი, გამოყვანილქუსლიანი. ზომები: ქუსლის დმ-12,5 სმ; კეცის სისქე-1 სმ; აღმოჩენილია ქუთაისის ნაქალაქარი, შიდა ქალაქის ტერიტორია. (ტაბ IX სურ.4).



მხოლოდ 1 ერთეულით არის წარმოდგენილი ფერადი (მწვანე) სახეებით შემკული ჭურჭელი:

ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ფონდსაცავი

თასი. ძირისა და გვერდის ფრაგმენტი. ჩალისფრად გამომწვარი. ორივე მხრიდან დაფარულია თეთრი ანგობით, ხოლო შიდა ზედაპირზე ღია მწვანე სახეებისაგან შედგენილი ორნამენტი გამოყვანილი. გადავლებულია უფერული ჭიქური. პირ-ბაკო მომრგვალებული,



სწორი, გადაშლილი კალთით და გამოყვანილი ქუსლით. თასს გარედან შეემჩნევა ჩარხის კვალი. ზომები: სიმაღლე-8-8,5 სმ; პირის დმ-25,5 სმ (აღდგენით); ქუსლის ძირის დმ-12,3 სმ; კეცის სისქე პირთან-0,7 სმ; კეცის სისქე ქუსლთან-1 სმ; ჯამის სიმაღლე-7 სმ; ქუსლის სიმაღლე-7 სმ; (ტაბ X სურ.1).

აღნიშნული ორნამენტის ჯამები გამოყვანილი შიშველ კეცზე დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი რუსთავის ნაციხვარზე, ხოლო მცირე რაოდენობით გვხვდება დმანისში, უჯარმაში, გუდარეხში, თბილისის კერამიკულ სახელოსნოში. რამდენიმე ანალოგიური ჯამი აღმოჩენილია შუა აზიაში, რომელიც თარიღდება IX საუკუნით. [მიწიშვილი 1967: 289]. ქუთაისის ჯამი კი ამ შემთხვევაშიც განსხვავებული სახით არის წარმოდგენილი, კერძოდ ფერადი ხაზი გამოყვანილია თეთრად ანგობირებულ ზედაპირზე.

ნიშანდობლივია ცისფრად მოჭიქული ჯამის ძირისა და გვერდის ფრაგმენტი, (1 ერთეული), იმდენად, რამდენადაც ჭურჭელთა ერთი ფერის (ცისფერი) ჭიქურით დაფარვა XI საუკუნის სიახლეს წარმოადგენს. [მიწიშვილი 1979: 38]. ქუთაისის მაგალითზე კი ის გვხვდება IX საუკუნეში:

შ. წ. 9539 A-764; ქ.ც. სავ №2984.85

ჯამი. ძირისა და გვერდის ფრაგმენტი. რუხ-მოყავისფროდ გამომწვარი. სქელკედლიანი, შიდაპირი მოჭიქულია ცისფრად, გარეპირი თეთრად ანგობირებული. დაბალი, ფართე გამოყვანილი ქუსლით. კალთა თანაბრად დაქანებული. ზომები: კეცის სისქე-1,2 სმ; ქუსლის სიმაღლე-0,8 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი. „შიდა ქალაქი“ გაბრიელის სახლის მიმდებარე ტერიტორია. (ტაბ. X სურ.2)



აღსანიშნავია აგრეთვე, რომ 1995 წელს იატაკის გამოცვლის დროს ბოდბის ტაძრის საკურთხეველის აფსიდში აღმოჩნდა IX საუკუნის მოჭიქული თასი, რომელიც კარგადაა შემონახული და მოჭიქული ჭურჭლის წარმოების ადრეულ ეტაპს განეკუთვნება. [ჩაჩხუნაშვილი 2006: 59].

IX საუკუნით თარიღდება მოჭიქული თასი წარწერით ნიშაპურიდან (სპარსეთი) ადგილობრივ წარმოებაზე მიუთითებს ღია მწვანედ მოჭიქული მოჩაღისფროდ გამომწვარი თასი:

შ. წ. №10130 A-842. საგ. ქ.ც. №7275.89.

თასი. გვერდნაკლული, მოჩალისფროდ გამომწვარი თიხა. გარეთა მხრიდან თეთრად ანგობირებული. შიდა ზედაპირზე გადავლებულია ღია მწვანე ჭიქური. ჭიქურის კვალი შეიმჩნევა გარედანაც. პირ-ბაკო მომრგვალებული, სწორი გადაშლილი კალთა და გამოყვანილქუსლიანი. თასს გარედან შეემჩნევა ჩარხის კვალი. ასევე გარე მხრიდან ამოკაწრული აქვს ასო-



ნიშანი, შეიძლება იყოს ან ქ ან თ, ან კიდევ ჯვარი. არ გამოირიცხება რომ ეს იყოს მეჭურჭლის ინიციალები. ზომები: სიმაღლე-9 სმ; პირის დმ-26,5; ქუსლის დმ-11,5 სმ; კეცის სისქე პირთან-0,8 სმ; ქუსლთან-1 სმ; ქუსლის სიმაღლე 1-სმ; ჯამის სიღრმე-7 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი აბანოს უბანი. (ტაბ. X სურ.3)

VIII-IX საუკუნით თარიღდება ბაგრატის ტაძრის სადიაკვნეში არსებულ აკლდამაში აღმოჩენილი **სამარილე**, (ქ.ც. საგ. 579),

რომელიც წარმოდგენილია გვერდისა და ძირის ფრაგმენტის სახით. წითელკეციანი, ორმხრივ მწვანედ მოჭიქული. პირისა და კალთის შეერთების ადგილას შემოუყვება ვიწრო წიბო. კალთებაკეცილი, გამოყვანილი ქუსლით. ზომები: სიმაღლე: 4,5 სმ; დიამეტრი-9 სმ; ქუსლის დიამეტრი-4,5 სმ; კეცის სისქე-0,7 სმ; სამარილეს სიმაღლე-2,5 სმ; ქუსლის სიმაღლე 1,3 სმ; აღმოჩენილია: ბაგრატის ტაძარზე,



სადიაკვნეში არსებული აკლდამის ინტერიერიდან. დათარიღების მთავარ საფუძველს წარმოადგენს სამარილესთან ერთად აღმოჩენილი მინის ლამპართა საყრდენი ფეხები (8 ცალი). [ლანჩავა 2007: 167]. (ტაბ.XI სურ. 1)

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ქუთაისის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ყველაზე ადრინდელი მოჭიქული ჭურჭელი:

საგ. №741.04.

კოჭობი. თეთრკეციანი, სფეროსებურმუცლიანი. ნახევრად რესტავრირებული. სქელკედლიანი. გარე ზედაპირი დაფარულია ცისფერი ჭიქურით. კოჭობს აქვს სქელი გარეთ გადაშლილი პირ-ბაკო და სწორი ყელი. ზომები: პირის დმ-9 სმ; მუცლის დმ-12,5 სმ; ყელის დმ-7,5 სმ; კეცის სისქე-05-0,7 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარზე, კონწოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, IV საუკუნის კომპლექსთან ერთად (ხელადები, ჭრაქები, ლუთერი). ვარაუდობენ, რომ ის პართული წარმომავლობისაა, [ო. ლანჩავა]. (ტაბ.XI სურ. 2).



ადრინდელი ხანის მოჭიქულ ჭურჭლებს განიხილავს გ. მანჯგალაძე. მან ყურადღება გაამახვილა რომაული ხანის მონაპოვართა შესახებ. დღეისათვის აღმოჩენილია 36 ასეთი ჭურჭელი. მცხეთა-სამთავროში, ყოდოთოში, ურბნისში, უინვალში, არაგვისპირში, თრიალეთში, თითო სომხეთში, არტაშატის სამაროვანზე. გ. მანჯგალაძის აზრით, განსახილველი მოჭიქული ჭურჭლების თიხა მოთეთრო ფერისაა წვრილი მინარეგებით. დამზადებულია ხელით, გამოწვის ხარისხი საშუალოა. მოჭიქულია მთლიანად ძირ-ქუსლის გარდა. ცნობილი ცენტრების ასეთ კერამიკასთან შედარებით, მდარე ხარისხის ნაწარმია. უმეტესობა მწვანედაა მოჭიქული (სომხეთში აღმოჩენილი ცალებიც). დანარჩენი ეგზემპლარები: მომწვანო-მოცისფრო, მოცისფრო, ლურჯი, ვერცხლისფერი, მოცისფრო-მონაცისფორა.

ამგვარი თიხის ჭურჭლებს, ქართველი და სომეხი მკვლევარები ათარიღებენ ახ. წ. I-IV საუკუნეებით. რაც შეეხება მათ წარმომავლობას ადგილობრივ დამზადებულად მიაჩნიათ ალ. კალანდაძეს, გ. ლომთათიძეს, გ. გობეჯიშვილს და ა. აფაქიძეს, ხოლო შემოტანილად თვლიან (სირია, დურა-ევროპოსის სამაროვანი)-ალ. ბოხოჩაძე, ჟ. ხაჩატრიანი და ლ. ჭილაშვილი, რომელიც ეყრდნობა ურბნისში სამარხეულ კერამიკულ მასალაში წარმოდგენილ ერთ პატარა მოთეთრო ფერის თიხის ღია მწვანედ მოჭიქულ ჭურჭელს. მოცულობითი სიმცირის გამო ავტორის აზრით, ის შეიძლება ჩაითვალოს სანელსაცხებლედ. სამარხეული მასალით ეს სამარხი დათარიღდა IV საუკუნით. პარალელური მასალა მოჭიქული ჭურჭლისათვის უცნობია და მსგავსების ელემენტად მკვლევარი ასახელებს ახ. წ. I

საუკუნის მცირე აზიურ ორყურა პატარა მოჭიქულ ჭურჭლებს. სწორედ აქედან ასკენის, რომ იგი ადგილობრივი ნაწარმი არ შეიძლება იყოს. [ჭილაშვილი 1964: 79]. გ. მანჯგალაძის მიერ შემუშავებული ქრონოლოგიის საფუძველზე შედგენილი კერამიკის კატალოგის მიხედვით ეს მასალა (რომაული ხანის მოჭიქული კერამიკა) დათარიღდა ახ. წ. III საუკუნით. სამარხების დათარიღებისათვის ავტორს გამოყენებული აქვს მოჭიქული თიხის ჭურჭელთა კომპლექსების შემცველი ნივთების პარალელიზაცია, გვიანრომაული ხანის ე. წ. საყრდენ კომპლექსებთან. აქ ყურადღება გამახვილებულია საქართველოში ცნობილ გვიანრომაულ ხანის იმ სამარხულ კომპლექსებზე, რომლებიც შეიცავენ III–IV საუკუნეების მონეტებს და დაკრძალვის წესზე. მცხეთა-სამთავროში დაკრძალვის გაშოტილი პოზა ახ. წ. III საუკუნეზე ძველი არ არის. საქართველოს ფარგლებს გარეთ აღმოჩენილ, რომაული ხანის მოჭიქულ კერამიკასთან შედარებამ (ჩრდილო-შავიზღვისპირეთი, პერგამი, როდოსი, ტიგროსის სელევკია, ურუკი, სომხეთი, დურა-ევროპოსი ცხადყო მათ შორის არსებითი განსხვავება: ფორმა, თიხისა და ჭიქურის ფერი, დამზადების ხარისხი. ახლო მსგავსება და არა იდენტურობა დადასტურდა მხოლოდ დურა-ევროპოსის (სირია) რომაული ხანის სამარხების მცირე ზომის მოჭიქულ კერამიკასთან. 1983 წელს ჩატარებული თიხის მიკროსკოპული ანალიზის შედეგად, რომელმაც დაადასტურა განსახილველი მოჭიქული ჭურჭლის თიხისა და მცხეთაში სოფელ კოდმანთან არსებული თეთრი თიხების იდენტურობა, მეცნიერების მიერ გაჩნდა ვარაუდი იმისა, რომ საქართველოში ცნობილი რომაული ხანის მოჭიქული კერამიკა სირიული მცირე ზომის მოჭიქული კერამიკის მიბაძვით უნდა ყოფილიყო დამზადებული (ფორმა, თიხისა და ჭიქურის ფერი, მოჭიქვის ტექნიკა), ხარისხის გარდა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გ. მანჯგალაძის აზრით, ახ. წ. III საუკუნეში მოჭიქული კერამიკის წარმოების ცენტრს მცხეთა წარმოადგენდა. [მანჯგალაძე 2008: 72, 73].

ქუთაისის მოჭიქული კერამიკის პირველი პერიოდის (VIII–IX ს.ს.) განხილვის შედეგად ნათელი ხდება, რომ ხელოსნური წარმოების ამ დარგის განვითარება ხდებოდა ქვეყნის, კერძოდ, კი ქუთაისის, როგორც დასავლურ-ქართული სამყაროს პოლიტიკური ცენტრის, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებასთან ერთად, ამის ნათელი დადასტურებაა არქეოლოგიური კვლევის შედეგებით გამოვლენილი ჭიქურით დაფარვის ხელოვნება, რომელიც მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება.

§2. მეორე პერიოდი (X-XI ს.ს.)

X-XI საუკუნეებში ქუთაისში ზედმიწევნით განვითარებული ჩანს ხელოსნობის სხვადასხვა დარგები. მათი განვითარების მაღალი დონე კარგადაა ილუსტრირებული სათანადო ფაქტებით. ხელოსნური ნაწარმის საერთო ანალიზი უჩვენებს ხელოსნური წარმოების ღრმა დიფერენციაციას და ვიწრო სპეციალიზაციას, ტექნოლოგიური პროცესების მაღალ მაჩვენებელს, რომლითაც ადგილობრივი პროდუქცია ტოლს არ უდებდა იმდროინდელი განვითარებული ქვეყნების ნაწარმს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სამეთუნეო ნაწარმის სერიული და სტანდარტული დამზადება, რაც ადგილზე ქალაქის საწარმო-სახელოსნოებში ხდებოდა. ერთ-ერთი ასეთი სახელოსნოს შესახებ ჩვენ ადრე გვქონდა საუბარი, სავარაუდოა, რომ იგი ფუნქციონირებდა X-XI საუკუნეებშიც. აღმოჩენილ მასალათა დიდი რაოდენობა (მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკა) და მისი ანალიზი აგრეთვე სტრატოგრაფიული მონაცემები იმაზე მიუთითებენ, რომ ეს სახელოსნოც ძირითადად ორიენტირებული იყო სუფრისა და სამზარეულო ჭურჭლის წარმოებაზე. იგი განადგურებული ჩანს XI საუკუნის 80-იან წლებში „დიდი თურქობის“ შედეგად. გათხრების დროს მრავლად აღმოჩნდა მოჭიქული ჭურჭელი ისეთივე ფაქტურით, როგორც ჩვეულებრივი ნაწარმი, რაც მიანიშნებს ჭიქურის ადგილობრივ წარმოებას იმ მასალებთან ერთად, რომელიც უშუალოდ წარმოების ნაშთებად მიგვაჩნია, (ნახევარფაბრიკატები, ჭიქურით დაფარული რიყის ქვები, ზედადგარი, თიხის სოლები, ჭიქურის ხელსაფქვავე-სანაყი).

მოჭიქული კერამიკის წარმოებისათვის XI საუკუნე მნიშვნელოვანი ხანაა, რომელიც ახალი სტილის დამკვიდრებით აღინიშნება საქართველოში, ვინაიდან სწორედ ამ დროს წარმოება განიცდის ძირეულ გარდატეხას. მოთხოვნილების გაზრდამ გამოიწვია მოჭიქული კერამიკის წარმოების მასშტაბების გაფართოება, ხოლო დიდძალი ჭურჭლის დამზადებამ კი, თავის მხრივ, მათი ფორმების გამარტივება და სხვა ცვლილებები. ჩნდება ახალი სახის პროდუქცია, მტკიცდება ორნამენტის ახალი წესი-ამოკაწვრა. ფართოდ იწერება თეთრი ანგობით ჭურჭლის დაფარვა; ვრცელდება ერთი ფერის-ცისფერი, მწვანე, ღვიძლისფერი, ლურჯი საღებავებით მოჭიქვა. აღნიშნული თვისებები დამახასიათებელია შემდგომი ხანის მოჭიქული ჭურჭლისათვისაც. დროთა განმავლობაში მხოლოდ ზედაპირის მორთულობა (მრავალფერად მოჭიქვა, მრავალფერად მოხატვა და ა. შ.) იცვლება.

ამავე დროს ახალი ფორმისა და ფაქტურის მიხედვით იყენებენ ორნამენტის მორთვის ძველ ხერხებსაც.

ა. პოუპის აზრით, მკვეთრად ამოკაწრული ორნამენტი დიდ მსგავსებას იჩენს ლითონის ჭურჭელზე გამოსახულ ორნამენტულ სახეებთან. იგი თვლის, რომ ისლამური ხანის მეთუნეებმა განავითარეს სასანური ხანის იდეები, კერძოდ, ამოკაწრის ხერხი. მას მოჭიქული ჭურჭლის ზოგიერთი ფორმა ლითონის მოდელებისაგან ნასესხებად მიაჩნია. იმავე აზრისაა ა. ლეინიც, რომ „სგრაფიტო“ ტექნიკა სრულდება ვერცხლის ჭურჭლის მსგავსად. [Pope 1938: 1505; Lanne 1957: 13]. ამ ტექნიკის პოპულარობა ისლამურ სამყაროში დასტურდება იმით, რომ დიდი რაოდენობით ნივთებია აღმოჩენილი, რომლებიც ამ ტექნიკითაა მოპირკეთებული. განსაკუთრებით პოპულარული კი აბასიანთა დინასტიის პერიოდში გახლდათ. ტექნიკის გავრცელების კვალი შეინიშნება ეგვიპტეში, ანატოლიასა და რუსეთშიც კი. ტექნიკის გავრცელება ასეთ დიდ ტერიტორიაზე განაპირობა ბიზანტიური სამყაროს მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობებმა. ეგვიპტეში, ფატიმიდების დინასტიის მმართველობის პერიოდიდან იწყება ამ ტექნიკის მასიურად გამოყენება. ამ რეგიონში აღმოჩენილი ნივთები ძირითადად მომწვანო შეფერილობისაა, თუმცა ფერთა გამა მაინც განსხვავდება ბიზანტიური ტექნიკისაგან. აქ მასიურად გვხვდება მოვარდისფრო-მოწითალო შეფერილობის ჭიქური. სირიასა და ანტიოქიაში გრაფიტოს ტექნიკა გავრცელდა XI საუკუნეში. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მასალა არის აღმოჩენილი აღმინას ტერიტორიაზე. აღმოჩენილი მასალები ამავე სახელწოდებითაა ცნობილი სამეცნიერო წრეებში. აღნიშნული ნივთების უმრავლესობა პასტელურ ფერებშია შესრულებული, ჭარბობს მოყავისფრო, მოყვითალო და ჟანგისფერი ტონები. აღსანიშნავია ისიც, რომ ისეთ ადგილებშიც კი, სადაც მუსულმანური და ქრისტიანული კულტურები ერთად თანაარსებობდნენ, მაგალითად იერუსალიმში, ტექნიკის კუთხით არ შეინიშნება მკვეთრი განსხვავება ამ წესით დამზადებულ ნივთებში. ეგვიპტესა და სირიაში გრაფიტოს ტექნიკის განვითარების შემდეგი ეტაპი დაკავშირებულია მამლუქთა მმართველობასთან. მე-13 საუკუნიდან მე-15 საუკუნის ჩათვლით ნივთებზე ხშირად შეხვდებით მცენარეულ და გეომეტრიულ ორნამენტებს. ასევე ხშირია ცხოველთა და ფრინველთა გამოსახვაც. რელიგიური ფაქტორის გავლენა გახლავთ ის ფაქტიც, რომ ამ მასალებზე არაა ადამიანის გამოსახულება. კვიპროსზე აღმოჩენილი ნიმუშები ყველაზე ახლოს დგას ბიზანტიურ ტექნიკასთან. განმასხვავებელი ნიშანი ამ ორ ტრადიციას შორის გახლავთ ფერთა გამა. შუა

საუკუნეების მიწურულისათვის გრაფიტოს ტექნიკამ განვითარების პიკს მიაღწია: ბოლონია, პადუა, ფერარა. იტალიიდან ტექნიკა ცენტრალურ ევროპაშიც გავრცელდა, მათ შორის საფრანგეთსა და ესპანეთში.

საინტერესოა თუ რა თავისებურებებითა და ნიშან-თვისებებით გამოირჩევა X-XI საუკუნეების ქუთაისური მოჭიქული კერამიკა, რომელიც შედარებით მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი და ძირითადად ორ ჯგუფად იყოფა: 1. სამშენებლო-კრამიტები, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი და 2. საყოფაცხოვრებო (ძირითადად სუფრის ჭურჭელი), რომელიც ისევ გვხვდება გამოყვანილქუსლიანი ჯამების სახით, მაგრამ არის მრგვალი ბორბლისებური ქუსლით და შიგნით დილისმაგვარი კოპით, სქელკედლიანი, წითლად და მოჩალისფროდ გამომწვარი, პროფილირებული პირით, მომრგვალებული პირბაკოთი და ფართედ გადაშლილი კალთით. ორმხრივ და ერთმხრივ ანგობირებული. გავრცელებულია ერთი ფერით მოჭიქვა (ცისფერი, მწვანე, ყვითელი), მხოლოდ 3 ერთეულით არის წარმოდგენილი მრავალფერად მოჭიქული. გვხვდება როგორც მოხატული, ასევე ამოკაწვრით შესრულებული ჯამის ფრაგმენტები:

შ. წ. №9539. A-764 საგ. ქ.ც. №3934.85.

თასი. ქუსლის ფრაგმენტი. ჩალისფრად გამომწვარი. შიდა ზედაპირი თეთრად ანგობირებული და ცისფერი ჭიქურის ხაზებით მოხატული. დაზიანების გამო რთულია ორნამენტის გარჩევა. ზომები: ძირის დიამეტრი-13 სმ; კეცის სისქე-0,8 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ბაგრატის ტაძრის ეზო, ჩრდილოეთის შესასვლელი სიღრმე 1,8 მ. (ტაბ. XI სურ.3)



შ. წ. № 10130; A-842 საგ. ქ.ც. № ქ.ც. 6366.87

თასი. გვერდის ფრაგმენტი. ჩალისფრად გამომწვარი, შიდა ზედაპირი მოხატულია თეთრი ანგობის ხაზებითა და წერტილებით. მოჭიქულია მწვანედ. მომრგვალებული პირბაკოთი, პროფირილებული პირით. კალთა გადაშლილი.



ზომები: კეცის სისქე- 0.6 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, გ13-კვადარტი, სირღმე 1,60 მ. (ტაბ. XI სურ.4)

შ. №. 9539 A-764 ქ.ც 482. 84.

თასის გვერდის ფრაგმენტი. მოხალისფროდ გამომწვარი თიხა. შიდა ზედაპირი მოხატულია თეთრი ანგობით, გადავლებულია ღია ყავისფერი ჭიქური და ალაგ-ალაგ დაუყვება ცისფერი ხაზები. პირ-ბაკო მომრგვალებული. ზომები: კეცის ზომა 0,5 დან-0,8 მდე. აღმოჩენილია: შიდა ქალაქის ტერიტორია. (ტაბ. XI სურ.5)



შ. №. 9539 A-764; ქ.ც. საგ №.3236.85.

ჯამი. პირისა და გვერდის ფრაგმენტი. წითელკეციანი. სქელკედლიანი. შიდაპირის ცალ მხარეზე ანგობით შესრულებულია მცენარეული ორნამენტი. პირ-ბაკოზე შეიმჩნევა მწვანე ჭიქურის ნაღვენთი, რომლის შიგნით ნახატი აღარ იკვეთება. სავარაუდოა, რომ ამის გამოც დარჩა ნახევრად ნამზადი. გარეპირი სადა. სწორი გადაშლილი პირითა და კალთით. ზომები: კეცის სისქე-1,2 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, „შიდა ქალაქის“ ტერიტორია. (ტაბ. XI სურ.6)



მრავლად გვხვდება მსგავსი, მაგრამ მოუჭიქავი კერამიკაც, რომელსაც იდენტური თიხა, დამზადების ტექნოლოგია და მოხატულობა აქვს. საგანგებოდ აღნიშვნის ღირსია ერთ-ერთ ჯამზე გაკეთებული დამლა „ს“ „ა“. სავარაუდოდ, ეს ჯამები ერთი და იგივე სახელოსნოს ნაწარმი უნდა იყოს. (ტაბ. XI სურ.7)



მხოლოდ 4 ერთეულითაა წარმოდგენილი ამოკაწვრით შესრულებული ჯამის ფრაგმენტები:

შ. №. 10330 A-842 ქ.ც. საგ. 5293.86.

თასი. ძირის ფრაგმენტი. წითელკეციანი, შიდაპირზე ამოკაწვრით შესრულებულია გეომეტრიული ფიგურები,



რომელზედაც გადავლებულია მომწვანო-მოყვითალო ჭიქური. ფართოდ გადაშლილი კალთით და გამოყვანილი ქუსლით. ზომები: ქუსლის დმ-11 სმ; კეცის სისქე 1,4 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი. 4 ნაკვეთი, კვადრატი №6. (ტაბ. XII სურ.1)

შ. წ. 10130 A-842 ქ.ც. საგ. 5031.86.

თასი. ძირისა და გვერდის ფრაგმენტი. წითელკეციანი. თეთრად ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწვრით შესრულებულია წრიული და კლაკნილი ხაზები, ალაგ-ალაგ გაცოცხლებულია ღია მწვანე, ღვიძლისფერი და ცისფერი ჭიქურით. ქუსლი გამოყვანილი. ზომები: ძირის დიამეტრი-11 სმ; კეცის სისქე-0,7 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, მთავარი კარიბჭე, სიღრმე 1,4 მ. (ტაბ. XII სურ.2)



ქ.ც. 742.04.

ჯამის კალთის ფრაგმენტი, წითელკეციანი, შიდა ზედაპირი ღია მოვარდისფროდ ანგობირებული, ამოკაწვრით შესრულებულია მცენარეული ორნამენტი, რომელზეც მოხატულია მუქი სოსნისფერი ხაზებისაგან შექმნილი ხვეული და სწორი ხაზები. თხელ ფენად ლაქების სახით დატანილია ცისფერი. გადავლებული უნდა ჰქონოდა უფერული ჭიქური. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი. (ტაბ. XII სურ.3)



აღნიშნული ორნამენტით შემკული ჯამების ჯგუფში ერთადაა შერწყმული ორნამენტის გამოყვანის ახალი წესი-ამოკაწვრა და ძველი ფერადი ლაქები. მ. მიწიშვილი ამ ორნამენტით შემკულ ჯამებს ორ საფეხურად ყოფს. (I-დაბალი, ბორბლისებური ქუსლი და მოვარდისფრო ანგობზე მკრთალი ნაკაწრი, დაღვენთილი ცისფერი და მწვანე, ან ცისფერი და ღვიძლისფერი ლაქები. გადავლებული ღია კრიალა ჭიქური; II-გამოყვანილი, ოდნავ ამობურცული ძირი, მოვარდისფრო ანგობზე მკრთალად ამოკაწრული წყვილი ხაზები და მარყუჟიანი

რგოლები. გადავლებული არაკრიალა ჭიქური). ანალოგიური ჯამები აღმოჩნდა რუსთავის ნაციხარზე და ნაქალაქარზე, უჯარმაში, დმანისში, გუდარესში, თბილისის კერამიკულ სახელოსნოსა და მის გადანაყარში. როგორც ავტორი აღნიშნავს, ანალოგიური ჯამები ჩანს, აზერბაიჯანში (ორენ-ყალა), რომელსაც ა. იაკობსონი IX საუკუნით ათარიღებს. მსგავსი ჯამები გამოქვეყნებული აქვს ა. პოპს, რომელსაც IX საუკუნეს მიაკუთვნებს. მკრთალად ამოკაწვრა და ფერდი ნაღვენთები ცნობილია VII-IX საუკუნეების ჩინურ კერამიკაში, ხოლო IX საუკუნიდან ეს ტექნიკა ვრცელდება მთელს აღმოსავლეთში და ამიერკავკასიის მხატვარ-კერამიკოსებს შორის. [მიწიშვილი 1967: 293]. ორი ჯგუფი გამოიყო რუსთავის ნაციხარზე სასახლის გათხრების დროს ვარდისფერ ანგობით დაფარულ ჯამებში. გარდა ჯამის ქუსლის ფორმის განსხვავებისა, განირჩევიან მკრთალი და მკვეთრი ნაკაწრებით. I ჯგუფი თარიღდება IX საუკუნით, II ჯგუფი კი XI საუკუნით. [არჩვაძე, ჩიკოიძე, ჩხატარაშვილი 2005: 55]. ქუთაისური ჯამი მხოლოდ ორნამენტის და კეცის ფაქტურის მიხედვით X-XI საუკუნეებით თარიღდება. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს რომ, ამავე პერიოდით თარიღდება თეთრ ანგობზე მოხატვით შესრულებული თითქმის მსგავსი ორნამენტის ჯამის ფრაგმენტი:

შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. საგ№5952/1,2,3,87.

ჯამი. გვერდისა და პირის ფრაგმენტი. დაზიანებული, ფრაგმენტების სახით. კეცი მოწითალო-მოყავისფრო. თეთრად ანგობირებულ შიდაპირზე საკმაოდ სქელი სოსნისფერი ხაზებითა და წერტილებით შექმნილია წრიული ორნამენტი, რომლის ცენტრში თხელ ფენად



ლაქების სახით დატანილია ცისფერი. გადავლებულია უფერული კრიალა ჭიქური, პირაკეცილი, გამოყვანილი პირ-ბაკო. კალთა ფართოდ გადაშლილი. ზომები: პირის სიმაღლე-3 სმ; კეცის სისქე-1 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი. i3 ნაკვეთის 6 კავდარატი. №3 ორმოს მასალა. (ტაბ. XII სურ.4)

ორივე ჯამზე ნათლად ჩანს ხელოსნის დახვეწილი უნარი ფერთა შეხამებისა და შეიძლება ითქვას ერთგვარი მომზადება მრავალფეროვანი ორნამენტის შექმნისათვის, რომელიც ნათლად ჩანს შემდეგ პერიოდში.

შ. №. 10130 A-842. ქ.ც. საგ. 5954.87.

ჯამი. კეცი მოწითალო ფერის. ნახევრად რესტავრირებული. შიდა მხარე და პირის გარე მხარე მოჭიქულია ცისფრად. პირაკეცილი, გამოყვანილი პირ-ბაკო, ფართოდ გადაშლილი კალთით. კალთებზე ამოკაწვრით შესრულებულია თოკისებური ორნამენტი, რომელიც შესაძლებელია ქმნიდა ხუთკუთხედს. ძირი მრგვალი ბორბლისებური, რომლის შიგნით კოპია. ზომები: სიმაღლე-8 სმ; პირის დმ-20,5 სმ; პირის სიმაღლე-3 სმ; ქუსლის სიმაღლე-1,5 სმ; ქუსლის დმ-8 სმ; კეცის სიქე-0,8 სმ; ჯამის სიღრმე-5,5 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი. ი3 ნაკვეთის 6 კვადრატი.



№3 ორმოს მასალა. (ტაბ. XII სურ.5)

ამოკაწვრით მოხატული და ცისფრად მოჭიქული ჯამების მასიური დამზადების დრო XI საუკუნე უნდა ყოფილიყო, ხოლო ამოკაწვრით მოხატული და ერთფერად მოჭიქული ჯამების კი XII საუკუნე. [მიწიშვილი 1979: 39].

ერთფერად მოჭიქულთაგან აღსანიშნავია:

შ. №. 9539 A-764; ქ.ც. 4239.85. 4241. 85.

თასი. გვერდისა და ძირის ფრაგმენტი. წითელკეციანი. შიდა ზედაპირი მოჭიქულია მწვანედ, წრიული ხაზების სახით ემჩნევა ჩარხის კვალი. გარე მხრიდან შიშველ კეცზე ზოგან შეიმჩნევა ანგობისა და ჭიქურის კვალი. ფართოდ გადაშლილი კალთა, ბრტყელქუსლიანი. ზომები: შემორჩენილი სიმაღლე-6 სმ; ძირის დმ-10 სმ;



კეცის სისქე-1,4-0,6. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, „ლაზების მეფეთა“ სასახლის ნანგრევები. (ტაბ. XII სურ.6)

შ. №. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №3490_{1,3,4}.85.

ჯამი. გვერდისა და პირ-ბაკოს ფარგმენტები. რუხ-მოყავისფროდ გამომწვარი. თეთრად ანგობირებული შიდაპირი დაფარულია მწვანე



კრიალა ჭიქურით. გარედან მხოლოდ პირი არის მწვანედ მოჭიქული. პირ-ბაკო გარეთ გადაშლილი. აკეცილი პირით. ფართედ გადაშლილი სწორი კალთით. ზომები: პირის სიმაღლე-2,5 ს; კეცის სისქე-0,5 სმ-დან-0,8 სმ-მდე. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, „შიდა ქალაქი“. (ტაბ. XIII სურ.1) ანალოგიურია: შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №13.84.)

ძალიან საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს ორმხრივ მოჭიქული (შ. წ. 9539 A-764; ქ.ც. საგ №3982.85). ჯამის გვერდის ფრაგმენტი. მოხალისფრო კეცი, რომელიც გარე მხრიდან მოჭიქულია მწვანედ, ხოლო შიგაპირი მოჭიქულია ყვითლად და აქვს გარდამავალი მწვანე ფერიც. სქელკედლიანი, გარედან პირისაკენ პარალელური ხაზები. ზომები: კეცის სისქე-0,8-დან 1 სმ-მდე. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი „ლაზების მეფეთა“ სასახლის ნანგრევებიდან. (ტაბ. XIII სურ.2)



ანალოგიურია: ქ.ც. 3948/1. 85; ქ.ც. 3948/2,5.85;

4 ერთეულითაა წარმოდგენილი მრავალფრად მოჭიქული თასისა და ჯამის ფრაგმენტები:

შ. წ. 9539. A-764 ქ.ც. საგ.1584. 84.

თასი. გვერდის ფრაგმენტი, რომელიც ძლიერ დაზიანებულია. მოხალისფროდ გამომწვარი. ანგობირებულ შიგაპირზე გადავლებულია ღია მწვანე, ნაცრისფერი და მოყვითალო ფერის ჭიქური. აქვს თხელი მომრგვალებული პირ-ბაკო, გადაშლილი კალთით. ზომები: კეცის სისქე-0,5-დან 0, 8 მდე. აღმოჩენილია: ქუთაისის შიდა ციხე, სამეფო მარნის მახლობლად. (ტაბ. XIII სურ.3)



შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. საგ.№5953.87.

ჯამი. ძირის, გვერდისა და პირის ფრაგმენტი, ნახევრად რესტავირებული, მოწითალო-მოყავისფრო კეცი, შიდა პირი მოჭიქულია შაბიამნისფრად და მუქი ლურჯით.



პირაკეცილი, გამოყვანილი პირ-ბაკო, ფართოდ გადაშლილი კალთა. მრგვალი ბორბლისებურქუსლიანი, რომლის შიგნით კოპია. ზომები: სიმაღლე-8 სმ; პირის დმ-20,5 სმ; პირის სიმაღლე-3 სმ; ჯამის სიღრმე-6 სმ; ქუსლის დმ-7,5 სმ; ქუსლის სიმაღლე-1,3 სმ; კეცის სისქე-0,8 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი. i3 ნაკვეთის 6 კვადრატი. №3 ორმოს მასალა. (ტაბ. XIII სურ.4) ანალოგი: ქ.ც. 439.84.

შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. საგ. №5283.86.

ჯამი. ძირისა და გვერდის ფრაგმენტი. მოწითალო-მოყავისფრო კეცი, შიდა პირი მოჭიქულია შაბიამნისფრად და მუქი ლურჯით. მრგვალი ბორბლისებურქუსლიანი, რომლის შიგნით კოპია. ზომები: ქუსლის დმ-7,3 სმ; ქუსლის სიმაღლე-1,3 სმ; კეცის სისქე-0,8 სმ; აღმოჩენილია ქუთაისის ნაქალაქარი. i2 ნაკვეთის მე-15 კვადრატი. (ტაბ. XIV სურ.1)



შ. წ. 9539 A-764; ქ.ც. საგ. №3745.85.


ჯამი. პირის ფრაგმენტი. წითლად გამომწვარი. ორმხრივ თეთრად ანგობირებული. შიდაპირი ყავისფრად მოჭიქული. პირ-ბაკო კი ყვითლად მოჭიქული. ყვითელი ჭიქური ზოგან დატანილია ლაქების სახით. ზომები: კეცის სისქე-0,7 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, „შიდა ქალაქი“. (ტაბ. XIV სურ.2)



X-XI საუკუნეებში ქუთაისის ნაქალაქარზე აღმოჩენილ მოჭიქულ ჭურჭელთაგან გვხვდება „წვრილი“ ჭურჭელი სამარილეებისა და ჭრაქების სახით.

შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №3654.85.

სამარილე. აკლია გვერდის ფრაგმენტი. წითელკეციანი. შიდაპირი დაფარულია თეთრია ანგობით. მოჭიქულია შაბიამნისფრად. პროფილირებული ოდნავ გარეთ გადაშლილი პირ-ბაკო, აკეცილი კალთა, დაბალი, ბრტყელქუსლიანი. ზომები: სამარილეს სიმაღლე-3 სმ; პირის დმ-7,5 სმ; ძირის დმ-4,5 სმ; ძირის სიმაღლე-0,5 სმ;



შიდა სიღრმე-1,5 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ბაგრატის ტაძრის ჩრდილოეთ კედელთან. (ტაბ. XIV სურ.3)

როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, განვითარებული შუასაუკუნეების ძეგლებზე აღმოჩენილი სამარილები, რომელთა შორის ჭარბობს მწვანედ მოჭიქულები (თუმცა გვხვდება ცისფრად მოჭიქულიც), ფორმა-მოყვანილობით ერთგვაროვანია და ამასთან ისეთი დიდი რაოდენობით, როგორც ჩვენში, ისინი არსად გვხვდება. [მინდორაშვილი 2010: 46].

შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. საგ. №5656.87.

ჭრაქი. მოთეთრო ფერის კეცი. ორმხრივ მუქ მწვანედ მოჭიქული. კონუსური ფორმის კამერა დაძვეულია უქუსლო ლამბაქზე. შემორჩენილი აქვს საპატრუქე ნახვრეტი. ზომები: ძირის დმ-6 სმ; სიმაღლე-4 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, B4 ნაკვეთი, კვადრანტი №8. (ტაბ. XIV სურ.4)



ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მეორე პერიოდის (X–XI საუკუნე) ქუთაისური მოჭიქული კერამიკის წარმოების კიდევ ერთ ახალ საფეხურს წარმოადგენს, ვინაიდან ამ დროს მოთხოვნილების გაზრდამ გამოიწვია მოჭიქული კერამიკის წარმოების მასშტაბების გაფართოება, რაც გამოიხატა პროდუქციის ხარისხში, რაოდენობასა და ხასიათში. უხეშდება ჭურჭლის კეცი, ფართოდ ინერგება თეთრი ანგობი, უფრო მტკიცდება ამოკაწვრის წესი და მზადდება ნიადაგი განსხვავებული და მრავალფეროვანი ორნამენტის შესამქნელად. ამ პერიოდის ჭურჭლისათვის ნაწილობრივ დამახასიათებელია ის სიტლანქე, რაც პირველი პერიოდის ნაწარმს ახასიათებს, თუმცა ფორმა უფრო დახვეწილია, მეორდება წნეხვით ნაპრიალები და წითლად ან თეთრად მოხატული მოუჭიქავი ჭურჭლის ანალოგიური ჯამები. ზოგიერთ მათგანს აქვს ამოკაწვრით გამოყვანილი ასო-ნიშანი ან დამღით დატანილი ასომთავრული, ეს უკანასკნელი გვხვდება მომდევნო პერიოდის მასალაშიც. რაც მიუთითებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მათ ადგილობრივ წარმოებას და ურთიერთშორის გენეტიკურ კავშირს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, XI საუკუნიდან იწყება ორნამენტის ახალი წესის დამკვიდრება—ამოკაწვრა. ინტერესმოკლებული არ იქნება განვიხილოთ სტამბოლის არქეოლოგიური მუზეუმის მიერ კონსტანტინოპოლისათვის დამახასიათებელი

კერამიკული ნიმუშების აღმოსაჩენად რამოდენიმეჯერ ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციის პროექტი, სადაც სხვა საკითხებთან ერთად ერთ-ერთი, ამოკაწვრის ტექნიკით შესრულებული მასალის განხილვას ეხება. პროექტის ფარგლებში მოხდა აღმოჩენილი მასალის ლაბორატორიული გამოკვლევა და ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენა. მასალა თარიღდება როგორც ბიზანტიური პერიოდით, ასევე არის ნიმუშები რომლებიც ოტომანთა დინასტიის პერიოდს ეკუთვნის. განსაკუთრებით მდიდარი აღმოჩნდა სირკესის მიდამოები, სადაც აღმოაჩინეს დიდი რაოდენობით ბიზანტიური პერიოდით დათარიღებული კერამიკული მასალა: 1) თიხის სამფეხა სადგრები, რომელიც გამოიყენებოდა ჭურჭლის გამოსაწვავად; 2) ორჯერ გამომწვარი წუნდებული ნიმუშები. შეინიშნება მოხატვისა და დეკორის ელემენტები, ჭიქური, მონოგრამული გამოსახულებები, რომელიც შესრულებულია ამოკაწვრითა და ამოკვეთით. 3) ორჯერ გამომწვარი, მოჭიქული კერამიკის ნიმუშები მონოგრამული გამოსახულებით.

სირკესის მიდამოებში აღმოჩენილი ეს მასალები ფუნქციური თვალსაზრისით საოჯახო დანიშნულების და აგრეთვე დეკორატიული ფუნქციის მქონე ჭურჭელია. ისინი მსგავსებას ავლენენ ზექსიპურში აღმოჩენილ კერამიკულ ნიმუშებთან და აგრეთვე გარკვეულ მსგავსებას ავლენს სალონიკში აღმოჩენილ მოჭიქული კერამიკის ნივთებთან.

ქიმიური ანალიზის ერთ-ერთ მეთოდად გამოყენებული იქნა რენტგენის სხივები, რათა მომხდარიყო ნივთის სტრუქტურული აგებულების დადგენა. ეს ანალიზი ჩატარდა საფრანგეთში, კერძოდ ლიონში. ქიმიურმა ანალიზმა გამოავლინა 24 სხვადასხვა კომპონენტის შემცველობა. სირკესის მიდამოებში აღმოჩენილი მასალა დიდ მსგავსებას იჩენს ზექსიპურში აღმოჩენილ ნივთებთან. ეს ნივთები დამზადებულია ისეთი თიხისაგან, რომელშიც მცირეა კალციუმის კარბონატის შემცველობა. თუმცა დიდი რაოდენობითაა გაჯერებული მანგანუმის, ალუმინიუმისა და იონური მარილის ელემენტებით. ქიმიური შემადგენლობისა და დამუშავების სტილის მიხედვით მეცნიერების მიერ მასალის კლასიფიკაცია მოხდა 3 ჯგუფად: 1 ჯგუფი არის სწორედ ის ჯგუფი, რომელიც მსგავსებას ავლენს ზექსიპურის მასალებთან. 2 ჯგუფი განიცდის ოტომანთა დინასტიისათვის დამახასიათებელი კულტურის გავლენას, ხოლო 3 ჯგუფში თავს იყრის ის ნიმუშები, რომლებშიც მოჭიქვის ბაზისად თეთრი ფერია გამოყენებული. ეს ჯგუფი შედარებით მცირეა.

არქეოლოგიურ გათხრებს ხელმძღვანელობდა: Çiğdem Girgin, Nihal Erhan და Suleyman Eskalen, რომელიც არის სტამბოლის მუზეუმის დირექტორი. პროექტი განხორციელდა 2008/2009 წლებში.

§3. მესამე პერიოდი–(XII-XIII ს.ს.)

XII-XIII საუკუნეების ქუთაისის მოჭიქული კერამიკა ძირითადად წარმოდგენილია სამშენებლო, (რომელიც ზემოთ გვექონდა განხილული) და სამეთუნეო ნაწარმით. განსაკუთრებით მრავლადაა სუფრის ჭურჭელი: ჯამები, სამარილეები, ჭრაქები. გვხვდება რამოდენიმე ერთეული თიხის დისკოს ფრაგმენტი, რომელიც სავარაუდოდ, შეიძლება იყოს სარიტუალო დანიშნულების ან სათამაშო ნივთი. მასალის უმეტესი ნაწილის აღმოჩენა ქუთაისის ნაქალაქარს უკავშირდება და სავარაუდოდ, ადგილობრივი ნაწარმია, თუმცა გამოიყოფა შემოტანილიც. აქ აღმოჩენილ მრავალფერად მოჭიქულ ჭურჭელზე სხვადასხვა ორნამენტისა და გამოსახულებათაგან გავრცელებულია მცენარეული და გეომეტრიული მოტივებისაგან შედგენილი ორნამენტი; სადა გეომეტრიული ორნამენტი-სამკუთხედები, ექვსკუთხედები, კონცენტრული წრიული ხაზები, სტილიზებული ჯვარი და სხვ; სადა მცენარეული ორნამენტი (ყვავილოვანი ვარდულა), ფრინველის, ცხოველის და თევზების გამოსახულება, თევზიფხური ორნამენტი და ბორჯღაღის სახეები.

ამ პერიოდის მოჭიქული კერამიკა ძირითადად წითელკეციანი, რუხკეციანი და ჩალისფრად გამომწვარია. ჯამები პირაკეცილია, გამოყვანილი პირ-ბაკოთი და ფართოდ გადაშლილი კალთით, ძირი მრგვალი, ბორბლისებური, ზოგ შემთხვევაში დაბალი, ზოგჯერ კი ვიწრო, მაღალი ღრუქუსლიანი. გარეთა მხრიდან ქუსლის ცენტრში ზოგიერთ მათგანს აქვს დილისმაგვარი ამობურცული კოპი. შიდა ზედაპირის ძირში შემორჩენილია ზედადგრის ნაშთი. უმეტესწილად თეთრად ანგობირებული. გვხვდება როგორც ერთფერად (მწვანე, შაბიამნისფერი, სოსნისფერი, ყავისფერი, ყვითელი), ასევე მრავალფერად მოჭიქული ჯამები, რომელთა ძირითადი ფერებია: სოსნისფერი, ცისფერი, შაბიამნისფერი, ჭაობისფერი, მღოგვისფერი, ყვითელი, მწვანე, ყავისფერი). ადრე აღნიშნავდნენ, რომ დასავლეთ საქართველოს მოჭიქულ ჭურჭელს შორის მრავალფერად მოჭიქული ყველაზე მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი, ქუთაისი ამ მხრივ აშკარად გამოწინააღმდეგებს წარმოადგენს. მრავალფერად მოჭიქულ ჯამებზე ძირითადად გამოყვანილია ამოკაწვრითა და ზოგჯერ ამოფხეკით შესრულებული ორნამენტი. ნაკაწრი ხაზების ამოსავსებად გამოყენებულია ყავისფერი, მუქი მწვანე, სოსნისფერი, მღოგვისფერი, ჭაობისფერი საღებავი.

ზემოთ ჩამოთვლილ ქუთაისურ ჯამებზე გავრცელებულ ორნამენტაგან უპირატესად განვიხილოთ გეომეტრიული მოტივებისაგან შექმნილი სახეები, კერძოდ, კონცენტრული წრეხაზები, რომლებიც ამოკაწვრის ან კომბინირებული ამოკაწვრა-ამოფხეკის წესით არის გამოყვანილი. ისინი შედარებით დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი. დასავლეთ საქართველოში აღნიშნული წესითა და ორნამენტით შემკული ჭურჭლის უმრავლესობა დაფარულია მწვანე და ყვითელი ჭიქურით. გვხვდება ღვიძლისფერი და ცისფრად მოჭიქული რამდენიმე პაწია ნატეხი. [მიწიშვილი 1976: 8]. ქუთაისის მაგალითზე მწვანედ და ყვითლად მოჭიქულთან ერთად გვხვდება სოსნისფერი და მდოგვისფერი.

ამოკაწვრით და კომბინირებული ხერხით (ამოკაწვრა-ამოფხეკით) შემკული ჯამები:

შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. საგ. №8022.90.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. მოწითალოდ გამომწვარი. თეთრად ანგობირებულ შიდაპირზე, ძირში ამოკაწვრით შესრულებულია ორი წრიული ხაზი, რომელიც ამოვსებულია მუქი ყავისფერი საღებავით და მოჭიქულია მუქ ყვითლად (მოყავისფროდ). შიდაპირზე ძირში შემორჩენილია სამფეხა ზედადგრის ნაშთი. თხელი გამოყვანილი ძირი. ზომები: ძირის დმ-6,5 სმ; კეცის სისქე-0,5 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ციტადელის ტერიტორია. ზედაპირულად. (ტაბ.XIV სურ. 5)



ანალოგიურია: შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №408.84. ქ.ც. საგ. №420.84; შ.წ. №743 A-582; შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. №5942.87.

შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №2874.85.

ჯამი. ძირის ფარგმენტი. მოჩაღისფროდ გამომწვარი. სქელკედლიანი. თეთრად ანგობირებულ შიდაპირზე, ძირში ამოკაწვრით შესრულებულია ორი წრიული ხაზი, რომელიც ამოვსებულია მუქი ყავისფერი საღებავით და მოჭიქულია მოყვითალო-მოყავისფროდ. შიდაპირზე შემორჩენილია ერთი



მცირე ზომის კოპი. გამოყვანილქუსლიანი. ზომები: ქუსლის დმ-7,5 სმ; ძირის სიმაღლე-1,3 სმ; კეცის სისქე-0,8 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, „დედაბურჯის“ ინტერიერი. (ტაბ.XV სურ. 1)

ყვითლად მოჭიქული და ამოკაწვრით მოხატული ჯამები აღმოჩენილია სოსუმის, ბაგრატის, ბათუმის ციხეებზე, ოჩამჩირეში და ციხისძირში. [მიწიშვილი 1976: 14].


შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. №5940.87.

ჯამი. ძირისა და გვერდის ფარგმენტი. წითლად გამომწვარი. ორმხრივ თეთრად ანგობირებული. შიდაზედაპირზე ამოფხეკით შესრულებულია ორი წრიული ხაზი. ნაკაწრები ამოვსებულია მუქი ყავისფერი საღებავით და მოჭიქულია ყვითლად (მდოგვისფერი). შიდა მხრიდან ჯამის ძირზე შემორჩენილია ერთი კოპი. გარეთა მხარე დაფარულია ყავისფერი და (ღია ყავისფერი) ჭიქურით. ქუსლი გამოყვანილი, თხელი, ფართოდ გაშლილი. ზომები: ქუსლის სიმაღლე-1,7 სმ; კეცის სისქე-0,8 სმ; აღმოჩენილია: i3 ნაკვეთი მე-6 კვადრანტი. კვადრანტის სამხრეთ-აღმოსავლეთ მდებარე №3 ორმოს მასალა. (ტაბ.XV სურ. 2) მსგავსი ორნამენტით შემკული ჯამი აღმოჩენილია სოსუმის ციხეზე [მიწიშვილი 1976: 13. ფოტო №3].



შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №3906.85.

ჯამი. ძირის ფარგმენტი. მოხალისფროდ გამომწვარი. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. ამოკაწვრით შესრულებულია ორი წრიული ხაზი. დაფარულია ღია მწვანე ჭიქურით. დაბალი გამოყვანილი ქუსლით. ზომები: ქუსლის დმ-6,5 სმ; სიმაღლე-0,7 სმ; კეცის სისქე-0,8 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი „ლაზეთის მეფეთა“ სასახლის ნანგრევებიდან. (ტაბ.XV სურ. 3) ანალოგიური აღმოჩენილია ციხესულორზე (ვანში). [მიწიშვილი 1976: 9. ტაბ. VIII, სურ. 1,2].



აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯამის ცენტრისა და ფსკერის შემკობა კონცენტრული წრიული წრეხაზებით, (ჭიქურის ფერები-მწვანე, ყვითელი),

ბიზანტიური კერამიკის აუცილებელი ატრიბუტია, მაგრამ დასავლეთ საქართველოს ჯამებზე ორნამენტი ისე ფაქიზად არ არის შესრულებული. იგივე ნიშნების მატარებელია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთისა და რუსეთის ქალაქებში აღმოჩენილი მოჭიქული ჭურჭელიც. ასეთ დიდ სივრცეზე ერთი და იგივე ელემენტის გავრცელება იმის მანიშნებელია, რომ ბიზანტიას გარკვეული გავლენა ჰქონდა დასახელებულ ადგილებთან.

შედარებით განსხვავებული ორნამენტით არის შესრულებული ამოკაწვრით მოხატული და მწვანედ მოჭიქული (შ. წ. №9539

A-764 ქ.ც. საგ. №1372.84.) ჯამის ძირის ფრაგმენტი. წითლად გამომწვარი. წრეებში ჩასმულია ბადისებური ორნამენტი. გარე მხარე თეთრად ანგობირებული. დაბალი. ოდნავ გამოყვანილი ქუსლით. ზომები: ქუსლის სმ-0,7 სმ; კეცის სიქე-0,8 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი „ცოტა კარის“ შიდა მხარეს. (ტაბ.XV სურ. 4)



შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. №5269.86.

ჯამი. ქუსლისა და გვერდის ფრაგმენტი. ყავისფრად გამომწვარი. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. ამოფხეკით შესრულებულია ორი კონცენტრული წრეხაზი, რომელიც ამოვსებულია ყავისფერი საღებავით. დაფარულია მდოგვისფერი ჭიქურით. გამოყვანილი ქუსლი. ზომები: ქუსლის სიმაღლე-1,3 სმ; კეცის სისქე-0,6 სმ. აღმოჩენილია:



ქუთაისის ნაქალაქარი, L2 ნაკვეთი. 9,10,13,14 კვადრატების გადაკვეთაზე. (ტაბ.XV სურ. 5)

ქ.ც. №731.04.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. მოვარდისფროდ გამომწვარი. კარგად განლექილი თიხა. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. ძირის ცენტრში ჩანს ამოფხეკით



შესრულებული ოთხი კონცენტრული წრეხაზები. ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია მუქი მწვანე საღებავით. დაფარულია მდოგვისფერი ჭიქურით. დაბალი, თხელი გამოყვანილი ქუსლით. ზომები: ქუსლის დმ-6სმ; ქუსლის სიმაღლე-1,2 სმ; კეცის სისქე-0,7 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, შემთხვევით ზედაპირული მონაპოვარია. (ტაბ.XV სურ. 6)

შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. №5111.86.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. მოთეთრო თიხა. კარგად განლექილი. სქელკედლიანი. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. ქუსლის შიდა მხარეს შუაგულში აქვს ამოფხეკით შესრულებული კონცენტრული ორი წრეხაზი. დაფარულია ღია მწვანე ჭიქურით. მაღალი გამოყვანილი ღრუ ქუსლი. ზომები: ქუსლის დმ-5,5 სმ; ქუსლის სიმაღლე 1,5 სმ; კეცის სისქე-1 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, მე-13 ნაკვეთი, №3 ორმოს მასალა. . (ტაბ.XVI სურ. 1)



შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №440.84.

ჯამი. ძირისა და გვერდის ფრაგმენტი. მოწითალოდ გამომწვარი. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. ამოკაწვრით ძირის ცენტრში შესრულებულია ორი კონცენტრული წრეხაზი. ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია ყავისფერი საღებავით. გადავლებულია ღია მოყვითალო ფერის ჭიქური. გარეთა მხრიდან კალთაზე შეიმჩნევა ანგობის კვალი. კალთა არათანაბრად დაშვებული. დაბალი, გამოყვანილი ქუსლით. ზომები: ქუსლის სიმაღლე-0,8 სმ; კეცის სისქე-0,5 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი. (ტაბ.XVI სურ. 2)



შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. №8056.90.

ჯამი. გვერდის ფრაგმენტი. მოყავისფროდ გამომწვარი. კარგად განლექილი თიხა. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. ამოფხეკით გამოყვანილია სამი



კონცენტრული წრეხაზი, რომლის ცენტრში ამოჭრილია მცირე წერტილი. ამოფხეკილი წრეხაზები შევსებულია ყავისფერი საღებავით. ჯამი დაფარულია ღია ყვითელი ჭიქურით. ზომები: კეცის სისქე-0,3 სმ-0,6-მდე. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, L27 ნაკვეთის მე-12 და L28 ნაკვეთის მე-5 კვადრატების გადაკვეთაზე. ჩანახშირებული ორმოს მასალა. (იმპორტი) (ტაბ.XVI სურ. 3)

შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №23.84.

ჯამი. გვერდის ფრაგმენტი. შიდა პირი თეთრად ანგობირებული. ამოკაწვრით შესრულებულია წრიული ხაზები, რომლის შიდა სივრცე ამოვსებულია ყავისფრად. დაღვენთილია მუქი ყავისფერი, მოყვითალო საღებავი. ჯამი დაფარულია უფერო ჭიქურით. ზომები: კეცის სისქე-0,8 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, „შიდა ქალაქი“. (ტაბ.XVI სურ. 4)



შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. №5215.86.

ჯამი. ძირისა და გვერდის ფრაგმენტი. მოხალისფროდ გამომწვარი. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. ამოფხეკით შესრულებულია კონცენტრული წრეხაზი. ხაზები ამოვსებულია ყავისფრად და ხაზებს შიდა სივრცეები ყვითლად. შიდა მხრიდან შერჩენილი აქვს სამფეხა ზედადგრის ნაშთი. მაღალი დრუ ქუსლით. გარეთა მხრიდან ქუსლში ჭიქურის ნაღვენთებია. ზომები: ქუსლის დმ-7 სმ; ქუსლის სიმაღლე-1,3 სმ. კეცის სისქე-0,8 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, L3 ნაკვეთი, №11 კვადრატი. ნანგრევებისა და კირდულაბის ნატეხებით შექმნილი ფენა. (ტაბ.XVI სურ. 5)



შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №3032.85.

ჯამი. გვერდის ფრაგმენტი. წითლად გამომწვარი. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. კალთას შემოუყვება ოთხი



ნაკაწრი წრეხაზი. ნაკაწრი ხაზები შევსებულია მუქ ყავისფრად და გადავლებულია ღია ყავისფერი ჭიქური. ზომები: კეცის სისქე-0,5 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, დედაბურჯის სამხრეთ-დასავლეთ მხარე. (ტაბ.XVI სურ. 6)

შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. №8022.90.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. რუხ მოყავისფროდ გამომწვარი. კარგად განლექილი თიხა. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. ძირის ცენტრში ჩანს ამოფხეკით შესრულებული სამი კონცენტრული წრეხაზი. ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია მუქი მწვანე საღებავით. მოჭიქულია მოყვითალოდ. შიდაპირზე ძირში შეიმჩნევა ზედადგრის კვალი. ქუსლის გარეთა მხრიდან ღრუ თეთრად ანგობირებული. დაბალი, თხელი გამოყვანილი ქუსლით. კეცის ფაქტურის მიხედვით შესაძლოა იყოს იმპორტი. ზომები: ქუსლის დმ-6 სმ; ქუსლის სიმაღლე-0,8 სმ; კეცის სისქე-0,6 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ციტადელში ზედაპირულად. (ტაბ.XVII სურ. 1)



შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. №8054.90.

ჯამი. პირ-ბაკოს ფრაგმენტი. რუხკეციანი. თხელკედლიანი, კარგად განლექილი თიხა. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. ამოკაწრით შესრულებული ჩანს კონცენტრული ორი წრეხაზი. ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია მწვანე საღებავით. დატანილია ყავისფერი ლაქები. პირ-ბაკო და გარე მხარე დაფარული მწვანე ჭიქურით. შიდა მხარეზე გადავლებულია კრიალა უფერო ჭიქური. კეცის ფაქტურის მიხედვით შესაძლოა იყოს იმპორტი. ზომები: კეცის სისქე-0,3 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, L27 ნაკვეთის მე-12 და L28 ნაკვეთის მე-5 კვადრატების გადაკვეთაზე. ჩანახშირებული ორმოს მასალა. (ტაბ.XVII სურ. 2)



შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. სავ. №34.84.

ჯამი. გვერდის ფრაგმენტი. წითლად გამომწვარი. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. ამოკაწვრით შესრულებულია გეომეტრიული ორნამენტი. ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია მუქ სოსნისფრად და გადავლებულია ღია სოსნისფერი ჭიქური. ზომები: კეცის სისქე-0,8 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, „შიდა ქალაქი“. (ტაბ.XVII სურ. 3)



ქ.ც. №725/1,2,3,4,5,6,04.

ჯამი. გვერდისა და პირის ფრაგმენტები. რესტავრირებული. მოვარდისფრო-მოხალისფროდ გამომწვარი. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. შიდაპირის ყვითელ ფონზე ამოფხეკით დატანილია პირ-ბაკოზე, პირისა და კალთის შეერთების ადგილას და კალთაზე წრეხაზები, რომლებიც ამოვსებულია მუქი მწვანე საღებავით. ასევე ნაკაწრი ხაზებით შესრულებულია გეომეტრიული ორნამენტი X, რომელიც ასევე ამოვსებულია მუქი მწვანე საღებავით. ორნამენტის გასახალისებლად ალაგ-ალაგ დატანილია მუქი ყავისფერი ლაქები. ჯამს ძირში შიდაპირზე აქვს სამი კონცენტრული, ამოფხეკით შესრულებული ფართო წრეხაზები. დაფარული უნდა ყოფილიყო ღია ყვითელი ჭიქურით. გარეპირი კალთამდე თეთრად ანგობირებული, დაფარულია ყვითელი ჭიქურით. პირაკეცილი, პროფილირებული პირ-ბაკო. ფართედ გადაშლილი კალთით. ჯამს აქვს ვიწრო, გამოყვანილი, ღრუ ქუსლი. ჭიქური ძლიერ დაზიანებულია. ზომები: კეცის სისქე-0,5-დან 1 სმ-მდე; პირის სიმაღლე-2,5 სმ; პირის დმ-22,5 სმ. ქუსლის დმ-6,5 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, შემთხვევით ზედაპირული მონაპოვარია. (ტაბ.XVII სურ. 4)



შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. №5381.86.

ჯამი. გვერდის ფრაგმენტი. რუხი მოყავისფროდ გამომწვარი. შიდა და გარე მხარე თეთრად ანგობირებული. ამოფხეკით შესრულებულია ორი კონცენტრული წრეხაზი, რომელიც ამოვსებულია მუქი მწვანე საღებავით, რომელზეც გადავლებულია უფერო, კრიალა ჭიქური. (კეცის ფაქტურის მიხედვით იმპორტი). ზომები: კეცის სისქე-0,7 სმ; აღმოჩენილია:



ქუთაისის ნაქალაქარი, M4 ნაკვეთი, მე-2, მე-3 კვადრანტი. (ტაბ.XVII სურ. 5)

ქ.ც. №734.04.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. წითლად გამომწვარი. კარგად განლეკილი თიხა. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. ამოკაწვრით შესრულებულია 4 კონცენტრული წრეხაზი, საღებავი და ჭიქური (შეიძლება ყვითელი) ძლიერ დაზიანებულია. ზომები: ქუსლის დმ-6,5 სმ; ქუსლის სიმაღლე-1 სმ; კეცის სისქე-0,6 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი შემთხვევითი მონაპოვარი. (ტაბ.XVII სურ. 6)



შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. №5478.87.

ჯამი. გვერდის ფრაგმენტი. მოწითალოდ გამომწვარი. კარგად განლეკილი თიხა. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. შეიმჩნევა ამოფხეკით შესრულებული კონცენტრული წრეხაზები, რომელიც მოჭიქული ყვითლად. ზომები: კეცის სისქე-1 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, 65 ნაკვეთი, კვადრანტი 13. (ტაბ.XVIII სურ. 1)



შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №436.84.

ჯამი. პირის ფრაგმენტი. წითელკეციანი. შიდა მხარეს პირისა და კალთის შეერთების ადგილას



დატანილია წრიული ხაზი. გადავლებულია მოყვითალო-მოყავისფრო კრიალა ჭიქური. გარე მხრიდან დაფარულია ყავისფერი ჭიქურით. დატანილია ტალღისმაგვარი ყვითელი ხაზი. სწორი აკეცილი პირით და ოდნავ თხელი გარეთ გადაშლილი პირ-ბაკოთი. ზომები: კეცის სისქე-0,4 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, „შიდა ქალაქის“ ტერიტორია. (ტაბ.XVIII სურ.2)

შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №4028.85.

ჯამი. ძირის ფარგმენტი. წითელკეციანი. შიდაპირი დაფარულია თეთრი ანგობით. ჯამის ძირში ამოფხეკით შესრულებულია წრეხაზი, რომლის შიგნით ამოკაწვრით და ამოფხეკით დატანილია ორნამენტი. ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია ყავისფრად. მოჭიქულია ყვითლად. ჯამი გარეთა მხრიდან დაფარულია ღია მოყავისფრო-მოყვითალო თხელი ჭიქურის ფენით. ქუსლი დაბალი, გამოყვანილი. ზომები: კეცის სისქე-0,6 სმ; ქუსლის სიმაღლე-0,9 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ბაგრატის ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთ მდებარე გოდოლის ძირში. (ტაბ.XVIII სურ. 3)




შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. №6926.88.

ჯამი. პირის ფარგმენტი. თეთრად გამომწვარი კეცი. კარგად განლექილი თიხა. ორმხრივ თეთრად ანგობირებული. პირ-ბაკოსთან შემოუყვება ორი ამოფხეკით შესრულებული ხაზი, რომელიც ამოვსებულია მწვანე საღებავით. დაფარულია ღია ყვითელი კრიალა ჭიქურით. ჭიქური გარეთა მხრიდან მხოლოდ პირ-ბაკოსთან არის. პირ-ბაკო ოდნავ გარეთ გადაშლილი. ზომები: კეცის სისქე-0,5 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, i29 ნაკვეთი, მე-9 და მე-10 კვადრატების გადაკვეთაზე. მასალა ამოღებულია სამი დაუკირავი ქვევრიდან. ქვევრები წარმოადგენს დახურულ კომპლექსს, რომლებშიც XIII საუკუნის პირველ ნახევრის რუსუდანის მონეტაა ნაპოვნი. (ტაბ.XVIII სურ. 4)



152. ქ.ც. საგ №737.04.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. ყავისფერკეციანი. თისა კარგად განლექილი. შიდაპირი მოთეთრო-მოყვითალოდ ანგობირებული. ძირის ცენტრში დატანილია ამოკაწვრით შესრულებული ორი კონცენტრული წრესახი, რომელიც ამოვსებულია ყავისფერი საღებავით. მოჭიქულია სოსნისფრად. ჯამს



აქვს თხელი გამოყვანილი ქუსლი. ზომები: ქუსლის სიმაღლე-0,9 სმ; კეცის სისქე ძირთან-0,9 სმ; კეცის სისქე კალთისკენ-0,5 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, შემთხვევით მონაპოვარი. (ტაბ.XVIII სურ. 5)

შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. №5945.87.

ჯამი. გვერდის ფრაგმენტი. წითელკეციანი. ორმხრივ თეთრად ანგობირებული. ჯამის ძირში დატანილი უნდა ყოფილიყო ორი ამოკაწვრით შესრულებული კონცენტრული წრესახი, რომელიც ამოვსებულია მუქ ყავისფრად. ჯამი ორმხრივ დაფარულია ღია მოყვითალო-მოყავისფრო ჭიქურით. ზომები: კეცის სისქე-0,5 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, i3 ნაკვეთის მე-6 კვადრანტი. №3 ორმოს მასალა. (ტაბ.XVIII სურ. 6)



შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. №4315.85.

ჯამი. პირის ფრაგმენტი. მონალისფროდ გამომწვარი. დაფარულია მონაცრისფრო ანგობით. პირ-ბაკოზე ამოკაწვრით შესრულებულია ორი წრიული ხაზი, რომელიც ამოვსებულია მწვანე საღებავით და მოჭიქულია ღია ყვითლად. გარეთა მხრიდან ასევე პირ-ბაკოზე აქვს ორი ნაკაწრი წრიული ხაზი.



გარეთა მხრიდან ანგობირებულია და ამოფხეკით შესრულებულია ქუსლისკენ მიმავალი პარალელური ხაზები. ზომები: კეცის სისქე-0,5 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ციტადელის სამხრეთი ფერდობი. (ტაბ.XIX სურ. 1)

შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. №5575.86.

თეფში. გვერდის ფარგმენტი. ყავისფრად გამომწვარი, კარგად განლექილი თიხა. ორმხრივ თეთრად ანგობირებული. შიდაპირზე შემოუყვება წრიულად შესრულებული კონცენტრული წრეხაზები, რომლის შიგნით ამოკაწრულია წინწკლები. ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია მწვანე საღებავით და ორმხრივ გადავლებულია ოდნავ მოყვითალო კრიალა ჭიქური. თეფშს აქვს სწორი და ფართოდ გადაშლილი პირი. კალთისა და პირის შეერთების ადგილას შემოუყვება წიბო. ზომები: კეცის სისქე-0,6 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, L1 ნაკვეთი. (ტაბ.XIX სურ. 2)



შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. №5713.87.

ჯამი. გვერდის ფრაგმენტი. ყავისფრად გამომწვარი კარგად განლექილი თიხა. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. ამოფხეკით დატანილია კონცენტრული ხაზები. ჭიქურის დაზიანების გამო ძნელია ჭიქურის ფერის განსაზღვრა. სავარაუდოდ, ლურჯი. გარე პირი თეთრად ანგობირებული. კეცი სადა, კარგად ნაპრიალები. ზომები: კეცის სისქე-0,6 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, i2 ნაკვეთის მე-15 კვადრატში მდებარე ქვევრიდან. (ტაბ.XIX სურ.3)



შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. საგ. №5577.86.

ჯამი. ძირისა და გვერდის ფრაგმენტი. მოწითალო-მოყავისფროდ გამომწვარი კარგად განლექილი თიხა. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. ამოფხეკით შესრულებულია სამი კონცენტრული წრეხაზი. აქედან ორი საკმაოდ მკვეთრი. ნაკაწრსშიდა ხაზები ამოვსებულია ჭაობისფერი საღებავით. სავარაუდოდ, უნდა



ყოფულიყო ყვითლად მოჭიქული. რაზეც მეტყველებს წრეხაზებზე შემორჩენილი კვალი. შიდაპირზე შემორჩენილია ზედადგრის ფეხის ნაშთები. ჯამს აქვს თხელი გამოყვანილი ქუსლი. ზომები: ქუსლის სმ-1 სმ; კეცის სისქე-0,8 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ციტადელი, L1 ნაკვეთი. (ტაბ.XIX სურ. 4)

შ.წ. №7743 A-582 ქ. საგ. №65.40.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. რუხკეციანი, შიდაპირი თეთრად ანგობირებული. ამოფხეკით შესრულებულია ორი კონცენტრული წრეხაზი, რომელიც ამოვსებულია ჭაობისფერი საღებავით. დაფარულია ოდნავ მოყვითალო-მომწვანო ჭიქურით. ჯამის ძირზე შეიმჩნევა ზედადგრის ნაშთი. ჯამს აქვს თხელი, გამოყვანილი ქუსლი. ზომები: ქუსლის დმ-6 სმ; ქუსლის სიმაღლე-1,2 სმ; კეცის სისქე-0,5 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, შიდა ქალაქი, არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1965 წ. (ტაბ.XIX სურ. 5)



შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. №5477.86.

ჯამი. ძირისა და გვერდის ფრაგმენტი. მოყავისფროდ გამომწვარი. თეთრად ანგობირებული შიდაპირზე ამოფხეკით გამოყვანილია კონცენტრული წრეხაზები. შეიმჩნევა სოსნისფერი ჭიქურის კვალიც. გარეთა კალთამდე თეთრად ანგობირებული და ყვითლად და სოსნისფრად მოჭიქული. ჯამის კალთა არათანაბრად დაშვებული, ვიწრო, ფართოდ გაშლილი ქუსლი. ზომები: ქუსლის სიმაღლე 1,5 სმ; კეცის სისქე-0,7 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი გ5 ნაკვეთი 13 კვადრანტი. სიღრმე-1,5 მ. (ტაბ.XIX სურ. 6)



უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოს მოჭიქულ ჯამებზე კონცენტრული წრეხაზები არა მარტო დამოუკიდებელ ორნამენტად გვევლინება, არამედ თითქმის ყველა ჯამის ფსკერი ან ცენტრი ივსება წრეხაზებით, რაც აღმოსავლეთ საქართველოს მოჭიქული ჯამებისათვის არ არის დამახასიათებელი. ჩანს ეს ბიზანტიური ხასიათის ორნამენტი დამკვიდრდა დასავლეთ საქართველოს


მეთუნეთა ნაწარმზე. მათ რიცხვს შეემატა უკვე ქუთაისური მასალა, რომელშიც აღნიშნული ორნამენტი ყველაზე დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი. ქუთაისელი კერამიკოსები ითვისებდნენ ახალს, ამკვიდრებდნენ და თანდათან ხვეწდნენ მას. ამის დადასტურება კი არის ერთი და იგივე ელემენტის გავრცელება და რაც მთავარია, ბიზანტიის გავლენა და მჭიდრო კავშირ-ურთიერთობები.

ამოკაწვრით მოხატული და ერთფერად (მწვანედ და ყვითლად) მოჭიქული ჯამები აღმოჩენილია შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს ზოლში. სახელდობრ, ქერსონესში, სიმფეროპოლში, ბაკლაში, სოუქსუში, ფეოდოსიაში, ტირაში, ოდესაში და ზოგადად ბიზანტიურ სამყაროში, სადაც ყვითელი ფერი ყველგან წამყვანია. უნდა აღნიშნოს ყირიმში აღმოჩენილი ყვითლად და მწვანედ მოჭიქული ჯამები მსგავსია დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილ მწვანედ და ყვითლად მოჭიქული ჯამებისა, ხოლო მათგან განსხვავებულია ბიზანტიური-მკვეთრად ამოკაწრული ორნამენტითა და ღია ნაზი ყვითელი ჭიქურით. [მიწიშვილი 1976: 15].

ერთფერად მოჭიქულთაგან განვიხილოთ:

შ. წ. 10130 A -842. ქ.ც. საგ. №7145.88.

ჯამი. ქუსლის ფრაგმენტი. წითელკეციანი. თეთრად ანგობირებული შიდაპირი მოჭიქულია მწვანედ. ქუსლი დაბალი, გამოყვანილი. ზომები: ქუსლის დმ-7,3 სმ; კეცის სისქე-1 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი (ტაბ.XIX სურ.7). ანალოგიური აღმოჩენილია ბელტისციხე-ბებრიციხეზე. [ნიკოლაიშვილი 2009: 33. №49].



შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №4189.85.


ჯამი. ძირის ფრაგმენტი. მოჩალისფროდ გამომწვარი. ორმხრივ მწვანედ მოჭიქული. ჯამს აქვს გამოყვანილი ქუსლი. ზომები: ქუსლის დმ-8,5 სმ; ქუსლის სიმაღლე-0,7 სმ; კეცის სისქე-0,7 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი „ლაზთა მეფის“ სასახლის ნანგრევებიდან. (ტაბ.XIX სურ. 8)



შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. №5294.86.


ჯამი. ძირის ფრაგმენტი. წითლად გამომწვარი. შიდაპირი თეთრად ანგობირებული და ღია მწვანედ მოჭიქული. ჯამს აქვს მაღალი ღრმა გამოყვანილი ქუსლი. ზომები:

ქუსლის დმ-7,5 სმ; ქუსლის სიმაღლე-1,5 სმ; კეცის სისქე-0,8 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი L4 ნაკვეთი №6 კვადრანტი. სამშენებლო ნანგრევების შემცველი ფენა. (ტაბ. XX სურ. 1)



შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №3829.85.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. ყავისფრად გამომწვარი. შიდაპირი ანგობირებული და მწვანედ მოჭიქული. მაღალი, ღრუქუსლიანი. ზომები: ქუსლის დმ-7 სმ; ქუსლის სიმაღლე-1,5 სმ კეცის სისქე-1 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ციტადელი აბანოს მიმდებარე ტერიტორიაზე. (ტაბ. XX სურ. 2)




შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №1773.84.

ჯამი. პირის ფრაგმენტი. წითელკეციანი. ორმხრივ ანგობირებული. შიდაპირი მწვანედ მოჭიქული. გარეთა მხრიდან მხოლოდ პირ-ბაკო მწვანედ მოჭიქული. ზომები: კეცის სისქე-0,6 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ციტადელი „ცოტა კარის“ ტერიტორია. (ტაბ. XX სურ. 3)



შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №3516.85.

ჯამი. გვერდის ფრაგმენტი. წითელკეციანი. შიდაპირი დაფარულია თეთრი ანგობით, მოჭიქულია კრიალა მწვანედ. ზომები: კეცის სისქე-0,7 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, „შიდა ქალაქი“. მთავარი კარიბჭის მიმდებარე ტერიტორიიდან. (ტაბ. XX სურ. 4)



შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. №5315. 86.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. წითელკეციანი. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. დაფარულია მწვანე ხასხასა ჭიქურით. ბორბლისებური ღრუქუსლიანი. ძირის ცენტრში აქვს ნახვრეტი, სავარაუდოდ, მეორადი გამოყენება. ზომები:



ქუსლის დმ-7 სმ; ქუსლის სიმაღლე-1,3 სმ; კეცის სისქე-0,8 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, L3 ნაკვეთი, მე-12 კვადრანტი. ჯამია ნაპოვნი გვიან შუა საუკუნეების ფენაში და ნახვრეტიც უნდა იყო გაკეთებული გვიანშუა საუკუნეებში. (ტაბ. XX სურ. 5)

შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. №5934.87.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. მოყავისფროკეციანი, კარგად განლექილი თიხა. შიდა ზედაპირი დაფარულია თეთრი ანგობით, გადავლებულია მწვანე ჭიქური. ძირზე შიდა მხრიდან შემორჩენილი აქვს მცირე ზომის კოპი. ზომები: ქუსლის სიმაღლე-1,5 სმ; ძირის სისქე-0,6 სმ; ქუსლის კეცის სისქე-0,5 სმ.



აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, i3 ნაკვეთში მ-6 კვადრანტში მდებარე №3 ორმოდან. (ტაბ. XX სურ. 6)

შ. წ. 9539 A-764. ქ.ც. №4085.85.

ჯამი. გვერდისა და პირის ფრაგმენტი. აკლია ძირი და გვერდის ნაწილი. რესტავრირებული. წითელკეციანი, კარგად განლექილი თიხა. შიდაპირი თეთრად ანგობირებული, ყვითლად მოჭიქული. გარეპირი კალთამდე თეთრად ანგობირებული და ყვითლად მოჭიქული. ჯამს აქვს გარეთ გადაშლილი პირბაკო, არათანაბრად დაქანებული კალთა. ზომები: კეცის სისქე-0,5 სმ; პირის დმ-19,5 სმ. აღმოჩენილია:



ბაგრატის ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე გოდოლის ძირში. (ტაბ. XX სურ. 7) ანალოგიურია: შ. წ. 9539 A-764. ქ.ც. №4072.85.

ქ.ც. №723. 04.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. წითლად გამომწვარი. ორმხრივ თეთრად ანგობირებული. ჯამის შიდაპირი მოჭიქულია ყვითლად. აქვე შეიმჩნევა ზედადგრის ფრაგმენტები. გამოყვანილი თხელი ქუსლით. ზომები: ქუსლის დმ-7,5 სმ;



ქუსლის სიმაღლე-1,3 სმ; კეცის სისქე-0,8 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, შემთხვევით ზედაპირული მონაპოვარია. (ტაბ. XX სურ. 8)

ქ.ც. №730.04.

ჯამი. ძირისა და გვერდის ფრაგმენტი. მოვარდისფროდ გამომწვარი. კარგად განლექილი თიხა. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. გადავლებულია ყვითელი კრიალა ჭიქური. შიდაპირზე ჯამის ძირში არის ზედადგრის ფეხის ფრაგმენტები. ვიწრო გამოყვანილქუსლიანი. ზომები: ქუსლის დმ-6,3 სმ; ქუსლის სიმაღლე-1,4 სმ; კეცის სისქე-0,8 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, შემთხვევით ზედაპირული მონაპოვარია. (ტაბ. XXI სურ. 1)



შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №4006.85.

ჯამი. გვერდისა და პირის ფრაგმენტი. ორმხრივ თეთრად ანგობირებული და შიდა და გარე პირი ყვითლად მოჭიქული. ზომები: კეცის სისქე-0,7 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ბაგრატის ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე გოდოლის ძირში. (ტაბ. XXI სურ. 2)



შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. №8035.90.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. მოყავისფროდ გამომწვარი კარგად განლექილი თიხა. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. ყვითლად მოჭიქული. დაბალი თხელი გამოყვანილი ქუსლი. ზომები: ქუსლის სმ-1 სმ; კეცის სისქე-0,6 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, L27 ნაკვეთის მე-12 და L28 ნაკვეთის მე-5 კვადრატების გადაკვეთაზე. ჩანახშირებული ორმოს მასალა. კეცის



სტერუქტურის მიხედვით წააგავს იმპორტს, თუმცა შესაძლოა იყოს მინაბადი.
(ტაბ. XXI სურ. 3)

ქ.ც. სავ. №736.04.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. ყავისფერკეციანი. კარგად განლექილი თიხა. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. ჭიქური ძლიერ დაზიანებული. საგარაუდოდ ყვითელი. ჯამს აქვს თხელი გამოყვანილი ქუსლი. ზომები: ქუსლის დმ-6,5 სმ; ქუსლის სიმაღლე-0,9 სმ; კეცის სისქე ქუსლთან-0,8 სმ; კეცის სისქე კალთასთან-0,5 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, შემთხვევითი მონაპოვარი. (ტაბ. XXI სურ. 4)




შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. სავ. №4079.85.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. წითელკეციანი. თეთრად ანგობირებული, ემჩნევა ცისფერი ჭიქურის კვალი, რომელიც ძალზე დაზიანებულია. ჯამი დაბალი, პროფილირებული ქუსლით. შუაში ღილისმაგვარი კოპით. ზომები: ქუსლის დმ-7 სმ; ძირის სიმაღლე-0,7 სმ; კეცის სისქე-0,8 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ბაგრატის ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე გოდოლის ძირში. (ტაბ. XXI სურ. 5)



შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. სავ. №3789.85.

ჯამის ძირისა და გვერდის ფრაგმენტი. წითლად გამომწვარი. ფოროვანი თიხა, სქელკედლიანი, შიდაპირი დაფარულია სოსნისფერი ჭიქურით. ჯამს აქვს ოდნავ გამოყვანილი დაბალი ქუსლი. ზომები: ქუსლის დმ-6,5 სმ; ქუსლის სიმაღლე-0,7 სმ; კეცის სისქე-0,9 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, „შიდა ქალაქი“ გაბრიელის ეზო. (ტაბ. XXI სურ. 6)



შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. №5944.87.

ჯამი. პირ-გვერდის ფრაგმენტი. წითელკეციანი. კარგად განლეკილი თიხა. თხელკედლიანი. ორმხრივ თეთრად ანგობირებული. დაფარულია ყავისფერი კრიალა ჭიქურით. ალაგ-ალაგ შეინიშნება მუქი ყავისფერი ჭიქურის კვალიც. პირ-ბაკო სწორი მომრგვალებული. ზომები: კეცის სისქე-0,4 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, მე-13 ნაკვეთის მე-6 კვადრანტი №3 ორმოს მასალა. (ტაბ. XXI სურ. 7)



შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. №5118.86.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. წითელკეციანი. შიდაპირი მოჭიქულია კრიალა მუქ ლურჯად. ჯამის ქუსლი კარგად გამოყვანილი. ზომები: კეცის სისქე-0,6 სმ; ქუსლის სიმაღლე-1 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, b₄ კვადრანტი №6. (ტაბ. XXI სურ. 8)



შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №1585.84.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. წითელკეციანი. შიდაპირი დაფარულია თეთრი ანგობით. მოჭიქული ღია ცისფრად. ჭიქური ძლიერ დაზიანებულია. ჯამს აქვს დაბალი, გამოყვანილი ქუსლი. ჯამის შიდა მხარეს კალთისა და ძირის შეერთების ადგილას შემოუყვება ვიწრო წიბო. ზომები: კეცის სისქე-0,8 სმ; ქუსლის სიმაღლე-0,6 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ციტადელის აღმოსავლეთ გალავნის ექსტერიერში. (ტაბ. XXII სურ. 1)



შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. №4525.86.

ჯამი. პირ-გვერდის ფრაგმენტი. წითელკეციანი. თხელკედლიანი. შიდა და გარე მხარე დაფარულია თეთრი ანგობით. შიდა პირი მოჭიქულია მოყვითალო-მომწვანოდ. გარე მხრიდანაც პირ-ბაკო მოჭიქულია ღია მწვანე ფერით.



ჯამს აქვს აკეცილი სწორი პირი გარეთ გადაშლილი მომრგვალებული პირ-ბაკოთი. ზომები: კეცის სისქე-0,3 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ციტადელის სამხრეთ გალავნის ექსტერიერი. (ტაბ. XXII სურ. 2)

შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. №5704.87.

ჯამი. რესტავრირებული. აკლია გვერდისა და პირის ფრაგმენტები. მოხალისფროდ გამომწვარი. კარგად განლექილი თიხა. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. მომწვანო-მოყვითალოდ მოჭიქული. გარეპირზე თეთრი ანგობის ნალვენთები. პირი დაფარულია მწვანე ჭიქურით, ჭიქურის კვალი შეინიშნება ქუსლთანაც. ჯამი პირაკეცილი პროფილირებული პირ-ბაკო. ფართედ გადაშლილი კალთა. ვიწრო გამოყვანილი



ქუსლით. კალთისა და პირის შეერთების ადგილას თიხა გოფირებულია. ზომები: ჯამის სიმაღლე-9 სმ; ჯამის დმ-21,5 სმ; ქუსლის დმ-6 სმ; ჯამის სიღრმე-7,5 სმ; ქუსლის სიმაღლე-1,3 სმ; პირის სიმაღლე-3,5 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი i2 ნაკვეთი. მე-15 კვადრატში არსებული ქვევრიდან. (ტაბ. XXII სურ. 3)

შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. №5705.87

ჯამი. რესტავრირებული. ჩალისფერკეციანი, თხელკედლიანი. კარგად განლექილი თიხა. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. ჭიქური ძლიერ დაზიანებული. სავარაუდოდ მოყვითალო-მომწვანო. პირ-ბაკოსთან შემოუყვება სარტყლისმაგვარი ამოკაწვრით შესრულებული ხაზი. ასევე კონცენტრული ხაზები დატანილია შიდაპირზე ჯამის ძირში. კალთაზე შიდა მხრიდან ამოკაწვრით შესრულებულია გეომეტრიული წრეები. გარეთა



მხრიდან კალთაზე აქვს თეთრი ანგობის ნალვენთები, პირისა და კალთის ნაწილი დაფარულია მწვანე ჭიქურით. ჯამს აქვს თხელი, ოდნავ გადაშლილი პირ-ბაკო, თანაბრად დაქანებული კალთა. პატარა, თხელი, დრუ ქუსლი. ზომები: ჯამის სიმაღლე-10 სმ; პირის დმ-20,5 სმ; ქუსლის დმ-6 სმ; ქუსლის სიმაღლე-1,3 სმ; კეცის

სისქე-0,5 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, i2 ნაკვეთი, მე-15 კავდრატში მდებარე ქვევრიდან. (ტაბ. XXII სურ. 4)

გამოთქმულია მოსაზრება, რომ დასავლეთ საქართველოს ჯამების უმრავლესობა (XI-XIII ს.ს.) მოჭიქულია ყვითლად ან მწვანედ. აქ თითქმის არ გვხვდება ცისფრად, ღვიძლისფრად და ლურჯად მოჭიქული ჯამები, რომლებიც ასე გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში და პირიქით, ამ უკანასკნელში არ გვხვდება დასავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელი ყვითლად მოჭიქული ჯამები. ყვითლად და მწვანედ მოჭიქული ჯამები გავრცელებულია ბიზანტიაში, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში და რუსეთის ქალაქებში. [მიწიშვილი 1976: 40].

თუ ჩვენი კატალოგის მიხედვით თვალს გავადევნებთ როგორც ერთფრად მოჭიქულ, ასევე ამოკაწვრით მოხატულ და ერთფრად მოჭიქულ კერამიკას ნათლად ჩანს, I ჯგუფში გვხვდება ცისფრად, ლურჯად, ყავისფრად და სოსნისფრად მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტები, აქ გაბატონებულია მრავალნაირი ელფერის მქონე ყვითელი და მწვანე ჭიქური, რომელიც ყურადღებას იქცევს თავისი უჩვეულო ფერთა გამით. ხოლო II ჯგუფში მწვანედ და ყვითლად მოჭიქულთან ერთად გვხვდება სოსნისფერი, მდოგვისფერი და ყავისფერი, რითაც შეიძლება ერთხელ კიდევ დავადასტუროთ ქუთაისის მოჭიქული კერამიკის ნაირსახეობა და მრავალფეროვნება.

რაც შეეხება დათარიღების საკითხს, როგორც მ. მიწიშვილი აღნიშნავს, ერთფრად მოჭიქული ჯამები აღმოსავლეთ საქართველოში ბატონობდნენ XI-XII საუკუნეებში და განაგრძობდნენ არსებობას XIII საუკუნის პირველ ნახევარშიც. დასავლეთ საქართველოში (ბაგრატის, ბათუმის, გონიოს ციხეებზე, ციხისძირში და ციხესულორში) აღმოჩენილი ერთფრად მოჭიქული ჯამები, ისევე როგორც ამოკაწრული და ერთფრად მოჭიქული XI-XII საუკუნეებით უნდა განისაზღვროს. იმის გათვალისწინებით, რომ დასავლეთ საქართველოს მეთუნე ერთფრად მოჭიქულ ჯამებს ამკობს აღმოსავლეთ საქართველოში ერთფრად და მრავალფრად მოჭიქული ჯამებისათვის დამახასიათებელი ორნამენტით და აღმოსავლეთში ისინი ერთდროულად XII-XIII საუკუნეებში არსებობდა, დასავლეთ საქართველოში ერთფრად მოჭიქული ჭურჭელს ავტორი XII-XIII საუკუნეებს მიაკუთვნებს, ხოლო ხაზოვანი ორნამენტით შექმნილ ჯამებს კი XI-XII საუკუნეებით. თუმცა ვარაუდის დონეზე მაინც აღნიშნავს, რომ დასავლეთ საქართველოს მწვანედ და ყვითლად მოჭიქული ჯამების უმრავლესობა XII-XIII ს. განეკუთვნება. [მიწიშვილი 1976: 16]. ამ

თარიღს მიუღებლად მიიჩნევს ნ. შუშანიძე და მიუთითებს, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, კი გონიოში, აღმოჩენილი მოჭიქული ჭურჭელი შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს ზოლისა და ბიზანტიის სხვადასხვა ქალაქების და საწარმო ცენტრთა ტრადიციებითაა დამზადებული XV-XVII ს.ს-ში. [შუშანიძე 2008: 86]. ასევე სრულიად განსხვავებული მოსაზრება აქვს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პროფ. დ. მინდორაშვილს. კერძოდ, ქარვასლის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ამოკაწვრით მოხატულ და ცისფრად მოჭიქულ ჯამებს აღმოჩენის ვითარების მიხედვით გვიანი შუა საუკუნეებით ათარიღებს და აღნიშნავს, რომ მათთან აღმოჩენილი ცისფრად მოჭიქული ჯამები ერთიანი კონტექსტიდან არაა ამოვარდნილი და ქარვასლის ტერიტორიაზე გამოვლენილ ჯამებს XVII-XVIII საუკუნეებს მიაკუთვნებს. [მინდორაშვილი 2009: 25-26]. ანალოგიურ აზრს გამოთქვამს სინაგოგაში აღმოჩენილ ამოკაწვრით მოხატულ და ერთფერად მწვანედ და ცისფრად მოჭიქულ კერამიკაზე, რომელსაც დ. მინდორაშვილი XVI-XVII საუკუნეების ნაწარმად მიიჩნევს. [მინდორაშვილი 2009: 43-44].

ამოკაწვრით მოხატული მწვანედ (ნაკაწრი ტალღოვანი და სწორი ხაზები), ცისფრად (ამოკაწრულია ხეიები და ხაზები) და სოსნისფრად (ამოკაწრულია ხაზებით) მოჭიქული ჯამები აღმოჩენილია კვეტერაში. როგორც პროფ. დ. მინდორაშვილი ჯამების დახასიათებისას აღნიშნავს ისინი აქ ფართოდ არ ყოფილა გავრცელებული. თუმცა იქვე ხასგასმით მიუთითებს, რომ შეიძლება ისინი მართლაც გაჩნდნენ ამ პერიოდში, მაგრამ ამგვარად შემკული ჯამები შემდგომ ხანებშიც, კერძოდ, გვიანშუასაუკუნეებშიც მრავლად უმზადებიან. [მინდორაშვილი 2010: 31-32]. ავტორი მსგავსი ორნამენტით შემკულ უფლისციხურ ჯამებს სტრატეგრაფიული მონაცემების მიხედვით XVI-XVII საუკუნეებით ათარიღებს. [მინდორაშვილი 2008: 49].

ქუთაისური ჯამები, კეცის ფაქტურის და მასთან ერთად აღმოჩენილი მასალის მიხედვით XII-XIII საუკუნეებით უნდა განისაზღვროს.

ცალკე უნდა გამოვეყოს ამავე პერიოდით დათარიღებული განსხვავებული ორნამენტის და ჭიქურის მქონე ჭურჭლის ფრაგმენტები:

შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. №5706.87.

ჯამი. ძირის, გვერდისა და პირის ფრაგმენტი. მოჩაღისფროდ გამომწვარი, ნახევრად რესტავრირებული. კარგად განლექილი თიხა.



თეთრი ანგობით დაფარული შიდაპირის მოყვითალო-მოწვანო ფონზე, პირ-ბაკოს პროფილირებულ პირზე სარტყლისებურად შემოუყვება ამოფხეკით შესრულებული ორი პარალელური ხაზი, ხოლო კალთის შიდა ზედაპირზე, დასაწყისში ასეთივე ხაზებისაგან გამოყოფილია ფართე სარტყელი, რომელიც დაყოფილია ვერტიკალურად ამოკაწვრით შესრულებული ხაზებით ტრიგლიფებისა და მეტოპების მსგავსად. ჯამის ძირში ამოფხეკით დატანილია სამი კონცენტრული წრეხაზი, რომელიც ამოვსებულია მოყავისფრო საღებავით. ორნამენტი გახალისებულია მწვანე ფერით. ჯამის ფრაგმენტი დაფარულია უფერო კრიალა ჭიქურით. გარეპირი შემკულია თეთრი ანგობის ნაღვენთებით. პირი მოჭიქულია მწვანედ. პირ-ბაკო ოდნავ გარეთ გადაშლილი, ვერტიკალურად აკეცილი კალთით. პატარა გამოყვანილი ღრუ ქუსლით. ზომები: ჯამის სიმაღლე-9 სმ; ჯამის სიღრმე-7,5 სმ; პირის დმ-21,5 სმ; ქუსლის დმ-5,5 სმ; ქუსლის სიმაღლე-1,2 სმ; კეცის სიქე-პირთან-0,5 სმ; ძირთან 1-სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, i2 ნაკვეთი, მე-15 კავდრატში მდებარე ქვევრიდან. (ტაბ. XXII სურ. 5)

ზუსტ ანალოგიად შეიძლება ჩაითვალოს (საგ. ქ.ც. №412.03.) ჯამის გვერდისა და პირის ფრაგმენტი. მოხალისფროდ გამომწვარი, რესტავრირებული. კარგად განლექილი თიხა. კალთაზე შესრულებული სარტყელი ასევე დაყოფილია მიჯრით დაშვებული ვერტიკალური ამოკაწვრით შესრულებული ხაზებით, მხოლოდ ერთი განსხვავებით, მათ შორის სივრცე შევსებულია S-ის მაგვარი ორნამენტით. ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია მოყავისფრო-მომწვანო საღებავით. ჯამი დაფარულია უფერო კრიალა ჭიქურით. გარეპირი შემკულია თეთრი ანგობის ნაღვენთებით. პირი დაფარულია მოყავისფრო-მწვანედ და გადავლებულია უფერული კრიალა ჭიქური. პირ-ბაკო გოფრირებული და ოდნავ გარეთ გადაშლილი, ვერტიკალურად აკეცილი კალთით. ზომები: კეცის სიქე-პირთან-0,6 სმ; ძირისკენ 1-სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ციტადელის ტერიტორია, 28 ნაკვეთი, №27 დაუკირავი ქვევრიდან. (ტაბ. XXII სურ. 6)



შ. წ. 9539 A-764. ქ.ც. №4073; 4011.85.

ჯამი. გვერდის, პირისა და ძირის ფრაგმენტი. წითელკეციანი. კარგად განლექილი თიხა. რესტავრირებული. შიდაპირი თეთრად ანგობირებული, პირ-ბაკოს პირზე სარტყლისებურად შემოუყვება ამოფხეკით შესრულებული ორი პარალელური ხაზი, ხოლო კალთის შიდა ზედაპირზე, დასაწყისში ასეთივე ორი ხაზისაგან გამოყოფილი ფართე



სარტყელი, რომელიც დაყოფილია ვერტიკალურად ამოკაწვრით შესრულებული ხაზებით, მათ შორის სივრცე შევსებულია „უ“-ს მაგვარი ორნამენტით. ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია ჭაობისფერი საღებავით. დაფარულია უფერული ჭიქურით. გარეპირი კალთამდე ანგობირებული. გადავლებულია უფერული კრიალა ჭიქური. ჯამს აქვს გარეთ გადაშლილი შესქელებული პირ-ბაკო, აკეცილი პირი და ფართედ გადაშლილი კალთა. ქუსლი გამოყვანილი, დრუ ქუსლიანი. ზომები: ქუსლის დმ-7 სმ; ქუსლის სიმაღლე-1 სმ; კეცის სისქე-0,4 სმ; პირ-ბაკოს სისქე-0,6 სმ; ჯამის სიმაღლე-6,5 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ბაგრატიის ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთ მდებარე გოდოლის ძირში. (ტაბ. XXII სურ. 7)

შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. №5758.87.

ჯამი. გვერდის ფრაგმენტი. რესტავრირებული. მოხალისფროდ გამომწვარი. თეთრად ანგობირებულ შიდაპირზე კაუჭისებრი ორნამენტი ამოკაწვრით არის შესრულებული. ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია ყავისფერით. ჯამი დაფარულია კრიალა ყვითელი ჭიქურით. გარედან ყავისფრად მოჭიქულია მხოლოდ პირი და დატანილია ყვითელი და თეთრი ნაღვენთები. ჯამი პირაკეცილი, პროფილირებული პირი, ფართედ გადაშლილი კალთა. ზომები: კეცის



სისქე-0,6 სმ; პირის სიმაღლე-3,5 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი i2 ნაკვეთის 15 კვადრატში მდებარე №3 ქვევრიდან. (ტაბ. XXII სურ. 8) ანალოგიურია:

შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. სავ. №4360.85.

მსგავსი ორნამენტით შესრულებული ჯამები აღმოჩენილია ბაგრატის ციხეზე, [მიწიშვილი: 1976: 25, ფოტო 13,14], გვხვდება ქერსონესშიც და თარიღდება XII საუკუნით.

ადრე აღნიშნავდნენ, რომ დასავლეთ საქართველოს მოჭიქულ ჭურჭელს შორის ყველაზე მცირე რაოდენობით მრავალფრად მოჭიქული ჯამები გვხვდება. ქუთაისი ამ მხრივ აშკარად გამოჩნდის წარმოადგენს. აქ აღმოჩენილი მასალა ძალზე საინტერესოა და თავისებური, რაც გამოიხატება კეცში, ჭიქურთა ფერებში, ორნამენტის გადმოცემის ხასიათში. თითოეულ მათგანში ღამაზი ფერთა შეხამება კომბინირებულადაა გადმოცემული. ორნამენტისა და შემკულობის მიხედვით განვიხლოთ თითოეული მათგანი:

გეომეტრიული ორნამენტით შემკული ჯამები:

დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი მრავალფრად მოჭიქული ჯამები შემკულია სხვადასხვა გეომეტრიული სახეებით-ბრტყელი ხაზებისაგან შედგენილი ოთხკუთხედები, ასეთივე ხაზებისაგან გამოსახული მოძრაობის ამსახველი ორნამენტით, ერთმანეთში გაყრილი ოვალებით და სხვ. ქუთაისის მაგალითზე მოჭიქული ჯამის ფრაგმენტების აღნიშნული ორნამენტი წარმოდგენილია ფერადი სამკუთხედების, ოთხკუთხედების, წრეების და სხვა გეომეტრიული სახეებით:

შ. წ. №5674 A-259/2

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. ყავისფერკეციანი. სქელკედლიანი. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. ამოკაწვრით შესრულებულია გეომეტრიული ორნამენტი ექვსკუთხედებისა და სამკუთხედების მონაცვლეობით. ექვსკუთხედებში ჩასმულია სპირალური წრეხაზები. ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია ყავისფერი საღებავით. ორნამენტი გახალისებულია მრავალფრად (მწვანე, ყავისფერი). გადავლებულია უფერო კრიალა ჭიქური. ჯამს აქვს სქელი, დაბალი, გამოყვანილი, ღრუ ქუსლი. ქუსლის ღრუში არის დამდის ანაბეჭდი. ზომები: ქუსლის სიმაღლე-1,5 სმ; კეცის სისქე-0,8 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, 1984 წ. (ტაბ. XXIII სურ. 1)



შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. საგ. №7202.89.

ჯამი. გვერდისა და ქუსლის ფრაგმენტი. რესტავრირებული. კეცი მოწითალო. ქუსლი მომრგვალებული, გამოყვანილი ქუსლი. არათანაბრად დაქანებული კალთა. შიდაპირი ანგობირებული, ამოკაწრული სამკუთხედები შახმატისებურად შევსებულია ანგობის თეთრი და ჭაობისფერი ჭიქუროვანი საღებავებით. ზომები: კეცის სისქე-1,3 სმ; ქუსლის დმ-6,2 სმ; ქუსლის სიმაღლე 1,5 სმ; აღმოჩენილია ქუთაისის ნაქალაქარი, iXXIV ნაკვეთი. კვადრატი 9-10. (ტაბ. XXIII სურ. 2)



XII-XIII საუკუნეებით დათარიღებული ფერადი სამკუთხედებით შემკული ჯამები ცნობილია: კვეტერადან, თბილისიდან, რუსთავიდან, დმანისიდან, უნვალიდან.

ქ.ც. №724.04.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. ორმხრივ თეთრად ანგობირებული. ჯამის შიდაპირზე ძირში ამოკაწრულია წრე, რომელიც ამოვსებულია მუქი ყავისფერი საღებავით, ასევე წრეში ამოკაწრით დატანილია გეომეტრიული ორნამენტები (წრე, სამკუთხედი). მოჭიქულია ყვითლად. შიდაპირზე შეიმჩნევა ზედადგრის ნაშთი. მოყვანილობითა და კეცის



სტრუქტურის მიხედვით იმპორტი. დაბალი თხელი გამოყვანილი ქუსლით. ზომები: ქუსლის დმ-6,5 სმ; ქუსლის სიმაღლე-0,9 სმ; კეცის სისქე-0,5 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, შემთხვევით ზედაპირული მონაპოვარია. (ტაბ. XXIII სურ. 3)

შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. საგ. №8038.90.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. წითლად გამომწვარი. თეთრად ანგობირებული. მრავალფერად მოჭიქული (მწვანე, ყავისფერი, თეთრი, სოსნისფერი), შემკული



გეომეტრიული ორნამენტებით. თეთრი ოთხკუთხედები შევსებულია სოსნისფერი წერტილებით. ქუსლი დაბალი ბორბლისებური. ქუსლის შუაში დილისმაგვარი კოპი. ზომები: ქუსლის დმ-7 სმ; ქუსლის სიმაღლე-1 სმ; კეცის სისქე-0,7 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი XXVII ნაკვეთის XII და XXVIII ნაკვეთის მე-5 კვადრატების გადაკვეთაზე. ჩანახშირებული ორმოს მასალა. (ტაბ. XXIII სურ. 4)

ანალოგიური ორნამენტით შემკული ჯამები აღმოჩენილია: კვეტერაში, თბილისში, რუსთავში, უჯარმაში, გუდარეხში, გაგაზში, ქინვალში და სხვ. [მინდორაშვილი 2010: 33 ტაბ. XXII 912].

შ. წ. 9539 A-764. ქ.ც. სავ. №2750.84.

ჯამი. ქუსლის ფრაგმენტი. მოჩაღისფროდ გამომწვარი. თეთრად ანგობირებულ ზედაპირზე ფერადი ხაზებისაგან (მწვანე, თეთრი და ყავისფერი) ამოკაწვრით შესრულებულია გეომეტრიული ორნამენტი. ჯამი დაფარულია უფერული ჭიქურით. ღრმა გამოყვანილი ქუსლი. ზომები ქუსლის დმ-6,5 სმ; ქუსლის სიმაღლე-1,5 სმ; კეცის სისქე-1 სმ; ქუსლის სისქე-0,8 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ბაგრატის ტაძრის აღმოსავლეთ მხარეს. (ტაბ. XXIII სურ. 5)



მსგავსი ორნამენტით შემკული ჯამი აღმოჩენილია ოჩამჩირეში. [მიწიშვილი 1976: 20, ფოტო 9]. აღნიშნული ორნამენტი, როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოს მეთუნეთა მოწონებული მოტივია. იგი ფართოდაა გავრცელებული და გვხვდება როგორც მრავალფერად, ასევე ერთფერად მოჭიქულ ჯამებზე. როგორც მ. მიწიშვილი აღნიშნავს, სხვაგან აღნიშნული ორნამენტით შემკული ჯამები არსად არ არის და თვლის რომ ის ადგილობრივი ნაწარმია. ქუთაისის ჯამის ფრაგმენტი შეავსებს მოჭიქული კერამიკის მსგავსი ორნამენტით შემკულ ჭურჭელთა რიცხვს.

შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. სავ. №1769.84.

ჯამი. გვერდის ფრაგმენტი. მოწითალოდ გამომწვარი. თეთრად ანგობირებული. ამოკაწვრულია გეომეტრიული ორნამენტი (სწორი და ოვალური ხაზები). ორნამენტზე ალაგ-ალაგ დატანილია მწვანე და ღია ყავისფერი ჭიქუროვანი საღებავი. ჯამს არა აქვს გადავლებული



ჭიქური. ზომები: კეცის სისქე-0,5 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ციტადელში ცოტა კარის ტერიტორია. (ტაბ. XXIII სურ. 6)

ქ. ც. №733.04.

ჯამი. ქუსლის ფრაგმენტი. ყავისფრად გამომწვარი და კარგად განლექილი თიხა. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. ამოკაწვრით შესრულებულია გეომეტრიული ორნამენტები (წრეში ჩასმული პარალელური ხაზები), ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია მუქი მწვანე საღებავით. გადავლებულია ღია ყვითელი კრიალა ჭიქური.



ქუსლი მაღალი, გამოყვანილი. ქუსლის დმ-7 სმ; ქუსლის სიმაღლე-1,5 სმ; ქუსლის სისქე-0,6 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, შემთხვევით ზედაპირული მონაპოვარია. (ტაბ. XXIII სურ. 7)

შ. წ. №10130 A-842 ქ. ც. საგ. №5592.86.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. რუხად გამომწვარი. კარგად განლექილი თიხა. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. ამოკაწვრით შესრულებულია გეომეტრიული ორნამენტი. დაფარულია ღია ყვითლად და გადავლებულია კრიალა ჭიქური. გარე მხრიდან აქვს ანგობის კვალი. ქუსლი გამოყვანილი. კეცის სტრუქტურისა და ჯამის მოყვანილობის მიხედვით სავარაუდოდ, შემოტანილი უნდა იყოს.



ზომები: ქუსლის სიმაღლე-1,3 სმ; კეცის სისქე-0,7 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, L1 ნაკვეთში არსებული ორმოდან. (ტაბ. XXIII სურ. 8)

შ. წ. №10130 A-842 ქ. ც. საგ. №4398.85.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. წითლად გამომწვარი. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. ამოკაწვრით შესრულებულია გეომეტრიული (სწორი და ტეხილი ხაზები) ორნამენტი. ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია ყავისფრად. ორნამენტში დატანილია მწვანე და სოსნისფერი ნღვენთები. ჯამი



დაფარულია კრიალა ჭიქურით. დაბალი, გამოყვანილი ქუსლით. ზომები: ქუსლის დმ-6 სმ; ქუსლის სიმაღლე-1 სმ; კეცის სისქე-0,8 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ციტადელის სამხრეთი ფერდობი. (ტაბ. XXIV სურ. 1)

შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. საგ. №4391.85.


ჯამი. ძირისა და გვერდის ფრაგმენტი. სქელკედლიანი, მოწითალო-მოყავისფროდ გამომწვარი. შიდაპირი თეთრად ანგობირებული, შემკულია ამოკაწვრით მოხატული სწორი და კლაკნილი ხაზებით, ნაკაწრსშიდა ნაწილი არათანაბრად შევსებულია მდოგვისფერი და ყვითელი ლაქებით. გადავლებული აქვს უფერული ჭიქური. თანაბრად დაშვებულ კალთიანი, ბრტყელქუსლიანი. ზომები: კეცის სისქე-0,7 სმ; ქუსლის დმ-7,6სმ; ქუსლის სიმაღლე-1 სმ; აღმოჩენილია ქუთაისის ნაქალაქარი, ციტადელის სამხრეთი ფერდობი. (ტაბ. XXIV სურ. 2) ანალოგიური: შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. საგ. №4395.85.



მსგავსი ორნამენტით შემკული ჯამები აღმოჩენილია კვეტერაში, თბილისში, კასპში, რუსთავში, უინგალში. [მინდორაშვილი 2010: 34, ტაბ. XXII 986].

შ. წ. 9539 A-764. ქ.ც. №2027.84.

ჯამი. ძირისა და გვერდის ფრაგმენტი. კეცი წითლად გამომწვარი. სქელკედლიანი. ფოროვანი თიხა. თეთრი ანგობირებული შიდაპირი მწვანე, და ყავისფერი ნაღვენთებითაა დაფარული. ამოკაწვრით შესრულებულია ჯამის შუა ცენტრიდან მიმავალი სხივანა ხაზები რომელიც ქმნის სექტორებს. სექტორებს შორის მონაცვლეობით დაღვენთილია მწვანე და ყავისფერი ფერები. ჯამი დაფარულია უფერული კრიალა ჭიქურით. ცენტრში აზის მცირე ზომის ძუძუსებრი კოპები. ქუსლი ღრმად გამოყვანილი, ბორბლისმაგვარი. ფართედ გადაშლილი კალთა. ზომები: ქუსლის დმ-8,2 სმ; ქუსლის სიღრმე-2,5 სმ; ქუსლის სიმაღლე გარედან-1,6 სმ; კეცის სისქე-0,8 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ციტადელი, აბანოს მიმდებარე ტერიტორია. (ტაბ. XXIV სურ. 3)



მცენარეული ორნამენტით შემკული ჯამები:

შ. წ. 9539 A-764. ქ.ც. საგ. №438.84.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. წითლად გამომწვარი. კარგად განლეკილი თიხა. თეთრად ანგობირებულ შიდაპირზე ამოფხეკით შესრულებულია (კეცის გამოჩენამდე) მცენარეული ორნამენტი, რომელზეც დაღვენთილია მწვანე და სოსნისფერი ლაქები. დაფარულია უფერული ჭიქურით. გამოყვანილქუსლიანი. ქუსლის დმ-6 სმ; ქუსლის სიმაღლე-1,6 სმ; კეცის სისქე-0,6 სმ; აღმოჩენილია ქუთაისის ნაქალაქარი. (ტაბ. XXIV სურ. 4)



შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. საგ. №4397.85.

ჯამი. ძირისა და გვერდის ფრაგმენტი. წითელკეციანი. მცირედ ფოროვანი თიხა. რესტავირებული. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. ამოკაწვრით შემოსაზღვრულია ფოთლის კონტურები, რომელიც შევსებულია ყვითელი და მწვანე საღებავით. დაფარულია უფერული ჭიქურით. ქუსლი დაბალი, ბრტყელქუსლიანი. ზომები: ქუსლის დმ-7,5 სმ; ქუსლის სიმაღლე-0,8 სმ; კეცის სისქე-0,5-დან 0,8-მდე. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ციტადელის სამხრეთი ფერდობი. (ტაბ. XXIV სურ. 5)



შ. წ. 7965 A-597.

ჯამი. ქუსლის, გვერდისა და პირ-ბაკოს ფრაგმენტი. წითელკეციანი, რესტავირებული. შიდაპირი თეთრად ანგობირებული, ნაკაწრებით დატანილია მცენარეული ორნამენტი. ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია ყავისფერი საღებავით. ალაგ-ალაგ ლაქების სახით დაღვენთილია ყვითელი, მწვანე და ყავისფერი. დაფარულია უფერული კრიალა ჭიქურით. გარეთა მხრიდან კალთამდე თეთრად ანგობირებული და ყვითლად მოჭიქული. ჯამს აქვს გარეთ გადაშლილი მაღალი პირ-ბაკო, ოდნავ შიგნით ჩაკეცილი პირი, ფართოდ გადაშლილი კალთა და სწორად დაშვებული ღრმა ქუსლი. ზომები: ჯამის სიმაღლე-12 სმ; შიდა სიმაღლე-8,5 სმ; ქუსლის დმ-8 სმ; ქუსლის სიმაღლე-1,5 სმ; კეცის სისქე-0,8-დან 1 სმ-მდე.



ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ფონდსაცავი. ნაპოვნია სოფ. დილიკაურის ნაციხვარზე 1969 წ. (ტაბ. XXIV სურ. 6)

შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. №4329.85.

ჯამი. ძირისა და გვერდის ფრაგმენტი. კარგად განლექილი მოყავისფროდ გამომწვარი კეცი. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. ყვითელ ფონზე ორ-ორი ხაზისაგან ამოკაწვრით შესრულებულია ფოთლის ორნამენტი, რომელიც დაფარულია ბადისებურად. ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია ყავისფერი საღებავით გადავლებულია უფერული ჭიქური.



კალთა ფართოდ გადაშლილი, გამოყვანილი ოდნავ გაშლილი ძირით. ზომები: ქუსლის დმ-7 სმ; ქუსლის სიმაღლე-1 სმ; კეცის სისქე-0,5 სმ; კეცის სისქე ძირთან 1 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ბაგრატის ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე გვიანდელი გოღოლის ძირში. (ტაბ. XXIV სურ. 7)

შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. №8057.90.

ჯამი. გვერდის ფრაგმენტი. წითელკეციანი. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. ნაკაწრით შესრულებულია მცენარეული ორნამენტი. ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია სოსნისფერი საღებავით. ნაკაწრებს შორის სივრცე ამოვსებულია შინდისფერი, ყვითელი და მწვანე საღებავით. დაფარულია უფერული ჭიქურით. ზომები: კეცის სისქე-0,6 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, L27 ნაკვეთის 12 და L27 ნაკვეთის მე-5 კვადრატების გადაკვეთაზე. ჩანახშირებული ორმოს მასალა. (ტაბ. XXIV სურ. 8)



შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №596.84.

ჯამი. გვერდის ფრაგმენტი. წითლად გამომწვარი. შიდაპირი და გარე პირი თეთრად ანგობირებული. ამოკაწვრით შესრულებულია მცენარეული ორნამენტი. ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია ყავისფრად. ორნამენტი დაფარულია მწვანე და სოსნისფერი საღებავით.



გადავლებულია უფერული კრიალა ჭიქური. გარეთა მხრიდან შეიმჩნევა ანგობის კვალი. ზომები: კეცის სისქე-0,8 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, „შიდა ქალაქი“. (ტაბ. XXV სურ. 1)

ქ.ც. №727.04.

ჯამი. გვერდის ფრაგმენტი. წითლად გამომწვარი. თეთრად ანგობირებული. მწვანე-მოყვითალო ფონზე ამოკაწვრით შესრულებულია სტილიზებული ხის ორნამენტი. ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია ყავისფრად. გადავლებულია უფერული ჭიქური. ზომები: კეცის სისქე-1,2 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, შემთხვევით ზედაპირული მონაპოვარია. (ტაბ. XXV სურ. 2)



ქ.ც. №732.04.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. წითლად გამომწვარი. ორმხრივ თეთრად ანგობირებულ შიდაპირზე, ცენტრში წყვილი ხაზებით ამოკაწრულია წრე, რომლისგანაც გამოყვანილია ფოთლისებური და ყლორტების ორნამენტი, ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია სოსნისფერი საღებავით. დაფარულია ყვითელი კრიალა ჭიქურით. გარეპირი მოჭიქულია ყვითლად და მუქ მწვანედ. ზომები: ქუსლი დმ-7,5 სმ; ქუსლის სიმაღლე-1 სმ; კეცის სისქე-0,7 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, შემთხვევით ზედაპირული მონაპოვარია. (ტაბ. XXV სურ. 3)



შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. №5297.86.

ჯამი. გვერდის ფრაგმენტი. თეთრად ანგობირებული. ამოკაწვრით შესრულებულია ფოთლისებური ორნამენტი. სიმცირის გამო არ აღიქმება სრული სურათი. ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია მუქ მწვანედ. ორნამენტი შევსებულია მწვანედ და ღია სოსნისფრად. გადავლებულია უფერული, კრიალა ჭიქური. გარეთა მხრიდან კალთას შემოუყვება თეთრი ანგობი. ზომები: კეცის სისქე-0,6 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი. L4 ნაკვეთი კვადრატის №6. სამშენებლო ნანგრევების შემცველი ფენა. (ტაბ. XXV სურ. 4)



ქ.ც. №735.04.

ჯამი. გვერდის ფრაგმენტი. მოხალისფროდ გამომწვარი. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. ამოკაწვრით შემოუყვება პირს სამი პარალელური ხაზი, რომელიც შემკულია მცენარეული ორნამენტით, დაფარულია მწვანე, ყვითელი და სოსნისფერი ლაქებით. გადავლებულია უფერული, კრიალა ჭიქური.



ზომები: კეცის სისქე-0,7 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი შემთხვევითი მონაპოვარი. (ტაბ. XXV სურ. 5)

მცენარეული მოტივი გვხვდება როგორც დამოუკიდებლად, ასევე გეომეტრიულ სახეებთან ერთად (წრეში, ოვალში, სამკუთხედში, ოთხკუდხედში და სხვ.). იგივე მცენარეული ორნამენტი ამშვენებს ფრინველისა და ცხოველთა გამოსახულებას. ამდენად ის ქართული მოჭიქული კერამიკის თითქმის მუდმივი თანმდევი ელემენტია.

შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. საგ. №5292.86.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. მოხალისფროდ გამომწვარი. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. ამოკაწვრით შესრულებულია წრეში ჩასმული მრავალფურცელა ვარდულა, რომლის ფოთლები მონაცვლეობით შევსებულია (ყვითელი, სოსნისფერი), საღებავით. დაფარულია უფერული კრიალა ჭიქურით. გამოყვანილი, პატარა ქუსლით. ქუსლის შუაში ამობურცული კოპი. ზომები: ქუსლის დმ-5,5 სმ; კეცის სისქე-0,6 სმ; ქუსლის სიმაღლე-1 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი L4 ნაკვეთი, კვადრატის №6. (ტაბ. XXV სურ. 6)



შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. საგ. №5214.86.

ჯამი. ქუსლის ფრაგმენტი. მოყავისფროდ გამომწვარი, უხეში კეცი. შიდაპირი ანგობირებული. ცენტრში ამოკაწვრით შესრულებულ მწვანე წრეში ჩასმულია ასევე ამოკაწვრით მოხატული თეთრი ყვავილოვანი



ორნამენტი. ჩანს ყავისფერი ჭიქურის კვალი. დაბალი ბორბლისებური ქუსლი, გარეთა მხრიდან ქუსლის ცენტრში არის კოპისმაგვარი ამობურცული. ზომები: ქუსლის დმ-7 სმ; ქუსლის სიმაღლე-1,3 სმ; კეცის სისქე-1,8 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, L3, №11 კვადრატი. ფენის სიმძლავრე 3 მ. (ტაბ. XXV სურ. 7) შ. წ. №5437 A-30.

ჯამი. ძირისა და გვერდის ფრაგმენტი. წითელკეციანი. შიდა მხრიდან ანგობირებული. ჯამის შუაში ამოკაწვრულია კონცენტრული წრეხაზი. მას გარს შემოუყვება ფოთლის მსგავსი ფერადი (მწვანე, ყვითელი) ოვალები. ნაკაწრ შორის სივრცეები, დაფარულია მწვანე, ყავისფერი და სოსნისფერით. აქვს ორი სოსნისფერი წერტილები. გადავლებულია უფერული კრიალა ჭიქური. კალთა დაქანებული, დაბალი, გამოყვანილი ქუსლით. ზომები: ქუსლის დმ-7 სმ; ქუსლის სიმაღლე-1 სმ; კეცის სისქე-0,7 სმ. აღმოჩენილია: სოფ. ძეგრი, 1927 წ. (ტაბ. XXV სურ. 8) ანალოგიურია: შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. №5111.86.



ანალოგიური ორნამენტით შემკული (მხოლოდ სოსნისფერის გარეშე) ჯამები აღმოჩენილია სოხუმში, ქერსონესში, თბილისის კერამიკულ სახელოსნოს გადანაყარში ძალზე მცირე რაოდენობით. აქედან გამომდინარე, ყვავილის ფოთლებისაგან შედგენილი ორნამენტით შემკული ჯამები გვხვდება დასავლეთ საქართველოში, ყირიმში და აღმოსავლეთ საქართველოში. ოდნავ განსხვავებული თავისებური სახეებით. როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, ასეთი ორნამენტით შემკულია აგრეთვე V-X საუკუნეების ბაზილიკის იატაკი ქერსონესში, რომელიც XI საუკუნეში დანგრეულა, ხოლო მისი იატაკი დღემდეა შემორჩენილი. ქერსონესელმა მეთუნემ ხუროთმოძღვრებაში არსებული და დამკვიდრებული ორნამენტი გადმოიტანა თავის ნაწარმზე. მ. მიწიშვილის ვარაუდით, ქერსონესიდან ამ ორნამენტით შემკული მოჭიქული ჭურჭელი კი არ შემოჰქონდათ, არამედ იქ გავრცელებული ყვავილოვანი ორნამენტი ხელოსანთა მოძრაობის შედეგად გაჩნდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში. [მიწიშვილი 1976: 19].

შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. საგ. №5100.86.

ჯამი. ძირისა და გვერდის ფრაგმენტი. კეცი მოჩაღისფროდ გამომწვარი. შიდაპირის მოყვითალო ფონზე მკვეთრად ამოკაწვრულია მცენარეული (ფოთლისებური) და გეომეტრიული (წრე და სამკუთხედი) ორნამენტი.

არათანაბრად შევსებულია მწვანე და მოყვითალო ლაქებით. ემჩნევა ზედმეტი გამოწვის კვალიც. დაფარულია უფერული ჭიქურით. გარეპირი სადა, კალთა დაბალი, არათანაბრად ფართოდ გადაშლილი. პირისა და კალთის შეერთებასთან შემოუყვება ვიწრო წიბო. დაბალი გამოყვანილი ქუსლით. ზომები: კეცის სისქე-0,6 სმ-იდა 1 სმ-მდე; ძირის სიმაღლე-1 სმ; ქუსლის დმ-7,5 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, B4 კვადრანტი. (ტაბ. XXVI სურ. 1)



შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №4077.85.

ჯამი. ძირის, პირისა და გვერდის ფრაგმენტი. წითლად გამომწვარი. რესტავირებული. შიდაპირი თეთრად ანგობირებული, ყვითელ ფონზე დატანილია მწვანე და მოყვითალო ლაქები. შუაში ორი წრიული ხაზის შიგნით ამოკაწვრით შესრულებულია ყვავილოვანი ორნამენტი. ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია მუქი ყავისფერი საღებავით. დაფარულია უფერული ჭიქურით. გარეთ მხრიდან ყვითელ



ფონზე დატანილია ყავისფერი და მწვანე ლაქები. ჯამს აქვს გამოყვანილი პირი, ოდნავ შესქელებული პირ-ბაკო. კალთა ფართოდ გადაშლილი, გამოყვანილი თხელი ქუსლი. კალთისა და პირის შეერთების ადგილას აქვს წიბო, რომელზეც დატანილია ირიბი ნაჭდევები. ჯამის ქუსლი ფართოდ გამოყვანილი. ზომები: ჯამის დმ-17,5 სმ; ჯამის სიმაღლე-9 სმ; ჯამის სიღრმე-6,5 სმ; ქუსლის სიმაღლე-1,5 სმ; კეცის სისქე-0,8 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ბაგრატის ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე გოდოლის ძირში. (ტაბ. XXVI სურ. 2)

შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №4078.85.

ჯამი. ძირისა და გვერდის ფრაგმენტი. წითელკეციანი. რესტავირებული. შიდაპირის ყავისფერ ფონზე შუაში ამოკაწვრით ორი წრიული ხაზის შიგნით შესრულებულია გეომეტრიული და წნული ორნამენტი. ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია მუქი ყავისფერი



საღებავით. დაფარულია უფერული ჭიქურით. გარეთაპირი მოჭიქულია ყვითლად და ყავისფრად. შიდაპირზე ძირში შემორჩენილია ზედადგრის ნაშთი. სწორი აკეცილი პირით, ფართოდ გადაშლილი კალთა, ჯამის ქუსლი ფართოდ გამოყვანილი. ზომები: ჯამის დმ-18 სმ; ჯამის სიმაღლე-9 სმ; პირის დმ-18 სმ; ქუსლის დმ-8,5 სმ; ქუსლის სიმაღლე-1,3 სმ; კეცის სისქე-0,5 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ბაგრატის ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე გოდოლის ძირში. (ტაბ. XXVI სურ. 3)

თითქმის მსგავსი ორნამენტით არის შესრულებული (შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. სავ. №4077.85.) ჯამის ძირისა და გვერდის ფრაგმენტი. წითლად გამომწვარი. რესტავირებული. შიდაპირის მომწვანო-მოყვითალო ფონზე ცენტრში ამოკაწვრით ორი წრიული ხაზის შიგნით შესრულებულია გეომეტრიული და წნული ორნამენტი. ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია მუქი ყავისფერი საღებავით. დაფარულია უფერული ჭიქურით. შიდაპირზე შეინიშნება ზედადგრის ფრაგმენტები. გარეთა მხრიდან ყვითელ ფონზე დატანილია ყავისფერი ლაქები. ჯამს აქვს გამოყვანილი თხელი ქუსლი, ფართოდ გამოყვანილი. ზომები: ქუსლის სიმაღლე-1,3 სმ; ქუსლის დმ-8,5 სმ; კეცის სისქე-0,8 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ბაგრატის ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე გოდოლის ძირში. (ტაბ. XXVI სურ. 4)



შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. სავ. №397.84.

ჯამი. გვერდის ფრაგმენტი. მოწითალო-მოვარდისფროდ გამომწვარი. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. ამოფხეკით შესრულებულია წრიული ხაზი, რომელშიც ჩასმულია მცენარეული-ფოთლის (მწვანე, ყავისფერი). ორნამენტი. დაღვენთლია სოსნისფერი წერტილები. შეიმჩნევა მწვანე და ყვითელი ჭიქურის კვალი. ზედმეტად გამომწვარი. გარეთა მხრიდან კალთაზე შეიმჩნევა თეთრი ანგობის კვალი. ზომები: კეცის სისქე-0,6 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი. (ტაბ. XXVI სურ. 5)



ქართული მრავალფერად მოჭიქული ჯამებისათვის დამახასიათებელია თეთრი ანგობით დაფარულ ჯამთა შიგაპირის ოთხ სექტორად დაყოფა. იგი სტილიზებულია ჯვარია, რომელიც გამოსახულია ოთხი ფოთლით, ოთხი სხივით, ოთხი სამკუთხედით, რადიალური ხაზებითა და სხვ. ჯვარი ყოველთვის ყვითელია [მიწიშივილი 1998: 56]. ქუთაისის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ამ ორნამენტის ჯამების ფრაგმენტები 4 ერთეულითაა წარმოდგენილი და განხვავებულია ფერთა შესამებით:

შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. №4358.85.

ჯამი. ძირისა და გვერდის ფრაგმენტი. მოყავისფროდ გამომწვარი. სქელკედლიანი. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. ჭიქური ძლიერ დაზიანებული. არ გაირჩევა ფერი. წყვილი ხაზებისაგან ამოკაწვრით შესრულებული ჯვრის ორნამენტი ჯამის ძირს ოთხ სექტორად ყოფს, რომლის წვერები თავს იყრიან ჯამის გულში. თავისუფალი სივრცეებში ამოკაწრულია სამკუთხედები. ბორბლისმაგვარი ქუსლი. ქუსლის გარე მხრიდან აქვს დილისმაგვარი კოპი. ზომები: ქუსლის დმ-8 სმ; ქუსლის სიმაღლე-1,4 სმ; კეცის სისქე-0,8 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ციტადელის სამხრეთი ფერდობი. (ტაბ. XXVII სურ. 1)



ქ.ც. №728.04.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. წითლად გამომწვარი. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. წყვილი ხაზებისაგან ამოკაწვრით შესრულებულია ჯვარი, რომელიც მონაცვლეობით შეესებულება მწვანე და ყვითელი საღებავით. ჯვარი ჯამის ძირს ყოფს ოთხ ნაწილად, ჩანს რომ ამოკაწრულია ორნამენტიც, რომელიც თითქმის არ გაირჩევა. გადავლებულია უფერული ჭიქური. დაბალი ბორბლისმაგვარი ქუსლით. ქუსლში დილისმაგვარი კოპით. ზომები: ქუსლის დმ-7,5 სმ; ქუსლის სიმაღლე-1,2 სმ; კეცის სისქე-0,6 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, შემთხვევით ზედაპირული მონაპოვარია. (ტაბ. XXVII სურ. 2)



შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №2.84.

ჯამის ძირის ფრაგმენტი. წითელკეციანი. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. ამოკწვრით შესრულებულია ჯვარი, რომელიც ჯამის გულიდან კალთებისაკენ თანდათან ფართოვდება და დაფარულია ღია ყავისფერი საღებავით. მკლავებს შორის თავისუფალი სივრცეები შევსებულია გეომეტრიული ორნამენტით- სამკუთხედები, რომელიც დაფარულია მუქ ყავისფრად. ჭიქური გადავლებული არა აქვს. დაბალი, გამოყვანილი ქუსლით. ქუსლის ღრუში აქვს ღილისმაგვარი კოპი. ზომები: ქუსლის დმ-7 სმ; ქუსლის სიმაღლე-0,8 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, შიდა ქალაქის ტერიტორია. (ტაბ. XXVII სურ. 3) ანალოგიურია უინვალის ნაქალაქარზე [მარგველაშვილი 2007: ტაბ. XXXV-20;] და თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მტკვრის კასპიის ზღვასთან შეერთების მიდამოებში ძველი ნაქალაქარი შირვანა-გუსტაშფის ანუ (ბიანდოვანი I) წყალქვეშა ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი ჯამის ფრაგმენტი (XII-XIII ს.ს), რომელსაც აწარმოებდა აზერბაიჯანის ისტორიული მუხეუმი.



შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №4.84.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. წითელკეციანი. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. ამოკაწვრით შესრულებულია ჯვრისებური ორნამენტი. ოთხად დაყოფილ სექტორებში მოთავსებულია ყვავილოვანი ორნამენტი, რომელიც მონაცვლეობით შევსებულია მწვანე, ღია ყავისფერი ფერებით და სოსნისფერი წერტილებით. გადავლებული აქვს უფერული კრიალა ჭიქური. ქუსლი დაბალი, ბორბლისმაგვარი, ქუსლის გარე მხრიდან ღრუში აქვს ღილისმაგვარი კოპი. ზომები: ქუსლის დმ-7,3 სმ; ქუსლის სიმაღლე-1,2 სმ; კეცის სისქე-0,6 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, შიდა ქალაქის ტერიტორია. (ტაბ. XXVII სურ. 4)



ჯვრის გამოსახულებით შემკული ჯამები აღმოჩენილია თბილისში კერამიკული სახელოსნოს გათხრების დროს, დმანისში, უჯარმაში, თელავში, კვეტერაში. ყველგან ისინი XII-XIII საუკუნეებით თარიღდება. უფლიციხეში მსგავსი

ორნამენტის ჯამებს, რომელზეც ჯვარი ცისფერი საღებავითაა გამოყვანილი (3 ერთეული), პროფ. დ. მინდორაშვილი XIII-XIV საუკუნეებით ათარიღებს. [მინდორაშვილი 2008: 45-46; ტაბ. XIV, სურ. 28,29,30], ხოლო ქარვასლის ტერიტორიაზე, მრგვალი სვეტის ძირთან აღმოჩენილ ჯვრის გამოსახულებიან ჯამს დ. მინდორაშვილი იმიტაციას უწოდებს, (ჭიქური მას მხოლოდ ნაწილობრივ ამკობს) და ის XVI-XVII საუკუნეების ნაწარმად მიაჩნია. [მინდორაშვილი 2009: 26; ტაბ. XIII-84].

გარდა აღნიშნულისა, სოხუმის ციხეზე აღმოჩნდა ჯვრისებური ორნამენტული მოტივებით შექმნილი ყვითლად მოჭიქული ჯამის ძირ-ქუსლი. [მიწიშვილი 1976: 12; ფოტო №1]. ქუთაისური ჯამის ფრაგმენტები შემკული აღნიშნული გამოსახულებით XII-XIII საუკუნეებით თარიღდება.

მრავალფრად მოჭიქული კერამიკის შემკობის ერთ-ერთ გავრცელებულ სახეს ბულგარეთშიც წარმოადგენს ჯამთა შიგაპირის სექტორებად დაყოფა და გეომეტრიული და მცენარეული მოტივების ერთობლივი ორნამენტის გამოყენება. ასეთი ორნამენტით შემკულია ნაქალაქარ მეღნიკზე აღმოჩენილი სხვადასხვა ზომის მოჭიქული ჯამები და ლანგრები. მეორე მხრივ კი ისინი დამზადებულია დაუდევრად, დაბრეცილია და უხეში. მრავალფეროდობას უმრავლეს შემთხვევაში აღწევდნენ ფერადი, ყვითელი, მოყავისფრო, ლაქებით, საღებავი გაღვრილია. ანალოგიური მრავალფრად მოჭიქული ჯამები აღმოჩენილია ბულგარეთის სხვა რეგიონებშიც-ტირნოვოში, შუმენში. ისინიც ემსგავსება საქართველოში აღმოჩენილებს გამყოფი ხაზებითა და მცენარეული ორნამენტით, მაგრამ შესრულების ხარისხი განსხვავებულია. [მიწიშვილი 1998: 58].

4 ერთეულითაა წარმოდგენილი ხვიებისა და მარყუქების ორნამენტით შესრულებული ჯამის ფრაგმენტები. აღმოსავლეთ საქართველოში მსგავსი სახეებით მხოლოდ ერთფრად მოჭიქულ ჯამებს ამკობდნენ, დასავლეთ საქართველოში კი გამოყენებულია მრავალფრად მოჭიქულ ჯამებზე.

შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. სავ. №6358.87.

ჯამი. პირ-ბაკოსა და გვერდის ფრაგმენტი. წითლად გამომწვარი. თხელკეციანი. თეთრ ანგობით დაფარულ შიდაპირზე, პირ-ბაკოს ამოკაწვრით შემოუყვება ორი სარტყელი, რომლის ქვემოთ ამოკაწრულია პარალელური ხაზები წრიული მარყუქებით.



ნაკაწრი ხაზები შევსებულია ყავისფერი საღებავით. ნაკაწრშია სივრცეები გახალისებულია მწვანე, ყავისფერი და ყვითელი ფერებით. ჯამი დაფარულია უფერული კრიალა ჭიქურით. გარეპირზე მოხატულია სადა და ჩახვეული მოჩუქურთმებული ორნამენტები. პირ-ბაკო შესქელებული, არათანაბრად დაშვებული კალთები. ზომები: კეცის სისქე-0,5 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, B2 ნაკვეთი, კვადრატი 15-16. (ტაბ. XXVIII სურ. 1) ანალოგიურია: შ. წ. 9539 A-764. ქ.ც. №1235.84. მსგავსი ორნამენტით შემკული ჯამი აღმოჩენილია ბათუმის ციხეზე. [მიწიშვილი 1976: 23. ტაბ. VII 1,2].

შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №3.84.

ჯამი. კალთის ფრაგმენტი. წითლად გამომწვარი. შიდა და გარე პირი დაფარულია თეთრი ანგობით. შიდაპირზე ემჩნევა სარტყლის კვალი. ამოკაწვრით შესრულებულია მარყუჟისებრი ორნამენტი. ნაკაწრები ამოვსებულია ყავისფერი საღებავით. ორნამენტი გახალისებულია სოსნისფრად. დაფარულია კრიალა უფერული ჭიქურით.



ზომები: კეცის სისქე-0,5 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, „შიდა ქალაქი“. (ტაბ. XXVIII სურ. 2)

შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №1636.84.

ჯამი. გვერდის ფრაგმენტი. მოჩაღისფროდ გამომწვარი. სქელკედლიანი, კარგად განლექილი თიხა. შიდაპირზე თეთრად ანგობირებული. ამოკაწვრით შესრულებულია ხაზოვანი და მარყუჟისებრი ორნამენტი. ნაკაწრი ხაზები შევსებულია ყავისფრად. ორნამენტი გახალისებულია ღია ყავისფრად და ღია მწვანედ. ზედაპირზე გადავლებულია უფერო კრიალა ჭიქური. ჯამს აქვს ფართოდ გადაშლილი პირი, არათანაბრად დაქანებული კალთა. ზომები: კეცის სისქე-0,8 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ციტადელის აბანოს ტერიტორია. (ტაბ. XXVIII სურ. 3)



ქუთაისის ნაქალაქარზე აღმოჩენილ მასალათაგან გვხვდება ბორჯღაღის ორნამენტით შემკული ჯამები (4 ერთეული):

შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. საგ. №6043.87.

ჯამი. ქუსლისა და გვერდის ფრაგმენტი. მოჩაღისფროდ გამომწვარი. კარგად განლექილი თიხა. შიდა პირი თეთრად ანგობირებული, მკვეთრად ამოკაწრული

ხაზებით გამოყვანილია შეიდხაზოვანი ბორჯღალი (მარჯვნიდან მარცხნივ მბრუნავი). ნაკაწრშიდა სივრცეები დაფარულია ყვითლად და მწვანედ. დაფარულია უფერული ჭიქურით. ღრმა გამოყვანილი ქუსლი, რომელშიც ამოკაწრულია ჯვარი. ზომები: ქუსლის სიმაღლე-1,5სმ; კეცის სისქე-0,8 სმ; ქუსლის სისქე-1 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, „ლაზთა მეფის“ სასახლის ნანაგრევები. i2 ნაკვეთიდან. (ტაბ. XXVIII სურ. 4)



შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. საგ. №5225.86.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. წითლად გამომწვარი. შედაპირი თეთრად ანგობირებული ამოკაწრით გამოყვანილია ბორჯღალი. ნაკაწრშიდა სივრცეები შევსებულია მდოგვისფერი, ყავისფერი და მწვანე საღებავებით. დაფარულია უფერული ჭიქურით. დაბალი გამოყვანილი ქუსლი. ქუსლის შუაში დილისმაგვარი კოპი. ზომები: ქუსლის დმ-7 სმ; ქუსლის სიმაღლე-1 სმ; კეცის სისქე-0,8 სმ;



აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი L3 ნაკვეთი, კვადრადი 11. (ტაბ. XXVIII სურ. 5)

შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №1.84.

ჯამი. ძირ-გვერდის ფრაგმენტები. წითელკეციანი. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. ამოკაწრით შესრულებულია ოთხქიმიანი მბრუნავი სტილიზებული ბორჯღალი. სექტორებს შიგნით შესრულებულია მცენარეული ორნამენტი, რომელიც გახალისებულია ლაქების სახით მწვანე ჭიქუროვანი საღებავით. ნაკაწრშიდა ხაზები ამოვსებულია ყავისფრად. სტილიზებული ბორჯღალი კი ყვითლად. ასევე დატანილია სოსნისფერი წერტილები.



გადავლებულია უფერული კრიალა ჭიქური. დაბალი, გამოყვანილი ქუსლით, ქუსლის ღრუში არის დილისმაგვარი კოპი. ზომები: ქუსლის დმ-7,5 სმ; ქუსლის სიმაღლე-1 სმ; კეცის სისქე-0,6 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი. „შიდა ქალაქი“. გაბრიელის ეზო. (ტაბ. XXVIII სურ. 6)

შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №536.84.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. მოწითალოდ გამომწვარი. შიდა პირი თეთრად ანგობირებული. ჯამის ძირზე ამოკაწვრით შესრულებულია ბორჯღალის გამოსახულება, რომელიც ჯამის ძირს ოთხ სექტორად ყოფს. ნაკაწრშიდა ხაზები ამოვსებულია სოსნისფრად. სექტორებში ყვავილოვანი ორნამენტია, რომელიც ამოვსებულია ყვითელი და მწვანე საღებავით. დაფარულია უფერული ჭიქურით. დაბალი, ბორბლისმაგვარი ძირი. ძირს გარეთა მხრიდან შუაში აქვს დილისმაგვარი კოპი. ზომები: ძირის დმ-7 სმ; ძირის სიმაღლე-0,8 სმ; კეცის სისქე-0,8 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი. (ტაბ. XXVIII სურ. 7)



ზემოთ ჩამოთვლილი ორნამენტები გვხვდება ქართული ხელოვნების სხვადასხვა (ხუროთმოძღვრება, ოქრომჭედლობა, ხელნაწერები, მონეტები და სხვ.) ძეგლებზე. გასულ წელს ბაგრატის ტაძარში აღმოჩენილ VIII საუკუნის მდიდრული სამარხის ინვენტარში წარმოდგენილია ოქროს შედგენილი სამაჯურები მზის დისკოს გამოსახულებებით. ანალოგიური ორნამენტი შესრულებულია ერთ-ერთი ჯამის ფრაგმენტზე, კერძოდ, (შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №4302.85.) **ჯამის** ძირისა და გვერდის ფრაგმენტი. წითელკეციანი, თეთრად ანგობირებული. შიდაპირზე მდოგვისფერ ფონზე, ჯამის ძირში ამოკაწვრით შესრულებულია სპირალური ხაზები, ასევე დატანილია ამოფხეკით შესრულებული ჯამის ძირიდან პირისაკენ გამავალი სხივები. ერთობლივად ქმნის მზის ორნამენტს. ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია მუქი ყავისფერი საღებავით. გადავლებულია უფერული კრიალა ჭიქურით. ზომები: ქუსლის დმ-0,7 სმ; ქუსლის სიმაღლე-1 სმ; კეცის სისქე-0,6 სმ; აღმოჩენილია ქუთაისის ნაქალაქარი, „ლაზეთის მეფეთა“ სასახლის ნანგრევებიდან 3 მ. სიღრმეზე. (ტაბ. XXVIII სურ. 8)




მზის სიმბოლო ქუთაისისათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი ატრიბუტია, ე.ი. ზემოთ ჩამოთვლილ ორნამენტებს ხელოვნების ამ დარგებიდან ბუნებრივად გაუკაფავს გზა გამოყენებითი ხელოვნების ისეთ დარგში, როგორც არის მხატვრული კერამიკა. როგორც ჩანს, ქართული კერამიკული ნაწარმი არ ჩამორჩებოდა სხვა უფრო დიდ დარგებს და კვალდაკვალ მისდევდა მას.

მრავალფერად მოჭიქული, ამოკაწრული ჭურჭელი აღმოჩენილია ქედის რაიონ სოფელ კოლოტაურშიც (კოშკის გათხრებისას), რომელიც პარალელური მასალის მიხედვით დათარიღებულია XII-XIII ს.ს-ით. [შუშანიძე 2008: 87].

საქართველოში ძალზე გავრცელებული იყო მრავალფერად მოჭიქული კერამიკის შემკობა ფრინველის გამოსახულებით. ქუთაისის მაგალითზე ისინი 12 ერთეულითაა წარმოდგენილი და ერთმანეთისაგან განსხვავებული ორნამენტისა და ფრინველის აღნაგობის მიხედვით ორ ჯგუფად გავყავით: პირველ ჯგუფში გავაერთიანეთ იმ ჯამების ფრაგმენტები (4 ერთეული), სადაც ფრინველის მხოლოდ მარცხენა პროფილია გამოსახული, კერძოდ, კისერი, ფრთა, დეხები (ფეხები) და კუდი. ფერთა შეხამებაც თითოეულ ჯამის ფრაგმენტების თითქმის ერთნაირია. მეორე ჯგუფში (8 ერთეული), გაერთიანებულ ჯამების ფრაგმენტზე გამოსახული ფრინველები პატარა ზომისაა და ყველა მათგანი ერთ ფონზე (მწვანე, ყავისფერი, ყვითელი, მომწავნო-მოყავისფრო), ამოკაწრით არის შესრულებული. განვიხილოთ I ჯგუფი:

შ. №. 10130 A-842. ქ.ც. საგ№8020.90.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. მოწითალო ფერის კეცი. შიდა პირი დაფარულია თეთრი ანგობით და შუაში ამოკაწრულია ფრინველის მარცხენა პროფილი. კერძოდ: კისერი, ფრთა და დეხები. ნახატი შესრულებულია ამოკაწრით, ნაკაწრშიგა სივრცეები შევსებულია ყავისფერი საღებავით, დადებულია სოსნისფერი წერტილები და დაფარულია უფერული ჭიქურით. ქუსლის გარეთა მხრიდან შუაში ამობურცული კოპია, რომელსაც



თავი წაკვეთილი აქვს. ზომები: დაბალი გამოყვანილი ქუსლი. ქუსლის სიმაღლე-0,8 სმ; ქუსლის დმ-7 სმ; კეცის სისქე-0,7 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ციტადელის ცენტრალური ტერიტორია ზედაპირულად. (ტაბ. XXIX სურ. 1)

შ. №. 9539 A-764. ქ.ც. საგ. №1368. 84.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. მოწითალო ფერის კეცი. შიდაპირი დაფარულია თეთრი ანგობით და შუაში ამოკაწრულია ფრინველის მარცხენა პროფილი. კერძოდ: ფრთა და დეხები. ნაკაწრი ზახები ამოვსებულია ყავისფერი საღებავით.



ნაკაწრის შიდა სივრცე დაფარულია ღია მწვანე და მოყვითალო საღებავით, შემკულია სოსნისფერი წერტილებით. გადავლებული აქვს უფერული ჭიქური.

ზომები: დაბალი გამოყვანული ქუსლი. ქუსლის სიმაღლე-0,8 სმ; ქუსლის დმი-8 სმ; კეცის სისქე-0,7 სმ; ქუსლის გარეთა მხრიდან შუაში ღილისმაგვარი კოპი, რომელსაც თავი წაკვეთილი აქვს. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ბაგრატის ტაძრის ეზოს დასავლეთის კედელთან. (ტაბ. XXIX სურ. 2)

შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. №8034.90.

ჯამი. ძირისა და გვერდის ფრაგმენტი. წითლად გამომწვარი. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. ამოკაწვრით შესრულებულია ფრინველის (ფრთის) და სავარაუდოდ, მცენარეული ორნამენტი. ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია ყავისფერი საღებავით. ფრინველის ფრთა დაფარულია მწვანე და ყვითელი ფერის საღებავით და სოსნისფერი ურთიერთპარალელური ექვსი წერტილით. გადავლებული აქვს უფერული ჭიქური. ჯამის ქუსლი დაბალი, ბორბლისებური. ჯამს ქუსლის გარეთა მხარე



აქვს ღილისებური კოპი. ზომები. ქუსლის დმ-7,3 სმ; ქუსლის სიმაღლე-1,1 სმ; კეცის სისქე-0,6 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, L27 ნაკვეთის მე-12 და L28 ნაკვეთების მე-5 კვადრატების გადაკვეთაზე. ჩანახშირებული ორმოს მასალა. (ტაბ. XXIX სურ. 3)

შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. №8028.90.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. წითელკეციანი. სქელკედლიანი. კარგად განლექილი თიხა. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. ამოკაწვრით შესრულებულია ფრინველის გამოსახულება მარცხენა პროფილში, (თავის გარეშე). ფრინველს ირგვლივ შემოუყვება ამოკაწვრით შესრულებული მცენარეული ორნამენტი, ნაკაწრი ამოვსებულია ყავისფერი, ხოლო ნაკაწრშიდა სივრცეები კი მწვანე საღებავით. ფრინველი დგას მაღალ ფეხებზე, რომელიც შევსებულია ყვითელი საღებავით, ასევე



ყვითელია ფრინველის ძირითადი ტანი. ფრთა დაფარულია სოსნისფერი, ყვითელი და მუქი სოსნისფერი წერტილებით. კუდი არის ორ ფერში მწვანე და ყვითელი.

ფრინველს ყელთან შემოუყვება მუქი სოსნისფერი წერტილები. ჯამი დაფარულია უფერული ჭიქურით. ჯამს აქვს ფართე ბორბლისებური ქუსლი. ქუსლს შიგნით გარეთა მხრიდან აქვს დილისმაგვარი კოპი. ზომები: ქუსლის დმ-9 სმ; ქუსლის სიმაღლე-1,3 სმ; კეცის სისქე-0,8დან 1 სმ-მდე. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, L27 ნაკვეთის მე-12 და L28 ნაკვეთის მე-5 კვადრატების გადაკვეთაზე. ჩანახშირებული ორმოს მასალა. (ტაბ. XXIX სურ. 4) ანალოგიურია შირვანა-გუსტაშვის ანუ (ბიანდოვანი I) ნაქალაქარზე აღმოჩენილი ფრინველის ფრაგმენტი, რომელიც თაღიღდება XII-XIII საუკუნეებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ შესწავლილ ყველა ნიმუშზე ჩანს, რომ ხელოსანს მკვეთრად ამოუკაწრავს კონტურები, სადაც სუფთად არის ჩასმული ფერადი საღებავები, არ არის გაღვრილი. მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი ფრაგმენტი არ არის თავის გამოსახულებით და ძნელია აღიქვა მისი სრული სახე ტანის მოყვანილობიდან ნათლად ჩანს, გამოსახული ფრინველი საკმაოდ მოხდენილად და ამაყად დგას. ფრთა ყელ-მკერდის მიჯნაზეა მიბმული. კერამიკოსები გამოსახულების გამოსაცოცხლებლად ხმარობენ რამოდენიმე ფერს: ყავისფერი, სოსნისფერი, ღია მწვანე, ყვითელი.

მეორე ჯგუფში (8 ერთეული), გაერთიანებულ ჯამების ფრაგმენტზე გამოსახული ფრინველები პატარა ზომისაა და ყველა მათგანი ამოკაწვრით ან კომბინირებული წესით (ამოკაწვრა-ამოფხეკით) წესით ერთ ფონზე (მწვანე, ყავისფერი, ყვითელი, მომწვანო-მოყავისფრო), არის შესრულებული:

ქ.ც. სავ. №722.04.

ჯამი. ძირისა და გვერდის ფრაგმენტი. ყავისფრად გამომწვარი, კარგად განლექილი თიხა. ორმხრივად თეთრად ანგობირებული. შიდაპირის მოყვითალო-მომწვანო ფონზე ჯამის ძირში ამოკაწვრით შესრულებულია ფრინველის გამოსახულება, რომელიც მარჯვნივაა მიმართული და პირთან აქვს ამოკაწვრით შესრულებული ჭიისებური ორნამენტი, ფრინველს დიდი ოვალისებრი თვალის და თავის მოყვანილობა აქვს. მაღალყელიანი, ყელს თავსა და ბოლოში ორი სარტყლისებური ნაკაწრი აქვს, ასეთივე



ნაკაწრი აქვს კუდან. ფეხები კლანჭებით დაბოლოებული. კუდი სამად გაყოფილი, ცალი ფრთა გაშლილი, რომლის შიგნით ნაკაწრი წერტილებია, ფრინველს აქვს არწრისებური დახრილი ნისკარტი. ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია მუქი ყავისფერი საღებავით. ჯამს გადავლებული აქვს უფერული კრიალა ჭიქური. შიდაპირზე შემორჩენილი აქვს ზედადგარის ფეხების ფრაგმენტები. დაბალი, გამოყვანილი ქუსლით. ზომები: ქუსლის დმ-7,5 სმ; ქუსლის სიმაღლე-1 სმ; კეცის სისქე-0,6 სმ; ჩიტის სიმაღლე-4,6 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, შემთხვევით ზედაპირული მონაპოვარია. (ტაბ.XXX სურ.1)

შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. სავ. №5932.87.

ჯამი ძირის ფრაგმენტი. კეცი გადანატეხში რუხად გამომწვარი, კარგად განლექილი თიხა. ორმხრივად თეთრად ანგობრებული. შიდაპირის ყვითელ ფონზე ჯამის ძირში ამოკაწრით შესრულებულია ფრინველის გამოსახულება, რომელიც მარჯვნივაა მიმართული და პირთან აქვს ამოკაწრით შესრულებული ჭისებური ორნამენტი. ფრინველს დიდი მრგვალი თვალის მოყვანილობა აქვს. მაღალყელიანი, ყელისა და თავის შეერთების ადგილზე სამი



სატრყლისებური ნაკაწრი ხაზი აქვს. ასეთივე სატრყელი აქვს ყელის დასაწყისთან, მუცლის ცენტრში და კუდის დასაწყისთან. კუდისაკენ აქვს ორი მცირე ზომის ერთმანეთში ჩასმული წრეხაზი. კუდზე დატანილია წერტილოვანი ნაკაწრები. ასეთივეა ორივე ფრთაზე და გულ-მკერდზე. ფრთები გაშლილი, ოდნავ მოხრილ მდგომარეობაში. ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია მუქი ყავისფერი საღებავით. გადავლებული აქვს უფერული კრიალა ჭიქური. შიდაპირზე შემორჩენილი აქვს ზედადგარის ფეხების ფრაგმენტები. გარეპირი დაფარულია ყვითლად, დატანილია ყავისფერი ლაქები და გადავლებულია უფერული კრიალა ჭიქური. დაბალი, გამოყვანილი ქუსლით. კეცის სტრუქტურის მიხედვით შეიძლება იყო შემოტანილი. ზომები: ქუსლის დმ-7,8 სმ; ქუსლის სიმაღლე-1 სმ; კეცის სისქე-0,5 სმ; ჩიტის სიმაღლე-5,7 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, i3 ნაკვეთი, მე-6 კვადრანტი №3 ორმოს მასალა. (ტაბ.XXX სურ.2)

შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. საგ. №5939.87.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. წითლად გამომწვარი კეცი. შიდა და გარე პირი თეთრად ანგობირებული. შიდაპირის მწვანე ფონზე, ჯამის ცენტრში კომბინირებული ამოკაწვრა-ამოფხეკის ხერხით შესრულებულ პარალელურ წრეში ჩასმულია მცენარეული წრიული ორნამენტები და ფრინველის გამოსახულება, (მარცხნივ მიმართული, ტანის ნაწილია შემორჩენილი), ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია ყავისფერი საღებავით. ფრინველს ნისკარტიდან გადმოედინება ორი წვეთი. გადავლებული აქვს უფერული კრიალა ჭიქური. შიგაპირზე



შეიმჩნევა ერთი მცირე ზომის კოპი. გარეპირზე მოჭიქულია მწვანედ და ყავისფრად. ქუსლი თხელი, ფართედ გაშლილი, გამოყვანილი. ზომები: ქუსლის სიმაღლე-1,3 სმ; კეცის სისქე-0,6 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, i3 ნაკვეთი, მე-6 კვადრატში მდებარე №3 ორმოს მასალა. (ტაბ.XXX სურ.3)

შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. საგ. №8023.90.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. რუხკეციანი. ორმხრივ თეთრად ანგობირებული. შიდაპირის მწვანე ფონზე ამოკაწრული ხაზებით გამოსახულია მარჯვნივ მიმართული ფრინველის კული და კლანჭები. ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია ყავისფერი საღებავით. გადავლებული აქვს უფერული ჭიქური. შიდაპირზე ძირში ემჩნევა ზედადგრის ნაშთი. დაბალი ფართე გამოყვანილი ქუსლით. ზომები: ქუსლის დმ-7,5 სმ; კეცის სისქე-0,5 სმ; ქუსლის სიმაღლე-1 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი K27 ნაკვეთი, კვადრატი 7-8. (ტაბ.XXXI სურ.1)



შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. №5933.87.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. წითლად გამომწვარი, შიდა მხრიდან თეთრად ანგობირებული, რომელიც ძლიერ დაზიანებულია. გამოსახულია ამოკაწვრით შესრულებული ფრინველი მარცხენა პროფილით, რომელიც ნაკლებად გაირჩევა. ნაკაწრი



ხაზები ამოვსებულია ყავისფერი საღებავით. გადავლებული უნდა იყოს უფერული ჭიქური. გარეთა პირზეც შეიმჩნევა ანგობი, რომელიც დაფარულია ყავისფერი და ყვითელი ჭიქურით. ზომები: კეცის სისქე-0,7 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, i3 ნაკვეთი, მე-6 კვადრატში მდებარე №3 ორმოს მასალა. (ტაბ.XXXI სურ.2)

შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. №5936.87.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. წითლად გამომწვარი. შიდაპირის თეთრად ანგობირებულ, ყვითელ ფონზე ამოკაწვრით შესრულებულია ფრინველის ტანისა და ფეხების ფრაგმენტი მარცხნივ მიმართული. ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია ყავისფერი საღებავით. გადავლებული აქვს უფერული ჭიქური. გარეპირი თეთრად ანგობირებულია და დაფარულია ყავისფერი და ყვითელი ჭიქურით. ჯამის ქუსლი ფართოდ გაშლილი და გამოყვანილი. ზომები: ქუსლის დმ-8,5 სმ; ქუსლის



სისქე-0,5 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, i3 ნაკვეთი, მე-6 კვადრატში მდებარე №3 ორმოს მასალა. (ტაბ.XXXI სურ.3)

შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. №5937.87.

ჯამი. ქუსლის ფრაგმენტი. წითლად გამომწვარი კეცი. თეთრად ანგობირებული შიდაპირის ყვითელ ფონზე ჭიქური ძლიერ დაზიანებულია. ამოკაწვრით შესრულებულია ფრინველის მარცხენა პროფილის (თავისა და კისრის) გამოსახულება. ნაკაწრი ხაზები შევსებულია ყავისფერი საღებავით. ფრინველის ნისკარტთან ამოკაწრული აქვს ჭიისებური ორნამენტი. ფრინველის თვალი გამოსახულია ორი მცირე ზომის წრიული ხაზით. დაფარულია უფერული ჭიქურით. გარედან ქუსლის ნაწილი ანგობირებულია და



გადავლებულია ყავისფერი და ყვითელი ჭიქური. ჯამის ქუსლი ფართოდ გაშლილი და გამოყვანილია. ზომები: ქუსლის სისქე-0,5 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, i3 ნაკვეთი, მე-6 კვადრატში მდებარე №3 ორმოს მასალა. (ტაბ.XXXI სურ.4)

შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №4290.85.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. წითელკეციანი. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. შიდაპირის ყვითელ ფონზე ძირში დატანილია ამოკაწვრით შესრულებული ფრინველის გამოსახულება მარცხენა პროფილით. მაღალყელიანი. ფრინველის თვალი წარმოადგენს ორ ერთმანეთში ჩასმულ პატარა კონცენტრულ წრეს. ნისკარტი არწივისებური. დაბალფეხიანი. ტანი დაფარულია ნაკაწრი წინწკლებით. ნაკაწრშიდა ხაზები ამოვსებულია ყვანისფრად. გადავლებულია უფერული ჭიქური. გარეთა მხრიდან ქუსლზე შეიმჩნევა თეთრი ანგობისა და ყავისფერი, ყვითელი ნაღვენთების ჭიქურის კვალი. ქუსლი გამოყვანილი, მაღალი, ფართოდ გაშლილი. ზომები: ქუსლის სიმაღლე-2 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, „ლაზების მეფეთა“ სასახლის ნანგრევებიდან. (ტაბ. XXXI სურ.5)



ზემოთ აღწერილი მეორე ჯგუფის ფრინველის გამოსახულებიანი ჯამების ფრაგმენტების აღწერისას საზგასასმელია ის ფაქტი, რომ მიუხედავად ფრინველის პატარა ტანისა ნისკარტი და დეზები არწივისებურია, ტანი დაფარულია ნაკაწრი წინწკლებით, (ეს დამახასიათებელია მეორე ჯგუფის ყველა ფრინველისათვის).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ძალზე ბევრია მსგავსი ორნამენტის ჯამები, ძნელია აქაურ ფრინველს ზუსტი სახელი მოუძებნო, ეს ითქმის, როგორც პირველი, ისე მეორე ჯგუფის ჯამებზე. პირველი განპირობებულია უფრო მეტად იმით, რომ არც ერთ მათგანზე არ არის შერჩენილი თავის გამოსახულება, თუმცა ფერები (პირველი ჯგუფი) მსგავსია უფლისციხეზე (XIV ს.), [მინდორაშვილი 2008: 46]. ქარვასლის ტერიტორიაზე (XVI-XVII სს.) და სინაგოგაში (XIV ს.), [მინდორაშვილი 2009: 26; 43] აღმოჩენილი მტრედის გამოსახულებიანი ჯამებისა. მ. მიწიშვილი ასეთ ჯამებს XII-XIII ს-ის დასაწყისით ათარიღებს. კვეტერაში აღმოჩენილ ჯამებზე კი გამოსახულია არა მარტო ერთი სახეობის, არამედ კარგად გაირჩევა სხვადასხვა ჯიშის ფრინველები: ბელურა, მტრედი, იხვი, შევარდენი, ყანჩა. რაც შეეხება ქუთაისის ფრინველის გამოსახულებიანი ჯამების მეორე ჯგუფს, აქ მოცულობით პატარა ზომის ფრინველში, არწივის ნაკვეთია გამოსახული, ეს კი ხელოსნის ფანტაზიად შეიძლება ჩაითვალოს. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ფრინველი როგორც მარცხნივ, ასევე მარჯვნივაა მიმართული. ქუთაისის

ფრინველისგამოსახულებიანი ორივე ჯგუფის ჯამები მასთან ერთად აღმოჩენილი თანმხლები მასალის მიხედვით XII–XIII საუკუნეებით განისაზღვრება.

აღნიშნული ორნამენტის ჯამები (XII-XIII ს.ს.) დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილია ბათუმის ციხეზე, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში: თბილისში, რუსთავში, დმანისში, უჯარმაში, გუდარქში, ჟინვალში, კვეტერაში და სხვ.

XIII საუკუნით თარიღდება მეღნიკში, შუმენში და ტირნოვოში აღმოჩენილი ანალოგიური გამოსახულებიანი ჯამები. [მიწიშვილი 1998: 59,60].

ქართულ მრავალფერად მოჭიქულ კერამიკას ცხოველთა გამოსახულებაც ამკობს. ესა თუ ის ცხოველი ყვითელი საღებავით არის შეფერილი, ჯამთა თავისუფალი არე შევსებულია მცენარეული ან გეომეტრიული ორნამენტით. ცხოველთა სახეები მოძრავია. ასეთი ჯამები აღმოჩენილია რუსთავის ნაციხარზე და ნაქალაქარზე, უჯარმაში, კვეტერაში, დმანისში, თბილისის კერამიკულ სახელოსნოში, თბილისში სინაგოგაში არქეოლოგიური გათხრების დროს და სხვ. დასავლეთ საქართველოში სოხუმის ციხეზე არის აღმოჩენილი „ავაზას“ გამოსახულებიანი ჯამი. რაც შეეხება ქუთაისის ცხოველისგამოსახულებიან ჯამებს ის სულ 3 ერთეულით არის წარმოდგენილი, აქედან 2 ადგილობრივი ნაწარმია, ერთი კი შემოტანილი.

შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. №5112.86.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. წითელკეციანი. სქელეკდლიანი. თეთრად ანგობირებული. შიდაპირზე ამოკაწრულია მოძრავი ცხოველის მარცხენა პროფილი. ფრაგმენტის სიმცირის გამო თავი არ გაირჩევა. ნაკაწრი ხაზები შევსებულია მუქი ყავისფერი საღებავით. ნაკაწრშიდა სივრცე დაფარულია ღია ყავისფრად. მუცლის არეში აქვს სამი სოსნისფერი წერტილი. გადავლებული აქვს უფერული



ჭიქური. ჭიქური ძლიერ დაზიანებულია. ქუსლი გამოყვანილი ბორბლისმაგარი, ქუსლში გარეთა მხრიდან ღილისებური კოპი. ზომები: ქუსლის დმ-7,5 სმ; ქუსლის სიმაღლე-1,5 სმ; კეცის სისქე-0,8 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი ციტადელის სამხრეთი ფერდობი. (ტაბ. XXXII სურ.1) ცხოველისგამოსახულებიანი ჯამები ცნობილია: თბილისიდან (კერამიკულ სახელოსნოში, სინაგოგაში), კვეტერადან, დმანისიდან გუდარქიდან, სამშვილდიდან, ჟინვალიდან და სხვ.

ქ.ც. №368_{1,2}.2003.

ჯამი. გვერდის ფრაგმენტი. მოყავისფროდ გამომწვარი. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. ზოგ ადგილებში ჩამოღვენთილია ყავისფერი საღებავი. ამოკაწვრით გამოსახულია ცხოველის წინა თათი, რომელსაც შესაძლოა ფრინველი უჭირავს. ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია მუქი ყავისფერი საღებავით. ცხოველის ტანზე გამოსახული



ამოკაწვრით შესრულებული პატარა წრეები, ფეხი და ფრინველის ტანი შევსებულია ყავისფერი ნაღვენთებით. ორნამენტი ჩასმული უნდა ყოფილიყო ამოფხეკით შესრულებულ წრეში. გადავლებული აქვს უფერული კრიალა ჭიქური. გარეთა მხრიდან ანგობისა და ჭიქურის ნაღვენთებია. ზომები: კეცის სისქე-0,6 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი. ციტადელის ტერიტორია i28 ნაკვეთი. IX საუკუნის კედელსა და XIX საუკუნის კედლებს შორის. არეული ფენის მასალა. (ტაბ. XXXII სურ. 2)

რაც შეეხება მესამე ჯამს, რომელიც იმპორტია, სრულიად განსხვავებულია შექმნილი სახეების მიხედვით, შეიძლება ითქვას მთელი სცენაა დახატული ხელოსნის მიერ, სამწუხაროდ, ჯამი დაზიანებულია და სრულად ძნელია მთელი სურათის აღქმა:

შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. №5716/1,2,3,4,5,6-87.

ჯამი. ძირის, პირისა და გვერდის ფრაგმენტი. რუხკეციანი. კარგად განლექილი თიხა. შიდა და გარე პირი თეთრად ანგობირებული. შიდა მხარეს პირთან ამოკაწვრით შესრულებულია სამი სარტყლისმაგვარი ხაზი, რომელს შორის გამოსახულია ფართე, დაბალი გეომეტრიული (სამკუთხა) ერთმანეთის პირისპირ მდგომი ორნამენტი. ჭიქური ძლიერ დაზიანებულია, სავარაუდოდ, ყვითელი. პირისა და კალთის შეერთების ადგილას შემოუყვება ორი ამოფხეკით



შესრულებული ხაზი და ამოკაწვრით შესრულებულია ცხოველის (დათვის ბელი) გამოსახულება. ნაკაწრი ხაზებით გამოყვანილია მრგვალი სახე, კლაკნილი ხაზით შესრულებულია მომღიმარი პირი. ნახევარწრიული წერტილით ცხვირი და თვალი. შეიმჩნევა ყურის გამოსახულებაც. სახის წინა მხარეს შესრულებულია ნახევარწრიული ხაზები. ასევე გამოსახულია ფეხზე მდგომი ცხოველის ან ფრინველის წყვილი ფეხი, რომელიც მოძრავ მდგომარეობაშია. ფეხი ტანთან უფრო სქელია, ვიდრე ქვემოთ, ის შემკულია მუქი მწვანე ლაქებით, რომელიც დატანილია ამოფხეკილ ზედაპირზე. ფეხებზე, სავარაუდოდ, რაღაც აქვს ქოშის მაგვარი. ტანი დაქანებულად ეშვება და კუდის ბოლო ფეხების ძირს უტოლდება. გარეთა მხარეს კალთებამდე დაფარულია თეთრი ანგობით და მოჭიქულია მოყვითალო-მომწვანოდ. პირი ოდნავ გარეთ გადაშლილი, არათანაბრად დაშვებული კალთით. კარგად გამოყვანილი ღრუ ქუსლით. ზომები: ქუსლის დმ-7,7 სმ; ქუსლის სიმაღლე-1,3 სმ; კეცის სისქე-0,5 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, i3 ნაკვეთის მე-15 კვადრატში მდებარე ქვევრიდან. (ტაბ. XXXII სურ.3)

განსხვავებულ სახედ უნდა ჩაითვალოს თევზების გამოსახულებით შექმნილი ორნამენტი:

შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №1765.84.

ჯამი. გვერდის ფრაგმენტი. წითლად გამომწვარი. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. ამოკაწვრით შესრულებულია სხვადასხვა ზომის თევზების გამოსახულება. ძირითადად მარცხენა პროფილში. ნაკაწრი ხაზები ამოვსებულია ყავისფერი საღებავით. ორნამენტის გარე სივრცე შესრულებულია მწვანე ფერში. გადავლებული აქვს უფერული კრიალა ჭიქური. გარეპირი დაფარულია ყავისფერი და მწვანე ჭიქურით. ზომები: კეცის სისქე-0,8 დან 1 სმ-მდე.



აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ციტადელი „ცოტა კარის“ ტერიტორიაზე. (ტაბ. XXXII სურ.4)

XII-XIII საუკუნეების ქუთაისურ მოჭიქულ კერამიკაში გვხვდება მოხატული ჯამები, რომელზეც ორნამენტი გამოყვანილია არა ამოკაწვრით, არამედ მოხატვით. ისინი მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი. სულ: 6 ერთეული.

შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №4088.85; ქ.ც. №4075.85; ქ.ც. №4031.85.

ჯამი. გვერდის ფრაგმენტი. მოხალისფროდ გამომწვარი. ყავისფრად მოჭიქული შიდაპირი მოხატულია ყვითელი წერტილებითა და ხაზოვანი ნაღვენთებით. გარეპირზე თეთრი ანგობით მოხატულია ჯაჭვისებური წრეები და ყავისფრად მოჭიქულია მხოლოდ პირი. პირაკეცილი პირ-ბაკო, გარეთ გადაშლილი. ზომები: კეცის სისქე-0,5 სმ-იდან 0,6 სმ-მდე. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი,



ბაგრატის ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე გვიანდელი გოღოლის ძირში. (ტაბ. XXXIII სურ.1)

შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. №5757.87.

ჯამი. პირისა და გვერდის ფრაგმენტი. მოთეთრო-მოხალისფროდ გამომწვარი. კარგად განლექილი თიხა. ყავისფრად მოჭიქული შიდაპირი მთლიანად მოხატულია ყვითელი გეომეტრიული კონცენტრული წრეხაზებით, რომლის ცენტრში მოთავსებულია ოთხი წერტილი.



გარეთა მხარეს მხოლოდ პირის ნაწილია მოჭიქული ყავისფრად, რომელზეც ყვითლად მოხატულია ურთიერთგადამკვეთილი რგოლები. პირ-ბაკო თხელი ოდნავ გარეთ გადაშლილი. მკვეთრად დაქანებული კალთები. ზომები: კეცის სისქე-0,4 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, i2 ნაკვეთის მე-15 კვადრატში მდებარე ქვევრიდან. (ტაბ. XXXIII სურ.2)

ანალოგიურია: შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №4004.85.

შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. №5059.86.

ჯამი. გვერდის ფრაგმენტი. მოხალისფროდ გამომწვარი. შიდაპირი დაფარულია მღოგვისფერი ფონით, რომელიც მოხატულია თეთრი ანგობის ყლორტოვანი ორნამენტით და დატანილია სოსნისფერი და მწვანე გაღვრითი ლაქები. ჯამს გადავლებული აქვს კრიალა ჭიქური.



ზომები: კეცის სისქე-1 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ციტადელის სამხრეთ-აღმოსავლეთ გოდოლის ინტერიერი. (ტაბ. XXXIII სურ.3)

შ. წ. №10130 A-842 ქ.ც. საგ. №5290/1,2,3.86.

ჯამი. გვერდისა და ძირის ფრაგმენტი. რესტავრირებული. მოვარდისფროდ გამომწვარი. კარგად განლექილი თიხა. თეთრად ანგობირებული შიდაპირი მოხატულია ყავისფერი წრიული ორნამენტითა და სოსნისფერი წერტილოვანი საღებავით. გადავლებული აქვს უფერული კრიალა ჭიქური. გარეთა მხრიდან შემოუყვება თეთრი ანგობის სარტყელი. პირაკეცილი, კალთა



გადაშლილი. ზომები: კეცის სისქე კალთასთან-1 სმ; პირთან-0,7 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, №6 კვადრატი, სამშენებლო ნანგრევების შემცველი ფენა. (ტაბ. XXXIII სურ.4)

შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №1284_{1,2,3}. 84.

ჯამი. გვერდის ფრაგმენტი, წითელკეციანი. შიდაპირი თეთრად ანგობირებული, წრიულ ხაზში ჩასმული ტალღისებური შავად მოხატული ორნამენტი. ხაზებს შორის არსებული ვერტიკალური არეები შევსებულია ყავისფრად, დაფარულია უფერული ჭიქურით. ჯამის პირი მაღალი ფართედ გადაშლილი. სწორი




ოთხკუთხაგანიკვეთიანი პირ-ბაკო. კალთისა და პირი შეერთების ადგილზე შემოუყვება წიბო. ზომები: კეცის სიქე პირ-ბაკოსთან 0,6 სმ. კალთასთან 1,სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი ბაგრატის ტაძრის ეზო. ზედაპირულად მონაპოვარი. (ტაბ. XXXIII სურ.5)

XII-XIII საუკუნეების მოჭიქული კერამიკიდან გვხვდება წვრილი ჭურჭელი სამარილეების სახით, რომელიც სულ 4 ერთეულითაა წარმოდგენილი და ყველა მწვანედ მოჭიქული:

შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №3791.85.

სამარილე. წითელკეციანი. პირ-ბაკო ოდნავ დაზიანებული. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. მწვანედ მოჭიქული. გარეთ გამოზიდული პირ-ბაკო. თანაბრად

დაშვებული კალთა. ბრტყელძირიანი. ზომები: პირის დმ-6 სმ; სიმაღლე-2,5 სმ; ძირის დმ-4,3 სმ; შიდა სიღრმე-1,5 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი: შიდა ქალაქის ტერიტორია. (ტაბ. XXXIII სურ.6)



შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №3508.85.

სამართლე. წითელკეციანი. მწვანედ მოჭიქული. დაზიანებული ჭიქური. პირ-ბაკოზე დატანილია ერთი რიგი ჭდეული ორნამენტი. რთული პროფილირებული, ოდნავ გარეთ გადაშლილი პირ-ბაკო. აკეცილი კალთით, რომელსაც გარედან ძირთან წიბო შემოუყვება. დაბალი, ბრტყელქუსლიანი. ზომები: სიმაღლე-2,5 სმ; შიდა სიღრმე-1,5 სმ; ძირის დმ-4,5 სმ; ძირის სიმაღლე-0,3 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, შიდა ქალაქი, კერამიკული სახელოსნოს ჩრდილო-აღმოსავლეთის გაგრძელებაზე. (ტაბ. XXXIII სურ.7)



შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №2015.84.

სამართლე. წითელკეციანი. ნახანძრავი. შიდა და გარეპირი თეთრად ანგობირებული. დაფარულია მომწვანო ფერის ჭიქურით. გარეთ გადაშლილი პირ-ბაკო. სწორი გადაშლილი კალთებით. კალთა ქუსლთან მთავრდება ვიწრო, გამოზიდული წიბოთი. დაბალი ბრტყელქუსლიანი. ზომები: სიმაღლე-3 სმ; პირის დმ-6,5 სმ; შიდა სიღრმე-2,3 სმ; ქუსლის დმ-4,5 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, შიდა ქალაქის ტერიტორია. (ტაბ. XXXIII სურ.8)



შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. საგ. №6222.87.

სამარილე. ძირის ფრაგმენტი. წითელკეციანი. უხეშად განლეკილი თიხა. შიდა ზედაპირი მწვანედ მოჭიქული. ზომები: ქუსლის დმ-4,5 სმ; ქუსლის სიმაღლე-0,4 სმ; კეცის სისქე-0,4 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, B4 ნაკვეთის მე-4 კვადრატი. ადგილი წარმოადგენს დახურულ კომპლექსს. 3 ერთეულით არის წარმოდგენილი მოჭიქული თიხის დისკოს ფრაგმენტები: (ტაბ. XXXIV სურ.1)



შ. წ. №9539 A-764 ქ.ც. საგ. №3792/1,2.85.

თიხის დისკოს ფრაგმენტი. წითელკეციანი. ორმხრივ თეთრად ანგობირებული. ცალ მხარეს ყვითელ ფონზე ამოკაწავრით შესრულებულია სტილიზებული მზის სიმბოლო. ნაკაწრი ხაზებია ამოვსებულია ყავისფრად და ზედაპირი დაფარულია კრიალა ჭიქურით. დისკოს ცენტრში აქვს ნახვრეტი. შესაძლოა ეს მეორადი დამზადება იყოს. ზომები: კეცის სისქე-0,7 სმ; დმ აღდგენით-10 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, შიდა ქალაქის ტერიტორია. (ტაბ. XXXIV სურ.2)



ეს კიდევ უფრო ამყარებს აზრს, რომ მზის ორნამენტი ქუთაისური კერამიკისათვის და (არა მარტო) მუდმივი თანმდევი ქართული ელემენტია.

შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. საგ. №5923.86.

თიხის დისკოს ფრაგმენტი. წითელკეციანი. დისკო არასწორად მომრგვალებული. ცალმხარეს მწვანედ მოჭიქული. შუაში აქვს ნახვრეტი. სავარაუდოდ, მეორადი გამოყენება, ჭურჭლის კედლის ფრაგმენტი. ზომები: კეცის სისქე-0,5 სმ; საშუალო დმ-2,5 სმ.



აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, i3 ნაკვეთის VI კვადრატი. ნაპოვნია გვიან შუა საუკუნეების ფენაში. (ტაბ. XXXIV სურ.3)

შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. საგ. №7149.89.

თიხის დისკოს ფრაგმენტი. წითელკეციანი. ცალ მხარეს თეთრად ანგობირებული და ცისფრად მოჭიქული. შესქელებულ შუაცენტრში აქვს ნახვრეტი. ზომები: დმ-5 სმ; კეცის სისქე-0,3 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ზედაპირულად შემთხვევით მონაპოვარი. (ტაბ. XXXIV სურ.4)



თიხის დისკოები აღმოჩენილია კვეტერაში. როგორც დ. მინდორაშვილი აღნიშნავს ისინი დიდი რაოდენობითაა გამოვლენილი წინაფეოდალური ხანის ნასახლარებსა თუ სამლოცველოებზე და ხშირად გვხვდება როგორც ადრეული, ისე განვითარებული შუა საუკუნეების ძეგლებზეც. ეთნოგრაფიული მასალების გათვალისწინებით, თიხის დისკოები სარიტუალო ნივთებადაა მიჩნეული. ავტორის აზრით, არ გამოირიცხება, რომ შუასაუკუნეებში ამგვარი ნივთები საბავშვო თამაშების რაიმე სახეობასთან იყოს დაკავშირებული. [მინდორაშვილი 2007: 99].

ადგილობრივი ნაწარმის გვერდით გვხვდება იმპორტული მოჭიქული კერამიკაც, განსაკუთრებით ბიზანტიური. ძირითადი განმასხვავებელი ნიშანია დამზადების მაღალი ხარისი, რომელიც გამოიხატება კარგად განლექილ თიხაში და ნატიფ დახვეწილ ფორმაში, მაგრამ უმეტეს ნაწილზე გამოყვანილია ამოფხეკითა და ამოკაწვრით შესრულებული კონცენტრული წრიული ხაზები, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს ახლო კულტურულ და ეკონომიკურ კავშირ-ურთიერთობებს განსაკუთრებით დასავლურ სამყაროსთან. გამონაკლისი როგორც ჩანს არც აღმოსავლური სამყარო იყო, კერძოდ, ისლამური. ამას მიუთითებს ერთ-ერთი ჯამის ფრაგმენტი, (შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. №5707.87), რესტავრირებული, რომლის ძირში ჩანს თევზიფხური, ხოლო გვერდზე ზოგან წიწვოვანი ორნამენტი, გარეპირი მოჭიქულია ქუსლამდე. დაზიანების გამო ჭირს ფერის გარჩევა. ჯამს აქვს გარეთ გადაშლილი პირბაკო, აკეცილი პირი, რომელიც გადადის არათანაბრად გადაშლილ კალთაში, ფართოდ გაშლილი ღრუ ქუსლი. ქუსლის ღრუზე ძალიან სტილიზებულად, ამოკაწვრით შესრულებულია აქლემის თავის გამოსახულება ქალის ტანით. ზომები: სიმაღლე-9 სმ; ქუსლის დმ-7,5 სმ;



ქუსლის სიმაღლე 1,3 სმ; ჯამის სიღრმე-6 სმ; კეცის სისქე-0,8-დან 0,5-მდე. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი i 2 ნაკვეთის მე-15 კვადრატში მდებარე ქვევრიდან. (იმპორტი-მცირე აზია) (ტაბ. XXXIV სურ.5)

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი: ის ნიშან-თვისება რაც დამახასიათებელია ზოგადად XI-XIII საუკუნეების საქართველოს მოჭიქული კერამიკისათვის, ფაქტობრივად ახასიათებს ქუთაისური მოჭიქული კერამიკის ყველა პერიოდს. ქუთაისის ნაქალაქარზე აღმოჩენილი მოჭიქული ჭურჭელი თავისებური ნიშნების მატარებელია. ეს გამოწვეულია იმითაც, რომ ქუთაისი VIII-XIII საუკუნეებში მოწინავე საქალაქო ცენტრი იყო საქართველოში და აქ თავს იყრიდა როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური კულტურული მიღწევები და შესაბამისად მოჭიქული ჭურჭელიც.

XI-XIII საუკუნეების მოჭიქული კერამიკა ცნობილია: კაზრეთიდან [სინაურიძე 1971: 47. ძვ. 27,27], მცხეთის გორაზე (წმ. ბარბარეს ეკლესიის მახლობლად) [ბოხოჩაძე 1969: 21, ფსად. I], თელავი [ჩიკოძე 1969: 40; ფსად. I] ჯავახეთი [ჯანდიერი 1969: 59, ფსად. I], მლაშეების გორის კომპლექსთან [რამიშვილი 1974: 143 ფსად II], უინვალის ნაქალაქარზე [ჯორბენაძე 1987: 55, ძვ. 4], რუსთავი [არჩვაძე 2005: რუსთავი], დავითიანის სამოსახლოზე (გურჯაანის რ-ნი სოფ. ვაზისუბნის ტერიტორია) [რჩეულიშვილი 2003: 33, II კონფერენცია], კურდღელაურის, რუისპირის და შალაურის მიდამოებში (თელავის შემოგარენი, აქ დადასტურებულია IX-X ს.ს. მოჭიქული ჯამებიც) [ჩიკოძე 2003: 47-48 II კონფერენცია], ბანთარეულში (ნაქალაქარ უინვალის სამხრეთით) [ლომიძე 2003: 77, II კონფერენცია], სათლელის ციხეზე (მდებარეობს თურქეთში, ართვინის ვილაიეთში, ისტორიული მხარე შავშეთში), ანატორის ნასოფლარზე (მცხეთა-მთიანეთის მხარე, XI-XIV ს.ს. მოჭიქული კერამიკა), ვარძიაი, სოფ. ყვარელწყალში მდებარე ფეოდალის საცხოვრებელი კომპლექსის ტერიტორიაზე [კულტურული მემკვიდრეობის 2005 წლის სტრატეგიული პროგრამის ანგარიში], ავენისის წმ. გიორგის კომპლექსის გათხრების დროს და სხვ.

განვითარებული შუა საუკუნეების მოჭიქული კერამიკა აღმოჩენილია საქართველოს ფარგლებს გარეთ: XIII საუკუნის გემის ნარჩენები იპოვეს სუდაკ-ლიმენის ყურეში. ანტიკური სოლდაიდან 5 კილომეტრში. სოლდაის დღეს „ნოვი სვეტ-ს უწოდებენ (ყირიმი). დაახლოებით 60X60 კვ. მ. ფართობი დაფარული იყო კერამიკული ნაშთებით: ქვევრები, ამფორები და მოჭიქული კერამიკა (სამზარეულო ჭურჭელი). აღმოჩენილი ნივთების ანალიზმა აჩვენა, რომ მოჭიქული კერამიკა

ერთსა და იმავე საწარმო ცენტრშია დამზადებული. ისინი მეცნიერების მიერ ორ ჯგუფად გაიყო: I „ნოვი სვეტის“ ჯგუფი, რომელთა წარმომავლობა გაურკვეველია და II-მომწვანო-მოყავისფრო მოჭიქული კერამიკა“, რომელიც კონსტანტინოპოლიდანაა. I ჯგუფის კერამიკა შესრულებულია ამოკაწვრის წესით და დაფარულია მოყვითალო-მოყავისფრო ჭიქურით, II ჯგუფში კი თეთრად ანგობირებულ ზედაპირზე გამოსახულია მცენარეული, გეოეტრიული და ცხოველური ორნამენტები. აქვეა სელჩუკური წარმოშობის ნაკეთობანი, თეთრ ანგობზე მოხატული ჯამები. მსგავსი ტიპის ჭურჭლის დისტრიბუცია ფართო იყო იმ პერიოდში. ანალოგიური კერამიკა ნაპოვნია აზოვის ზღვის აუზში. იგი სავარაუდოდ, ნიკეური წარმოშობისაა და XIII საუკუნით თარიღდება. [Zelenko Sergey, Kiev University], ლაბრაუნდას არქეოლოგიური გათხრების დროს (2008-2009 წ.წ) ბიზანტიური ფენების შესწავლისას აღმოჩენილ იქნა ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი თასის ფრაგმენტები და სხვ.

თავი IV

XIV-XVIII საუკუნეების მოჭიქული კერამიკა ქუთაისიდან

§1. მეოთხე პერიოდი (XIV-XVI სს.)

როგორც ცნობილია, აღნიშნულ პერიოდს წინ უსწრებდა თათარ-მონღოლთა გამანადგურებელი შემოსევები საქართველოში. მათმა 90-წლიანმა ბატონობამ სისხლისაგან დაცალა ჩვენი ქვეყანა, მოიშალა ეკონომიკა-მეურნეობა. დაკნინდა კულტურა, დაიცალა სოფლები და ქალაქები. საქართველო კატასტროფის წინაშე იდგა, მხოლოდ XIV საუკუნეში გიორგი ბრწყინვალეს უნარიანი ხელმძღვანელობით ქვეყანამ მოახერხა დაკარგული ტერიტორიების აღდგენა და ჭრილობების მოშუშება, მაგრამ მცირე ხნით, რადგან თემურ-ლენგის ლაშქრობების შედეგად ქვეყნის მდგომარეობა კვლავ უკიდურესად მძიმე იყო.

მიუხედავად უდიდესი სირთულეებისა დასავლეთ საქართველო შედარებით დაცულ მხარედ ითვლებოდა. ქუთაისი ამ პერიოდში სამეფო ქალაქს წარმოადგენდა, იგი კვლავ ინარჩუნებს დასავლეთ საქართველოს ბუნებრივი, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და კულტურულ-ეკონომიკური ცენტრის სტატუსს. ქალაქის გარეგნული სახის ჩამოყალიბებაში კვლავ არსებით როლს თამაშობს რელიეფი და მდინარე. XV საუკუნის შუახანებიდან იწყება მდინარის მარცხენა სანაპიროს განაშენიანების პროცესი. განაშენიანების მთავარ ორიენტირად კვლავ რჩებიან წინა ეპოქებში ფორმირებული უბნები. მდინარის მარჯვენა სანაპიროზე

მდებარეობს სამნაწილიანი „დიდი ქუთათისი“, ხოლო მარცხენა სანაპიროზე „ქვედა“ ანუ „პატარა ქუთათისი“. XV საუკუნის შუახანებიდან თითქმის XVII საუკუნის ბოლომდე ქალაქის განვითარება შედარებით სტაბილური და აღმავალია. XV საუკუნის შუა ხანებში ძველი ციტადელის ადგილზე შენდება ახალი საგანგებო თავდაცვითი ნაგებობა „ქუთათისის ციხე“, ხოლო მარცხენა სანაპიროზე სამეფო რეზიდენცია. [ისაკაძე 2006: 39]. ჯერ კიდევ ადრე მონღოლთა შემოსევების შედეგად ქართული მოჭიქული კერამიკის წარმოების განვითარება ბუნებრივად გარკვეული დროით შეფერხდა, თანდათან შემცირდა კერამიკის რაოდენობა და საწარმო მასშტაბები. ცხადია, რომ ხელოსნური წარმოების აღმავლობასა და დაცემას განაპირობებდა ქვეყნის სიმძლავრე და ან სისუსტე. მისი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული განვითარების დონე. გვიანსაშუალო საუკუნეების მოჭიქულ კერამიკაში გამოიყო ორი ძირითადი ჯგუფი, პირველ ჯგუფში გაერთიანებულია მკვეთრად ამოკაწრული ორნამენტით, ფერადი ნაღვენთებითა და ანგობით (ძველი ტრადიციები) მოხატული ჯამები, მათ XIV საუკუნით ათარიღებენ. მეორე ჯგუფში გაერთიანებულია ახალი ნიშნების მატარებელი მოჭიქული ჭურჭელი, მათთვის დამახასიათებელია ორმხრივ ანგობითა და ჭიქურით დაფარვა, ორნამენტი გამოიყვანება ფუნჯით (ქრება ამოკაწვრა), მათ გამოყვანილი ბორბლისებური ქუსლი და ბრტყელი ძირი აქვთ. აღნიშნულ ჯგუფში გაერთიანებული კერამიკა ზოგადად XV-XVIII საუკუნით თარიღდება. [მიწიშვილი 1975: 156].

გვიანსაშუალო საუკუნეების ქუთათისის მოჭიქული კერამიკა ორ პერიოდად გაყვავით: XIV–XVI და XVII-XVIII საუკუნეები. ისინი შედარებით მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. ბოლო წლებში ფართომასშტაბიანი არქეოლოგიური გათხების შედეგად (ქუთათისის ნაქალაქარი, მოწამეთა, გელათი) აღმოჩენილია XIV-XVI საუკუნეების მოჭიქული ჭურჭელი, ფაიანსი და სამშენებლო კერამიკა. ეს უკანასკნელი გელათის სამონასტრო კომპლექსიდანაა: (უანგობო მწვანედ, ყავისფრად, სოსნისფრად და ყვითლად მოჭიქული კერამიკები). კერამიკა კი ძირითადად წარმოდგენილია ჯამის, ქოთნისა და ჭინჭილას ფრაგმენტების სახით.

ამ პერიოდის ქუთათისის მოჭიქული ჭურჭლის ძირითადი მახასიათებელია: (მოვარდისფრო, მოწითალო, მოჩაღისფრო) კეცი, როგორც ორმხრივ ასევე შიდაპირის თეთრი და მოყვითალო ანგობით,



ფერადი ნაღვენთებით (სოსნისფერი, თეთრი) დაფარვა, უფრო მეტი რაოდენობითაა მხოლოდ შიდა ზედაპირის, (ერთფერად-მწვანე, ყავისფერი, სოსნისფერი) მოჭიქული ჭურჭელი. ორმხრივ მოჭიქულთაგან გვხვდება ისეთებიც, რომელთაც გარეთა მხრიდან მხოლოდ პირ-ბაკო აქვთ მოჭიქული, ორნამენტი გამოჰყავთ ფუნჯით, მაგრამ გვხვდება ამოკაწვრით შესრულებული (1 ერთეული), ჯამებს აქვთ გარეთ გადაშლილი პირი, უფრო მეტად არათანაბრად დაშვებული კალთა, სქელკედლიანი, დაბალი, ბრტყელი გამოყვანილი ქუსლი, გვხვდება ღრუქუსლიანიც (7 ერთეული) და ტანდაღარული შიდაპირით (6 ერთეული). განვიხილოთ თითოეული მათგანი:

შ.წ. №10130 A-842. ქ.ც. საგ. №4394.85.

ჯამი. გვერდის ფრაგმენტი. წითელკეციანი. სქელკედლიანი. შიდაპირი დაფარულია მოყვითალო ანგობით, დატანალია ყავისფერი გაღვრილი ლაქები და მუქ ყავისფრად მოხატულია მცენარეების რტო-ყლორტები. გადავლებულია უფერო კრიალა ჭიქური. გარეთა მხრიდან მოჭიქულია ღია მწვანედ, დაკრავს მოყვითალო ელფერიც. ზომები: კეცის სისქე პირთან-0,6 სმ; ძირისკენ-1,7 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, გვიანდელი ციტადელის სამხრეთი ფერდობი. (ტაბ. XXXV სურ. 1)

თითქმის ანალოგიურია: **შ.წ. №10130 A-842. ქ.ც. საგ. №4396.85.**

ჯამი. წითელკეციანი. გვერდის ფრაგმენტი. სქელკედლიანი. შიდაპირი დაფარულია მოყვითალო ანგობით, დატანალია ყავისფერი გაღვრილი ლაქები და მუქ ყავისფრად მოხატულია მცენარეების რტო-ყლორტები. გადავლებულია უფერული კრიალა ჭიქური. გარეთა მხრიდან მოჭიქულია ღია მწვანედ, დაკრავს მოყვითალო ელფერიც. ზომები: კეცის სისქე-1 სმ-დან-1,5 სმ-მდე; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, გვიანდელი ციტადელის სამხრეთი ფერდობი. (ტაბ. XXXV სურ. 2)



შ.წ. №10130 A-842. ქ.ც. საგ. №4516/1,2,3.85.

ჯამი. ძირის, გვერდისა და პირის ფრაგმენტი. მოვარდისფროდ გამომწვარი. შიდაპირის დაღარული ზედაპირი დაფარულია მოყვითალო ანგობით, რომელზეც დატანილია ყავისფერი მომწვანო წრიული ზოლები. პირ-ბაკოზე შიდა და გარე მხრიდან აქვს სოსნისფერი ნაღვენთები. დაფარულია უფერული კრიალა ჭიქურით. გარე მხრიდან თეთრად ანგობირებული,



სოსნისფერი ნაღვენთებით შემკული და უფერული ჭიქურია გადავლებული. ჯამს აქვს თხელი, ოდნავ გარეთ გადაშლილი პირ-ბაკო. აკეცილი პირი და ფართოდ გადაშლილი კალთა, დაბალი ბრტყელი ქუსლი. ზომები: კალთის მაქსიმალური დმ-15 სმ; ქუსლის დმ-5,5 სმ; ჯამის სიმაღლე-7,5 სმ. ქუსლის სიმაღლე-0,6 სმ; კეცის სისქე პირთან-0,3 სმ; ძირთან-0,8 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ციტადელის სამხრეთ გალავნის ოვალური მინაშენის ძირში. (ტაბ. XXXV სურ. 3)

ყვითელი ანგობი დამახასიათებელია გვიანსაშუალო საუკუნეების მოჭიქული კერამიკისათვის, რაც მიუთითებს ჭურჭლის დამზადების ტექნიკაში არსებულ სხვაობაზე. დასავლეთ საქართველოში, (ბაგრატის ციხე), გვხვდება შიშველ კეცზე მოყვითალო ანგობით მოხატული ორნამენტი და შიშველ კეცზე მოყვითალო ანგობით შედგენილ პარალელურ ხაზებს შორის გამოყვანილი რტოყლორტიანი ორნამენტი [მ. მიწიშვილი 1976: 43-44], რომელიც XIV საუკუნით თარიღდება, აღმოსავლეთში კი გვხვდება თბილისის დედაციხეზე (ყვითელი ანგობით დაფარული როგორც მარმარილოსებური ორნამენტით შემკული ასევე ერთფერად მოჭიქული), ისინი XVIII საუკუნით თარიღდება. [მ. მიწიშვილი 1974: 194-195]. ყვითლად ანგობირებული და ყავისფერი მრავალკუთხედებითა და ხაზებით მოხატული ჯამი აღმოჩენილია კვეტერაში და მას პროფ. დ. მინდორაშვილი XVII-XVIII საუკუნეებით ათარიღებს, ასევე ათარიღებს ყვითელანგობიან და ამოკაწვრით მოხატულ ჯამებს. [მინდორაშვილი 2010: 56].

ქუთაისური ჯამის ფრაგმენტები კი განსხვავებულია. ყვითელ ანგობზე ერთი ფერის (ყავისფერი) ორნამენტი შესრულებული, ისინი აღმოჩენილია გვიანდელი ციტადელის სამხრეთ ფერდობზე და სამხრეთ გალავნის ოვალური მინაშენის ძირში, თნმხლები მასალის მიხედვით თარიღდება XIV საუკუნით.

ცალკე უნდა გამოვეყოთ თეთრ ანგობზე ერთი ფერის (ცისფერი) საღებავით მოხატული ჭურჭელი, ქ.მ. №0062.09. ჯამი. ძირის, გვერდისა და პირის ფრაგმენტი. ნახევრად რესტავრირებული. მოხალისფრო-მოვარდისფროდ გამომწვარი კეცი. ორმხრივ თეთრად ანგობირებული. შიდაპირზე პირ-ბაკოსთან შემოუვება ნახევრად წრიული ცისფრად მოხატული რკალები, ასევე შემკულია ერთმანეთის მონაცველობით ტალღოვანი და ყვავილოვანი ნახატებით. გარეთა პირზე აქვს ირიბად დაქანებული ცისფერი ხაზები. ჯამი ორმხრივ დაფარულია უფერული ჭიქურით. ჯამს აქვს მომრგვალებული პირ-



ბაკო, თანაბრად დაშვებული კალთა და დაბალი, ფართე, კარგად გამოყვანილი ქუსლი. ზომები: ჯამის სიმაღლე-6,5 სმ; ქუსლის დმ-9,5 სმ; ჯამის ქუსლის სიმაღლე-0,8 სმ; კეცის სისქე-0,5 სმ; აღმოჩენილია: მოწამეთაში. (ტაბ. XXXV სურ. 4)

XV საუკუნიდან ვრცელდება ჭურჭლის შემკობის ახალი წესი-თეთრზე ერთი ფერის საღებავით ორნამენტის გამოყვანა. ამ ახალი ტიპის კერამიკამ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში დაიპყრო თითქმის მთელი სამყარო. კერძოდ, ჩინური „ლურჯი“ ფაიფურის გაჩენამ დიდი გავლენა იქონია აღმოსავლეთის ქვეყნების ხელოსან კერამიკოსებზე და მათ ჩინეთის მიბაძვით დაიწვეს ჭურჭლის (ფაიანსი, კერამიკა, მინა) ლურჯი საღებავით მოხატვა, რომელმაც საქართველოშიც შემოაღწია. მათი არსებობა უთოდ მიუთითებს გარკვეულ კავშირს გარე სამყაროსთან. გარდა ლურჯი საღებავით მოხატული კერამიკისა თბილისის დედაციხეზე დასტურდება მწვანე, ღვიძლისფერი, მოშავო-მონაცრისფრო და სხვ. ერთი ფერის საღებავით მოხატული ჭურჭელი დაფარული უფერული ჭიქურით. [მიწიშვილი 1974: 191, 192]. აღნიშნული ორნამენტით წარმოდგენილ მოჭიქულ კერამიკათა რიცხვში შეიძლება დავასახელოთ ზემოთ აღწერილი ჯამის ფრაგმენტი, რომელიც შეიძლება ითქვას არ გამოირჩევა ისეთი დახვეწილი ორნამენტის შესრულებით, როგორც ეს გვხვდება წინა პერიოდებში, მაგრამ საერთო სურათი ნათლად მიუთითებს, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თუ სხვა საშუალებებით როგორ მკვიდრდებოდა ეს გავლენა.

არანაკლებ საინტერესოა მრავალფერად მოხატული, (2 ერთეული), (3414/5456.) ჯამის ძირისა და გვერდის ფრაგმენტი. მოვარდისფროდ გამომწვარი. შიდაპირი თეთრად ანგობირებული, ცისფერი ფონზე სხვადასხვა ფერის საღებავებით მოხატულია (მწვანე, შავი, დაზიანების გამო არ გაირჩევა სხვა ფერი) ყვავილის ორნამენტით. კალთის შემორჩენილი ნაწილი შემკულია შავი საღებავის ვერტიკალური ხაზებით, ორნამენტის კონტურებიც ღია შავი საღებავითაა გამოყვანილი. გადავლებულია უფერული კრიალა ჭიქური. გარეთა მხრიდან შეიმჩნევა მუქი ლურჯით დატანილი შევული ხაზები, რომელიც დაფარულია ცისფერი ჭიქურით. ჯამს აქვს დაბალი გამოყვანილი ქუსლი. ზომები: ქუსლის სიმაღლე-0,7 სმ; კეცის სისქე-0,6 სმ; ფერები ერთმანეთს ლამაზად ეხამება და სიჭრელე არ იგრძნობა. (ტაბ. XXXV სურ. 5)



როგორც პროფ. დ. მინდორაშვილი აღნიშნავს შავი საღებავით შემკობა უცხოა განვითარებული შუასაუკუნეების მოჭიქული კერამიკისათვის და ეს ფერი ჭურჭლის შესამკობად მხოლოდ მოგვიანებით გამოიყენება. [მინდორაშვილი 2010: 57].

მეორე არის. (შ.წ. №10130 A-842. ქ.ც. საგ. №4350.85). ჯამის ძირისა და გვერდის ფრაგმენტი. მოწითალოდ გამომწვარი. შიდაპირის ყავისფერ ფონზე დატანილია კრემისფერი და მუქი ყავისფერი წრეხაზები. გადავლებულია უფერული კრიალა ჭიქური. ჯამს აქვს დაბალი, ბრტყელი ქუსლი. ზომები: ქუსლის დმ-7,5 სმ; ქუსლის სიმაღლე-0,7 სმ; კეცის სისქე-0,4 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, გვიანდელი ციტადელის სამხრეთი ფერდობი. თარიღდება XV-XVI საუკუნეებით. (ტაბ. XXXV სურ. 6)



XIV–XVI საუკუნეების განათხარ მასალაში ყველაზე მეტად გვხვდება ერთფერად მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტები, აღმოჩენილი გელათის აკადემიის I სართულის ინტერიერის გათხრების დროს. ისინი წარმოდგენილია ჯამის ძირ-გვერდის ფრაგმენტების სახით, განვიხილოთ მხოლოდ რამოდენიმე მათგანი, რომელიც უფრო მეტად განმასხვავებელი ნიშნებით არის წარმოდგენილი:

ქ.გ. საგ. №1.08. ჯამი. რესტავრირებული. აკლია ძირისა და გვერდის ფრაგმენტი. ჩალისფერკეციანი. შიდაპირი თეთრად ანგობირებული, მოჭიქულია ყავისფრად. შიდაპირზე ჯამის ცენტრში შეიმჩნევა წრესაზები და ზედადგრის ნაშთი. გარე მხრიდან პირ-ბაკოზე შემოუყვება თეთრი ანგობის ნაღვენთები და არათანაბრად დაფარულია ყავისფერი ჭიქურით. ჯამს აქვს თხელი აკეცილი პირ-ბაკო, ფართოდ გადაშლილი პირი და არათანაბრად დაშვებული კალთა, დაბალი, გამოყვანილი ღრუ ქუსლით. ზომები. ჯამის პირის დმ-18,7 სმ; ჯამის სიმაღლე-5 სმ; ქუსლის დმ-8,5 სმ; ქუსლის სიმაღლე-0,8 სმ; პირ-ბაკოს სისქე-0,3 სმ. პირის სისქე-0,5 სმ; კალთის სისქე-0,6 სმ. აღმოჩენილია: გელათის აკადემიის I სართულის ინტერიერი. (ტაბ. XXXVI სურ. 1)



(ქ.გ. საგ. №.08.) ჯამი. რესტავრირებული. ძირის, გვერდისა და პირის ფრაგმენტი. ჩალისფერკეციანი. შიდაპირი თეთრად ანგობირებული და მოჭიქულია მწვანედ. შიდაპირზე ჯამის ცენტრში შეიმჩნევა წრესაზები. გარე მხრიდან პირ-ბაკოზე შემოუყვება თეთრი ანგობის ნაღვენთები და არათანაბრად დაფარულია მწვანე ჭიქურით. ჯამს აქვს თხელი აკეცილი პირ-ბაკო, ფართოდ გადაშლილი პირი და არათანაბრად დაშვებული კალთა, დაბალი, გამოყვანილი ღრუ ქუსლით. ზომები. ჯამის სიმაღლე-5 სმ; ქუსლის სიმაღლე-0,8 სმ; პირ-ბაკოს სისქე-0,3 სმ. პირის სისქე-0,6 სმ; კალთის სისქე-0,8 სმ. აღმოჩენილია: გელათის აკადემიის I სართულის ინტერიერი. აღნიშნული ჯამების ფრაგმენტები თარიღდება XV საუკუნით. (ტაბ. XXXVI სურ. 2)



შ.წ. №10130 A-842. ქ.ც. საგ. №2785.85.

ჯამი. ძირისა და გვერდის ფრაგმენტი. აკლია პირ-გვერდის ფრაგმენტი. მოწითალო-მოვარდისფრო კეციანი. შიდაპირი მწვანედ მოჭიქული. ჭიქური შეიმჩნევა გარეთა მხრიდან პირ-ბაკოზე. ჯამს აქვს გადაშლილი პირი, არათანაბრად დაშვებული კალთა. დაბალი,



კარგად გამოყვანილი ღრუ ქუსლი. ზომები: სიმაღლე-4,5 სმ; ჯამის დმ-16 სმ; ქუსლის დმ-6,5 სმ; ქუსლის სიმაღლე-1,3 სმ; კეცის სისქე-0,7 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, გვიანდელი ციტადელის სამხრეთ-დასავლეთ კოშკის ძირში. (ტაბ. XXXVI სურ. 3)

შ.წ. №10130 A-842. ქ.ც. სავ. №4518.85.

ჯამი. ძირისა და გვერდის ფრაგმენტი. წითელკეციანი. ოდნავ ტანდაღარულ შიდაზედაპირზე გადავლებულია ღია და მუქი მწვანე ჭიქური. ჯამს შემორჩენილი აქვს თანაბრად დაშვებული კალთა. დაბალი, ბრტყელი ქუსლი. ზომები: ქუსლის დმ-7 სმ; ქუსლის სიმაღლე-2,8 სმ; კეცის სისქე-0,5 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ციტადელის სამხრეთ კედელთან. (ტაბ. XXXVI სურ. 4)



შ. წ. 9539 A-764. ქ.ც. სავ. №1559.84.

ჯამი. ძირისა და გვერდის ფრაგმენტი. ჩალისფერკეციანი. მცირედ ფოროვანი თისა. ორმხრივ თეთრად ანგობირებული. შიდაპირი მოჭიქულია მწვანედ. შიდაპირზე ჯამის ცენტრში შეიმჩნევა წრესაზები. ჯამს შემორჩენილი აქვს გარეთ გადაშლილი პირი. არათანაბრად დაშვებული კალთა. გამოყვანილი ღრუ ქუსლით. ზომები: ქუსლის დმ-7 სმ; ქუსლის სიმაღლე-0,8 სმ; კეცის სისქე-0,6 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ბაგრატის ტაძრის დასავლეთი მხარე. თარიღდება XV საუკუნით. (ტაბ. XXXVI სურ. 5)



შ.წ. №10130 A-842. ქ.ც. სავ. №5217/12.86.

ჯამი. ძირისა და გვერდის ფრაგმენტი. ყავისფერკეციანი. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. ტანდაღულ შიდაპირზე გადავლებულია მწვანე ჭიქური. გარეთა



მსრიდან შემორჩენილ კალთებზე არის თეთრი ანგობი და ჭიქურის ნაღვენთები. ჯამს აქვს შიგნით ჩაკეცილი პირი, თანაბრად დაშვებული კალთა. ჯამს აქვს დაბალი, ბრტყელი ქუსლი. ზომები: ჯამის სიმაღლე-5 სმ; ქუსლის დმ-7,3 სმ; ქუსლის სიმაღლე-0,8 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, L3 ნაკვეთი მე-11 კვადრანტი. არეული სამშენებლო ფენიდან. (ტაბ. XXXVI სურ. 6)

შ.წ. №10130 A-842. ქ.ც. საგ. №5569.86.

ჯამი. ძირისა და გვერდის ფრაგმენტი. მოვარდისფროდ გამომწვარი კეცი. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. მუქ მწვანედ და სალათისფერ მწვანედ მოჭიქული. ჯამს აქვს დაბალი ბრტყელი ქუსლი. ზომები: ქუსლის დმ-8 სმ; ქუსლის სიმაღლე-0,7 სმ; კეცის სისქე-0,5 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, L1 ნაკვეთი, ციტადელის ტერიტორიაზე. არეული ფენიდან. (ტაბ. XXXVI სურ. 7)




შ.წ. №10130 A-842. ქ.ც. საგ. №5218.86.

ჯამი. გვერდის ფრაგმენტი. წითელკეციანი. შიდაპირი თეთრად ანგობირებული და მწვანედ მოჭიქული. გარეპირი კალთამდე ანგობირებული და მსოლოდ პირ-ბაკოა მოჭიქული. ზომები; კეცის სისქე-0,6 სმ-დან 0,8 სმ-მდე. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, L3 ნაკვეთი, მე-11 კვადრანტი. (ტაბ. XXXVI სურ. 8) ანალოგიურია: ქ.ც. №740.04. თარიღდება XV საუკუნით.



შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. საგ. №5844.87.

ჯამი. ძირის და გვერდის ფრაგმენტი. მოვარდისფროდ გამომწვარი. შიდაპირი თეთრად ანგობირებული. დაფარულია ღია მწვანე ჭიქურით. ჯამს აქვს ვიწრო, მაღალი, დრუ ქუსლი. ზომები: ქუსლის დმ-4 სმ; ქუსლის სიმაღლე-2სმ; კეცის სისქე-0,6 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, i3



ნაკვეთის მე-7 და მე-14 კვადრატებში. (ტაბ. XXXVII სურ. 1)

შ. №. 10130 A-842. ქ.ც. საგ. №5259.86.

ჯამი ძირისა და გვერდის ფრაგმენტი. წითლკეციანი, უხეშად განლექილი თიხა. უხეშად ტანდაღარული შიდაპირი დაფარულია მწვანე ჭიქურით. ჯამი სქელკედლიანი, ბრტყელი, ძირით. ზომები: კეცის სისქე-0,9 სმ; ძირის სისქე-1,3 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, L2



ნაკვეთი, 9,10-13-14 კვადრატების გადაკვეთაზე. (ტაბ. XXXVII სურ. 2)

შ. №. 10130 A-842. ქ.ც. საგ. №7146.88.

ჯამის გვერდის ფრაგმენტი. ორმხრივ თეთრად ანგობირებული, შიდაპირი მუქ მწვანედ. გარეთა პირზე მხოლოდ ანგობის კვალია და ისიც დაზიანებული. ზომები: კეცის სისქე-0,7 სმ-დან 1 სმ-მდე. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, სხვადასხვა ნაწილში ზედაპირულად. (ტაბ. XXXVII სურ. 3)



შ. №. 9539 A-764. ქ.ც. საგ. №3175.85.

ჯამი ძირისა და გვერდის ფრაგმენტი. წითელკეციანი. შიდაპირის ტანდაღარულ ყვითელ ფონზე გადავლებულია ყავისფერი ჭიქური. ჯამს აქვს დაბალი, ბრტყელი ქუსლი. ზომები: ქუსლის დმ-7,5 სმ; ქუსლის სიმაღლე-0,6 სმ; კეცის სისქე-0,6 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, შიდა ქალაქის ტერიტორია. (ტაბ. XXXVII სურ. 4)



შ. №. 9539 A-764. ქ.ც. საგ. №1731.84.



ჯამი. ძირისა და გვერდის ფრაგმენტი. წითელკეციანი. შიდაპირის ტანდაღარულ ზედაპირი მოჭიქულია ყავისფრად. ძირის შუაგულში აქვს სალათისფერი ტონალობა. გარეთა მხრიდან კალთაზე შეიმჩნევა თეთრი ანგობისა და ყავისფერი ჭიქურის ნაღვენთები. ჯამს აქვს დაბალი, ბრტყელი ქუსლი. ზომები: ქუსლის დმ-7 სმ; ქუსლის სიმაღლე-0,8 სმ; კეცის სისქე-0,8 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ციტადელის ცოტა კარის მიმდებარე ტერიტორია. (ტაბ. XXXVII სურ. 5)

შ. წ. 9539 A-764. ქ.ც. სავ. №2797.85.

ჯამი. ძირისა და გვერდის ფრაგმენტი. ჩალისფერკეციანი, სქელკედლიანი. შიდა და გარე მხარე დაფარულია მოყვითალო-მოყავისფრო ჭიქურით. ჯამს აქვს გამოყვანილი ღრუ ქუსლი. ზომები: ქუსლის სიმაღლე-1 სმ; კეცის სისქე-0,8 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, გვიანდელი ციტადელის სამხრეთ დასავლეთ კოშკის ძირში. (ტაბ. XXXVII სურ. 6)



შ. წ. 9539 A-764. ქ.ც. სავ. №1159.84.

ჯამი. ძირისა და გვერდის ფრაგმენტი. მოჩალისფროდ გამომწვარი. შიდა ზედაპირი სოსნიფრად მოჭიქული. ჯამის შემორჩენილი კალთა არათანაბრად დაქანებული, აქვს გამოყვანილი, დაბალი ღრუ ქუსლი. ზომები: ქუსლის დმ-8,5 სმ; ქუსლის სიმაღლე-0,7 სმ; კეცის სისქე-0,5 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, გვიანდელი ციტადელის ტერიტორია. (ტაბ. XXXVIII სურ. 1)



ზემოთ აღწერილი ერთფრად მოჭიქული ჯამის ფრაგმენტები თანმხლები მასალის მიხედვით XV საუკუნით თარიღდება.

ერთფრად მოჭიქული კერამიკიდან გვხვდება ჭინჭილას პირ-ყელის (ვიწროყელიანი) და ტარისა და პირის ფრაგმენტი (2 ერთეული):

შ. წ. 9539 A-764. ქ.ც. სავ. №210.84.



ჭინჭილას პირ-ყელის ფრაგმენტი. წითელკეციანი. თეთრი ანგობირებული ზედაპირი მოჭიქულია შაბიამნისფრად. პირი ოდნავ გარეთ გადაშლილი. ყელთან შეიმჩნევა ყურის ფრაგმენტი. ვიწროყელიანი. ზომები: პირის დმ-2,8 სმ; კეცის სისქე-0,4 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, შიდა ქალაქის ტერიტორია. (ტაბ. XXXVIII სურ. 2)

შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. საგ. №7763.84.

ჭინჭილას ტარის და პირის ფრაგმენტი. წითელკეციანი. გარეთა მხარე თეთრად ანგობირებული და შაბიამნისფრად მოჭიქული. ჭინჭილას ტარის შეერთების ადგილას პირთან შემოუყვება წიბო. ოდნავ ოვალურგანიგვეთიანი. ზომები: ტარის სისქე-1 სმ; სიგანე-1,5 სმ; კეცის სისქე-0,5 სმ;



ორთავე აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, K26 ნაკვეთის №16 კვადრატი, იმერეთის მეფეთა პალატისა და აგურის სასახლის ინტერიერი. პალატის იატაკის ქვეშ მდებარე გვიანშუასაუკუნეების ორმოდან. თარიღდება XV-XVI საუკუნეებით. (ტაბ. XXXVIII სურ. 3)

ორმხრივ მოჭიქული ჭურჭელი, ყველაზე მცირე რაოდენობითაა ქუთაისში ამ პერიოდში წარმოდგენილი:

შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. საგ. №4403.85.

ქოთან. პირისა და გვერდის ფრაგმენტი. წითელკეციანი. ორმხრივ სოსნისფრადაა მოჭიქული. პირ-ბაკო გარეთ გადაშლილი, ზევიდან ბრტყელი ზედაპირით. ქოთანს უნდა ჰქონოდა სფეროსებრი მუცელი. ზომები: კეცის სისქე-0,5 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, გვიანდელი ციტადელის სამხრეთ ფერდობი. (ტაბ. XXXVIII სურ. 4)



როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ამოკაწვრით შესრულებული ჯამის ფრაგმენტის 1 ერთეულია მხოლოდ:

შ. წ. 9539 A-764. ქ.ც. საგ. №383.84.

ჯამი. გვერდისა და პირის ფრაგმენტი. ჩალისფერკეციანი. სქელეკდლიანი. თეთრად ანგობირებულ შიდაზედაპირზე შეიმჩნევა ორი ამოკაწვრით შესრულებული წრეხაზი. მოჭიქულია მწვანედ. ჯამს აქვს გარეთ გადაშლილი პირი, არათანაბრად დაშვებული ფართე კალთა. ზომები: პირი კეცის სისქე-0,4 სმ; კეცის სისქე-0,7 სმ; აღმოჩენილია ქუთაისის ნაქალაქარი, „შიდა ქალაქის ტერიტორია“. თარიღდება XV საუკუნით. (ტაბ. XXXVIII სურ. 5).



ამოკაწვრით მოხატული და მწვანედ მოჭიქული ჯამის ძირის ფრაგმენტი აღმოჩენილია სინაგოგაში და კვეტერაში. დ. მინდორაშვილს იხინი XVI-XVII სს-ის ნაწარმად მიაჩნია. [მინდორაშვილი 2009: 44; 2010: 50].

ზაიანსი

XV საუკუნე მოჭიქული კერამიკის წარმოებაში მნიშვნელოვან ხანას წარმოადგენს. ამ დროს ფართო მასშტაბით დაიწყო თვისობრივად ახალი სახეობის კერამიკის ფაიანსის წარმოება, რომელმაც რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში (XV-XVIII ს.ს.) მკვიდრი ადგილი დაიკავა მხატვრული კერამიკის წარმოებაში. ჯერ კიდევ საქართველოს აღმავლობისა და განვითარების ხანაში, როდესაც ის ეკონომიკურად, პოლიტიკურად და კულტურულად დაწინაურებულ სახელმწიფოს წარმოადგენდა, სათანადო სიმაღლეზე ავიდა მხატვრული ხელოსნობის სხვადასხვა დარგი და განვითარდა ადებ-მიცემობა მეზობელ თუ შორეულ ქვეყნებთან. სწორედ ამის დადასტურება უნდა იყოს საქართველოში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მრავლად მოპოვებული ფაიანსის ნაწარმი, რომელიც XI საუკუნიდან მოკიდებული, გვიანსაშუალო საუკუნეების ჩათვლით ყველა პერიოდში მოგვეპოვება.

ქუთაისიცი ის პუნქტია, სადაც ფაიანსის ადრეული ნაწარმი დადასტურებულია. აღსანიშნავია ორი ერთეული ჭურჭელი ფრაგმენტების სახით:

შ. №. 10130 A-842. ქ.ც. საგ. №7407-7408.89.



ჭურჭლის ძირისა და გვერდის ფრაგმენტები. თეთრკეციანი, თხელკედლიანი. სადა, შეუმკობელი. გადავლებულია უფერული, გამჭვირვალე ჭიქური. ქუსლი დაბალი, გამოყვანილი. პირი ოდნავ გარეთაა გადაშლილი. ზომები: კეცის სისქე-0,2 დან, 0,5-მდე; ქუსლის სიმაღლე-0,5 სმ; (ტაბ. XXXIX სურ. 1).

შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. სავ. №7406.89.

თასის ფრაგმენტი. თეთრკეციანი, თხელკედლიანი. რესტავრირებული. ნასვრეტებიანი თიხა. ორმხრივ ცისფრად მოჭიქული. ჭიქური ძლიერ დაზიანებული. ქუსლი დაბალი, გამოყვანილი. პირი ოდნავ შიგნით გადახრილი, კალთა თანაბრად დაშვებული. ზომები: კეცის სისქე პირთან-0,3 სმ; ძირთან-0,5 სმ.



ორთავე აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, K27 ნაკვეთის, მე-9 კვადრატი, ციტადელის წმ. გიორგის ეკლესიასთან აგურის სასახლის №1 დიდი დარბაზი. მასალა ამოღებულია ხაროდან. ხარო წარმოადგენს დახურულ კომპლექსს და თარიღდება XI ს. (თანდართული მასალებია, თეთრკეციანი სუფთა თიხა, წნეხვით ნაპრიალები). (ტაბ. XXXIX სურ. 2).

იმის გამო, რომ ამგვარი ფაიანსი საქართველოს ფეოდალური ხანის ნაქალაქართა გათხრებში თითო-ორიოჯი იყო მკვლევარები მას სომხეთიდან შემოტანილად თვლიდნენ და ათარიღებდნენ ისევე როგორც თარიღდება აღმოჩენის ადგილისა და პარალელური მასალის მიხედვით სომხური ნაწარმი, ე.ი. XI საუკუნით. [მაზიააშვილი 1976: 18]. აქედან გამომდინარე, ქუთაისის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ფაიანსიც შეიძლება XI საუკუნით დავათარიღოთ, ხოლო წარმომავლობის შესახებ ამჯერად თავს ვიკავებთ.

უორნამეტო, სადა ჭურჭელთა რიცხვს მიეკუთვნება ფინჯნის ძირის ფრაგმენტი (შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. სავ. №6224.87), დაფარული ცისფერი, (შეიძლება ითქვას მოლურჯო ფერის) ჭიქურით, რომლიც დამსკდარია. გარე ზედაპირის შემორჩენილ ნაწილზე შეიმჩნევა ცისფერი ჭიქურის ნაღვენთი. ფინჯანს დაბალი, გამოყვანილი, ღრუ ქუსლი აქვს. ზომები: ქუსლის დმ-6 სმ; კეცის სისქე-0,4 სმ; აღმოჩენილია ქუთაისის ნაქალაქარზე, (ტაბ. XXXIX სურ. 3).



მასთან ერთად არის სუფთად განლეკილი ჩალისფერკეციანი, წნეხით ნაპრიალები, თეთრად მოხატული, ჭურჭლები. (მსგავსი უნდა იყოს დმანისის განათხარიდან მომდინარე, გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული, სადა შეუმკობელი ჭურჭლის ერთი ნაწილი). [მამაიაშვილი 1976: 21]. მასალის მიხედვით აღნიშნული ფრაგმენტი შეიძლება XII-XIII საუკუნეებით დათარიღდეს. სავარაუდოდ, ამავე პერიოდით შეიძლება განისაზღვროს ორი კალთებგოფირებული ფინჯანი, რომელთაც დაზიანებული სახით მოაღწიეს ჩვენამდე:

შ. №. 9539 A-764. ქ.ც. სავ. №1000.84.

ფინჯანი. ძირისა და გვერდის ფრაგმენტი, თეთრკეციანი. შიდა და გარეპირი დაფარულია შაბიამნისფერი ჭიქურით. გარეპირზე პირი ბოლომდე არ არის დაფარული. ფინჯანის კალთები გოფირებულია და აქვს ტარის ფრაგმენტი, რომელიც მიძერწილია გოფირებულ ზედაპირზე. აქვს გამოყვანილი ბრტყელი ქუსლი. ზომები: ქუსლის დმ-4,5 სმ; კეცის სისქე-0,3 სმ-დან-0,5 სმ-მდე. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, შიდა ქალაქის ტერიტორია. (ტაბ. XXXIX სურ. 4).

შ. №. 10130 A-842. ქ.ც. სავ. №5376.86.

ფინჯანის გვერდის ფრაგმენტი. თეთრკეციანი, თხელკედლიანი, ქუსლისკენ ოდნავ შესქელებული. რესტავრირებული. შიდა ზედაპირი მოჭიქულია შაბიამნისფრად. გარე ზედაპირზე აქვს რელიეფური ორნამენტი, კერძოდ, შვეული სახები. მოჭიქულია შაბიამნისფრად. ჯამს აქვს სწორი, თხელი, პირ-ბაკო. არათანაბრად დაშვებული კალთა. ზომები: კეცის სისქე



პირ-ბაკოსთან-1,5 მმ; კეცის სისქე ძირთან-6 მმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ი2ნაკვეთი მე-11, მე-12 კვადრატების გადაკვეთაზე. ორთავე გამოირჩევა დამზადების მაღალი ტექნოლოგიით. ანალოგიური მასალა დაცულია ბერლინის ისტორიულ მუზეუმში და XIV საუკუნითაა განსაზღვრული. (ტაბ. XXXIX სურ. 5).

გვხვდება ჭურჭლის შემკობა სტილიზებული მცენარეული ორნამენტითაც, ის ჯამის ძირის ფრაგმენტითაა წარმოდგენილი (შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. საგ. №6120.87), მონაცრისფრო, შიდაპირზე ლუსტრით (მოყვითალო-ყავისფერი) მოხატულია მცენარეული სახეები. (ჭურჭლის პატარა ფრაგმენტის გამო ჭირს ორნამენტის სრული სახის წარმოდგენა). დაფარული უნდა ყოფილიყო მოყვითალო ფერის ჭიქურით. ჯამს აქვს გამოყვანილი დრუ ქუსლი. ზომები: ქუსლის სიმაღლე-1 სმ; კეცის სისქე-0,8 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, გ2 ნაკვეთი, მე-13 კვადრანტი. (ტაბ. XXXIX სურ. 6).



აღსანიშნავია, რომ საქართველოში აღმოჩენილი ლუსტრიანი კერამიკა XII-XIII საუკუნეებით თარიღდება. [მამაიაშვილი 1976: 45].

„სულთანაბადის ტიპს“ შეიძლება მიეკუთვნოს ქუთაისის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ჯამის გვერდის ფრაგმენტი (შ. წ. 9539 A-764. ქ.ც. საგ. №2749.84), თეთრკეციანი, ჯამის შიდაპირზე შავი კონტურებით მოხატულია მცენარეული ორნამენტი, რომელიც შემკულია შავი წვრილი და ლურჯი ოდნავ მსხვილი წერტილებით. ორნამენტი რელიეფურია. გარეთა მხრიდან შავი საღებავით დატანილია ხაზებისაგან შედგენილი ყვავილის ორნამენტი. ჯამი დაფარულია უფერული, გამჭვირვალე ჭიქურით. ზომები: კეცის სისქე-0,4 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ბაგრატის ტაძრის დასავლეთით. (ტაბ. XL სურ.1)



შემკობის ტექნიკითა და პარალელური მასალის მიხედვით მსგავს ჭურჭელს სულთანაბადურ ნაწარმად მიიჩნევენ. მხოლოდ ორნამენტით ანალოგიური თასი აღმოჩენილია დმანისში. სულთანაბადური ტიპის ფაიანსის ჭურჭელს XIV საუკუნის პირველი ნახევრით ათარიღებენ. [მამაიაშვილი 1976: 60].

საქართველოში აღმოჩენილ, სეფიანთა ირანიდან მომდინარე ნაწარმში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ლურჯი (კობალტის) საღებავით მოხატული,

უფერული გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული ჭურჭელი, რომელიც წარმოადგენს თეთრი, ლურჯად მოხატული, ჩინური ფაიფურის მინაბაძს. ქუთაისის განათხარ მასალაში საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი აღნიშნული ორნამენტის ჭურჭელთა (ჯამი, ფინჯანი, ლანგარი, თეფში) ფრაგმენტები, რომლებიც შემკულია მცენარული და ყვავილოვანი ორნამენტით:

შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. საგ. №5374.86.

ჯამი. ძირისა და გვერდის ფრაგმენტი. მტკიცე თეთრკეციანი. შიდა ზედაპირის თეთრ ფონზე ლუსტრით მოხატულია მცენარეული ორნამენტი. ასეთივე მოხატულობა შეიმჩნევა გარე ზედაპირზე. გადავლებულია უფერული ჭიქური. ზომები: ქუსლის სიმაღლე-1 სმ; კეცის სისქე-0,5სმ აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, M4 ნაკვეთი მე-2-3, კვადრანტი. (ტაბ. XL სურ.2)



შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. საგ. №5376.86.

ჭურჭლის ქუსლის ფრაგმენტი. თეთრკეციანი. სქელკედლიანი. ორმხრივ ლურჯი ლუსტრირებული საღებავით მოხატულია ყვავილოვანი ორნამენტი. გადავლებულია უფერული, გამჭვირვალე ჭიქური. ჭურჭელს აქვს დაბალი, ქუსლი. ზომები: კეცის სისქე-0,8 სმ; ქუსლის სიმაღლე-0,4 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, M4 ნაკვეთი მე-2, მე-3 კვადრანტები. (ტაბ. XL სურ.3)



განსხვავებული სახით არის წარმოდგენილი ჭურჭლის ერთი ფრაგმენტი, რომლის სიმცირის გამო ძნელია სრულად ორნამენტზე საუბარი, (შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. საგ. №5382.86), თხელი, თეთრკეციანი, გარეპირი დაფარულია ლურჯად, შემორჩენილ ფრაგმენტზე ამოყვანილია სამი მრავალქიმიანი ბორჯღაღლისმაგვარი პატარა ზომის ორნამენტი. შიდა და გარეპირი დაფარულია უფერული, გამჭვირვალე ჭიქურით. ზომები: კეცის სისქე-0,4



სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, M4 ნაკვეთი მე-2, მე-3 კვადრატები. (ტაბ. XL სურ.4)

აღნიშნულ ნაწარმში გვხვდება პოლიქრომული ჭურჭლის ნატეხებიც. აქედან გამოვყავით შავი კონტურით და კობალტით მოხატული უფერული გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული ჭურჭელი, (შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. სავ. №5375.86), რომელიც წარმოდგენილია გვერდის ფრაგმენტის სახით და გამოირჩევა დამზადების მაღალი ტექნიკით, ჭიქურით, საღებავითა და ორნამენტით. მისი კეცი მოვარდისფროა, შიდა ზედაპირის პირ-ბაკოზე შემოუყვება შავი სარტყლისმაგვარი ოთხი ხაზი, ასევე ხაზები პირ-ბაკოდან დაშვებულია ქუსლისაკენ, შავი საღებავით გამოყვანილ კონტურს შორის ჩასმულია ლურჯი ტონალობა, რომელიც ქმნის გეომეტრიულ ფიგურებს, სავარაუდოდ, სექტორებში მოხატულია მცენარეული ორნამენტი. შიდა ზედაპირი დაფარულია უფერული ჭიქურით. გარე ზედაპირის თეთრ ფონზე პირ-ბაკოსთან შემოუყვება ერთი შავი სარტყლისებური ხაზი. ამ ხაზიდან დაშვებულია ლურჯი ხაზები, რომლებიც შეიძლება ქმნიდნენ სექტორებს. სექტორებში ჩასმულია შავი მცენარეული ორნამენტი. გადავლებულია უფერული გამჭვირვალე ჭიქური. ზომები: კეცის სისქე-0,5 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, M4 ნაკვეთის, მე-2 მე-3 კვადრატში. (ტაბ. XL სურ.5)



ანალოგიურია ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი (შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. სავ. №7681.88), რომლის კეცი მოვარდისფროა, ნასვრეტოვანი, ღია ცისფერ-მოთეთრო ფონზე ლურჯი და შავი საღებავით მოხატულია წიწვოვანი და ტალღოვანი ორნამენტი. გარეთა მხრიდან ჭურჭლის ქუსლის ძირი მოჭიქულია შაბიამნისფრად. ზომები: ქუსლის სიმაღლე-0,7 სმ; ძირის სისქე-0,6 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარზე, ციტადელის წმ. გიორგის ეკლესიის სამხრეთით. იმერეთის მეფეთა სასახლის ინტერიერის მიმდებარე ტერიტორია. ზედაპირულად ჰუმუსურ ფენაში მშრალი წყობის ნაგებობათა



გარშემო. თანმხლები მასალის მიხედვით ფრაგმენტი XVII საუკუნით თარიღდება. (ტაბ. XLI სურ.1)

ღურჯად შეფერილი ნახატის კონტურების შავი საღებავით გამოყვანა ამ ნაწარმს ქაშანურ ჭურჭელს უახლოვებს. [მამიაშვილი 1976: 85].

მრავალფრად მოხატულთაგან შეიძლება კიდევ გამოვყოთ ფინჯნის ძირისა და გვერდის ფრაგმენტი (შ. წ. 9539 A-764. ქ.ც. საგ. №2693.840), თეთრკეციანი. თხელკედლიანი. შიდა მხარის ზედაპირზე პირ-ბაკოსთან შემოუყვება ორი სარტყლისებური ხაზი. ჯამის შიდა მხარის ძირზე მოხატულია შავ კონტურით ყვავილის ორნამენტი, რომელსაც ფოთლები ცისფრად აქვს შეფერილი, ხოლო ყვავილი მოწითალო-მოყავისფროდ.



გარეპირზე თეთრ ფონი დაყოფილია შავი ხაზებით სექტორებად და სექტორებში ჩასმულია შავი კონტურით რომბისმაგვარი ორნამენტი, რომლის ცენტრში ფოთოლია გამოსახული. კიდეებში კი წითელი წერტილებითა და შავი პატარა ხაზებით შექმნილია მცენარეული ორნამენტები. ჯამის ფერთა გამა შედგება ცისფერი, შავი და შინდისფერი ტონალობისაგან. ფინჯანი დაფარულია უფერული ჭიქურით. ფინჯნის ძირი თხელი, პატარა, გამოყვანილი, ღრუქუსლიანია. ზომები: ფინჯნის სიმაღლე-4,5 სმ; ქუსლის დმ-2,5 სმ; ქუსლის სიმაღლე-0,5 სმ; კეცის სისქე-0,2,-0,3 სმ;

აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარზე, შიდა ქალაქის კონტროლსებიან კედელთან. (ტაბ. XLI სურ2)

რამოდენიმე ფრაგმენტზე ორნამენტები გამოხატულია ღურჯი, მუქი ცისფერი, ღია ყავისფერი, ვარდისფერი და ღია სოსნისფერი საღებავით. ყველა მათგანი დაფარულია გამჭვირვალე უფერული ჭიქურით.

სადა, უორნამენტო ჭურჭლიდან უნდა გამოიყოს ჯამი (შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. საგ. №5726.87), რომელიც ერთ-ერთია შედარებით სრული სახით წარმოდგენილი, აკლია გვერდის ფრაგმენტი, თეთრკეციანი, ორმხრივ მწვანედ მოჭიქული. ჯამს აქვს სწორი პირ-ბაკო და თანაბრად დაშვებული კალთა. მრგვალი, ღრუ ქუსლით. კეცზე შიდა



და გარეპირზე გამოყვანილია შვეული ღარები. ასევე შიდა ზედაპირზე ცენტრში არის ჩადრმავება. კეცი ქუსლისკენ თანდათან სქელდება. ზომები: პირის დმ-17,5 სმ; ჯამის სიმაღლე-9 სმ; ქუსლი დმ-7,3 სმ; ქუსლის სიმაღლე-1,2 სმ; კეცის სისქე პირთან-0,4 სმ; კეცის სისქე ძირთან-0,8 სმ; ქუსლის კეცის სისქე-0,6 სმ. აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარზე, მე-2 და მე-3 ნაკვეთის, მე-2 და მე-3 კვადრატების გადაკვეთაზე მდებარე მარნის №20 ქვევრიდან. (მარანი სავარაუდოდ XVI-XVII ს.ს. თარიღდება). (ტაბ. XLI სურ.3)

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს აზრი, რომ სპარსული ერთფერი (მონოქრომული) ჭურჭელი, რომელიც დაფარულია ფირუზისფერი, ლურჯი ან სხვა ფერის ჭიქურით, „შთაგონებულია“ ჩინური მონაცრისფრო-მომწვანო ჭიქურით. სელადონის გვიანდელი მინაბადები მასიურია, მისი ჭიქური მწვანეა ან მოყავისფრო-მომწვანო. ბევრი ამგვარი ჭურჭელი გაკეთებულია XVI საუკუნეში, მაგრამ ზოგი უფრო გვიანდელიცაა. [მამაიაშვილი 1976: 66].

1660 წელს სამეფოში დაწყებული ანარქიის (რომლის ეპიცენტრი ქუთაისი იყო) ფონზე აქტიურდება თურქეთი, რასაც საბოლოო შედეგად ქუთაისის ციხეში თურქული გარნიზონის ხანგრძლივი დროით ჩადგომა მოჰყვა, რამაც ქალაქის ბუნებრივი განვითარების პროცესი დიდი ხნით შეაფერხა. ციტადელში სამეფო რეზიდენცია მოიშალა და „დიდი ქუთათისის“ მთელი ინფრასტრუქტურა თანდათან თურქების კონტროლს დაექვემდებარა. თუ თავდაპირველად თურქები მხოლოდ ციტადელში არიან გამაგრებულნი, XVIII საუკუნის 20-30-იანი წლებიდან მოყოლებული უკვე სულ სხვა სურათია: თურქები ფაქტიურად მთელ მარჯვენა სანაპიროს აკონტროლებენ, ქალაქში გაჩნდა თურქული ეთნოსი, მოხელეები, ინფრასტრუქტურა და ა. შ. ეს მდგომარეობა გაგრძელდა 1770 წლამდე. არქეოლოგების ვარაუდით, ქუთაისის ციხის საიდუმლო გასასვლელი, რომელიც გაღავნისა და „ცოტა კარის“ ექსტერიერიდან ჯერ ჰორიზონტალურად მიემართება, ხოლო ინტერიერში ვერტიკალურად ამოდის „ცოტა კართან“, ციხიდან ჩამომავალი კიბის ბოლო საფეხურის წინ.

გასასვლელი ფერდობის მხარეს ქვის მშრალი წყობით ნაგები კარით და დამცავი კედლებით „იხსნება“. კარის ღიობთან შემორჩენილია ჩარჩოს სვეტი და ზღურბლის ქვა. გასასვლელი ამოვსებული იყო XVIII საუკუნის მასალის (თურქული



ფაიანსი, ჩიბუხები, ფინდიხები) შემცველი ნაშალი, ღორღიანი მიწით. კარის წინა სივრცე ჩახერგილი იყო კედლების ნანგრევებით. [ისაკაძე 2006: 30]. აღმოჩენილი თურქული ფაიანსის ფრაგმენტები (შ. წ. 9539. A-764; ქ.ც. №4025.85; №4059.85; №4060.85; შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. საგ. №5608.86; №9296.86. №7673.88). თეთრკეციანია, უმეტესად თხელკედლიანი, დაფარულია თეთრი ანგობის თხელი ფენით და მოხატულია ცისფერი, მწვანე, ყვითელი, ყავისფერი საღებავებით. გარეპირზე ორნამენტი მცენარეულია. შიდაპირი კი ძირითადად სადაა, მხოლოდ ძირშია ყვავილი დატანილი. გადავლებული აქვთ უფერული გამჭვირვალე ჭიქური. შემორჩენილი ფინჯნები არის სწორპირიანი, თითქმის სწორად დაშვებული კალთით, თხელი კარგად გამოყვანილი ღრუ ქუსლით. ზომები: ფინჯნის სიმაღლე-4,5 სმ; კეცის სისქე-0,2-0,4 სმ; ქუსლის დმ-3 სმ; ჯინჯნის პირის დმ საშუალოდ აღდგენით-6 სმ; ქუსლის სიმაღლე-0,7-0,8 სმ; (ტაბ. XLI სურ.4)

საქართველოში თურქული ფაიანსის (იზნიკური) ნიმუშები აღმოჩენილია თბილისის დედაციხეზე, ნარდევანის არქაულ ციხე-სიმაგრეზე, გონიოს ციხეზე, ხოლო უფრო გვიანდელი, XVIII საუკუნისათვის მისაკუთვნიებული თურქული ნაწარმი ისევ თბილისის დედაციხეზე, დმანისის და ბათუმის (თამარის ციხე) განათხარებში. [მამაიაშვილი 1976: 96, 98]. ვფიქრობთ, ქუთაისის მასალა არც ამ შემთხვევაში წარმოადგენს გამონაკლისს და აღმოჩენილი მასალა კიდევ უფრო გაამდიდრებს მოჭიქული კერამიკის ისტორიას.

§2 მესამე პერიოდი (XVII-XVIII სს.)

XVII–XVIII საუკუნეებში ფაქტობრივად ქუთაისის გარეგნული იერსახის ფორმირება უკვე დასრულებულია, რიონის მარცხენა სანაპიროზე დასტურდება საქალაქო ცხოვრების გარკვეული აღმავლობა, დანგრეული ციტადელი კი კარგავს სტრატეგიულ ფუნქციას და მის ადგილზე ჩნდება რიგით მოქალაქეთა დასახლება, რომლის ნაშთებიც გათხრილია ციტადელის ცენტრალურ და ქვედა ტერასებზე. [ისაკაძე 2006: 40]. ეს მოვლენები რა თქმა უნდა ხელს უწყობდა ქალაქის ეკონომიკური ცხოვრების, ვაჭრობისა და ხელოსნობის წინსვლას. ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით ჩანს, რომ ამ პერიოდში საკუთრივ მოჭიქული კერამიკის დამზადება როდენობრივად შემცირდა, ეს გამოწვეული იყო ინოვაციით, რომელიც გამოიხატება უფრო მაღალი და უკეთესი ხარისხის ჭურჭლის (ფაიანსის) დამკვიდრებაში. XVII-XVIII საუკუნეების განსახილველი მასალა ძირითადად

წარმოდგენილია სამშენებლო და საყოფაცხოვრებო კერამიკის სახით. კრამიტები გამოირჩევა მდარე ხარისხით, კერძოდ, თხელკედლიანი, უხეშკეციანი და არასტანდარტულია. მასალა ძირითადად წარმოდგენილია გელათიდან და ქუთაისის ნაქალაქარიდან. მოჭიქულია ყავისფრად, ღვიძლისფრად, ლურჯად და ცისფრად.

საყოფაცხოვრებო კერამიკა კი ძირითადად წითლად და მოჩალისფროდ გამომწვარია, ორმხრივ თეთრად ანგობირებული და მოჭიქული, გვხვდება მხოლოდ შიდა ზედაპირის თეთრი ანგობით დაფარვა და ერთფერად (მწვანე, ყავისფერი) მოჭიქვა. განათხარ მასალაში გვხვდება მოჭიქული ჭურჭლის სახელურის ფრაგმენტები (4 ერთეული):

შ. წ. 9539 A-764. ქ.ც. საგ. №3943.85.

ყურის ან ტარის ფრაგმენტი. მოვარდისფრო-მოჩალისფროდ გამომწვარი. ღია მწვანედ მოჭიქული. ტარს ცალ მხარეს აქვს ჭდეული ორნამენტები. ტარი არის ბრტყელგანიკვეთიანი. თავში შედარებით ვიწრო და ბოლოში გაგანიერებული. ბრტყელგანიკვეთიანი. ზომები: კეცის სისქე-2,3 სმ; სიგანე თავში-5 სმ; ბოლოში-5,8 სმ.



აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ლაზეთის მეფეთა სასახლის ნანგრევებიდან. (ტაბ. XLII სურ.1)

შ. წ. 9539 A-764. ქ.ც. საგ. №3959.85.

ყურის ან ტარის ფრაგმენტი. წითელკეციანი. თეთრად ანგობირებული ზედაპირი მოჭიქულია მწვანედ. ბრტყელგანიკვეთიანი ტარი. ზომები: კეცის სისქე-1,3 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ლაზეთის მეფეთა სასახლის ნანგრევებიდან. (ტაბ. XLII სურ.2)



შ. წ. №7543 A-582. ქ.65.71.

ყურის ფრაგმენტი. წითელკეციანი. თეთრად ანგობირებული ზედაპირი მოჭიქულია მწვანედ. ყური არის ბრტყელგანიკვეთიანი. ზომები: კეცის სისქე-1,3



სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, 1965 წ. არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ. (ტაბ. XLII სურ.3)

შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. საგ. №4410.85.

ყურის ან ტარის ფრაგმენტი. წითელკეციანი. სალათისფრად მოჭიქული, შემკულია შტამპით გამოყვანილი მამაკაცის სახით.

(ასეთი გამოსახულებები გვხვდება XVII-XVIII საუკუნეების ჭურჭელზე და მათ ბარტმანებს უწოდებენ). (ტაბ. XLII სურ.4)



ერთი ერთეულით არის წარმოდგენილი დოქის პირ-ყელის ფრაგმენტი, (შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. საგ. №4399.85), თეთრად ანგობირებული ზედაპირი მოჭიქულია მწვანედ და ყვითლად, ზედაპირზე დატანილია ნაკაწრით შესრულებული გეომეტრიული ორნამენტები. დოქის ყელს აქვს რთული, პროფილირებული პირი, სატარესთან ორივე მხარეს აქვს კოპისმაგვარი მინაძერწი ბიბილოების სახით. შემორჩენილი სატარე ბრტყელგანივკვეთიანია. ზომები: კეცის სისქე-1 სმ; პირის დმ-4 სმ; ყელის დმ-2



სმ; აღმოჩენილია ქუთაისის ნაქალაქარი, გვიანდელი ციტადელის სამხრეთი ფერდობი. (ტაბ. XLII სურ.5)

მწვანედ მოჭიქული ჭურჭელი ასევე წარმოდგენილია ჯამისა (1 ერთეული) და ღარნაკის ფრაგმენტის სახით (2 ერთეული):

შ.წ. №10130 A-842. ქ.ც. საგ. №7471.89.

ჯამი. ძირის ფრაგმენტი. წითელკეციანი. შიდაპირი მოჭიქულია მომწვანო-მოყვანისფროდ. ჯამს აქვს ბრტყელი, უხეშად გამოყვანილი ძირი. ზომები: კეცის სისქე-0,6 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, K26 ნაკვეთი, კვადრანტი 16, იმერეთის



მეფეთა პალატისა და აგურის სასახლის ინტერიერი. იტაკის ქვეშ მდებარე გვიან შუასაუკუნეების ორმოდან. (ტაბ. XLII სურ.6)

შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. საგ. №7470/14,7,9.8.

ღარნაკის გვერდის ფრაგმენტი, თეთრად ანგობირებული, მოწითალოდ გამომწვარი კეცი. სქელკედლიანი, ღარნაკი გარედან წარმოდგენდა სადა, ნაწილობრივ ანგობირებულს, უნდა ყოფილიყო მაღალი, დაქანებული კალთებით, რომელსაც ექნებოდა ფართო პირი, რათა აღქმადი ყოფილიყო შიდა პირის ჭიქური. ზომები: კეცის სისქე-0,6 სმ; აღმოჩენილია: იმერეთის მეფეთა პალატისა და აგურის სასახლის ინტერიერის გათხრების დროს, იტაკის ქვეშ მდებარე გვიანშუასაუკუნეების ორმოდან. (ტაბ. XLIII სურ.1)

მეორე ღარნაკი წარმოდგენილია (შ. წ. 9539 A-764. ქ.ც. საგ. №3514.85), პირ-ბაკოსა და ყელის ფრაგმენტის სახით. ღია ყავისფრად მოჭიქული, აქვს გარეთ გამოზნექილი პროფილირებული პირ-ბაკო. ზომები: პირის დმ-13 სმ; კეცის სისქე-0,7 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, შიდა ქალაქის მთავარი კარიბჭის დასავლეთ გალავნის კედლის ძირში. (ტაბ. XLIII სურ.2)



მწვენედ მოჭიქულთაგან გვხვდება **შანდლის** ფრაგმენტი (1 ერთეული), (შ. წ. №7743 A-582. ქ. საგ. 65.39, შემორჩენილია ძირის და სასანთლე ნახვრეტი. თეთრკეციანი. შიდაპირი მწვენედ მოჭიქული. ჭიქურის ნაღვენთები შეიმჩნევა გარეთა მხრიდანაც. ნივთს ძირში შიდა მხრიდან აქვს სასანთლე მაღალი კონუსური კოპი. სასანთლეს უნდა ჰქონოდა გვერდებიც, რაზეც მიუთითებს შემორჩენილი ფრაგმენტებიც. ზომები: კეცის სისქე-0,7 სმ; სასანთლე კოპის სიმაღლე-1,7 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, შიდა ქალაქის ტერიტორია. 1965 წ. არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ. (ტაბ. XLIII სურ.3)



ორიგინალური ფორმითაა წარმოდგენილი ზარათში აღმოჩენილი ჭინჭილა (ქ.დ.მ. №109.06), რომელსაც აკლია პირისა და გვერდის ფრაგმენტი, გარე ზედაპირი გარდამავალ ფერთა (მწვანე, შაბიამნისფერი, ნაცრისფერი) შეხამებითაა მოჭიქული. აქვს ვიწრო ყელი, სფეროსებრი მუცელი, ბრტყელი ძირი, მხრებზე დაძვრული აქვს ძუძუსებრი კოპები. შემორჩენილი 7, უნდა იყოს 10. ზომები: შემორჩენილი სიმაღლე-9 სმ; ჭინჭილას დმ-6,5 სმ; ყელის დმ-1,7 სმ; ძირის დმ-4 სმ; თარიღდება XVIII საუკუნით. (ტაბ. XLIII სურ.4)



როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XV საუკუნეში ვრცელდება თეთრი ფონის ლურჯი საღებავით მოხატვა, რამაც საინტერესო ფურცელი შექმნა კერამიკის ისტორიაში. თავდაპირველი ლურჯი ფერი დროთა განმავლობაში სხვა ფერმა შეცვალა. წინა პერიოდის მასალაში მსგავსი ორნამენტით შემკული მხოლოდ ცისფრად მოხატული ჯამია, როგორც ჩანს ეს ფერები ერთმანეთს ენაცვლებიან, ერთდროულადაც არსებობენ და შეიძლება რომ მომდევნო პერიოდში (XVII-XVIII ს.ს.), ლურჯთან ერთად ქმნიან მრავალფერად მოხატულ ორნამენტს. ამ ვარაუდის გამოთქმის საშუალებას გვაძლევს ქუთაისის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ჯამის ფრაგმენტები (3 ერთეული), რომელიც შეიძლება ითქვას საერთოდ განსხვავებული ფერთა შეხამებითაა წარმოდგენილი:

შ. წ. 10130 A-842. ქ.ც. საგ. №4312.85.

ჯამი. გვერდისა და პირის ფრაგმენტი. წითლად გამომწვარი, ორმხრივ თეთრად ანგობირებული, შიდა მხარეს პირთან დატანილია ლურჯი წრიული ხაზები, შემორჩენილ კალთასთან შეიმჩნევა სოსნისფერი მცენარეული (წიწვოვანი) ორნამენტი, შიდაპირზე გადავლებული უნდა ყოფილიყო უფერული ჭიქური, რომელიც ძლიერ დაზიანებულია. გარეთა მხრიდან მოჭიქულია მწვანედ, აქვს თხელი პირ-ბაკო. ზომები: კეცის სისქე-0,6 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ციტადელის სამხრეთ ფერდობი. (ტაბ. XLIII სურ.5)



მომდევნო ფრაგმენტი წარმოდგენილია ჯამის გვერდისა და პირის სახით, (შ. წ. 9539 A-764. ქ.ც. საგ. №1450.84), შიდაპირზე აქვს შვეული ლურჯი ხაზები, გარეთა მხარეს კი ყვითელ ფონზე მუქი მწვანე ნაღვენთები. ორივე მხრიდან გადავლებულია უფერული ჭიქური. ზომები: კეცის სისქე-0,7 სმ; აღმოჩენილია: ქუთაისის ნაქალაქარი, ციტადელის ტერიტორიაზე. (ტაბ. XLIII სურ.6)



სარტყლისებური ლურჯი ხაზებითაა მოხატული შემდეგი ჯამის გვერდის ფრაგმენტი (შ. წ. 9539 A-764. ქ.ც. საგ. №1449/12.84), რომელზეც დაუდევრადაა დატანილი იგივე ფერის ლაქები. ჩანს მცენარეული ორნამენტი, მაგრამ სიმცირის გამო ჭირს მისი აღდგენა. გარეთა მხრიდან აქვს სწორი და ტალღისებური ლურჯი სარტყლები. ზომები: კეცის სისქე-0,6 სმ;




აღმოჩენილი: ქუთაისის ნაქალაქარი, ციტადელის ტერიტორია. (ტაბ. XLIII სურ.7)

ჩამოთვლილი ჯამთა ნატყების ორნამენტული სახე თავისებურია, მაგრამ აქვთ საერთო ნიშანი-თეთრად ანგობირებულ შიგაპირზე ლურჯ საღებავთან ერთად გამოყენებულია სხვა ფერებიც. ეს კი მეტყველებს, რომ ყველა ისინი ერთი დროის ნაწარმია. კერძოდ, XVII საუკუნის. ამავე პერიოდით თარიღდება მრავალფერად მოხატული ირანული თევში ერმიტაჟის კოლექციიდან, რომელზეც გვირილა მოხატულია ლურჯი და წითელი ფერებით. მეცნიერები დასავლეთ საქართველოში თეთრზე ლურჯად მოხატული ჭურჭელს ზოგადად XV–XVII საუკუნეებით ათარიღებდნენ, თარიღის დაზუსტებას კი ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენებს მიანდობდნენ. [მიწიშვილი 1976: 46].

ჩვენი აზრით, ქუთაისის გათხრების ეს თავისებური მონაპოვარი ერთგვარად გაამყარებს ზემოთ აღნიშნულ თარიღს.

გვიანშუასაუკუნეების ბოლო ეტაპს განეკუთვნება ჭინჭილა უბისაღან და ფიალა, რომელიც ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ექსპოზიციაში ინახება:

უ. 1. 04.



ჭინჭილა. თეთრად ანგობირებული და მოხატული ცისფერი ზოლებით. დაფარულია უფერული ჭიქურით. ზომები: ძირის დმ-11 სმ; პირ-ბაკოს დმ-3 სმ. (ტაბულა XIV სურ.2)

ქიმ. 7476/18. B-1149.

ფიალა. ორმხრივ მოყვითალოდ ანგობირებული. შიდაპირი მოხატულია გაღვრიტ შესრულებული მომწვანო ხაზებით. გამოყვანილქუსლიანი. ზომები: სიმაღლე-4 სმ; პირის დმ-11 სმ; კეცის სისქე-0,6 სმ. (ტაბულა XIV სურ.1)



გვიანშუასაუკუნეების მოჭიქული კერამიკა ცნობილია: თბილისის დედაციხედან, ქარვასლის ტერიტორიაზე და სინაგოგაში, [მინდორაშვილი 2009], ახალქალაქიდან, [ჯანდიერი 1974: 59 ფსაძ]; თელავიდან [ჩიკოძე 1974: 80 ფსაძ]; კვეტერიდან [მინდორაშვილი 2010]

დასავლეთ საქართველოში ამ პერიოდის მასალა აღმოჩენილია: იცქისის ციხეზე (ზემო იმერეთი), [ბრაგვაძე, კაპანაძე 2007: 51, არქ. ძეგ. I]; ბაგრატის, ბათუმის ციხეებზე, ციხისძირში [მიწიშვილი 1976]; გონიო-აფსაროსის მრავალფრად მოჭიქულ კერამიკაში ნ. შუშანიძე ცალკე გამოჰყოფს იმ ნიმუშებს, რომლებიც „ოტომანური კერამიკის“ სახელით არის ცნობილი და ძირითადად XV-XVIII საუკუნეებით თარიღდება. პარალელური მასალის მიხედვით XVIII საუკუნით თარიღდება სამების (ბათუმი) მოჭიქული კერამიკა, XVII-XVIII საუკუნეებით კი ხინოწმინდაზე (ქობულეთის რ-ნი სოფ. ხინო) აღმოჩენილი მასალები, [შუშანიძე 2008].

2009 წლის 21. 06-9. 07 მოეწყო პოსტ-რომაული პერიოდის კერამიკის რიგით მეოთხე შემსწავლელი სეზონი (ავტორი-ნასოს ვიონისი). ამ კვლევის მიზანი იყო შეესწავლათ კერამიკული ფრაგმენტები: ა) რომლებიც აღმოჩენილი იყო ქალაქ სალაგოსის (აკიამაკის მიმდებარე ტერიტორია) ურბანული არეალის არქეოლოგიური გათხრებისას, ბ) აგრეთვე შესწავლა იმ ნივთებისა, რომლებიც თავად სალაგოსის ტერიტორიაზე აღმოჩენილი, ე.წ. ციხესიმაგრის კარიბჭის არეალში. ამ ტერიტორიაზე აღმოჩენილი კერამიკის უდიდესი ნაწილი ოტომანთა დინასტიის პერიოდისაა. აღმოჩენილი ნივთების უმრავლესობა კარგ მდგომარეობაშია შემონახული. ამ არეალში აგრეთვე წარმოდგენილია ბიზანტიური ხანის კერამიკული მასალაც. ოტომანთა ხანის კერამიკა საერთო რაიდენობის 40%

შეადგენს. აღმოჩენილი კერამიკის დიდი ნაწილი საყოფაცხოვრებო ჭურჭელია. მათი დათარიღება ხდება ე.წ. „ჰორიზონტალური ქრონოლოგიის მეთოდის დახმარებით. ამ მეთოდის მიხედვით ერთ ადგილას და ერთად აღმოჩენილი მასალა ერთი და იგივე პერიოდით უნდა დათარიღდეს. ინდივიდუალურად აღმოჩენილი ნივთების შემთხვევაში დათარიღება უნდა მოხდეს მათი ფორმისა და სტრუქტურის ანალოგის მოძებნის მიხედვით. ავტორი ოტომანთა პერიოდის მასალებს შორის მოჭიქული კერამიკის რაოდენობის სიმცირეს ხსნის იმ ფაქტით, რომ ამ დროს მათ კულტურაში განსაკუთრებულ პოპულარობას იძენს მეტალის დამუშავება. მე-18-19 საუკუნეებში სპილენძის ნაკეთობანი (სინები, ლანგრები, თასები) უკვე მასიურად გამოიყენება. ამ ფაქტზე მუზეუმების მდიდარი ეთნოგრაფიული მასალებიც მიუთითებს. მაგრამ რამ გამოიწვია სპილენძის ნივთების მიერ მოჭიქული კერამიკის ჩანაცვლება მეცნიერების მიერ ჯერჯერობით ღიად რჩება.

აღმოჩენილი ნივთების უმრავლესობამ გამოავლინა განსაკუთრებული მსგავსება, ყველა მათგანი ადგილობრივი თიხით არის დამზადებული, სავარაუდოდ, კანაკლის რეგიონში. თიხი ფერი მოწითალო-მოყავისფროა. ძირითადი მახასიათებელი ნიშნებია: ბრტყელი ძირი, მარალი ყელი, ოვალური წიბოები, სქელი კედლები. მოჭიქული კერამიკის ყველაზე ფართო გავრცელებული ფორმაა: თასი, რომელიც ხასიათდება საკმაოდ დიდი ზომით, სიღრმით, მოვარდისფრო-მოწითალო შეფერილობით, შიგადაშიგ მომწვანო-მუქი ტყონებით. ჭიქური კარგი ხარისხისაა. სავარაუდოდ, ნივთები ადგილობრივი დისტრიბუციისათვის იყო შექმნილი. [Nassos Vionis 2009].

დასკვნა

პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში შეგვეცადეთ შეგვესწავლა გამოყენებითი ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის შუა საუკუნეების მოტიქული კერამიკის ქუთაისური ნაწილი, სადაც ისტორიულ-არქეოლოგიურ ასპექტში გამოკვლეულია ამ უდიდესი საქალაქო ცენტრის და მისი მიდამოების (გელათი, გეგუთი, მოწამეთა) VIII-XVIII საუკუნეების მოტიქული ჭურჭლის წარმოების ისტორიის მთლიანი სურათი, (მოტიქული ჭურჭლის წარმოების განენა, წარმოების აღმავლობა და მისი დაცემა). თუ რა როლი შეასრულა ზემოთ განხილულმა ფენომენმა საერთო ქართულ და საერთაშორისო კულტურულ-ისტორიულ პროცესებში.

ნაშრომის ზოგად ქრონოლოგიურ მიჯნად აღიარებულია ახ. წ. VIII-XVIII საუკუნეები, ფაქტობრივად შუა საუკუნეების ათასწლოვანი პერიოდი. განვითარების მიხედვით გამოყოფილია ორი მთავარი ქრონოლოგიური ჯგუფი და ხუთი ქვეჯგუფი.

პირველი ქრონოლოგიური ჯგუფი VIII-XIII საუკუნეებს მოიცავს და იყოფა სამ ქვეჯგუფად (პერიოდად):

1. VIII-IX ს.ს-პირველი პერიოდი
2. X-XI ს.ს-მეორე პერიოდი
3. XII-XIII ს.ს-მესამე პერიოდი

მეორე ქრონოლოგიურ ჯგუფში გავაერთიანეთ ის მასალები, რომლებიც თარიღდება XIV-XVIII საუკუნეებით და იყოფა ორ ქვეჯგუფად (პერიოდად):

1. XIV-XVI ს.ს-მეოთხე პერიოდი
2. XVII-XVIII ს.ს-მეხუთე პერიოდი

შედლებისდაგვარად გავარკვიეთ კერამიკული წარმოების მასშტაბები, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ, მოქალაქეთა მხატვრულ ნაწარმზე მოთხოვნილება, შესაბამისად, მოვახდინეთ მათი ესთეტიკური გემოვნების შეფასება და სოციალური სურათის აღდგენა, მიმოხივიხილეთ მოჭიქვის ხალხური ტრადიციები, ამასთანავე ის თანამედროვე ტენდენციები რომელიც თანდათან ინერგება მეცნიერებაში: მიკრო-რამანის, (მაკედონია, სკოპია) სპექტროსკოპული ანალიზი, რომელიც ეფუძნება მრავალფუნქციურ სპექტროსკოპს და ლაზერითაა აღჭურვილი, ახდენს ნივთის ინფრარედით დათვალიერებას და სათანადო ანალიზის ჩატარებას. ხდება ნივთის მინიმუმ 16-ჯერ სკანირება, იგი ფართოდ აპრობირებული მეთოდია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესასწავლად და მუზეუმებისათვის. ასევეა LIBS-ისა (კრეტა), და INAA-ას მეთოდი (ესპანეთი). ანალიზის შედეგად დგინდება კერამიკის გამოწვის ტექნოლოგია, პიგმენტური შემცველობა, ასაკი, წარმომავლობა, ადგილობრივია ის თუ იმპორტირებულია სავაჭრო ურთიერთობების შედეგად.

მსგავსი მეთოდების დანერგვა და სათანადო აპარატურით აღჭურვა ქუთაისის მუზეუმის სარესტავრაციო-სამეცნიერო ლაბორატორიას საშუალებას მისცემს გააუმჯობესონ ნივთების კონსერვაციისა და შენახვის პირობები და რაც მთავარია, ანალიზის შედეგად გაირკვევა ქუთაისური მოჭული კერამიკის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნიშან-თვისება.

ქუთაისის არქეოლოგიური კვლევების დროს ნაქალაქარის სხვადასხვა უბანზე, სხვადასხვა ეპოქის კერამიკული სახელოსნოების დაფიქსირებისა და იქ აღმოჩენილი არტეფაქტების შედეგად, (თიხის სამფეხა ზედადგარი, სოლისა და მოჭიქული რიყის ქვის ფრაგმენტები, ჭიქურის ხელსაფქვავი, სანაყი), დადგინდა, რომ სახელოსნო ფუნქციონირებდა საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდში. ძირითადად არსებობის ორი პერიოდი შეიძლება გამოიყოს: VIII-IX საუკუნეები და X-XI საუკუნეები. იგი განადგურებული ჩანს „დიდი თურქობის“ დროს XI საუკუნის 80-იან წლებში. ანალოგიური სახელოსნო-საწარმო ივარაუდება გელათის სამონასტრო კომპლექსთანაც.

ქუთაისური მოჭიქული კერამიკის წარმოების ისტორიის განსაზღვრა VIII საუკუნის ბოლოდან პირველ რიგში გამოწვეულია ქუთაისის, როგორც სატახტო ქალაქის აღზევებით, რომელიც გამოიხატა არა მარტო, სამეფო სასახლის კომპლექსით, არამედ ახალი ტაძრის მშენებლობით, რომელიც რამოდენიმე ეტაპად განხორციელებულა VIII საუკუნის II ნახევარში (არჩილ-ლეონის ეპოქაში),

სწორედ ეს ტაძარი გახდა საფუძველი და საძირკველი ბაგრატის ტაძრის მშენებლობისა X საუკუნის ბოლოს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მონუმენტურმა ხუროთმოძღვრებამ თავისთავად შექმნა საჭიროება ქალაქის ესთეტიკური იერ-სახის გასაუმჯობესებლად, რაც გამოიხატა VIII საუკუნიდან ნაგებობების საგანგებოდ მოპირკეთებაში და მისი საბურველის სახეიმოდ შემკობაში. ამიტომაც VIII-IX საუკუნეებიდან კრამიტთა დამზადებაში მნიშვნელოვანი სიახლე ჩნდება, რაც მათი ზედაპირის ჭიქურით დაფარვაში გამოიხატა. დათარიღების ძირითადი არგუმენტი არის ის, რომ გათხრების დროს რამოდენიმე ფრაგმენტი აღმოჩნდა ბაგრატის ტაძრის იატაკქვეშა ფენებში. ბაგრატის ტაძრის იატაკი, რამდენადაც ცნობილია „განმტკიცდა“ X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის დასაწყისში. სწორედ ბაგრატის ტაძრამდე იქ არსებული „ქუთათისის საყდარი“, გადახურული უნდა ყოფილიყო მოჭიქული კრამიტით. (VIII საუკუნის ბოლოს).

ქუთათისური მოჭიქული კერამიკის პირველი პერიოდის (VIII-IX ს.ს.) განხილვის შედეგად ნათელი ხდება, რომ ხელოსნური წარმოების ამ დარგის განვითარება ხდებოდა ქვეყნის, კერძოდ, კი ქუთათისის, როგორც დასავლურ-ქართული სამყაროს პოლიტიკური ცენტრის, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებასთან ერთად, ამის ნათელი დადასტურებაა არქეოლოგიური კვლევის შედეგებით გამოვლენილი ჭიქურით დაფარვის ხელოვნება, რომელიც მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება: აქ შერწყმულია ორივე ფერთა შეხამება (ღია და მუქი მწვანე) და მიუხედავად იმისა რომ, თეთრი ანგობით მოხატული და მწვანედ მოჭიქული ჭურჭელი ზოგადად დამახასიათებელია IX საუკუნისათვის, ქუთათისური ჯამების ფრაგმენტებისათვის მხატვარ კერამიკოსებს გამოუმუშავებიათ ორნამენტის განსხვავებული სტილი, მუქზე ღია მწვანე ფერის დატანისა, რომელიც ერთგვარად ფარავს თეთრ ანგობს და ამკვეთრებს მასზე გამოსახულ ორნამენტს, ამით კი მათ გარკვეული ლოკალური დადი დაასვეს მისეულ ნაწარმს. მაგრამ ამავე დროს ყოველი ხელოსანი ჩანს ემორჩილება თავისი დროისათვის გაბატონებულ საერთო წესებს, პოპულარულ მოტივებს (თეთრი ანგობით მოხატვა და მწვანედ მოჭიქვა), ამიტომაცაა რომ მსგავსება გამოიხატება მათ საერთო სტილში. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ისინი ერთი დროის ნაწარმია, აქვე უნდა აღინიშნოს ჭურჭელთა ერთი ფერის (ცისფერი), ჭიქურით დაფარვა, რამდენადაც ის მეცნიერთა აზრით, XI საუკუნის სიახლეს წარმოადგენს და არ გვხვდება დასავლეთ საქართველოში. ასევეა მრავალფერად მოჭიქული კერამიკა,

რომლის დასაწყისად XII-XIII საუკუნეებს მიიჩნევენ, ქუთაისის მაგალითზე პოლიქრომული ჯამები კი VIII-IX საუკუნეებით თარიღდება და ამის ერთ-ერთ მთავარ საყრდენს წარმოადგენს კეცის ფაქტურის იდენტურობა VIII-X საუკუნეებში ტანდალარულ ამფორებთან. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ამ ამფორებისა და ჯამებისათვის ერთი და იგივე ნედლეული იყოს გამოყენებული, უფრო სწორად, ერთ საწარმოო ცენტრში, ერთ პერიოდში მათი დამზადება არის სავარაუდებელი და ამავე დროს საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქუთაისის ნაქალაქარზე IV საუკუნის კომპლექსთან ერთად აღმოჩენილია ყველაზე ადრინდელი მოჭიქული ჭურჭელი, რომელიც პართული წარმომავლობისაა. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ქუთაისში ყველა პირობა იყო შემქნილი, იმისა რომ მოჭიქული კერამიკის წარმოება VIII საუკუნის ბოლოდან გვევარაუდებინა.

მეორე პერიოდის (X-XI საუკუნე) ქუთაისური მოჭიქული კერამიკის წარმოების კიდევ ერთ ახალ საფეხურს წარმოადგენს, ვინაიდან ამ დროს მოთხოვნილების გაზრდამ გამოიწვია მოჭიქული კერამიკის წარმოების მასშტაბების გაფართოება, რაც გამოიხატა პროდუქციის ხარისხში, რაოდენობასა და ხასიათში. უხეშდება ჭურჭლის კეცი, ფართოდ ინერგება თეთრი ანგობი, უფრო მტკიცდება ამოკაწვრის წესი და მზადდება ნიადაგი განსხვავებული და მრავალფეროვანი ორნამენტის შესამქნელად. ამ პერიოდის ჭურჭლისათვის ნაწილობრივ დამახასიათებელია ის სიტლანქე, რაც პირველი პერიოდის ნაწარმს ახასიათებს, თუმცა ფორმა უფრო დახვეწილია, მეორდება წნეხვით ნაპრიალები და წითლად ან თეთრად მოხატული მოუჭიქავი ჭურჭლის ანალოგიური ჯამები. ზოგიერთ მათგანს აქვს ამოკაწვრით გამოყვანილი ასო-ნიშანი ან დამლით დატანილი ასომთავრული, ეს უკანასკნელი გვხვდება მომდევნო პერიოდის მასალაშიც. რაც მიუთითებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მათ ადგილობრივ წარმოებას და ურთიერთშორის გენეტიკურ კავშირს.

XII-XIII საუკუნეები ქუთაისური მოჭიქული კერამიკის ისტორიაში შეიძლება ითქვას „აფეთხების ხანაა“. აქ გვხვდება ძალიან მრავალფეროვანი, მაღალმხატვრული გემოვნებითა და განსხვავებული ორნამენტით (მცენარეული, გეომეტრიული, ჯვრისებური, ფრინველისა და ცხოველისგამოსახულებიანი, ბორჯღალის, თევზიფხური, კონცენტრული წრიული ხაზები, მზის, რომელიც დამახასიათებელია ქუთაისისათვის), შემკული ჯამები. როგორც ადგილობრივი ასევე იმპორტიც.

საზგასმით შეიძლება აღინიშნოს, რომ ის ნიშან-თვისება რაც დამახასიათებელია ზოგადად XI-XIII საუკუნეების საქართველოს მოჭიქული კერამიკისათვის, ფაქტობრივად ახასიათებს ქუთაისური მოჭიქული კერამიკის ყველა პერიოდს. ქუთაისის ნაქალაქარზე აღმოჩენილი მოჭიქული ჭურჭელი თავისებური ნიშნების მატარებელია. ეს გამოწვეულია იმითაც, რომ ქუთაისი VIII-XIII საუკუნეებში მოწინავე საქალაქო ცენტრი იყო საქართველოში და აქ თავს იყრიდა როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური კულტურული მიღწევები და შესაბამისად, მოჭიქული ჭურჭელიც, რომელიც ადამიანის ყოფის აუცილებელ ატრიბუტად მკვიდრდებოდა.

ქუთაისური მოჭიქული კერამიკა უფრო მეტ მსგავსებას ამჟღავნებს დასავლეთ საქართველოს (ბათუმის, გონიოს ციხეებზე, ციხისძირში, ციხესულორზე) მასალებთან, (როგორც ქუსლის მოყვანილობით, ასევე ორნამენტით), ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს ჭურჭელთან.

გვიანსაშუალო საუკუნეებში როგორც სამშენებლო, ასევე საყოფაცხოვრებო მოჭიქული კერამიკა (მიუხედავად სიმცირისა), გამოირჩევა სისადავით და ამ შემთხვევაშიც განსხვავებული სახით: სამშენებლო კერამიკაში გვხვდება ყვითლად მოჭიქული კრამიტი, (ინტერნეტის მასალების მიხედვით ოშკი და იშხანი ყოფილა გადახურული ყვითელი კრამიტი).

ქუთაისი ის პუნქტია, სადაც ფაიანსის ადრეული ნაწარმია დადასტურებული, (XI ს.) და გვხვდება XVIII საუკუნის თურქული ფაიანსიც. ვფიქრობთ, ქუთაისის მასალა არც ამ შემთხვევაში წარმოადგენს გამონაკლისს და აღმოჩენილი მასალა კიდევ უფრო გაამდიდრებს მოჭიქული კერამიკის ისტორიას.

ქუთაისური მოჭიქული კერამიკის შესწავლით შეივსო ის ლაკუნა, რომელიც არსებობდა წლების განმავლობაში. დღეს შეძლებისდაგვარად მოხერხდა პირველად სამეცნიერო მიმოქცევაში შემოგვეტანა საქართველოს უძველესი დედაქალაქის ქუთაისის მოდამოებში აღმოჩენილი მოჭიქული კერამიკა, რომელმაც გარკვეულწილად ნათელი მოჰფინა საქართველოს ამ მნიშვნელოვანი საქალაქო ცენტრის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ საკითხებს, რომლის ცოდნასაც ასე დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ისტორიისათვის.

დისერტაციის ფორმატიდან გამომდინარე, მეტ-ნაკლებად წარმოვადგინეთ ზოგადი სახე გამოყენებითი ხელოვნების ამ უმნიშვნელოვანესი დარგის შესახებ.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საზგასმით უნდა აღინიშნოს გამოყენებითი ხელოვნების ამ დარგის მოჭიქული კერამიკის ერთ საინტერესო

თვისებისა თუ ხასიათის შესახებ. კერძოდ ის, რომ მოჭიქული კერამიკა მუდმივ დინამიკაშია. იგი აღმოსავლეთში იშვა და სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული კავშირების შედეგად ვრცელდება. ზოგან ვითარდება, მიიწევს წინ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ აღმავლობის ნაცვლად აქვს წყვეტილობის პერიოდი და ხდება ძველის აღორინება, ეს თვისება საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ მის მიერ განვლილ გზას მთელი შუა საუკუნეების მანძილზე.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. არჩვაძე თ., ჩიკოძე ც., ჩხატარაშვილი მ. 2005: რუსთავში გათხრილი საერო სასახლე-ვ. ჯაფარიძე (რედ.), რუსთავი III. თბილისი.
2. ბედუაძე ს. 1957: მოჭიქული ჭურჭლის წარმოებისათვის შიდა ქართლში. სსმმ, ტ. XIX-A, XXI-B, 285-302.
3. ბოჭორიშვილი ლ. 1949: ქართული კერამიკა I, კახური. თბილისი.
4. ბოხოჩაძე ალ. 1969: მასალები შუაფეოდალური ხანის მცხეთის ისტორიისათვის. ფსად, I, 20-43.
5. ბრაგვაძე ზ., კაპანაძე ნ. 2007: შუასაუკუნეების არქეოლოგიური მასალა ზემო იმერეთის ციხეებიდან. რ. რამიშვილი, დ. მინდორაშვილი (რედ.), საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები I. 49-56. თბილისი.
6. გრძელიშვილი ი., ტყეშელაშვილი ო., 1961: თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები. თბილისი.
7. დრ. ჰერმან ჰეხტი. 1935: კერამიკის სახელმძღვანელო. ტფილისი.
8. ისაკაძე რ. 2006: ქუთაისი XV-XVIII საუკუნეებში. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი.
9. კაკაბაძე ც. 1970: მოჭიქული ჭურჭელი შროშიდან. საბჭოთა ხელოვნება №9, 107-109.
10. კაკაბაძე ც. 1974: ჭურჭლის შემკობის ხალხური ხერხები შროშაში. ძმ. №36, 47-52. თბილისი.
11. ლანჩავა ო. 1996: ქუთაისი ეგრის-ლაზიკის ციხე-ქალაქათა სისტემაში. ქუთაისი.
12. ლანჩავა ო. 2007: ქუთაისის არქეოლოგია. ქუთაისი.

13. ლანჩავა ო., ისაკაძე რ., ბერძენიშვილი დ., ქარციძე ნ., ჭუმბურიძე მ., 2010: გათხრები ქუთაისსა და გელათში. გ. კვიციანი (რედ.), ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში №19. 67-73. თბილისი.
14. ლორთქიფანიძე ოთ. 2002: ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბილისი.
15. ლომთათიძე გ. 1944: არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში. ს. ჯანაშია (რედ.), თბილისი.
16. ლომთათიძე გ. 1969: ფეოდალური საქართველოს ქალაქებისა და საწარმოო კერათა ისტორიისათვის. ფსად I, 3-19. თბილისი.
17. ლომთათიძე გ. 1974: შუაფეოდალური ხანის ნამოსახლარების გათხრა სამშვილდის მიდამოებში.-გ. ჯაფარიძე (რედ.), ფსად, II, 120-138. თბილისი.
18. ლომთათიძე გ. 1989: არქეოლოგიური კვლევა-ძიება ალგეთისა და ივრის ხეობებში. თბილისი.
19. ლომიძე ც. 2003: ნასოფლარი ბანთარეული. რ. რამიშვილი (რედ.), შუა საუკუნეთა ხანის ქართული სოფელი არქეოლოგიური მასალების მიხედვით. II კონფერენცია (მოსხენებათა მოკლე შინაარსი). 76-79. თბილისი.
20. მაისურაძე ზ. 1959: ოზაანის კერამიკა. თბილისი.
21. მაისურაძე ზ. 1953: ქართული მხატვრული კერამიკა. თბილისი.
22. მანჯგალაძე გ. 2008: რომაული ხანის მოჭიქული თიხის ჭურჭელი საქართველოში. გ. გამყრელიძე (რედ.), იბერია-კოლხეთი 4. თბილისი.
23. მამაიაშვილი ნ. 1974: თბილისის დედაციხის ფაიანსი. ფსად, II, 201-220.
24. მამაიაშვილი ნ. 1976: ფაიანსი შუა საუკუნეთა საქართველოში. თბილისი.
25. მიწიშვილი მ. 1967: IX-X საუკუნეების ქართული მოჭიქული კერამიკა. მაცნე 2 (35), 285-294. თბილისი.
26. მიწიშვილი მ. 1969: მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში, IX-XIII ს.ს. თბილისი.
27. მიწიშვილი მ. 1974: თბილისის დედაციხეზე აღმოჩენილი მოჭიქული კერამიკა.-გ. ჯაფარიძე (რედ.), ფსად II, 189-200.
28. მიწიშვილი მ. 1975: „განჯისკარის“ კერამიკული სახელოსნოს თარიღისათვის. საბჭოთა ხელოვნება №10, 60-64.
29. მიწიშვილი მ. მოჭიქული კერამიკის განვითარების ძირითადი ეტაპები შუა საუკუნეების საქართველოში. 1975: გ. მელიქიშვილი (რედ.), მაცნე, ისტორიის...სერია. 152-158. თბილისი.

30. მიწიშვილი მ. 1976: ქართული მოჭიქული წარმოების ისტორიიდან. თბილისი.
31. მიწიშვილი მ. 1979: მოჭიქული კერამიკის საწარმო შუა საუკუნეების თბილისში IX-XIII სს. თბილისი.
32. მიწიშვილი მ. 1984: თბილისის კერამიკულ სახელოსნოთა (IX-XIII ს.ს.) შესწავლილობა. ო. ლორთქიფანიძე (რედ.), ძეგლის მეგობარი. 36-38.
33. მიწიშვილი მ. 1998: შუა საუკუნეების მოჭიქული კერამიკა (IX-XVIII ს.ს.). სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი.
34. მიწიშვილი მ. 1998: შუა საუკუნეების მოჭიქული კერამიკა (IX-XVIII ს.ს.) დისერტაცია ხელნაწერის უფლებით. თბილისი.
35. მინდორაშვილი დ. 2007: კვეტერის ციხის არქეოლოგიური მასალა I- რ. რამიშვილი, დ. მინდორაშვილი (რედ.), საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები I. 90-108. თბილისი.
36. მინდორაშვილი დ. 2008: უფლისციხე შუა საუკუნეებში. თბილისი.
37. მინდორაშვილი დ. 2009: არქეოლოგიური გათხრები ძველ თბილისში.
38. მინდორაშვილი დ. 2010: კვეტერის ციხის არქეოლოგიური მასალა.
39. მარგველაშვილი მ. 2007: ქალაქ ჟინვალის მკვებავი სასოფლო-სამეურნეო ხორა.- რ. რამიშვილი, დ. მინდორაშვილი (რედ.), საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები I, 32-37. თბილისი.
40. ნებიერიძე ლ. 1972: დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი. თბილისი.
41. ნიკოლაიშვილი ვ., სიხარულიძე ა., დიდმელაშვილი ქ., პაპიძე ი., პაპიძე მ., 2009: ვ. ჯაფარიძე (რედ.), ბელტისციხე-ბებრისციხე. თბილისი.
42. რჩეულიშვილი გ. 2003: დავითიანის და ორმოცის ნამოსახლარები. რ. რამიშვილი (რედ.), შუა საუკუნეთა ხანის ქართული სოფელი არქეოლოგიური მასალების მიხედვით. II კონფერენცია (მოსხენებათა მოკლე შინაარსი). 31-34. თბილისი.
43. სინაურიძე მ., ბერიძე მ., 1971: კაზრეთის ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ძეგლები. ძეგლის მეგობარი. (27-28). 46-50.
44. შუშანიძე ნ. 2008: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურული ურთიერთობები აღმოსავლეთის ქვეყნებთან (ოსმალური მხატვრული კერამიკის მიხედვით XVI-XVIII სს.)-დისერტაცია. ბათუმი.
45. ჩაჩხუნაშვილი ც. 2006: ბოდბის წმინდა ნინოს მონასტერი. დისერტაცია.
46. ჩიკოიძე ც. 1969: ქალაქ თელავის ისტორიისათვის. ფსად I, 27-45. თბილისი.

47. ჩიკოიძე ც. 2003: შიდა კახეთის ნასოფლარები (ფოხორაული, არტოზანი, მარკაანი). რ. რამიშვილი (რედ.), შუა საუკუნეთა ხანის ქართული სოფელი არქეოლოგიური მასალების მიხედვით. II კონფერენცია (მოსხენებათა მოკლე შინაარსი). 47-51. თბილისი.
48. ჩიკოიძე ც. 2007: რუსთავში მცხოვრები რიგითი მოსახლეობის ყოფა და კულტურა. რ. რამიშვილი, დ. მინდორაშვილი (რედ.), საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები I. 3-16. თბილისი.
49. წილოსანი 1938: გეგუთი-ციხე-დარბაზი. შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა.-ივ. ჯავახიშვილი (რედ.), 449-467. თბილისი.
50. ჯაფარიძე ვ. 1956: ქართული კერამიკა (XI-XIII სს). თბილისი.
51. ჯაფარიძე ვ. 1958: კერამიკული მრეწველობა საქართველოში. თბილისი.
52. ჯაფარიძე ვ. 1969: ნაქალაქარ დმანისის არქეოლოგიური შესწავლა (წინასწარი შედეგები). სსმ XXVIII- B, 53-79. თბილისი.
53. ჯაფარიძე ვ. 1998: შუა საუკუნეების ქართული მოჭიქული კერამიკის თარიღის დაზუსტებისათვის.- ჯ. კოპალიანი (რედ.), დმანისი I, 38-58. თბილისი.
54. ჯაფარიძე ვ. 2006: ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ანტიკური ქალაქების დემოგრაფიული სიტუაციის საკითხი. ოჩამჩირე-გიენოსი.-საისტორიო ძიებანი VIII-IX, წელიწდეული, 218-244.
55. ჯაფარიძე ო. 1991: საქართველოს არქეოლოგია. თბილისი.
56. ჯანდიერი ე. 1969: ჯავახეთის ახალქალაქის ისტორიისათვის. ფსად I, 46-73. თბილისი.
57. ჯაოშვილი ვ. 1958: კერამიკული მრეწველობა საქართველოში.
58. ჯღამაია ჯ. 1968: რუსთაველის ხანის საქართველოს სამშენებლო კერამიკა. მაცნე №6. 50-59.
59. ჯღამაია ჯ. 1969: სამშენებლო კერამიკის წარმოება ფეოდალური ხანის საქართველოში. ფსად. I, 94-105. თბილისი.
60. ჯორბენაძე ბ., მარგველაშვილი მ., რჩეულიშვილი გ., 1987: უინვალის ნაქალაქარი და სამაროვანი.- ო. ლორთქიფანიძე (რედ.), ძმ. №4, 54-58.
61. ჯორბენაძე ბ. 1986: ქრონიკა და ინფორმაცია-(სიმპოზიუმი მიეძღვნა მრავალფერად მოჭიქულ კერამიკას).-მაცნე №2, 188.
62. ჭილაშვილი ლ. 1964: ნაქალაქარი ურბნისი. თბილისი.

63. ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის 2005 წლის საველე სამუშაოების წინასწარი ანგარიში. 1-21.
64. ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ბაგრატის ტაძრის ინტერიერში 2006 წლის ივლის-ოქტომბერში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში. 1-21.
65. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრისა და აკ. წერეთლის უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ქუთაისში, ბაგრატის ტაძრის ექსტერიერში 2007 წელს (15 ივნისი–30 აგვისტო) ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში. 1-31.
66. გელათის სამონასტრო ანსამბლის ტერიტორიაზე 2007 წლის 1 დეკემბრიდან 2008 წლის 30 იანვრამდე ჩატარებული სადაზვერვო-არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში. 1-10.
67. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის 2005 წლის სტრატეგიული პროგრამის ანგარიში.
68. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის 2007 წლის სახელმწიფო პროგრამა. 110-111.
69. **Алиева С.**2009: Керамика Самарканда. (http://www.sanat.orexca.com/rus/archive/3-4-04/history_art8.shtml)
70. **Айбабина Е.** 1985: Поливная керамика Каффы XIV- XV вв.- Материалы 1 Симрозиума Попихромная поливная керамика Закавказья- Истоки и пути распространения. Тезиси. 51-52.
71. **Булгаков В.** 1999: Северопричерноморские глазури XIII-XV вв. археометрические изучение. (<http://archaeology.kiev.ua/journal/011299/bulgakov.htm>)
72. **Воронин Н.Н., Раппопорт П. А.** -Собор Троицкого монастыря на Кловке <http://www.russiancity.ru/books/b50m.htm>
73. **Достиев Т.** Средневековый город Шабран. (<http://karabakh-doc.azerall.info/ru/azerpeople/ap026.htm>)
74. **Джанов А.** 1999: Гончарные печи XIV-XV вв. на ремесленном посаде Сугдеи.- Крымский филиал. Института археологии НАН Украины. <http://archaeology.kiev.ua/journal/011299/dshanov.htm>

75. **Журкевич О.С.**-Средневековый город Тараз. Евразийский национальный университет Л. Н. Гумилёва. <http://www.ref.by/refs/41/34974/1.html>
76. **Зубарева М. М.** http://kds.eparhia.ru/www/script/ps17_30_97251273148.html
77. **Исхакова Е., Иганбердиев Р.,** Зооморфные мотивы в керамике ЧаЧа. <http://www.sanat.orexca.com/rus/archive/2-07/zoomorf.shtml>
78. **Кравченко А. А.** 1985: Попихромная поливная керамика из Белгорода – Днестровского (конец XIII-XIV вв).-Материалы 1 Симпозиума Попихромная поливная Закавказья-Истоки и пути распространения. Тезисы, 55-59
79. **Калантарян А.** 1974: К вопросу о способах изготовления керамики в средневековой Армении.-ԳԵՅԻ ԻԻ, 278-290.
80. **Каракорум**-сказочная столица монгольской империи. <http://white-umbrella.ru/module-subjects-viewpage-pageid-264.html>
81. **Лисова Н.** 2004: Орнамент посуды поливной золотоордынских городов Нижнего Поволжья. Казань. (<http://www.lib.ua-ru.net/diss/cont/65212.html#introduction>)
82. **Миндорашивили Д.В.** 1985: Попихромная поливная керамика из Уплисцихе. Материалы 1 Симпозиума Попихромная поливная керамика Закавказья- Истоки и пути распространения. Тезисы. 41-42.
83. **Мицишвили М. Н.**-1985: Попихромная поливная керамика XII-XIII вв. из Тбилиси и Рустави. Материалы 1 Симпозиума Попихромная поливная керамика Закавказья- Истоки и пути распространения. Тезисы. 42-45.
84. **Мыц В. Л.** 1985: Поливная керамика с монограммами из раскопок Мангуца и Фуни.- Материалы 1 Симпозиума Попихромная поливная керамика Закавказья- Истоки и пути распространения. Тезисы. 52-54
85. **Псков**-Гончарный центр Древней Руси-Псковская керамика XIII-XV веков. <http://www.dionisiy-p.ru/art5.html>
86. **Романчук А.** 1971: Гончарная мастерская X-XIII вв. в Херсонесе.- Ученые записки УРГУ, №112. серия историческая, вып. 22. 119-121.
87. **Федоров-Давидов Г.А.** 1985: Гончарное производство в Золотоордынском городе Сарае (Селитренное городище).- Материалы 1 Симпозиума Попихромная поливная керамика Закавказья- Истоки и пути распространения. Тезисы. 54-55.
88. **Археологические находки на каспийском побережье.** <http://members.fortunecity.com/shahink/caspianru.htm>

89. **Biljana Minceva-Sukarova, Orhideja Crupce, Vinka Tanevska...**-2007-2008: MIKRO-RAMAN SPEKTROSCOPIC STUDIES OF BYZANTINE CULTURAL HERITAGE IN REPUBLIK OF MACEDONIA.-Istitute of Chemistry , Faculty of Natural Sciences and Mathematics, SS. Curil and Methodius Universitty. Skopje, Macedonia.
90. **Kristalia Melessanaki, Maripaz Mateo, Susan C. Frerence, Philip P. Betancourt, Demetrios Anglos**-2002: The application of LIBS for the analysis of archaeoligal ceramik and metal artifacts. Foundation for Research and Tecnology-Hellas (FORTH), Institute of Electronic Structure and Laser, Heraklion, Grete, Creece.
91. **Patricia Fournier and M. James Blekman**-2006: Production, exchange and consumption of glazed warez in nev Spain: formation of a database of elemental composition through INAA.
92. **Figueiredo M; Pereira da Silva T; Veiga J**-Ancient glazed ceramic tiles: a long-term study from the remedioton of environmental impacts to the non-destructive characterization of materialz. <http://repositorio.ineg.pt/bitstream/10400.9/539/1/33699.pdf>
93. **Pope A.**. Survey of Persian Art. London, 1938. v. II.
94. **Lanne A.**. Islamik Pottery, London, 1957.
95. **Zelenko Sergey, Ship-wreck of 13 century at the Black Sea by Soldaya**<http://archaeology.kiev.ua/underwater/zelenko5.htm>
96. **August 2006 & July-August 2007 Interactive Dig Black Sea: Shipwreck Research Project.** <http://www.archaeology.org/interactive/blacksea/artifacts.html>
97. **Nassos Vionis.** Medieval and Post-Medieval Ceramic Study 2009: surface survey pottery from Akyamac. <http://www.sagalassos.be/node/1121>
98. **Prof. Dr. Lars Karlsson, Labraunda, 2009:** Preliminary Reports. The campaign lasted for five weeks from June 22 to July 24.
http://www.labraunda.org/Labraunda.org/Report_2008_eng.html
99. <http://ka.wikipedia.org/wiki/>
100. <http://www.dzeglbi.ge/dzeglbi/oshki.html>
101. <http://ka.wikipedia.org/wiki/>
102. http://telavi.at.ua/news/k39akhetis_k39ult39uruli_mkhare_arkit39ekt39ura/2009-09-24-1834
103. <http://www.dzeglbi.ge/dzeglbi/vardzia.html>
104. <http://istoria.ge/dzeglbi/vardzia.htm>
105. http://saunje.ge/index.php?id=10&option=com_content&Itemid=3&lang=ka

106. <http://www.tatmir.ru/article.shtml?article=647§ion=0&heading=189>
107. http://www.tsaritsyno-museum.ru/exhibition/exhibition_arheology.htm
108. http://bse.chemport.ru/kondujskij_gorodok.shtml
109. <http://white-umbrella.ru/module-subjects-viewpage-pageid-264.html>
110. <http://www.balabike.ru/about/outskirts/detail.php?ID=890>
111. <http://www.nnov.ru/videoguide/rozhdstvenskaya/?ItemID=911211>
112. <http://www.answers.com/topic/tile>

შემოკლებათა ბანმარტეზა

მსე-მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის

მსკა-მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი.

მსკი-მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. თბილისი.

მსმკი-მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი.

სდსძ-სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები.

სმამ-საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე.

სსმაე-საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.

სსმმ-საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.

სს-საბჭოთა ხელოვნება

ფსაძ-ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. თბილისი.

ქ.ც.ს.ა-ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი.

ძიებანი-ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში. ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. თბილისი.

ძმ-ძეგლის მეგობარი.